

114 /
1952 / 2


ქართული
ლიბრეოთეკა

მნათობი

3

მ ა გ ბ ბ



1952

ენათობი



ეროვნული ლიტერატურულ-მეცნიერული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

მაკრატველს საბოთა მწარეებს კავშირის ოკაზნო

წელიწადი ოცდამეცხე

1986/5119

3



★

მ ა რ ბ ი

19

სახელგამი
თბილისი

52

საქართველოს
ენციკლოპედია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მენჯი-რობე

რომანი *

★

ბანიცადენი

IX

ახლა შეედივართ დიდ ტყეში, ციბედულ!

ჩემს რომანში გაშუქებული ცხოვრების დიდ ტყეში.

აქ დიდხანს მოგვიხდება ტრიალი... შეიძლება წრიალიც, რადგან ამ ტყეში, მე რომ აღწერ, იმ დროს, ბევრი ეკალებური იყო, გამოუწმენდელი; გაუკაფავი იყო ტყე. ეკალნარი, ფითრი და სურთ ხეებს აღჩნობდა. მათ სარგო, მაცოცხლებელ წვეს ესენი სწუწნიდნენ.

მეტად ვიწრო ბილიკებიც იქა-აქ თუ იყო გაყვანილი. ზოგიერთი კი ახლა იტყებნებოდა გაბედულთაგან.

ეს იმიტომ, რომ სოფ. ბერთემში ქვეყნის ხმაური ძალზე ცოტა ისმოდა. ახალი დრო თითქოს გვერდს უვლიდა ბერთემს. მისი ტალღები ნელ ზვირთებად მიჩქრიალებდნენ მის კიდეებთან. არ იყო ისე ცოცხალი მათი დაძვრება. ამიტომაც იქაური ცხოვრებაც ჩემი გმირის, ბარამის ტყესავით იყო დახშული.

მხოლოდ ქალაქებში იწყებდა ცხოვრება დულილს, მაგრამ ქალაქის ამბავი ბერთემში და ბერთემისებურ სოფლებში იმ დროს ძალიან ცოტა მოდიოდა.

მაინცდამაინც ტყეს ხომ თავისებური განლაგება აქვს და დაგვირდება ცოტა

კარგა ხნით ამ ტყის ლაბირინთში მიხვევ-მოხვევა.

ცხადია, ბოლოს გამოვალთ ამ ტყიდან, რადგან თვითონ ცხოვრება გამოვიდა დიდ შარავნაზე, მხოლოდ ჯერნუ გაგიკვირდება, ციბედულ, თუ ზოგჯერ წიფელასთან შეეჩერდებით, ზოგჯერ რცხილასთან და ზოგჯერ ქყორთანაც მოგვიხდება დაყოვნება.

ჰა, ჰა! ხომ იცი, ციბედულ, რომ ამ მომცრო მცენარეს, ქყორს, ლათინურად უზარმაზარი სახელი ჰქვია: როდოდენდრონი.

ახლა ჩვენში ტროპიკული პალმები ხარობენ ნარინჯოვანი მცენარეები ქარგვენ მიდამოს, ჩაის ბუჩქებით გადაგვირისტებულია არემარე, ევკალიპტები მუხებზეთ გადამარდნილან, სხვადასხვა წარმტაცი ყვავილით შემკულია ჩვენი ბაღნარები.

ქალაქებში ცადმბჯენი სასახლეები წამოქიმულან, გზები მოასფალტებულია, ელექტრონის ლამპიონები ჰქმნიან ირგვლივ დღიურ სიცხადეს... შეიძლება დღეს ეს მენჯი-რობეშიაც იყოს.

მაშინ კი არ იყო ასე.

ტყის სიხშირეში ვიარებოდით.

მოდი, გავეცნოთ.

d

დალამდა წითელი პარასკევი. გურტი დაბრუნდა უშაფათიდან და მისი ძმა ბათუ კი ქუთაისიდან. სადაც თურმე გურტიის დავალებით იყო გაგზავნილი საყიდლებზე და ხონისა და ბანძის გზით თან ჩამოიტანა ურმით რამდენი-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 2.

მე გუდით სვირული ღვინოები, აგრეთვე სანიკიას საკანდიტროში დამზადებული პასკები, სხვა შალაზიებიდან კიდევ სარდინეები და სხვა ასეთი სასაუზმე საწვავაგე. სხვა დანარჩენი ხომ სახლში ეგულბოდა ნექტარინას ოჯახს და ამიტომაც ბათუს სხვა არაფერი ჩამოუტანია. ბათუ მაშინვე შეუდგა ნაყიდი საქონლის დაბინავენას და ღვინის ჩამოსხმას, რადგანაც ამ საქმეებში ის დიდი დახელოვნებული იყო და საერთოდ აღდგომის ევლოგიის სუფრის გამლა და მართვა-მოყაზმა მას ჰქონდა მინდობილი.

გუტატიმ კი მაშინვე მოიკითხა დესი, მოძებნა და ნახა, რომ დესი სხვა მოსირმულ წულას ჰყვარავდა. ცოტა აიძარიზა, მიხვდა, რომ ეს წულეები ბეგისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ დესისთვის საყვედური არ უთქვამს, მხოლოდ თავისი უკვე შეკერილი წულეები გამოართვა და გაშორდა. გულში გაიფიქრა: „უკანდაბას შენი თავი! ჩემი ცოლი არა ხარ და მაშიდაშვილი... ბეგი ვინდა? გყავდეს. როცა დამპირდები, მაინც ჩემი არა ხარ! დღეს მაინც შენთვის არა მცალია“... აივანზე გაიარა. ნექტარინას მესაიდუმლე ძილხანი შემოხვდა, ძილხანმა საიდუმლოდ გადასცა: „ენინა ახლა ტანს იბანს, — თან თვალი ჩაუკრა, — ამალამ მოგელისო“.

გუტატი დამშვიდებული ამასაც გაშორდა და მისთვის მიჩენილ ოთახში შევიდა ახალი წულების მოსარგებლად.

ძილხანი თავისებურად მორწმუნე ადამიანი იყო, წითელი პარასკევი დიდ სამგლოვიარო დღედ მოაჩნდა, ქრისტე ჯვარს აცეცს ამ დღითო და ყოველივე ამ სოფლიური ადამიანებს ამ დღით განარიდებული უნდა ჰქონოდათ: ჰამასმა, გართობა და სქესობრივი გატაცება ხომ კიდევ უფრო. ასე რომ, უძრავად ნექტარინას ამალამის პავმანს გუტატისთან, ან რა სულის წასვლაა, გუტატი სულ აქ არა ჰყავს, რაღა მაინცდამაინც

წითელი პარასკევი! მაგრამ რა ექნა, ის მესაიდუმლე იყო ნექტარინასი და ზოგჯერ მრჩეველიც, მაგრამ ასეთი საქციელისათვის სიტყვას ვერ შეუბრუნებდა, ეს მის ძალასა და უფლებას აღემატებოდა. ასხენდებოდა, რომ აკრძალული ხილის ჰამა მეტად გემრიელია და გარეგნულად ურიგდებოდა ნექტარინას ასეთ თავაშვებულებას. ამიტომაც იყო, რომ გუტატის მხაკერულად თვალი ჩაუკრა—ხედავ, როგორი გაბედულებიცა ვართ მე და ჩემი ქალბატონო! ეს სცენა ემსგავსებოდა რომელიმე მსახიობი ქალისაგან კარგად „გათამაშებულ“ როლს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ძილხანი ნექტარინას ოჯახში დიდ როლს ასრულებდა. ჯერ ერთი, მესაიდუმლე და მრჩეველი ხომ იყო და იყო ნექტარინასი, ამას გარდა მას ებარა დიდი ნაწილი საოჯახო საქმეებისა: მას ევალებოდა თვალყური მიედევნებინა მოსამსახურეებისათვის, რომ ყოველ დღით, დანიშნულ დროზე მთელი სასახლე დაგვილი ყოფილიყო და გაწმენდილი. ახლა ხომ, საიდგომოდ, მთელი ოთახები აფორაქებული იყო და ჩვეულებრივზე მეტი ზომა იყო მიღებული ოთახებისა და ავეჯეულობის გასაპრიანებლად. ძილხანის მოვალეობა იყო, ყური მიეგდო იმისათვის, რომ თავთავის დროზე გოგოებს სტუმრებისა და მასპინძლების ქვეშაგები აელაგებინათ და სათითაოდ ჩაებარებინათ ძილხანისათვის, აგრეთვე კვლავ თავის დროზე პირი დაებანიებინათ ყველა უფროსისათვის. ძილხანსვე ებარა სასახლის ჭურჭლეულობა, რომელთაც თავის დროზე არიგებდა საჭიროებისამებრ და შემდეგ უკანვე იბარებდა გაწმენდილსა და გასუფთავებულს. მასვე ებარა მთელი სასახლის თეთრეული და განაგებდა სარეცხის საქმეს. მასვე ეკისრებოდა განათების და გათბობის საქმე... ის იყო განმკარგულებელი, მოსამსახუ-

რეები კი ასრულებდნენ ამ განკარგულებებს: გოგოები წმენდდნენ ლამპებს და შიგ ასხამდნენ ნეთს; ვაეებს მოჰქონდათ მათ მიერ დახერხილი და დაპობილი შეშა, ზოგჯერ კარგა მოზრდილი კენძებიც ზუზრის ზომისა და ძილხანისვე მეთვალყურეობით ანთებდნენ ცეცხლს. ძილხანსვე ებარა ჩაი, შაქარი, ყავა, ბარონესას ჩამოსვლის დროს შოკოლადი და კაკაოც და სხვა სანუგბაროები: იმერული ჯანჯუხები, ხილის ჩირები, ტკბილი კვრები, ქილებში დაცული სხვადასხვაგვარი წნილი და სხვა.

სხვა სანოვავის საქმეს განაგებდა უფროსი მზარეული, რომელსაც, გარდა სამზარეულოსი, თავისთვის მიჩენილი ცალკე სალარო ჰქონდა, ისე როგორც, ძილხანს თავისი საკუჭნაო. მზარეულისთვის მიჩენილ ოთახს ერქვა სალარო, მაგრამ იქ ფულები კი არ ინახებოდა, ან ძვირფასი რამ ნივთები.

ასეთ ნივთებს, რაც რამ გააჩნდა, თვითონ ნექტარინა ინახავდა თავის ოთახში და ერთ პატარა, ზანდუქისებურ სალტებიან კოხტა კოლოფში ჰქონდა ჩაკეტილი. მხოლოდ ეს კოლოფიც იმავე ოთახში დიდ ზანდუქში იყო მოთავსებული, სადაც აგრეთვე ინახებოდა ნექტარინას ძვირფასი კაბები, თავსახურაეები, ფეხსამოსები და სხვ. და ეს იმიტომ კი არა, რომ ძილხანს არ ენდობოდა. ერჩივნა თავის საყვარელი ნივთები თავის ახლოს ჰქონოდა ზშირ-ხშირ მისაკითხავად.

მზარეულის სალაროში კი ცალკეულ კაკვებზე ჩამოკიდებული იყო ღორის, ბატის და ზოგიერთი გარეული ნანადირეის შაშხი, აგრეთვე, დოში, ზურგიელი და სხვ. დამარილებული თევზი. აქვე ინახებოდა სადღეისო სადილისა თუ ვახშმისათვის დამზადებული, ცივად შესანახი სანოვავე, ლეინოები და მარანი გულტატის განკარგულებაში იყო, ხოლო ბელელს და სასიმიინდეებს განაგებდა ამისათვის საგანგებოდ მიჩნეული

ოჯახის ერთგული ზელოსანი. ხოლო ძილხანის საკუჭნაოში, გარდა ზემოდასახელებულისა, ვინ იცის რა არ ინახებოდა. ეს უფრო გავდა ანაწილად „უნივერსალს“, დღევანდლურად რომ ვთქვათ, ანუ უკეთ, საკომისიო მალაზიას. და იყო იგი ნექტარინას ოჯახის გაქირვების ტალკეესი.

თვითონ ძილხანი მამით და იყო ნექტარინასი, ოღონდ ბუში იყო და მზითვეში ჰყავდა ნექტარინას გამოყოფილი. ეს იყო ბატონყმობის დროის გადანაშთი ჩვეულება.

ძილხანი ნექტარინაზე, უფროსი იყო, მაგრამ ახლაც ეტყობოდა, რომ ერთ დროს მოხდენილი ქალი იქნებოდა. ის არასოდეს არ გათხოვილა, მაგრამ ორი რომანი კი ჰქონდა თავის ცხოვრების მანძილზე: ერთი — რომელიღაც ახალგაზრდა იმერელ თავადიშვილთან, ნექტარინას დედულეთს, რაც ახლაც ტკბილ მოსაგონრად აქვს თავის მეხსიერებაში აღბეჭდილი, და მეორე — ნექტარინას ქმარ სამსონთან.

სამსონთან დაახლოება მოეწყო მას შემდეგ, რაც ნექტარინა და მის უფროს მამულ არჩილთან დაენტო ტრფობას ალი, არჩილის შემდეგ ნექტარინა სამსონს აღარ ეკარებდა. სამსონიც აღარ ბედავდა ამ მამაც ქალთან შებრძოლებას და ამიტომაც მან, ძალიან მალე, ნექტარინას ოთახის მაგივრად, ძილხანის სანთიობოსაკენ გაივლია გზა.

ძილხანსაც თავიდანვე არ ეუცხოვა სამსონის მასთან მისვლა და დიდსულოვნობით გაულო გულის კარი ბედისაგან დაჩაგრულ ქმარს. შეიძლება ამითი თავიც მოსწონდა რომ თვითონაც, გჯვარდაუწერელი, მაგრამ მაინც, გვირგვილიანის ცოლი გახდა. ეს იყო და ეს. სანამ სამსონი არ დააეადმყოფდა და არ გარდაიცვალა, მანამ სამსონისა და ძილხანის ცოლქმრული დამოკიდებულება არ შეწყვეტილა.

ნექტარინამ მალე გაუგო თავის ქმარს „ცეკლება“, მაგრამ ყური მოიყურა, თვალები დაიბრმავა და ამისათვის არასოდეს არ გაფოფრილა, ისე როგორც სამსონი, რომელმაც იცოდა მისი მებუღლისა და მისი ძმის არჩილის ურთიერთობა, არჩილის სიკვდილის შემდეგ მოურავ გუტატისთან დაახლოება ნექტარინასი, მაგრამ არც ამას გამოუღვია თავი ამ ამბების გამო.

ასეთი იღუმალი შეთანხმებით და მშვიდად ცხოვრობდა ამ საუცხოო „დობორე“-ში ეს ორი წყვილი ადამიანი.

ხასიათით კი ძილხანი, თუმცა და იყო, მინც არა ჰგავდა ნექტარინას. შეიძლება გარეგნული იერით ზოგჯერ მოჰგავდა მას. ზოგჯერ ბატონკაცური თავის დაქერა ამანაც იცოდა, მაგრამ ხასიათით ბევრად უფრო კეთილი იყო და მეტი თანაზიარი ადამიანებთან. ზოგჯერ, ნექტარინას მალულად, სოფლის გაჭირვებულ „ჭერივ-ოხრებს“ ეწეოდა კიდევ, მაგრამ ამითი ნექტარინას დოვლათს კი არ ანიავებდა, არამედ თავდაპირვით და ზომიერად მოქმედებდა. შეყვარებულების ზომ უზომო მფარველი იყო და აშკარად არ მაჰანჯლობდა, მაგრამ ისე საერთოდ ხელსაც კი უწყობდა ზოგიერთების „უკანონო“ სქესობრივ კავშირს.

აი ახლაც: თავის ოთახში რომ შევიდა, ნახა რომ დესი ბეგის წულებს უკვე ათავებდა. გაიღიმა, ახლო მივიდა და აღერსით ხელი გადაუსვა.

— ჰა, ჰა! ძალიან მოგისწრია... ბატონიშვილი კარგ მადლობას გადაგიხდის... მხოლოდ... — აქ ცოტა ჩაიქირქია, — არ შეგვიცდინო კი!

— უი, რას ამბობ, ბეჩა-ძილხანი! რომელი შემცდენელი მე ვარ...

— ჰო, ვიცი, ვიცი: „ერთი საწყალი, ქვრივი ქალი“. მე მირჩევია: შენი „ბუძღამი“ (აშშორებული) გუტატის, ბატონიშვილი ბეგი გერჩიოს... ვერ ხე-

დავ, რა ვაქაცია! მერე კიდევ, ძილხანო, ზომ იცი, როგორ დაგასაჩუქრებს... ზომ იცი, რომ ამ ნააღდგომეცსეკლიან ბევრ ფულს აიღებს... შენსლინიქიქი

გულწრფელი იყო ასეთი რჩევა ძილხანისაგან. გუტატი არ უყვარდა, უთუოდ უფრო იმიტომ, რომ გუტატი თავის სატრფიალო საქმეებს ძილხანის გარეშე აკეთებდა ირგვლივ სოფლებში, დესიც უძილხანოდ ჰყავდა გუტატის მობოებული და ამას გარდა, ძილხანს უნდოდა გუტატი მარტო ნექტარინასთვის შეენარჩუნებინა. ახლა, რაკი იყნოსა, რომ ბეგი და დესი შეიძლება დაახლოვდნენო, ამას ჩასვიდა ხელი. ჩასვიდა მისთვის — დესი ჩამოეშორებინა გუტატისათვის.

დესის კი გულში უკვირდა: ძილხანი როგორ მიმიხვდა გულის ნადებს... როცა მას ამას წინათ გუტატიმ წულა ჩამოართვა და უსიტყვოდ გაშორდა, დესიმ თვალი გააყოლა და გულში კი დასცინა:

— წადი, თორემ, შენმა მზემ, შენზე უკეთესს ვერ ვიშოვნიო!

თან ოცნება გაულალდა: ბეგი ფერისედაც შეძლებულია, ახლო მომავალში დიდძალს ფულს აიღებს და, ვიცი, არ შემირთავს, მაგრამ ისე კი გამაყვებოსო. ჩემი მახლობლად მინც საქვრივოსაც არ მაძლევენ და ბეგემ კი შეიძლება აქ, ბერთემში, მის მახლობლად ერთი ნაკვეთი სამოსახლოც მომცეს და ერთი ორი თვალი უბრალო სახლიც დამიდგასო. მხოლოდ ჩემს სიმარჯვეზეა ყველაფერი ეს დამოკიდებულიო.

და თანდათან უფრო უფართოვდებოდა მისი ოცნების კიდე-განი. თან უკვირდა — ეს ძილხანი კუდიანია, თუ რა არის, როგორ მიუხვდა ჩემს საწადელსო. მაგრამ არაფერი არ უთხრა ძილხანს. მარტო ეს წარმოთქვა მოსაწყვლებულად:

— დია, რას მეუბნები! სად მე და სად ბეგი ბატონიშვილი!

— იმ, შე მაზაკვადო, შენ! განა არ იცი, ყველა მამაკაცი წუწკია და შენ?.. თუ მარჯვედ იქნები, ბეგი როგორ არ დახარბდება შენს მშვენიერ სხეულს.

ამაზე დესის თვალბეჭეში მზაკვრულმა ნაპწკიალმა გაუელვა, თითქოს ეთანხმება ძილხანს და თითქოს თავისთავის დიდი იმედი აქვსო, თან მომავლის იმედები ბეგისაგან მონიჭებულ „გაკეთებისა“ თავში უფუსფუსებდა. ენაც ამოიღვა, უფრო გულღიათ დაუწყო ლაპარაკი ძილხანს.

და ორივენი ჩაებნენ საკიკ-მაკიკო საუბარში.

ბეგიმ კი ილაშქრე მიაღწია თავის საწადელს და თავისი ქადილი დესის მიმართ შეისრულა.

კ

სასახლეში უკვე მინელებული იყო ფაციფუცი. ყველა ოთახი თავის მორთულობით გაწმენდილი და გაპრიალებული იყო, დიდი დარბაზი ხომ ბარონესას თავის სალაფარდოებით მართლა დაემშვენებინა. ჩითები პირდაპირ კედელზე კი არ იყო მიკრული შპალერივით, არამედ ფარდებივით იყო ჩამოფარებული და უფრო, როგორც თვითონ თქვა, კარავს მოგაგონებდათ, რომელსაც ძალიან უხდებოდა ფანჯრებისა და კარების სათავეებზე მაისის ვარდით გამონასკული ქსოვილის ყვავილები. შუაგულ კერზე ხომ კოხტად იყო კიდევ ერთი დიდი ვარდი გადაშლილი, საიდანაც პაწია ჯაჭვებზე ქვევით ეშვებოდა დიდი ლამპა „მოლნია“ წოდებული. დარბაზში ამკამად მხოლოდ ბარონესა იყო და აქა-იქ ასწორებდა ნოტებს და გამოფუყულ ადგილებს.

ახალგაზრდობა, ეტყობა, ისვენებდა, ბეგიც არსად ჩანდა, მოსამსახურეებიც სასახლიდან გალაგებულიყვნენ, მხოლოდ ორ გოგოს ნექტარინას ოთახიდან გამოქონდა ნაბანი წყლით სავე ერთი

კარგა მოზრდილი ქვაბი, დიდი ზის გობი და სხვადასხვა ზომის ტაშტები და ავანდასტები.

გზაში მათ გუტატი შეეფუტნენ კითხვა:

— ქალბატონი ისვენებს?

— არა ჯერ. ეშხადება. — და გასწიეს კიბისაკენ, მაგრამ გუტატისკენ ერთი მინუტ მოიხედეს და რალაც ჩაიფრუტუნეს.

გუტატიმ თვალი გააყოლა გოგოებს და, სანამ ისინი არ მიეფარნენ, მანამდე არ დაძრულა. მხოლოდ შემდეგ, თითქოს ვინციკობისათვის, ერთი იქით-აქეთ გაიხედა და ბოლოს ფეხაკრებით ნექტარინას ოთახში შეიპარა.

ნექტარინამ მაშინვე მიაძახა:

— არ შემოხვიდე, არ შემოხვიდე, შე ურჯულო!

მაგრამ გვიან-ლა იყო. გუტატის ახლა მთელი ლაშქარი ვერ გამოაგდებდა ამ ოთახიდან.

ნექტარინა სრულიად შიშველი იყო და მისი გრძელი წითელი თმები, რომლებიც ამკამადავ კი კოჭებამდე სცემდა, მთელს სხეულზე ჩამოშლოდა.

— რა ხარ, ბატონო, შენი ჭირიმე?! — კინაღამ შებღავლა გუტატიმ. მაგრამ თავი შეიკავა, მხოლოდ გულამოსკენით კი წარმოთქვა ეს სიტყვები.

ნექტარინა შეეცადა, ტანის გასამშრალებელი ზეწარი აეფარებინა, მაგრამ გუტატი სწვდა ზეწარს და არ დაანება.

— ასე იყავ, შენი ჭირიმე, ასე! უკეთეს სანახავს რას ნახავს კაცი! — აღტყინებით ჩურჩულებდა გუტატი. — ზღვის სირინოზი ხარ, ტყის ფერია, თუ რა!.. გავგიყდები ნამდვილად...

— ჰოდა, კარები ჩაეკტი, შე გიფო, შენ!

გუტატი წავიდა კარების დასაკეტად. ნექტარინამ თავი გაიქნია და უკვე საკამოდ გამშრალებული თმები კიდევ უფრო გაიშალა სხეულზე, თან ხელი-

თაც იქა-აქ გაისწორა, რომ შიშველა
•დგილები დაეფარა.

გუტატი რომ მობრუნდა, წითელ ნა-
ზალში გახვეული დახვდა ნექტარინა.

ამ ნაბიდან მხოლოდ მისი ნატიფი
და მედიდური სახე-პირი მოჩანდა. თვა-
ლებზე კი, თვალები აღსავსე იყო უც-
ნაური სიხარბით და ვაჟკაცს თავისკენ
გზიდებოდა.

ვაჟკაცი დაეარდა მუხლებზე და თმის
წვეროებს ეამბოხრა.

— არა, შენ სულ სხვა ხარ, მართლა
ქალბატონო! — გმინავდა გუტატი, —
არავის ემსგავსები!.. ღვთის მშობელი
არა ხარ, ცხადია, ეს ნუ გეწყინება,
მაგრამ ისე კი დედოფალი ხარ „უზეშ-
თაისი“...

ეს გადაპრეზილი სიტყვა გვირგვი-
ლიანების ოჯახში ჰქონდა გაგონილი
და ეამა, რომ კარგ დროზე გაახსენდა.

სხვა სიტყვა კი აღარ წარმოუთქვამს,
რადგანაც ამჟამად თმებს კი არ ჰყოფ-
და ამბორს, არამედ ფეხებს პირდაპირ
უკოცნიდა.

— კარგია, გეყოფა, შე მაედურო! —
გაისმა მინაზებული და მორთოლვარე
ხმა ნექტარინასი. თან ყურზე ხელი წა-
იფლო გუტატის და თავისკენ მალლა
აზიდა. გუტატიც გაიმართა და ანაზლად
ქალს მკლავები მოხვია. ნექტარინამ
პირისახე აარიდა და თითქოს ყურში
ჩასჩურჩულა:

— ჰაიტ, შე წუწყო, შენ! წითელ პა-
რასკევეს გაგიგონია ამისთანები?

გუტატიმ კარგად იცოდა, ვისი გამო-
გონილიც იყო ეს წითელი პარასკევის
პეგმანი, მაგრამ ვერაფერი თქვა — ვნე-
ბამორეულს ლაპარაკის თავიც აღარ
ჰქონდა.

ნექტარინას კი უხაროდა, რომ თავის
მზაკერობას სხვას აბრალებდა: ვითომ
თვითონ არაფერ შუაშია, სხვამ ჩაით-
რია დანაშაულშიო. ამიტომაც ამბობდა:

— არ ცხონდები, გუტატი, ამ წი-
თელ პარასკევეს ჩემი შეცდენისათვის...

პირდაპირ ჯოჯოხეთში ამოჰყოფ თავს!

— ჯანდაბას ჩემი თავი! — ეს ძლივს
მოახერხა უკვე ენაჩავარდნილმა გუტა-
ტიმ და ციმციმ აიყვანა დიდი ქალბა-
ტონი და ლოგინისკენ გასწია.

თენდებოდა, როდესაც ლოგინზე ნე-
ბიერად გაწოლილი კნენია აღერსით
ეთხოვებოდა თავის მოურავს.

კბ

— შენ შემოგველე! — უთხრა იოსეს
ქერიემა რუსუნდიამ თავის პაწია ვაჟს.
სქვამიას, როდესაც დიდ შაბათს დი-
ლით პირი დაიბანა და თმა დაუვარცხ-
ნა.

მეორე ოთახიდან მოისმა ვამეხის
ხმა:

— ბავშვს ნუ ანებიერებ, რუსუნ-
დია!

— აბა რა ვქნა მე უბედურმა, ამის
მეტე არავეინა მყავს...

ვამეხი დილის ხალათში თავის ოთა-
ხის კარებს მოადგა.

— ანდაზა არსებობს, ჩემო რუსუნ-
დია: „შეილი მტრულად გაზარდე, მოყ-
ვრად გამოგადგებო“...

საუბარი მეგრულად იყო და ბავშვს
მოსაუბრეთა სიტყვები თუმცა ესმოდა,
მის აზრში მიინც ვერ ერკვეოდა, მაგ-
რამ თითქოს იგრძნო, რომ ვამეხი მის
სასარგებლოდ არაფერს ამბობდა, და
თავჩალუნულმა ვამეხს თითქოს შეუბ-
ღვირა.

ვამეხი განაგრძობდა:

— არა, მტრულად აღზრდა ნამეტა-
ნია, მაგრამ ზომიერება კი საჭიროა
ბავშვის მიმართ: არც ნამეტანი მოფე-
რება, არც ნამეტანი წყრომა...

აქ ვამეხმა შეამჩნია, რომ ბავშვი გ-
ბუტული იყო, ვერ მოითმინა და
ბავშვს თავზე აღერსით ხელი გადაუს-
ვა. იოსეს ობოლი მასაც უყვარდა და
არ უნდოდა, რომ ბავშვს გული დასჩა-
გროდა ამისათვის შევიდა ოთახში და

სქვამაის ერთი მომცრო, კვერცხივით გამოყვანილი, მწვანე ფერის ბროლი გამოუტანა. თვალის წინ დაუტრიალა და სინათლეზე ათასნაირად აბრჭყვიალდა ბროლის გარედან ნაქდევით ოთხკუთხედები. შემდეგ თვალთან მიუტანა და შიგ გაახედა.

სქვამაიას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

— მხოლოდ, — დაარიგა სქვამაია ვამეხმა, — ამალამ ეკლესიაში ეს კვერცხი არ წაიღო სხვა ბიჭების კვერცხების სამტერევედ, ეს მათი მოტყუება იქნება. მოტყუება კი საკადრისი არ არის. მერმე კიდევ რომ შეგამჩნევენ, რომ ხელში სხვა რაღაც გიჭირავს, არავინ დაგირტყამს ნამდვილ კვერცხს. დედა მოგცემს ჩვეულებრივ კვერცხებს. ეგერ ხომ ხედავ, რამდენია... — და ბავშვი აახედა კედლის მალალ თაროზე, სადაც კარგა ფართო და ღრმა ჯამში ელაგა წითლად შეღებილი კვერცხები.

სქვამაიამ იცოდა ამ კვერცხების არსებობა, — გუშინ, პარასკევს საღამოთი არ შეღებეს? — მაგრამ მაინც სიამოვნებით გაიხედა თაროსკენ. მხოლოდ გააკვირვა კედელზე ჩამოიდებულმა გატყავებულმა ბატკანმა, გაპუტულმა ინდაურმა, ჯაგარგაცლილმა „გაპუტუნებულმა“ გოქმა. ესენი გუშინ აქ არ ეკიდა. საიდან გაჩნდა? სქვამაიამ არ იცოდა, რომ ეს ყველაფერა და კიდევ სხვა რამეებიც, რომლებიც გარეთ არა ჩანდა და ვანჯინაში ინახებოდა, სულ ვამეხის თაოსნობით იყო იოსებს ოჯანში სააღდგომოდ დაგროვილი. საერთოდ სქვამაიამ არ იცოდა, თუ საიდან ჩნდებოდა საქმელ-სასმელი, მართალია, ხან ბევრი, როგორც დღეს, ხან ნაკლები, მაგრამ მათი ასეველ-დასაეალისა მაინც არა გაეგებოდა-რა. მისი ფიქრით, ეს ასეც უნდა ყოფილიყო: საქმელ-სასმელი მუდამ უნდა ყოფილიყო. სქვამაია ხომ ჯერ კიდევ ბავშვი იყო.

სქვამაიამ, აგრეთვე, არ იცოდა, რომ მისი მეზობელი გლეხების სახლშიაც ყველგან იყო სამზადისი, რადგან სააღდგომოდ, რაგინდ გაჭირვებულაც უნდა ყოფილიყო, ოჯახი უთუოდ რასმე შემატებულს დაიმზადებდა სააღდგომისაწაულოდ. მოსახლეობისათვის აღდგომა სხვა ყველა დღესასწაულზე უფრო დიდად იყო მიჩნეული.

ეს არაფერი არ იცოდა სქვამაიამ.

არც ის, რომ მათ ახლო მეზობელ გუდუია ზუზუნაიას ერთი დაკლული „ქაცარი“ (თხა) ხეზე ჩამოეკიდა და ბასრი დანით დიდის დაკვირვებით ატყავებდა, რომ არც ტყავი გაეჭრა ნაუცბათევად და არც ზორცი თუ ქონი გაეტანებინა ტყავისათვის. გუდუიას აღესის (იზაბელას) ღვინოც საკმაოდ ჰქონდა მომარაგებული, ნადული და „გადაუბრუნებელი“ და თავისებურად ეგეც „გახაზირებული“ იყო აღდგომისათვის.

მხოლოდ ასე არ იყო მიქესას. იქ ამჟამად მიქეს დედა ლეძამამეს დუქანში ნაყიდი ღორის თავს ხარშავდა, ათიოდე შეღებილი კვერცხიც ჰქონდა შეწყობილი უბრალოდ გაჩლოგნილ განჯინაში და ერთი კარგა მოზრდილი ბოთლი არაყიც, — ერთი „მანერკა“ — იქვე ჰქონდა ობლად მიყუდებული.

ყველაფერს ამის რცხვენოდა მიქეს დედას, მაგრამ სიღარიბეს რა ეთქმოდა!

სანუგეგოდ კი ის ჰქონდა, რომ მეზობლის მეოხებით შეილები შემოსილი ეყოლებოდა ამ სააღდგომოდ და თვითონაც ყვითელ ხამს გამოიცვლიდა და „წესიერ“ შავ სამგლოვიარო კაბას ჩაცვამდა.

აგერ მისი ჩელა!

— ენაცვაალე! ჩემი კაბაც ჯერ კიდევ გუშინ მოათავა, თავისი ზედაწელიც თალხი, მაგრამ მაინც უცნაური ყვავილებიანიც შეიკერა. ახლა, მიქეს საახალღესეს კერავს. რა მარდი ხელი

აქვს და რა გამჭირიახი; ამაღამ წირვის-სათვის უთუოდ მოუსწრებს მიქეს.

ამ ფიქრებში რომ იყო მიქეს დედა, ვიღამაც კიშკარში შემოიძახა:

— ეი, მიქე... მიქე კითხანა, გამოდი გარეთ...

მიქეს დედამ გარეთ ვაიხედა და იცნო, რომ ბანძლი იყო. არ ეაშა მისი დანახვა — სასიკეთოდ არ იქნება მოსულიო, მაგრამ მაინც გაეგება. ძახილზე ჩელამაც გამოიხედა, მაგრამ ბანძლი რომ დაინახა, ისევე თავის საქნარს მიუბრუნდა.

ბანძლი კი უკვე წყრებოდა:

— სად არის ის ბიჭი, სად იკარგება? ბიძა მის კითხანასთან მუშაობს ზომ აგურქარხანაში?

— სად მუშაობს, შენი ჰირი შემეყაროს. — მოკრძალებით იძლეოდა პასუხს მიქეს დედა. — განა არ იცი, — ბიჭინას აგურხანა ამ ზამთარში სულ არ მუშაობდა...

— ეგ არ ვიცი მე! ჩემს ფულს გადახდა უნდა, თუ არა... ბევრი მაინც იყოს, რაღაცა შეიდი თუმანია... მაგითი არ დამარზე შენი ქმარი?..

მიქეს დედა მორჩილებით თავს უქნედა ბანძლის, რადგან აღებულ ფულს მისგან უარი როგორ ეკადრებოდა.

ბანძლი უფრო და უფრო რიხიანობდა:

— როგორ დავიჯერო, რომ აქამდე მიქეს ჩემი ვალის გადასახდელი არ მოეკვირებინოს... იქ გექნება, იქ სადმე, ზანდუკში, ჰინჭში გამოხვეული, ეშმაკი ქალი ხარ... კარგად ვიცი შე...

— მიქე არ მომიკვდეს, ჩემი ორი შვილის სიცოცხლეს ვფიცავ, რომ ჩვენს ბარობაზე ერთი რაღაცა სამი მანეთის მეტი არ მოიპოება...

— ჰოდა, ის სამი მანეთი მომეცი აქ. სარგებელში წავიღებ... რამდენი ხანია, თქვენგან სარგებელიც არ წამიღია...

— დიდულე, იმ სამ მანეთს როგორ მოგცემ, ფოშტის ფულად ვინახავ!..

— ჰოდა, მე რომ აქამდე სარგებელიც არ ამიღია?

ამ სიტყვებზე კიშკართან სოფლის საპატრო გლახმა ობიშნიამ ჩამოიარა, შეჩერდა და ბანძლის ასე მიმართა:

— ქვეყანა გაგიძარცვავს და ახლა ამ ქერიე-ოხერს მოადეკი, შე გაუშაძლარო?

ბანძლი გაბრაზდა:

— ყაზახო! ზრდილობა დაგავიწყდა? ეგერ გამარჯობა უნდა თქვა და მერე ჩაერიო ლაპარაკში, ან ვინ გეკითხება შენ ჩემს საქმეს?

— ვინ გეკითხება და აგერ, ვერ ვხედავ? ეს თხა რომ წამოგვიბროწილებია, ეს ლამაზი ფარდაგიც რომ მოჯამადირისთვის იღლიაში ამოგირია, და ქათმებიც რომ აგიღლეტია ხალხისათვის...

— აბა როგორ გნებავს, ეს სულ ჩემი ოფლით მონაგარი ფულების სარგებელია... როგორ, მე აღდგომა არ უნდა გავითენო?

— შენ კი გინდა გაითენო, მაგრამ ვისაც წაართვი, იმათ არ უნდათ აღდგომის გათენება, შე ქვეყნის ცოდვით სავსე?

— ბიჭოს! რა ახირებული კაცი ხარ, ობიშნია! ჩემი ოფლია იმ ფულებში ჩაღვრილი და ახლა თავნში სარგებელიც არ უნდა ავიღოთ?

— ვიცი, რა ოფლიც გაქვს ჩაღვრილი!.. ისიც ვიცი, ეს თხა ვისია: უშაფათიდან არის საწყალი წირღვავესია... ეს ფარდაგი კი სოფელ გურძემიდან უნდა იყოს, რაღაცა მენიშნება... ქათმები? ქათმები ვინ იცის, რა გაქირებულ ქერივსა და ოხერს წაართვი ამ სააღდგომოდ შენს ვალსა და ვახშში...

— ენა ნუ წაივრძელე, ყაძახო! მე აქ საქმე ამ ოჯახთან მაქვს და შენ კი ხელს მიშლი...

— ვაი, არ შემიძლია, თვარა, ხელს შეგიშლი კი არა, მეტსაც გიზამ... წურ-

ბელა ხარ, წურბელა, მთელი ამ არემა-რეს სისხლს სწოვ...

— დამეკარგე იქით, შე კუბაქო!.. — ცხენიდან ჩამოხტა, აღვირი ჭიშკარის სარზე ჩამოკიდა და თვითონ „ოლა-გით“¹ ეზოში ჩავიდა. დატვირთულ ბიჭს კი დაუბარა — აქ დამიყადეო, და მიქეს სახლისკენ გასწია შეუპატივებლად.

ობიშხიაც გადმოყვა ოლაგვს.

— ახლა რა გინდა, ამით რომ წაართვა? რა აბადიათ საწყლებს?

— ის შე ვიცი... შენ რას მომდეგ? შენ გართმევ რამეს თუ?

— არ მინდა, რომ საზიზღარი რამ ჩაიდინო... მებრალებიან საცოდავები...

— შე კი არ მებრალებიან თუ! მეცოლებიან და იმიტომ არი, რომ აქამდე სარგებელი არ გამოვართვი... თორემ გაგოგონია, რომ ბანძლის თავზე სარგებელი არ აეღოს?.. მე ამათი მოკეთე ვარ, ღმერთმა ხომ იცის!

— აი, ისე ღმერთი შენ გიშველის!

— ისე ღმერთმა გამახაროს მე! შემებრადა და იმიტომ იყო, რომ ამ ქერივის ქმრის დასამარხი ფული ვასესხე...

ამ ლაპარაკით მიადგნენ კიდეც სახლს, მაგრამ მთავარ ოთახში კი არ შევიდა ბანძლი, არამედ ერთ პაწია მოღვმულ ფიცრულში, სადაც კერაზე ცეცხლი ენთო და ზედ „ნაჭა“-ზე² ჩამოკიდებულ პატარა კარდალით ღორის თავი იხარშებოდა.

— რა არის ეს? — ჰკითხა ბანძლიმ და, როდესაც იცნო ღორის თავი, ერთი უხეიროდ გაიცინა: — უი, თქვენ დაიღუპეთ, თქვენ... ხვალ ევლოგიისათვის ამის მეტი არაფერი არა გაქვთ?

მიქეს დედამ სირცხვილისაგან არ იცოდა, რა ექნა, თითქოს მისი ბრალი

იყო, რომ მეტი არა ჰქონდა-რა. რცხვენოდა უფრო იმიტომ, რომ აღდგომას ღორის ხორცის ქონება მეტისმეტად „ყელგადაგდებული“ გლეხის¹ ხვედრი იყო.

— აბა რა გეგონა, ბანძლი! შენსავით წართმეულით და სხვისი ანაღლეტით ექნებოდა ევლოგია გაწყობილი — შენიშნა ობიშხიამ.

მაგრამ ბანძლის მისთვის ყური არ უგღია, რადგან დიდ ოთახში შესულმა მოსაქნარე ჩელა დაინახა და ერთხანს შეაჩერდა. შემდეგ ტახტზე ჩამოჯდა და მიქეს დედას მიმართა:

— აბა ახლა რითი მისტუმრებ? ჩემსას არ შეგარჩენ, დცოდე...

მიქეს დედა თავჩაღუნული იდგა. ჩელა თავის სამუშაოს არ მოშორებია, ობიშხიაც ამხელად მდუმარებდა.

სინთუმ ისევ ბანძლიმ დაარღვია:

— გახსენი ეგ შენი ზანდუკო, მაჩვენე, რა გიწყვია შიგ?

— რა მიწყვია მე უბედურს! ეკონ-მოკონი¹ რალაცა...

— გახსენი-მეთქი. — კედელზე შალის ჩოხა და ყაბალახი დაინახა — ეს ვისია? მიქესი ხომ? აი მაგას წავიღებ...

ჩელამ ახლა კი თავი აიღო საქნარიდან.

— უიმე, ღმერთო მომკალი! მაგას როგორ დაგანებებ... მაგის მეტი რა აბადია საწყალ მიქეს, — შეიცხადა დედამ.

— კარგი ახლა მხეცი კი ნუ გაბღუბი — მიადახა ობიშხიმ, — არც გაქვს კანონით მაგის უფლება... ამდენი ჩვენც გვესმის... უკანასკნელი ქვეშაგებისა და ერთი ხელი ტანისამოსის წაღების უფლება არა გაქვს...

ბანძლიმ უხეიროდ გაიღიმა.

— ოო, ქვეშაგები! ეს კარგად გამახსენე, ობიშხია! რაა, ამდენი ბალიშები რომ გიწყვია? მშვენიერი ბუმბულიც გქონია...

¹ ოლიგე — ლოზეზე გადასამოჯებული ადგილი, პატარა ჭიშკრის მავიერ.

² ნაჭა — კერიის ცეცხლზე ზევიდან ჩამოშვებული წერილი ჯაჭვი კვანძის ჩამოსაკიდებლად.

¹ ეკონმოკონი — ხარახურა.

— უი!—თითქოს შეჰკივლა მიქეს დედამ და კედლის კუთხეში ტახტზე აკოკოლავებულ ქვეშაგებს თითქოს გადაეთვარა.

— მაშ კარგი! გახსენი ზანდუცი!

— რა დაგეშართა, ბანძლი, რა? ობისკს უშვები ამ ხალხს თუ რა... — წარმოსთქვა ობიშხიამ.

— აბა როგორ გნებავს! რომ შოინდომო მთელს სახლს ავეუწერ და ამ ქოხსაც თავისი ყველაფრით ტორგში გაუყვიდი... რა გგონიათ თქვენ! გახსენი-მეთქი ზანდუცი!

მიქეს დედა ზღაზვნით მივიდა ზანდუციდან და, ის იყო უნდა გაეღო, რომ ჩელა წამოიშართა, თითქოს რაღაცის სათქმელად, და ამ დროს საკერავი იატაკზე დაუვარდა.

ბანძლიმ ხელი დააეღო საკერავს.

— ეს რა არის? რა მშვენიერი საახალუხეა, შეგიკერავს კიდეც, გოგონი! შენ შეხედე, რა კარგი მოხელე ყოფილა... აი ამ ახალუხს კი წაიღებ, ჩემს მოჯამაგირეს გაეისტუმრებ ამითი... — და უნდოდა თავისკენ გადაედო ჩელას ნახელავი, მაგრამ ჩელა უეცრად დასწვდა ახალუხს, ხელიდან გამოგლიჯა ბანძლის და შეჰკივრა:

— არა!

— არ მანებებ?—ცოტა უფრო ღმობიერად მიმართა ბანძლიმ, თან მუშტრის თვალით აათვალიერ-ჩაათვალიერა: — როგორ გაზრდილხარ, გოგო? რა დამშვენებულხარ!

წამოდგა. ჩოხა გაისწორა და შემდეგ გამოაცხადა:

— კარგი. მართლა საცოდავები ყოცილხართ, არაფერი გავაჩნიათ და მეც დღეს არაფერს არ წაიღებ აქედან. შებრალებით. მხოლოდ, იცოდეთ, ამ აღდგომას დაგაცლით და ნახალკვირებს კი თუ ვალი არ გაგისტუმრებიათ, ამ გოგოს წავიყვან ხელზე მოსამსახურედ...

— არა! — კვლავ შეჰკივრა ჩელამ, მაგრამ ბანძლის მისთვის ყური არ დაუგდია ისე გასწია კიშკრისაკენ. — თან გულში ანგარიშობდა: „წელიწადში სამ თუმან ნახევარს მივეცემ, კარგი ჯამაგირია გოგოსთვის. ორი წელიწადი შემსახურება და ქვით მაგათი დავალიანება... აღარც პროცენტი მინდა და აღარც არაფერი... მარჯვე გოგოს კი ჰგავს“...

მხიარული შეეკა ცხენზე, — მოსწონდა მისი გადაწყვეტილება.

ობიშხია კი თავს იქნევდა გულმოსული, მხოლოდ ეს ერთი კი წამოცდა:

— მართალი ყოფილა: ავი კაცი აღდგომასაც ავიო!

ობიშხია გამოვიდა მიქეს ეზოდან და შუკაში რამდენიმე ცხენოსანს კი შეეფეთა. მეგრული ჩვეულებისამებრ ყაბალახი მოიხადა და დაბლა თავი დაუკრა ცხენოსნებს. პირადად ვერც ერთს ვერ იცნობდა, არც მისი ნაბატონარები იყვნენ, რომ მათ წინ ქედი მოეხარა, მაგრამ შეხვედრილ მგზავრთან თუ მგზავრებთან თავის დაკვრა სავალდებულოდ მიაჩნდა. მან მხოლოდ თავი დაუკრა, მაგრამ გამარჯობა არ უთქვამს, რადგან ასეთ შემთხვევაში თავის რეპლიკად საპასუხო „გაგიმარჯოსო“ მიაჩნდა. მგზავრებს ყურადღებაც არ მიუქცევიათ და არც გამარჯობა უთქვამთ.

შეიცნო კი ვინც იყვნენ: სულ „რუსულად“ გამოწყობილი ხალხი და მათ შორის ერთი ჩოხოსანი, ლევარსი კვიზინია. ობიშხია მიხვდა, რომ ეს ის უცხოელები იყვნენ, გვირგვილიანებს შთაში ტყეს რომ ევაპრებოდნენ.

გაუკვირდა. ავი წაიღნენ, რაღაზე დაბრუნებულანო, ამის პასუხი უნდოდა გაეგო, და აკი, მისდა ბედად, ასაბიის ერთ-ერთ ჩამორჩენილ მხლებელს წააწყდა.

— რა იყო, ნიკოლოზა... გამარჯობა შენი!

— გაგიმარჯოს!

— ცხენი დაგივარდა? ძლევს ადგამს ფეხებს... —

— უი, დასწყევლის ღმერთი... რაც მე კლდესა და ღრეში მამბროდილაღეს!.. კი, ჭირას მაძლევენ, მაგრამ რად გინდა? პირდაპირ დამიდგა ცხენი...

— და მხლებელის ცხენი მართლაც სულ დადგა. ობიშხიასთან შესვენება, ეტყობოდა, მისთვისაც საამური შეიქნა.

— ეგ რამდენი ბარგი, მოგაქვს... ამ ტვირთითაც მოგიკლავს ცხენი...

— არა, ობიშხია, არა... ეს ტვირთი მაინცდამაინც მძიმე არ არის. მიწის საზომი იარაღებია რაღაც.

— მერე და, რად უნდოდათ ამ უცხოელებს?

— კაცო, არ იცი, ჩვენს ფაღავეებში ვიყავით... მათი მამული უნდა დაგვეთვალე რებინა სოფ. ნახუნუუს... დასწყევლოს ღმერთმა რა საშინელი გზებია... ჩემი ცხენის გადამკიდე მაინც... სულ ოჩნობდა და სულ ვიკვიანებდი... რამდენი საყვედური მომხვდა. ერთი ეოლკოვი ახლავთ იმ უცხოელებს, საშინელი ფიცხი კაცია... იმას ევალებოდა ადგილების გაზომვაც და მადნეულობის გამოცნობაც. ერთხელ შემოსაქრავდაც კი გამოიწვია...

— შენ ეს მითხარი, გარიგდნენ ფაღავეები და ეგენი?

— როგორ არა. ამ ნაღმდგომევეს უნდა ჩაუთვალონ ფაღავეებს ფულება.

— კაი დაგემართოს, მაგრამ აქეთ რაღაზე დაბრუნდით?

— ბევრი პატყეს ფაღავეებმა, ახლა ბანძას წამობრძანდით და ეს დღესასწაულები ჩვენთან გაატარეთო, მაგრამ მაგათ დაიყინეს, უთუოდ უნდა წავიდეთ ბერთემს და გვირგვილიანების მენჯი-რობზე უნდა დავათვალე რო...

— მენჯი-რობზე? — შეიკვირვა ობიშხიამ და კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს წინა ცხენოსნებმა შო-

რიდან დაიყვირეს „ნიკოლოზა, უუ“ ნიკოლოზამაც უპასუხა: „უუ, მოვდივარო!“ და რის ვაი-ვაგლახრი წაჩინდრიკა თავისი ოჩანი.

ობიშხია კარგა ხანს იდგა ჩაფიქრებული და გულში სულ ამას იმეორებდა: „მენჯი-რობზე, ა?“

შემდეგ წელი ნაბიჯით გასწია შინასაკენ, მაგრამ ამაზე ფიქრი არ შეუწყვეტია:

— მერე და, მენჯი-რობზე გვირგვილიანებს რომ არ ეკუთვნის? ეგ ადგილი ხომ მუდამ ძამამიების და მონაშენი მალანიების იყო... საიდან სადაო? თუმცა არა, პო! ამ ბოლო ხანებში გვირგვილიანები ეპოტინებთან და კაცი მოდავე არაეინ ჰყავთ: არც ძამამიები იღებენ ხმას და არც მალანიები! დაილოცა ღმერთო შენი სამართალი, რა შეუძლია ძალას და გავლენას...

დაეშალა ძველი იარები ობიშხიას.

ის ერთ გონიერ გლეხად ითვლებოდა სოფ. ბერთეში და ჰკუის საკითხავ კაცად ეგულებოდათ მეზობლებს. იყო ბევრის მომსწრე და ბევრს მცოდნეც. იცოდა, რა უსამართლობაც იყო საუკუნეებით მოწყენილი გლეხების თავზე. იცოდა, რომ ამ უსამართლობას ჯერ უტუ მიქავა შეებრძოლა ჭირიანობის დროს სამეგრელოში და შემდეგ, აგერ ახლა... აგერ ახლა ჰქვია — 25 — 30 წლის წინათ... სოფ. საეგიჯეოში იფეთქა გლეხთა აჯანყებამ, მაგრამ რაა მერე? ორივე მოძრაობა გლეხების დამარცხებით გათავდა და უსამართლობამ იმატა, თუ არა არ მოიკლო...

ჰმ

ამ ფიქრებით მიადგა თავის სახლკარს და დაინახა, რომ მისი სახლის ლაფაროზე მიქე და მისი უფროსი ვაჟი თადა ახლადამოსულ მღელოზე დამჯდარიყვნენ და რაღაც გრძელ ქალოღზე ანაბეჭდ სიტყვებს კითხულობდნენ.

ორივე კაბუკი ისე იყო კითხვაში ვართულო, რომ არც კი გაუგიათ თუ ობიშხია როგორ წამოადგათ თავზე.

— მაგას რას კითხულობთ, თქვე-
აგზაკებო, თქვენი! — თითქოს ლმობიერ-
რად შეუტია ახალგაზრდებს ობიშხიამ.

ახალგაზრდები პირველხანად შეკრთ-
ნენ, მაგრამ ბოლოს სათნოდ შეპლიმი-
ლეს მოხუცებულს.

— რა არის-მეთქი, არ გესმით? გამა-
გებინეთ, რას კითხულობთ?

— რად გინდა, ბაბაია, — უპასუხა
თაღამ, — შენ ამას მაინც ვერ გაიგებ...

— დია! კაცის დაწერილია ხომ, კა-
ცის მოფიქრებული... როგორ ვერ გა-
ვიგებ...

— ეს თბილისური ამბავია, თბილი-
სელი მუშების... — ახლა მიქემ განუ-
მარტა.

— მერე და, ბიჭო, მე რა მუქთახო-
რა მნახე, მეც მუშა არა ვარ... მოხან-
დეს ტყუილა ხომ არ მეძახიან.

— შენ მოხანდე კი ხარ, ბაბა, მაგრამ
აქ ქალაქის მუშებზეა ლაპარაკი და
ისიც რკინიგზის მუშებზე.

— მერე და, რა ვუყოთ... თუ რამე
კარგია იმათზე დაწერილი, მათ ვაუკა-
ცობაზე, მათ ერთიმეორის გატანაზე,
ეს მეც გულს მომფხანს... წამიკითხეთ,
ბიჭებო!

— ობიშხია-ბატონო! — რათ გინდა?
სხვა არა იყოს-რა ეს ძველი ამბავია, ამ
რამდენიმე წლის წინათ არის მომხდა-
როი... თბილისის რკინიგზის მუშებს
შეეხება...

— ეე, მიქე, ვინ გგონივარ, ბიჭო მე?
შენ გგონია, ეგ ამბები არ ვიცი... უშა-
ფათში არ იყო, ამ რამდენიმე წლის წი-
ნათ რომ ჩამოვიდა ასლან ხურცია.. ის
ხომ თბილისში იყო რკინიგზის მუ-
შად... იმან არ გვიამბო, რომ მუშებმა
იბუნტეს თურმე...

— აა, ბაბა, ეგეც არ იცი: კი არ
იბუნტეს გაიფიცენ...

— ჰო, რაც გინდა დაარქვი, ერთი
დღე, ორი დღე, მთელი ერთი კვირა...
მთავრობას მოთხოვნილება წარუდგე-
ნეს, მაგრამ მთავრობამ თითქმის არა-
ფერი არ შეუსრულა და დამარცხდ-
ნენ...

— წავეუკითხოთ, თაღა, ეს ერთი აღ-
გილი, — და მიუთითა ერთ-ერთ პროკ-
ლამაციაზე მიქემ. თაღა დაეთანხმა.

— ამას ქვია, ამ ქალაღზე დაბეჭ-
დილს, პროკლამაცია, ბატონო ობიშხია,
ე. ი. ეს მოწოდებითი ფურცლებია,
რომელიც დრო-დრო იბეჭდება საი-
დუმლო გასავრცელებლად. — უსხნიდა
მიქე ობიშხიას. — ეს ძველი დაწერი-
ლია და თავის დროზე მუშებში გავრ-
ცელებული, მაგრამ ახლაც არის გამო-
მოსადეგი და ჩამაფიქრებელი...

— შენ წამიკითხე, კი ნუ მიქადა-
გებ, — ცოტა წყენით წარმოთქვა ობი-
შხიამ.

— ა-ბატონო! — და მიქემ წაუკითხა
შემდეგი: — „ასი ათასობით თვალი შე-
მოგყურებთ თქვენ დაძაბული ყურა-
დლებით“ — მუშებს ეუბნებიან ამას
ხელმძღვანელები, — ახსნა მიქემ და გა-
ნაგრობო: — „გაფაციცებით უყურებს
თქვენ განმათავისუფლებელ მოძრაო-
ბას. თქვენი ძალების სასწაულებრივი
ზრდა შიშს გვრის თქვენს მტრებს და
ბადებს მათ გულში თქვენდამი უნებ-
ლიე პატივისცემას“.

„თქვენი ვაუკაცობა და ერთსულოვ-
ნება აღაფრთოვანებს თქვენს მეგობ-
რებს და უკეთესი მომავლის იმედებს
უღვივებს მათ.“

„ტაქტიკა და დისციპლინა თქვენს
ბრძოლაში რომ ჩანს, შურს იწვევს
ძალმომარეობის თავყვანისმცემლებში,
რომელნიც იძულებული არიან თქვენს
წინააღმდეგ ამოწვდილი ხმალი ქარქა-
შში ჩააგონ... არ დაივიწყოთ, რომ
თქვენ მარტონი არა ხართ, თქვენს
ზურგს უკან იფარება ძალთა მილიონე-

ბი, რომელნიც მზად არიან გამოვიწოდონ თავიანთი რკინის ხელები“...¹

— უპ, შენი ჭირი შემეყაროს!.. — თითქოს უნებლიედ წამოცდა ობიშხიას. — მერე, მერე?

— მერე? — თვალეზიმიციმებულმა მიქემ გადახედა თავდას, თითქოს ამითი უთხრა, ხომ ხედავ ობიშხიასაც მოეუძებნე „გულს რომ მოფხანს“, ისეთი მისთვის გასაგები ადგილებით და ხელში გაზ. „ბრძოლის“ № 2-3 დაიჭირა. თან ობიშხიას მოკლედ ასე უთხრა, რომ ეს რევოლუციონერების საიდუმლო გაზეთიაო. ესეც დაურთო:

— აი შენ, წელან რომ თქვი, ობიშხია, მუშები დამარცხდნენო, აი ეს გაზეთი რასა წერს ამის გამო: „...მუშებმა მართლა დაყარეს იარაღი, თითქოს დამარცხდნენ... მაგრამ ეს დამარცხება ბევრ გამარჯვებას აღემატებოდა თავისი მნიშვნელობით და შედეგებით. ეს დამარცხება ერთნაირი გამარჯვება იყო დამარცხებულთათვის“...

ობიშხიას თვალეზიმიციმებულმა დაუფაროვდა:

— რაო, რაო?.. მოიცა, გენაცვალე. ასე ჩქარა ნუ კითხულობ... კარგად გამაგებინე, რას წერს ის კაცი... დამარცხება გამარჯვება იყოო?

— აი ყური დამივდე. აქ შემდეგში რა წერია: „ყოველ შემთხვევაში ეს დამარცხება მომასწავებელი იყო გამარჯვების მოახლოებისა. მართლაც და, ჯერ ბრძოლაში გამოუცდელ მუშათაგან მთელი ათი დღე სამკვდრო-სასიცოცხლო ომის ველზე მდგრად ღვომა და იქიდან თითქმის უვნებლად გამოსვლა აღარაფრად ჩამოუვარდებოდა ბრწყინვალე გამარჯვებას“, და სხვ.

ობიშხია, ეტყობოდა, სმენად იყო გადაქცეული. გაქვავებულივით იჯდა და

თვალეზიმიციმებულმა დაუფაროვდა: „...მუშებმა მართლა დაყარეს იარაღი, თითქოს დამარცხდნენ... მაგრამ ეს დამარცხება ბევრ გამარჯვებას აღემატებოდა თავისი მნიშვნელობით და შედეგებით. ეს დამარცხება ერთნაირი გამარჯვება იყო დამარცხებულთათვის“...“

მიქემ კვლავ დაიწყო:

— ეს ახლა სხვა პროკლამაციაა კიდევ იმ დროისა, ობიშხია, — და ხელში სხვა სიტყვიანა ფურცელი დაიჭირა. — ეს ცოტადნად შენც შეგეხება, ჩემო ბიძია — და აქ ცოტა მზაკერულად გადახედა. წაუკითხა: — „ზოგიერთი თქვენთაგანი თითქოს სულით დაეცა და მზად არის წარმოიდგინოს, რომ გაფიცვა წაგებულა“...

ობიშხიამ თვალეზიმიციმებულმა დაუფაროვდა:

— რას მიყურებთ ეგრე ჩამტერებით, თქვე ბაქიებო, თქვენ! შენც რომ ორჯერ წამიკითხე: „სულით, დაეცა სულით დაეცა!“ როგორ, მე თქვენ სულით დაცემული გგონივართ? ვაი ჩემი ცოდვა! მაგრამ შენ წამიკითხე, წამიკითხე კიდევ, კარგი რამე თუ არი...

მიქემ განაგრძო კითხვა:

— „ეს არ არის სწორი“. ე. ი. ვისაც ჰგონია, რომ საქმე წაგებულა. „გაფიცვამ ჩვენ ბევრი რამ გვასწავლა. ჩვენ აღესდგით ჩვენ მჩაგრულ უფლებობისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ და ამით დავანახეთ მთავრობას, რომ შეგვიძლიან გამოვიდეთ აშკარა ბრძოლაში, რომ ჩვენში იზრდება საკუთარ უფლებათა შეგნება“...

მერმე, განა ამით თავდება ყველაფერი? როგორ გგონია, ობიშხია? არა, ამითი არ თავდება ყველაფერი... ეს დასაწყისია ბრძოლისა, ეს მხოლოდ გაკეთილია იმისა, რომ ვისწავლო, თუ როგორ უნდა შემდგომი ბრძოლა. აი აქ კიდევ რა წერია: „ძალას ძალა უნდა დაუბირისპიროთ, ჩვენი ძალა კი ერთობაშია და ურთიერთ მხარის დაჭერაში“...

ობიშხიამ შეაწყვეტინა და გულის სიღრმიდან წარმოთქვა:

— აი მართალი, ეს მართალია!

მიქემ კი მოათავა კითხვა:

¹ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 31, საქმე 153, ფურც. 87.

— „ჩვენ უნდა დავირაზმოთ ორგანიზაციულად და ვაწარმოოთ შეუპოვარი ბრძოლა“...¹

— მართალია, მართალი! — თითქოს დაეინებით გაიმეორა ობიშხია და მოკლე „ქალა“. წვერებზე ხელი ჩამოასხვა. შემდეგ წარმოთქვა: — სხვა?

— სხვა? კიდევ გინდა? კარგი, ესეც წავეუციხოთ, თადა!

თადამ უხმოდ აიღო ვაზეთ „ბრძოლის“ № 1 და წაუკითხა ეს ადგილი:

— „თვითმპყრობელობის ფიზიკურა და ეკონომიური ძალა, შესაძლებელია ბევრს ეჩვენოს დაუძლეველად და რადგანაც იგი არ ერიდება არავითარ საზოგადოებრივ საშუალებებს ყოველგვარი პროტესტის ჩასაქრობათ, ბევრი ძალიან სექტიკურად, უნდობლად უყურებს მასთან ბრძოლის წაყოფიერებას. მაგრამ ფიქრი მასზე, რომ თვითმპყრობელობა უძლეველ ძალაა და ის დარჩება სამუდამო ბატონად... შეკლამა იქნებოდა. ეს ეწინააღმდეგება თვით რუსეთის ისტორიულ განვითარებას“. — აქ გაზეთი ჩამოიღო თადამ და მამამისს შეაჩერდა. შემდეგ შეეკითხა: — ახლავინ უნდა შეუტეოს, ბაბა, ამ ძლიერ მტერს. „ბრძოლაში“ წერია სხვა ადგილას, რომ ეს იქნება პროლეტარიატი, დაყრდნობილი სხვა დამხმარე ძალაზე, მთავრობის უკმაყოფილო ფენაზე, ის მიიტანს იერიშს და მაგარი კედელი რუს ხელმწიფისა საფუძვლიანად დაინგრევაო.

— აა, ეგ არა! — ახლაგაზრდასავით წამოიჭრა ფეხზე ობიშხია და უღვაშებში ჩაიციხა, — შენ მოერევი რუს ხელმწიფეს? თქვენისთანა ბაჭიები? კი ნუ მატყუებთ... მერე კიდევ პროლეტ... არიო, თუ როგორ არი, ის ძლევს თვითმპყრობელობასო! მარტო ისინი?

გლებობა კი დაგაეიწყადოთ, დალოცვლებო?

— აქ, ბაბა, — უკვე ^{გაგონებულა} ^{დალოცვლებო} თადამ. — დაზუსტებით ასე წერია... — წაუკითხა: — „სოციალ-დემოკრატია, დამყარებული იმ საზოგადოებრივ დანარჩენ ელემენტებზე“, გესმის, მამაჩემო, ე. ი. პროლეტარიატის გარდა „დანარჩენ ელემენტებზე, რომელთაც სპეციალურად აბსოლუტიზმი, დამყარებული მათ პირდაპირ. თუ გარეშე დახმარებაზე მიიტანს იერიშს“ და სხვა. მაშასადამე, ამ დანარჩენებში გლებობაც იგულისხმება...
 — არა, ბიძია, არა... ჰა, ჰა! ეს მე მაგონებს, ეკლესიაში ჩვენი თედორე მღვდელი რომ მოიხსენიებს რუსეთის იმპერატორს, როგორც მთელი რუსეთის თვითმპყრობელს, და შემდეგ იტყვის: მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლანდიისა... არ გაგვიკვირდეთ, სულ გაზეთიერებული მაქვს... და შემდეგ დაუმატებს „და სხვათა და სხვათა“. ერთხელ ვიკითხე, რა არის ეს „და სხვათა“ — მეთქი და ამიხსნეს, რომ ამ „და სხვათა“-ში ყოფილა მთელი საქართველო, მაშასადამე, საქართველოს ერთი კუთხეც — ჩვენი ოდიში. თქვენც „დანარჩენში“ მოგეჭყევიათ გლებობაც, და უნდა კარგა იცოდეთ, ბავშვებო, რომ გლებობა დიდი ძალაა, მხოლოდ ამ ძალას კარგი მოხმარება უნდა, კარგი ხელმძღვანელობა...
 — ეგ მართალია, ობიშხია, — ახლა მიქემ ამოიღო ხმა, — მაგრამ გლებობაც არის და გლებობაც. აი, მაგალითად, ჩვენში ბიჭინა ჭითანააც არის, მე რომ ბიძად მომხვდებო, აგურ-ხანა რომ აქვს, და ლევარსი კვიზინიაც, გუშინწინ ჩვენს სოფელში ბავშვი რომ მონათლა. ორივე გლებია, მაგრამ რევოლუციის ისინი არცერთი არ გამოადგება.

— მე ვაჭრებზე და... — მოიფიქრა, შემდეგ თქვა: — ჩინოვნიკებზე კი არ ვამბობ, ბიჭო, მაგრამ ახლა ეგ სულ

¹ მარტო. — ენგელს, — ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 33 საქმი II.



ერთია... აი მე თქვენ სულით დაცემული გგონივართ... არა, ბიჭებო, ღმერთმა ხომ იცის, მაგრამ მე იმდენი ვნახე, იმდენი განვიცადე, რომ... გული გამიტყდა, თორემ, თუ ეს ახალი თაობა იმდენს მოახერხებს, რომ გააერთიანებს და დარაზმავს მთელს ჩვენს სახელმწიფოში ქალაქისა და სოფლის მუშებს, უსამართლოდ დაჩაგრულსა და შევიწროვებულებს... ჰო, თუ რუსეთთან იქონიებს მჭიდრო კავშირს... მე ვიცი, რუსეთი დიდი და მძლავრი ქვეყანაა... ჰოდა, თუ რუსეთის მშრომელებთან ერთად იქნებით, მაშინ, მერწმუნეთ, თქვენი ბებერი ობიშხია დროშით ხელში წინ წაგიძლევათ...

— ჰა, ჰა, შენ გენაცვალე, მამაჩემო!

— ჩვენ, ობიშხია, ჯერ არა ვართ სრული წევრები, მაგრამ იმ პარტიას თანავუტარძნობთ და ვმუშაობთ მათთვის, რომლებიც რუსეთის მოწინავე მუშებთან არიან დაკავშირებული...

— ჰოდა, აგამენოთ! მხოლოდ, შეიძლება! დიდი სიფრთხილე გმართებთ... აი, რაა, რომ ასე ფართოდ გაგიშლიათ ეგ საიდუმლო ფურცლები, კიდევ კარგი, რომ მარტო მე მოგეპარეთ. სხვა ვინმე რომ წამოგადგეთ თავზე? როგორ იქნება? წაიკითხეთ და დაახეიეთ, სადმე ძალიან შეუქმნეველ ადგილას შეინახეთ ნურსადაც ნურაფერს ახალი თაობის შესახებ ნუ ლაპარაკობთ... აქ ჩვენსა და რა ბეალასთან თუ შეიძლება განდობა, თორემ სხვა არ ვიცი... ვამეხი და ტაია ჰო, მაგრამ რა ექნა! ჰა, ჰა! ამ კნიზების იმედი საერთოდ თავის დღეში არ მქონია... ცხადია, მამასახლისს და მის ავანჩავანებთან, რა ვინდა გული არ გადავიშალონ, შორს იქნებით, აგრეთვე, ნექტარინას „დობორე“-ს ხალხთან. იქ ათასი ვინმე ირევა, ვინ იცის, ვინ რა არის...

— იმ დობორეში, ობიშხია, შენს შეილს ერთი ვინმე თავს ურჩევდა, ლაპარაკში შეეკრა მიქე ობიშხიას...

ობიშხიამ შუბლი მოიღულა, იკითხა: — ვინ არის? — თადამაც ხელი ჩამოკრა მისთვის და გამამხილოო, მაგრამ მიქემ მაინც გასცა:

— დესი ხუბუას ქვრივი... — ეს მიქეს შეიძლება მიტომაც მოუვიდა, რომ როგორღაც არ მოსწონდა თადას გატაცება და მამამისს გაუხილა. მამის დიდი ხათრი აქვს თადას და შეიძლება ამან გასკრასო. მართლაც, ობიშხია მეტიმეტად გაგულისდა. პირდაპირ იყვირა:

— მეტი არ გავიგონო მისი სახელი!

— არა, ბაბა, ეგ თვითონ მიქეს მოსწონს და მე უნდა გადმომაბარალოს.

— სულ ერთია, ჩემს მტერს არ ეუსურეებ იმის ოჯახში შემოყვანას... აი ვინ არის, რომ სულ გააცემთ და გაგანადგურებთ. ჰო, რას ვამბობდი? ახლა იმ მედილიც გუსართან... ხომ იმათ მოგიტანათ ეს ფურცლები და იმას დააქვს თქვენთან ამბები... განა არ ვიცი.

— ის, მამაჩემო, ძალიან ერთგული კაცია ჩვენი საქმისა...

— რა ვიცი, შეიძლება აგრეც იყოს, მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკივია... აბა, ახლა კი აბარგდით თქვენი ბარგი-ბარხანით, ჩვენს ჭიშკარს ვიღაც უცნობები მოადგენ.

ბიჭებმა სასწრაფოდ აკრიფეს თავიანთი ლიტერატურა და სახლში შევიდნენ.

ობიშხია კი მომსვლელებს ცოტაზე შეეგება.

აღმოჩნდა, რომ ერთი მისი მეგობარი, თბილისში რკინიგზის მუშად ნამყოფი ზურცია იყო და მორარეც ზურციასთან თბილისში დამეგობრებული, პეტრე ბატიჩკო. ბატიჩკო ნახალდათარი იყო, მაგრამ ახლაც ეცვა ჯარისკაცის ფორმა. სამსახურის ვაგლი გასვლოდა და ახლა თავის მშობელ მხარეს მუშაობდა, მხოლოდ უშაბათს იმდენი დროს, რამდენი დროს გამოეცლო, რომ ას-

საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის განცხადებით, აღნიშნული წიგნი სახელმწიფო არქივშია ინახებული.

ლანთან მრავალგზის იყო დაპირებული, რომ ესტუმრებოდა.

ასლანის და ბოტიჩოს მეგობრობა კი განმტკიცდა ერთი რუსი მუშის, რკინისგზელი ფეოდოროვის სახლში, რომელიც რკინიგზის სახარატოში მუშაობდა ძველი, გამობრძმედილი რევოლუციონერის—ალილუევის მეთაურობით ამ ფეოდოროვის სახლში ხშირად ფარულად იკრიბებოდნენ რკინიგზის მუშები და მათ შორის ზოგიერთი რევოლუციონერად განწყობილი ჯარისკაცებიც. თუმცა პირველ ხანებში მათი მიზიდველი იმდენად კრებები არ იყო, რამდენადაც მასპინძლის, ფეოდოროვის ქალიშვილი, მოხდენილი მარუსია. ფეოდოროვის ოჯახი თავისთავად გულთბილია და, შეძლებისამებრ, პურმარილიანი ოჯახი იყო და პირველხანებში მათ ისე დებულობდნენ, როგორც უბრალო, რიგით სტუმრებს. მუშების წრეში და მათ სხდომებზე ჯარისკაცებს არც კი უშვებდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც წრის ხელმძღვანელი ალილუევი დარწმუნდა, რომ ამ ჯარისკაცთა ნდობა შეიძლებოდა, მაშინ, პირიქით, ძალიანაც დაიხალისეს და ჯარში პროპაგანდისტებად შეამზადეს კიდევ. განსაკუთრებით მათში გამოირჩა ბუჯითობით და გულისყურით პეტრე ბატიჩოვი და ფეოდოროვის ოჯახის საყვარელი წევრიც გახდა, რადგან სხვა კავარებს აჯობა პეტრემ და მარუსიას საქმროდ იქნა აღიარებული. ახლა კი მიდიოდა თავის ქვეყანაში, რომ იქაური რევოლუციონერი მოძრაობის ამბები უფრო სწორად გაეგო, — ეს საქმრო იყო მათი წრისათვისაც, — თან მშობლების ლოცვა-კურთხევა მიეღო და დაბრუნებულს ჯვარიც დაეწერა. ამის შემდეგ კი აპირებდა თბილისში დარჩენას და ესეც რკინიგზის სახარატოში ლაშობდა შესვლას.

ობიშხიამ ყოველივე ეს რომ გაიგო ასლანისაგან, მიქესა და თადას გამოუძახა და გააცნო სტუმრებს. ობიშხია ას-

ლანს ხომ ენდობოდა, მაგრამ ამ „რუს სალდათსაც“ როგორღაც გული დაანდო და თბილისის მუშებისა და რკინიგზის მუშების ამბავი გამოჰქრობდა.

ბატიჩოვი ქართულს ცოტა ჩიქორთულად ლაპარაკობდა, მაგრამ ზოგი ასლანის დახმარებით და ზოგი თვითონაც გააგებინა იქ მყოფთ თბილისის რკინიგზის დეპოს გაფიცვების ამბები, განსაკუთრებით დიდი სიყვარულით მოიხსენია მათი წრის ხელმძღვანელი ალილუევი და ისიც, რომ მის ქვეყანაში შარშანდელ, 1902 წლის, გაზაფხულზე და ზაფხულს პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიებში გაიშალა გლეხთა მოძრაობა, გლეხები ცეცხლს უქიდებდნენ მემამულეთა მეურნეობებს, ზელთ იგდებდნენ მემამულეთა მიწებს, ხოცავდნენ მათთვის საძულველი პოლიციის წარმომადგენლებს და მემამულეებს და, მართალია, მთავრობა მათ აპატივებდა, შორეულ ციხეებში ასახლებდა, მაგრამ გლეხთა მოძრაობა მაინც არ შეწყვეტილა.

— თქვენ კი აქ რაღას უყურებთ? — თავისი ამბავი რომ მოათავა, შემდეგ გამოჰქვეყნა შეეკითხა იქ მყოფთ ბატიჩოვი და უფრო ახალგაზრდებს მიანიჭერდა. — რამდენადაც ვადმომცეს, აქ თქვენში ამაზე ჩამჩუმიც არ არის.

თადას თითქოს შერცხვა და უპასუხა: — ჩვენში როგორ არ არის!.. აგერ, ჩვენს მეზობელ გურიაში, ამბობენ, თბილისის გუბერნიაშიც, წამოიქონრა ხალხიო, ზემო იმერეთშიაც დიდი მოძრაობაა...

— ეგ კარგია, მაგრამ თქვენ, თქვენ აქ რას უყურებთ? მოელთ ვინმეს? ვინმემ უნდა გიბრძანოთ, თუ როგორ არის თქვენი საქმე? — საყვედურობდა ბატიჩოვი.

სირცხვილივით დუმდნენ ახალგაზრდები... ობიშხიამ კი ხმა ამოიღო:

— ამ ახალგაზრდებს თუ უყურებთ, ჩემო ბიძია, ეგენი ბაჭიები არიან და

ჩვენ, უფროსები კი... ერთი მეზობელი მყავს, გუდუია, კურდღლებს გვეძაბის... ამ შედარებებმა გააცინა ბატიჩკო, მაგრამ შემდეგ ხუმრობა შერეულად მაინც ასე მიმართა:

— კურდღლები და ბაჭიები კი არა, მგლები უნდა იყოთ, მგლები! დაუზოგავი და დაუნდობელი. მტერს დანდობა არ მართებს... — და ბატიჩკო წამოიწია წასასვლელად: — ახალ სენაკში მატარებელს უნდა ჩაეუსწრო, მაგვიანდებაო.

ობიშხია და ახალგაზრდები ბევრი ეხვეწნენ მას და ხურციას, რომ ამაღამ აქ დარჩენილიყვნენ, აღდგომა მათთან გაეთენებინათ, მაგრამ ხურციას თავის შინ უნდოდა სადღესასწაულოდ დაბრუნება, აქ მხოლოდ გზად გამოატარა სტუმარი თავის მეგობარ ობიშხიასთან, ახლა კი ნაქალაქევამდე მიყვება, იქ სენაკისკენ მიმავალ ფაეტონში ჩასვამს და თვითონ ისევ თავის შინ დაბრუნდება.

ბატიჩკომ არ ისურვა დარჩენა იმისთვის, რომ ჯერ ერთი მეჩქარებო, მეორე კიდევ აღდგომის დღესასწაული არც თუ ისე სწამდა და საერთოდ კი დღესასწაულზე ისა თქვა, რომ აჯერ პირველი მაისი მიძევს წინ და ამ მშვენიერ დღეს სწორედ ჩემ ქვეყანაში გაეტარებო!

ამ მიზეზების შემდეგ ცოტაზე გააციოლეს სტუმრები და შემდეგ დაბრუნებისას მიქე და მამაშვილი დიდხანს ბაასობდნენ გლებთა მოძრაობაზე საერთოდ.

ობიშხია მაინც ფრთხილობდა, ახალგაზრდები კი მზად იყვნენ თავი მოებათ მათ არემარეზე გლებთა გამოსვლებისათვის, მაგრამ არ იცოდნენ საიდან და როგორ დაეწყოთ. მაინცდამაინც ობიშხიას არ უთხრეს, მაგრამ ორთავენი მოვლოდნენ ტაიას მითითებებს.

კლ

უცხოელები და ლევიარისი კვიზინია რომ დაბრუნდნენ ნექტარინასას მათ

ფეხზე წამომდგარი მხოლოდ ბეგი, გუტატი და რიბინინა დაუხვდათ. დღი ქალბატონები კი ეტყობო, ეჩვენებდნენ, არც დაგმარა იყო სასტუმარს. გვიანყობილი. თოლისქვეამი ხომ თავის ბედს დამორჩილებული, მაგრამ თავისი მომავლით მაინც გზაგაუგნებელი, თუ ნექტარინა არ უბრძანებდა ისე, მაინც მართობას რჩებოდა.

სხვა დანარჩენი ქალები კი სასახლეში, ძილხანის მეთაურობით, საჩქარო საკერავეებს უხსდნენ, რომ ამაღამდელი წირვისთვის მოესწროთ. ზოგის მთლიანი საკაბე. ზოგის ზედაწელი, ზოგისთვისაც ახალუხი, სულ კი დოხორეს ხელზე მოსამსახურეებისათვის. ვაყები კი ბოთლებს რეცხავდნენ, ქურპებს ასუფთავებდნენ და სხე.

სამზარეულოში ხომ დიდი ამბავი ხდებოდა უფროსი მზარეულის მეთაურობით: ზოგი ხარშავდა, ზოგი წვავდა, ხრაკავდა, შიგნეულით ტენიდა საქონლის ბეჭსა და თევძებს. ზოგი ასაცივებდა, ზოგი უწენოს აკეთებდა, ზოგიც სულგუნებს ამზადებდა, ყველს წნიდა ქალის თემბივით, ზოგიც აცხობდა თორნეში ორიგინალური პურის გომიჯებს და ლავაშებს, დიდ კეცზე — ქეისტარებს, პატარა „ჩაჩამტებზე“ — ხაჭაპურებს და სხე. ეს ყველაფერი კი იმიტომ კეთდებოდა საჩქაროდ და გულმოდგინედ, რომ დღევანდელ საღამოს შემდეგ მთელი დღე კერა, თუ არ განსაკუთრებულ შემთხვევაში, არ უნდა გახურებულყო და ოჯახში არც არაფერი არ უნდა შეეწვათ, მოეხარშათ თუ გამოეცხოთ. ასე იყო წესი. აღდგომის ევლოგია შაბათ ღამით რომ გაიწყობოდა, ნააღდგომევის სამშაბათ საღამომდე არ უნდა ალაგებულყო.

ასე იყო, რალა თქმა უნდა, ასე თუ ისე შეძლებულეებში, თორემ, ცხადია, მიქესთანა ოჯახი ამას ვერ შესძლებდა.

სტუმრებს ბარონესასაგან დარბაზში გამართული „კარავი“ ძალიან მოეწო-

ნათ და უქეს გემოვნება, შემდეგ საუბრეზე უარი თქვეს. ნამგზავრზე დასვენება მოინდომეს, მხოლოდ ვოლკოვმა ცალკე ოთახი მოითხოვა. ვოლკოვმა იცოდა, რომ ნექტარინას სახლს თორმეტი ოთახი ჰქონდა. — არ შემძლია მაგათთან ერთ ოთახში ყოფნა, ღამით თავიანთ ლაპარაკით არ მაძინებენო და, რასაკვირველია, შეუსრულეს. გოგოები მოუცლელები იყვნენ, ამიტომ კესარიამ თავი გამოიღვა და თავისი ხელით გაწმინდა და გაასუფთავა ოთახი, ქვეშაგებიც თვითონ დაუგო. და როდესაც მოსასვენებლად მიიწვია ვოლკოვი, ოთახში მარტონი დარჩნენ. კესარიამ წასასვლელად გაიწია, მაგრამ ვოლკოვმა წელზე ხელი მოხვია და თავისკენ მიიზიდა. კესარიამ საყველბუროდ რუსული იცოდა, გამოელაპარაკა. გულში კესარიას ვოლკოვი პირველ ნახვითანავე მოეწონა. ვოლკოვს არ გასჭირვებია, რომ, თუ ამ წუთას არა, როდესაც ჯერ კიდევ დღე იყო და სასახლეშია ცხუნვებდნენ, მხოლოდ სამერმისოდ შეეთანხმებინა კესარიასთან პაემანი. ასე რომ, რუსთაველის არ იყოს: „შეყრა არის პირიანი, ორთავეა რადგან ნება“.

უცხოელებმა ბეგის და გუტატის აუხსნეს, რომ ისინი ახლა მხოლოდ მენჯი-რობუს დასათვალისწინებლად დაბრუნდნენ და ეს დათვალისწინება რაც შეიძლება მალე უნდა მოხდესო. ბეგი და გუტატი კი თავის მხრით განუმარტეს, რომ ეს დათვალისწინება ამ სამ დღეში, დღესასწაულის გამო, მოუხერხებელი იყო. ამაზე შეწუხდნენ უცხოელები: ბანძას ვართ წასასვლელი ფაღვებთან ხელშეკრულების დასადგმად, შემდეგ ქუთაისში თქვენი საქმე უნდა მოვათავოთ, ბოლოს შინ, საზღვარგარეთ, ხომ უნდა დავბრუნდეთ და გვეჩქარებო. მასპინძლებმა მაინც სამი დღე დადეს ვადად. მაშინ შეიძლებოდა ის უცხოელი, რომელსაც ცოტაოდნად ესმოდა რუსული, მაგრამ თვითონ არ ლაპარაკობდა, მარტო გაეშვათ მენჯი-

რობზე და ერთი ვინმე მიეცათ გზის მაჩვენებლად. ამაზე დაეთანხმა ბეგი და თვითონ მოინდომა გაჰყარა.

ცოტა ხნის შემდეგ, ჩრდულსა და სამხრულები დალაგდნენ, ბეგი უცხოელი და უცხოელების ახლობელი ნიკოლოზა ცხენებით გაუდგნენ გზას მენჯი-რობუსკენ, სანამდისაც ერთი ოთხი-ხუთი კილომეტრი მაინც იყო გასავლელი.

მივიდნენ დანიშნულ ალაგას. ნიკოლოზამ ბეგიზე უფრო იცოდა მენჯი-რობუს საზღვრები. უცხოელი ბეგრი ატარა ქვეითად. ასე მოისურვა უცხოელმა. იქა-აქ გაუქირდათ გავლა, რადგან ერთ მხარეზე, ტყის პირას, ბეგრი იყო ეკალბურდი, სხვაგან კიდევ ჯაგანარი, მაგრამ, როგორც იყო, გააღწიეს და მენჯი-რობუ სულ შემოიარეს.

ეს იყო ზღვის დონიდან 800 მეტრზე მეტი სიმაღლის გორა, რომლის ფერდობიც სამხრეთ-დასავლეთით სრულიად მოტიტვლებული იყო და ახლაც კი, გაზაფხულზე, არავითარი მცენარე ზედ არ ხარობდა, გარდა გვიმრისა. გვიმრა კი, სოფლელების აზრით, მხოლოდ მწირ, ეწერ ადგილზე მოდიოდა. საერთოდ კი ადგილს მოთეთრო ფერი დაჰქრავდა და, თუ ხელს შეახებდით, იქაური მიწა იფშვებოდა. თვითონ ფერდობი კონუსისებურად იყო აწოწილი და ზემოთ, პაწია მოედანზე, გვიმრებშუა, ფართო ღრუსავით იყო ადგილი ამოღებული.

ამ ადგილს ძალიან დაუკვირდა უცხოელი, თავისი ჯოხის შუბივით წაწეტილი რკინის წვერიც ჩაჰკრა, მაგრამ დიდზე არ წაივია, შემდეგ კი დაბლა ჩამოვიდა და რამდენიმე რიყის ქვას წააწყდა. წერაქვით გატეხა რიყის ქვა. ქვას ქანგის გული აღმოაჩნდა.

— Kapaci! — წარმოთქვა მან და ღმილით ბეგის შეხედა. ბეგი მიხედა, რომ უცხოელის „კარასო“ რუსულ „ხარაშოს“ მაგიერი იყო.

უცხოელმა კიდევ უფრო ჩამოივია და, რაც ქვა შეხვდა, სულ დატეხა და



ყველგან შუაგულ ქანგისფერი აღმოაჩინა, თან ღიმილით ბეგის შესცქეროდა. ერთხელ მისგან გაპობილი ერთი ქვეც მიაწოდა და, ეტყობა, უნდოდა აესხნა, თუ რას წარმოადგენდა ეს ქანგიანი ქვე. ბევრი იწვალა, ეტყობოდა, ვერ მოიგონა და შემდეგ თავისი ჯოხის წვეტიან წვერზე მიუთითა. ბეგი მიუხედა და შემდეგ შეეკითხა:

— ჩველი?

— ეა, ეა! ევლუზო... კარასო!

მენჯი-რობეს ერთი მხრით, ტყის განაპირად, ჩრდილოეთით, პატარა მდინარეც ჩამოუდოდა. უცხოელი ჩახტა დეღეში, მოსინჯა ადგილები. ერთგან სულ ქანგისფრად იყო მდინარის კიდე შეღებილი, მენჯი-რობეს მხარისაკენ, და იქ პატარა რაღაც წყაროსავით გამოწკაწკარებდა. დაუკვირდა, პეშვით აიღო ამ წყაროს წყალი, დასუნა, ერთი ყლუბი პირშიც ჩაიგუბა, შემდეგ გამოასხა და ბოლოს თავისი დაქინებული სიტყვა „კარასო“ გაიმეორა, თან, ჩვეულებისამებრ, ბეგის შესცინა.

ამ დათვლიერებით იმ დღეს დაკმაყოფილდა უცხოელი, მხოლოდ ნიკოლოზამ შეამჩნია, რომ ქანგიანი პატარა ქვის ნატები ჩაიღო ჯიბეში და კიდეც ერთი რაღაც, რასაც თვალი ვერ მოატანა. ეს კი არ გაკვირვებია, რადგანაც იმ დროის განმავლობაში, რაც ამ უცხოელებს ახლდა, ყველგან ასე ბოჭავდნენ სტუმრები რაღაც-რაღაც ქვეებს.

უცხოელი კი ბეგის გზაში ეუბნებოდა: „ევლუზო... კარასო... მალე, მალე!“

ამას ნიკოლოზიც მიხვდა: — რკინა ყოფილა, მაგრამ ცოტააო.

— წყალზე რატომ არ ჰკითხავ, ბატონიშვილო! რა წყალია ვითომ, ხომ დასუნა, ხომ პირშიაც ჩაიგუბა.

— მაგდენი რუსული არ იცის მაგ ახერმა, — უპასუხა ბეგიმ, — აი, მივალო და იქ აგვიხსნიან.

ბეგი და უცხოელი რომ დასწყნდნენ, ბეგიმ რიაბინინას დაუწყო ძებნა. მონახა. მარინა წინა დიდ აივანზე ბოლოსას სცემდა.

ბეგის უკვე გულში ამოჭრილი ჰქონდა, რომ ნექტარინას წინადადება განეხორციელებინა და რიაბინინა ცოლად ეთხოვა, მაგრამ, ჯერ ერთი, ამ სადღესასწაულო საშაღისში დრო ვერ ეპოვა, რომ განმარტოებოთ მარინასთან გულდაგულ მოელაპარაკა და, მეორეც, არც კი იცოდა, საიდან დაეწყო, როგორ გაეზიარებინა მისი გულის ნადები. ბეგი არ იყო მიინცდამაინც მორიდებული კაცი, განსაკუთრებით ქალებთან, მაგრამ აქ კი როგორღაც ვერ გაეებდა — პირდაპირი წინადადებით ვაი თუ საქმე სულ წაეხდინო, და საგონებელს იყო მიცემული. ნექტარინას აზრი კი — მე გასწავლი მარინეს როგორ მოეჭეო, ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაგებული.

მარინა კი ჩვეულებრივი ხალისით დაუხვდა და მაშინვე იმაზე ჩამოუვლო ლაპარაკი, თუ უცხოელზე როგორი შთაბეჭდილება დატოვა ადგილის დათვლიერებამ. თან სეირნობა განაგრძო და ბეგიც აჰყვა.

ბეგიმ უამბო, როგორც იყო საქმე, რომ უცხოელი სულ „კარასოს, კარასოს“ ლაპარაკობდა, მაგრამ შემდეგ ეტყობა, დაიწუნა, რადგან „ცოტა არისო“, განაცხადა.

უცხოელებისთვის მიჩენილი ოთახის ფანჯარა იმ აივანზე გადიოდა, სადაც ამჟამად მარინა და ბეგი სეირნობდნენ, ფანჯარა გაღებული იყო და კარგა მკაფიოდ მოისმოდა უცხოელების ფრანგული ლაპარაკი. მარინა და ბეგიც ამ გაღებულ ფანჯარამდე სეირნობდნენ.

რაღაც უცხო სახელი მოესმა რიაბინინას, შედგა, ყური ცქვიტა. გაღებულ ფანჯარისკენ ფეხი არ გადადგა, ისე მიჰყურა. შემდეგ, უეცრად, ბეგის მკლა-

ვი მკლავში გაუყარა და უკან მიიბრუნა. ცოტა რომ გაიარეს, უთხრა:

— იცით, რაზე ლაპარაკობენ ჩვენი სტუმრები? თქვენს მთასა და იმ ადგილზე, ახლა რომ ინახულეთ... მთა ხომ ნახული აქვთ?

— როგორ არა, არ გახსოვთ? როგორც კი ჩამოვიდნენ, მაშინვე არ გასწიეს მის სანახავად? თქვენ აქი აქ იყავით მაშინ...

— ჰო, დიახ, დიახ... როგორ დამავიწყდა... — რიბინინა რალაცაზე ფიქრობდა და თითქოს ფიქრში წარმოთქვა: — მაშ ეს ლაპარაკი უთუოდ ამ თქვენს ადგილს შეეხება.

— რას შეეხება, რას ამბობთ, კარგა ვერ გავიგე, მარინა ივანოვნა?

— ეგენი ეშმაკები არიან, კნიაზ ბეგლიარ! — შეჰღიმილა მარინამ. — იცით კი თქვენ, რა არის ეს ახალი ნივთიერება?

— არა, არ ვიცი.

— ოო, ეს მეტად იშვიათი და მეტად გამოსადეგი რამაა. მე არ ვიცი, მათი ნათქვამიდან ყველაფერი ვერ გავიგონე, მაგრამ, მე მგონია, რომ თქვენს მამულში მაგათ რალაც ახალი ნივთიერება თუ არა, მისი ნიშნები მაინც უნდა ჰქონდეთ აღმოჩენილი და... მე მგონია, ეს ნიშნები დღეს თქვენ მიერ დათვალიერებულ ალაგას არის...

— აჰა! — გაუხარდა ბეგის, — მამასადამე, თქვენ გინდათ მითხრათ, რომ ასეთი ძვირფასი ადგილი ჩალის ფასად არ დავთმოთ, არა?

— დიახ, დიახ... მხოლოდ იცოდეთ, დანამდვილებით მე ვერაფერს გეტყვით... მე სრულიად არ გამოვინია მათი ნალაპარაკევი... მაინცდამაინც შეეკითხეთ ბატონ ვამესს... ის დაკვირვებული და გამოცდილი კაცია... ესენი, როგორც ვთქვი, ეშმაკები არიან და მოინდომებენ, რომ მეტად ძვირფასი რამ დაგიფოლონ, მაგრამ არ უნდა მოტყუდეთ.

— დიდად გმადლობთ გაფრთხილებისათვის, მარინა ივანოვნა! — ამ სიტყვებთან ერთად დაიხარა ბეგი და რიბინინას ცოტა ხანგრძლივად შეხედა აკოცა.

— რატომ გემადლიერებით? მე ისე მიგეჩვიეთ... თქვენ ყველას... რომ ჩემი თავი თქვენი ოჯახის წევრად მიმაჩნია...

— ნეტავი მართლა! — წამოცდა ბეგის და იგრძნო, რომ ეს კარგი ნიშანი იყო. ამას შეიძლება მოხმობდა ბეგისთვის სასურველი წინადადება, მაგრამ რიბინინამ სრულიად გულუბრუნოდ შეაგება:

— მართლა, მართლა! — ეტყობა, ბეგის ფრზას არ ჩაუყვირდა საერთოდ ჰქუამახვილი გოგონა, თუმცა ორმაგული კითხვა მაინც მისცა ბეგის:

— აი ახლა თქვენ ამათგან, — თავი გადაიქნია უცხოელთა ფანჯრისაკენ, — ბევერ... ბევერ ფულებს რომ აიღებთ, — ამ „ბევერზე“ კი ერთი ჩაიხიხით, — მაშინ რუსეთისაკენ არ გამოისეირნებთ?

— ოო, აუცილებლად, — შეაგება ბეგის, — დიდი ხანია მოსკოვი მინდა ენახო...

რიბინინამ ყური ცქვიტა:

— მოსკოვი? რატომ?

ბეგის შეამჩნია, რომ იმას არ ამბობდა, რაც უნდა ეთქვა, მაგრამ მაინც განაგრძო:

— იმიტომ, რომ მოსკოვი ნამდვილ რუსულ ქალაქად მიმაჩნია... — ეს ერთ დროს ვამეხისაგან ჰქონდა გაგონილი და იფიქრა, ჰკვიანი კაცის ნათქვამი ჩემს სიტყვებს აჯობებსო, და ამას გაჰყვა.

მაგრამ ამაზე კი რიბინინამ გულიანად გადაიკისკისა:

— მიგახედით, კნიაზო ბეგლიარ! მოსკოვი. იქაური „კუპჩიხები“... მზითვიანი ქალი გინდათ შეირთოთ...

— არა, არა, მაგისთვის არ მომიხსენებია...

— რატომ, რატომ? — თითქოს გულდაწყვეტით და თან მზაკერულად ქი-

ლიკობდა რიბინინა. — კუბიხებს უყვართ კნიაზებზე გათხოვება... თან ქართველებიც ძალიან მოსწონთ... თქვენ... თქვენ, — ერთი ახელ-დახელა, — თქვენ მოსკოვში უთუოდ გაიმარჯვებთ! — და თვალელები „დედა-მოკასკენ“ გაუშტერა.

ბეგის უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ დაინახა, რომ აივანზე ნექტარინა გამოვიდა და სიჩუმე არჩია.

რიბინინას დღეს არ ენახა ნექტარინა და მისალმებისთვის მივიდა და მკერდზე ეამბორა მეგრული ჩვეულების თანახმად. ასეთ გარეგნულ რასმეს უკვე ითვისებდა რიბინინა. ნექტარინამაც თავზე აკოცა და შემდეგ ორთავეს გამომძღველი თვალი გადააქო. თან, თითქოს არაფერი იყო, ბეგის ასე შეეკითხა:

— რა ჰქენით, დაათვალიერეთ მენჯი-რობუ?

— დიაღ, დავათვალიერეთ და... ბევრი არაფერი...

— მენჯი-რობუს დიდი იმედი მე მაინცდამაინც არცა მქონია... გეთაყვა, მარინა! ბარონესა ახლა ამდგარი იქნება, სთხოვე, რომ ჩემთან მოვიდეს.

მარინა მყისვე გაეშურა. ნექტარინა კი მოუთმენლად შეეკითხა ბეგის.

— რა ჰქენით? საქმე გამოაწყვე?

— ჯერ კიდევ ვერა, ძალუა-ბატონო!

— უპ, რა ყოფილხარ, კაცო! ამ ჩვენი გლეხის გოგონებში და ქვრივებში, — ქვრივების ხსენებაზე თვალელები ეშმაკურად გაასრილა ნექტარინამ, — ძალიან დაშტიალობ?

— რას ბრძანებ, შენი ჭირიმე! სად გლეხის გომბიოები და სად ეგ მალალი წრის ქალი!

— მალალი წრის ქალი, თორემ, მე შენ გეტყვი, ჯერ არ ექნება ნასიხჯი...

— უპ, რას ამბობ, ქალბატონო?

— ხვეენა-კოცნა... უთუოდ ექნება ნასიხჯი... აბა სხვა რა? ნუ ხარჯარჯე ნილი კაცი!

— კარგი, თუნდაც აგრე იყოს, მე რა უნდა ვქნა... ვცდილობ მოველაპარაკო...

— ოპ, შენ რომ დაწყობილი ლაპარაკი იცი? მაინც ეს რა უნო ხალხი ხართ ყველა გვირგვილიანები, ვამეხისა და საცოდავი არჩილის გარდა... ოო, ჩემი არჩილი ჩემი... შინაობაში ნექტარინა არცთუ ძალიან მალავდა, რომ მისი მახლი არჩილი მართლა მისი იყო — რა დარბაისელი იყო, რა საუბარი იყო, და ან რა ვაქცაი იყო...

ბეგის გულში გაეცინა და უნდოდა ეკითხა: „გუტატის ჯობდა, ბატონო?“ მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ ჰკადრა უფროს რძალს, მხოლოდ კი უთხრა:

— არჩილის ქება, ბატონო, ვის არ გაუფონია, მაგრამ მე რას მიჩნევ?

— ამას რა რჩევა უნდა, ბიჭო? ამაზე ადვილი მისახვედრი რა არის? დამარტოხელე საღმე ეგ რუსის გოგო... ასეთ გაშლილ ადგილას კი არა, საღმე განმარტოებულ ალაგას, ამას კი მოახერხებ და... გაუჩაღე... ხვეენა-კოცნა...

ბეგის უღვაშებში ჩაეცინა:

— ეგ ადვილი საქმეა, ბატონო, და რაი შენც მიჩნევ, გავაკეთებ, მაგრამ საქმე უფრო რომ წაეახდინო?... სხვა რომ არაფერი თავის სახლში, პეტერბურგს გაიქცევა, ბატონო...

— გაიქცევა კი არა, მერწმუნე, მაგის შემდეგ სულ კისერზე ჩამოგვეკიდება.

— კარგი, ბატონო, და, თუ რამე სკანდალი გამოვიდეს, შენ იქნები პასუხისმგებელი...

— კარგი, კარგი, — გაიცინა ნექტარინამ, — შე გაუბედაეო რაინდო, შენ! ამასობაში უკანა აივანზე ლევარსი და გუტატი იყვნენ ერთ ამბავში: ჯერ ერთი, ლევარსის კნეინა ნექტარინასთვის მახლობელი ბარლების ტყიდან ცოცხალი შველი მოეყვანიებინა, და

მეორეც გუტატისაგან უკვე გაეგო მისი ბედნიერების ამბავი, რომ მას თოლისქევამს რთავდნენ და, როგორც იტყვიან, სიხარულისაგან ფეხზე ველარ იდგა კაცი. სულ ცმუტავდა ეს უკვე სიღარბისლესში გადასული ადამიანი და სულ აქეთ-იქით იხედებოდა — ეგების თოლისქევამს მოვკრა თვალიო; ერთხელ მოთხოვა, კიდევ მაჩვენეთ, მიმიყვანეთ თოლისქევამთანო, მაგრამ გუტატიმ დააჯერა, რომ თოლისქევამს თვითონ ნექტარინა შეახვედრებდა და ამან ცოტათი დაამშვიდა.

გუტატის ეტყობოდა, რომ რაღაც თავისი ხეაშიადი ჰქონდა ლევარსისთან გასაზიარებელი და მოიარებით დაიწყო კიდევ, მაგრამ ლევარსიმ აღარ აცალა და ქართულად დაუწყო ლაპარაკი.

ლევარსი უფრო ხშირად ქართულად ლაპარაკობდა, მართალია, ზოგჯერ იმერულად უქცევდა, ზოგჯერ გურულადაც, — ეს ჭ. ფოთის გავლენა იყო, სადაც ბლომად იყვნენ გურულები, მაგრამ შეგრულს თითქოს არ კადრულობდა. ლევარსი უფრო ქართულს ეძაღებოდა და ეს არამეტუ ქართულის მცოდნე შეგრელთან, არამედ სამეგრელოს თვით მიყრუებულ სოფლებში ქართულის ნაკლებმცოდნე მეგრელებთანაც. ქართულად ესაუბრებოდა, ქართულად უპასუხებდა, ეს იმიტომ კი არ მოსდიოდა, რომ ქართულის დიდი პატრიოტი იყო, არამედ თავის განდიდების გამო. უნდოდა ეჩვენებინა, რომ დიდი კაცია და ქართულად განსწავლილი. იცოდა, რომ სამეგრელოში მალალი წრის „დიდი კაცები“ უმეტეს ნაწილად ქართულად ლაპარაკობდნენ. რუსული კი ნაკლებად იცოდა, თორემ უთუოდ სულ „იპარუსკებდა“, თუმცა ახლაც ქართულ ლაპარაკში „პოეოლუსტა“ და „ნეუყელის“ ხშირად ხმარობდა. გუტატიც თამამად ლაპარაკობდა ქართულს, მხოლოდ იმერულად ესეც უქცევდა. ლევარსიმ ახლაც გუტატის ქართულად დაუწყო ლაპარაკი:

— ვიცი, ვიცი, ჩემო გუტატი! ნეუყელი გგონია, რომ დამავიწყდა დაპირებული... პოეოლუსტა, ^{არა, არა, არა, არა!} დაივიწყე — ერთ კარგ ბელაურს თავისი მისირმული უნაგირით უსათუოდ ნოგართმევე... კი არა, შენ იმისთანა საქმე გამოიკეთე, რომ შენთვის თავს არ დავეზოგავე...

— აი ამ სიტყვაზე დაგიჭერ, ჩემო ლევარსი! მე ახლა შენგან დიდი შემწეობა მქირდება.

ამას ლევარსი არ მოელოდა, თუ გუტატი დაპირებულის გარდა სხვა რამეს დაიჭირებდა; არ ეამა, მაგრამ გაუყუჩდა და სმენად გადაიქცა.

გუტატი მოუყვა:

— შენ გეცოდინება, ლევარსი, რომ სამეგრელოში ამჟამად იმტკიცებენ თავადაზნაურობის ხარისხს...

— არ გათავდა კიდევ? — თითქოს მწუხარებით წარმოთქვა ლევარსიმ.

— ახლა თავდება, მგონი და მე... ბათუ, ბათუ! — გადასძახა ეზოში გამოსულ ძმას გუტატიმ, — ერთი მოდი აქ...

— რად გინდა ბათუ, მე კი არ ვიცი, რომ გათავდება... ნახევარი სამეგრელო გააზნაურებულია... ვილაცა აშორდა ყოფილა და ისე ურიგებს ამ ყალბ საბუთებს აზნაურობის მაძიებლებს, რომ... გამდიდრდაო ამბობენ... ახლა მიმბაძველებიც ვასჩენია, სხვებიც აკეთებენ თურმე...

ამასობაში ბათუ ამოვიდა კიბეზე. გუტატიმ მაშინვე მიმართა:

— ახლა რომ ქუთაისში იყავი, რა გაიგე აზნაურობის საქმის?

— ქუთაისში, ბატონო, — დაიწყო დინჯად ბათუმ, თითქოს დიდად პასუხსაგებ საქმეზე სჭირდება ლაპარაკი და ჩაფიქრებით და შესვენებით სჯობია ამბის მოყოლაო, — დიდი ციებციხელებაა ამ აზნაურობის დამტკიცების საქმეზე, ბატონო... ნახევარი სამეგრელო თითქმის იქ ჩამოხვეტილა... მოგესხენება, ჩვენ დავრჩით მეგრელები, ჩვენს წოდებაში დაუმტკიცებელი,

თვარა იმერლებმა ჯერ კიდევ, როცა იმერეთი რუსეთს შეუერთდა, მაშინ დამპტიკეს თავ-თავიანთი ხარისხი...

ეტყობოდა, ხელმოდებით უნდოდა ბათუს, რომ ყველაფერს მოპყოლოდა, თვითონაც სიამოვნებდა, რომ ამისთანა საქმეზე დაუძახეს და შეეძლო თავისი მჭევრმეტყველება გამოეჩინა.

ლევარსი და გუტატი გრძობდნენ, რომ ბათუს „მოხსენება“ უკიანურდებოდა, მაგრამ დარბაისელ კაცს ეს არ შეამჩნევიან.

— გავიკითხე, გამოვიკითხე ამბები და მითხრეს, რომ აზნაურების დეპუტატთა სობრანიეში უკანასკნელი წასვლანიები ამ ვნებათ კვირაში აქვთ და, ეისაც ახლა გააჩვენებ და დამპტიკებენ, ის არის და ის, თვარა სხვას აღარავის აღარ მიიღებენო. გულზე ცეცხლი მომეკიდა: ბიჭო, მე და გუტატის რა ღმერთი გაგვიწყრა, არც სიგრძე გვაკლია და არც განი, ცოტა რამე მამული ჩვენც გავგაჩნია, და რითი არა ვართ აზნაური-მეთქი! მთელ ქვეყანაში ასე რავე გამოეწყდეთ და გამოვქნდეთ-მეთქი. მაჰიებლებში დიდი ხანია ჩარიცხულები ვართ, საგლხოს არც ფოტის ფულს ვიხდით და არც გზების გასაკეთებლად ვავდივართ... ღმერთო, მომკალი! გუდუია ხებუნაიას გვერდში რავე უნდა ამოეუღდე-მეთქი და კინალამ გული შემიღონდა...

— ჰო, კარგი ახლა, — ვეღარ მოითმინა გუტატი, — შენ ის გვითხარი, დანამდვილებით რა გაიგე?

პასუხის მაგივრად ბათუმ საყვედურები დაიწყო:

— სულ კი შენი ბრალია, გუტატი არ მომიკედეს! დიდი შქიფორთა¹ ყაზანი ხარ, კარგს და შენ სასარგებლო საქმეს თავის დღეში გულს არ დუდებ... აგერ რამდენი ხანია საცოლო კაცი მყავებარ... უნდა დაესახლო... აბა აქ ხომ არ შეაკვდები ამათ მოურავობას...

¹ შქიფორთა — ჩქარი კაცი, ყველაფერს რომ ედება და არაფერს კი აკეთებს.

ბათუს საერთოდ არ მოსწონდა გუტატის დამოკიდებულება ნეტარინასთან: შეიყოლიებს და ცოლის შერთვაზე ფიქრსაც კი მოუსპობს, ბოლოს მიხუცებული ჩემი მამა დარჩება ცარიელით და ამას დროდროთი ამხელდა გუტატის. ახლაც დრო შეურჩია და ლევარსის თანადასწრებით, დიდი სიფრთხილით და თავისებურის დიპლომატიით წარმოთქვა მან გუტატის მოურავობის „შეკვდომა“, მაგრამ ლევარსი მაინც მიხვდა, თუ რა „შეკვდომა“ იგულისხმა ბათუმ. გუტატიმ კი შეუძახა:

— კაცო, შენ ჩემს საყვედურს კი ნუ ლაპარაკობ, ის თქვი, რაც ქუთაისში დანამდვილებით გაიგე...

ბათუ მაინც ჯიუტობდა და მაინც განაგრძობდა გაზეპირებულებით:

— შენ თავზედაც უნდა იზრუნო, დროა უკვე... ცოლს შეირთავ, შეიღებო გეყოლება, აზნაურებად არ უნდა დატოვო?

ამაზე გახალისდა ლერვასი და ბათუს სიტყვა ჩამოართვა:

— თქვენ კი, ბატონო ბათუ, რამდენადაც ვიცი, თქვენც უცოლო ბრძანდებით და მაგას რომ ურჩევთ, თქვენ რატომ არ დაცოლშვილდებით?.. რომელია თქვენს შორის უფროსი?

გუტატიმ თავი ბათუზე გადაუქნია. ბათუმ კი ცოტა ხმადამლა ჩაილაპარაკა:

— რაღა დროს ჩემი ცოლშვილია?..

— არა, ცოლი უნდა შეგერთოთ, თორემ, თუ თქვენ უფროსი ხართ, უმცროსი წინ არ გაგისწრებდათ.

— არა, ბატონო ლევარსი, არა, — წარმოთქვა გუტატი, — აქ უფროს-უმცროსობაზე არ არის საქმე. ცოლის შერთვა რომ მდომოდა, იმდენ კადნიერებას კი მოვიხმარდი, რომ მაგისტვის არ მეცადა, მაგრამ, ეგ თუ არ დაცოლშვილდა, ბატონო, სულ იმის ბრალია, რომ ყმაწვილობიდან დაიჩემა და ბერად უნდოდა წასულიყო. ეგ, ბატონო,

მარტვილის სასულიერო სასწავლებელშია ნასწავლი და ისე გაიტაცა საღვთო წერილმა, რომ... ხომ ნახეთ იმ დღეს, თქვენ რომ ბავშვი მონათლეთ, როგორ სამაგალითოდ წაიკითხა საწინასწარმეტყველო, ან როგორ კარგად გალობდა...

— ეჰ! — ამოიოხრა ბათუმ — არ ღირს მავების მოგონება... არ გამოიშვს, ბატონო! ჯერ ჩემმა მშობლებმა და მერე გუტატიმ... ერთხელ კინალამ გამოძახაჯლა... დამემუქრა, მოგკლავო...

— ჰოდა, ახლა თვითონ ხანჯალს და საერთოდ იარაღს მაინც არ ატარებს, ბერობის იერი შერჩა კიდევ... ხომ ხედავთ... ღონით კი ისე ღონიერია, რომ შენი მოწონებული...

— ეჰ, რა დროს ჩემი ღონეა...

— ეე, ცუდი კაცი ხარ, ბათუ, პირდაპირ საგანს მაინც გადაგვახვევინე... თქვი, ამოშაქრე, რა გაიგე!

— რა და... არ დავიჯერე ქუთაისის ბულვარში და დუქნებში განაგონი და... პირდაპირ გუბერნიის მარშალს ვეახელი... კი შენ ნუ მომიკვდები! აბა რაეა გგონია! თავის კაბინეტში ძალიან ზრდილობით მიმიღო, მგონი სხდომა ჰქონდა. ბევრი ვინმე იჯდა მის გვერდით და, ეტყობა, ჩემი გულისთვის შეწყვიტა თათბირი... ჰო! გამოკითხა, ვინა ვარ, საიდან? ჩვენი სოფელი რომ ვახსენე, ნექტარინას ამბავი მკითხა... ნაცნობა თურმე.

— ჩვენს ქალბატონს ვინ არ იცნობს... რატომ გაგიკვირდა, ბათუ? — წარმოთქვა გუტატიმ—გუბერნიის მარშალი ვალდებულიც კია, იცნობდეს...

ბათუ განაგრძობდა:

— შემდეგ ვამეხიცი გაიხსენა. ორივე ძალიან აქო და ორივესთან დიდი მოკითხვა დამბარა... მე უბედურს, ჯერ კი არ მომიხსენებია ქალბატონისთვის! შემდეგ ამიხსნა, რომ წრეულს თავდებოდა თურმე ჩვენი განსაკუთრებული კომისიის მუშაობა და მომავალში აზნაუ-

რობის ძიება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ ეს იქნება დეპუტატთა მუხრანის საერთო წესით და... შემდეგ მსხვერპლს მეგრელოდან არ მოასწრებს წოდების დამტკიცებას, ის მაძიებლებში კი აღარ ეწერება, არამედ გლეხობაში გადაირიცხება.

— ჰოდა, ავაშენოს, მე და ლევარსის სწორედ მაგისი გაგება გვინდოდა...

— მარა ეს არ მაგმარა გუბერნიის მარშალმა, საყვედურები დაიწყო: მაინც ნამეტანი გადაირიეთ მეგრელები, სუყველას გინდათ გააზნაურდეთო. აზნაურს, ყმაწვილო, ნამდვილ აზნაურს, ერთი ციხე-დარბაზი მაინც უნდა მოეპოვებოდეს წინაპრების დანატოვარი, კარგა ძალი ყმების ნაპატრონალი მაინც უნდა იყოს და კარგი შერგვალეული მამულიც უნდა ჰქონდესო. თქვენ, მეგრელებს კი რა გაგაჩნიათ? ერთი ხეირიანი ვენახიც არა გაქვთ, ოთხი თუ ხუთი ქცევა ადგილი გიგდიათ სადღაც მთების კინკრისოზე და წლიურად სამოცი კალათი სიმინდი თუ მოგივიდათ, ისიც დიდი ღვთის წყალობა იქნებოდა... ვეი პლექი! ძალიან მეწყინა მეგრელების ასე დამცირება, მარა გუბერნიის მარშალს რას გაუუბედავდი... მერე მოჰყვა და დარიგება დავიწყო ყვილა იქ მყოფს: ან კი რად გინდათ ეს აზნაურობა, როცა სულ გაუქმდება ეგ წოდება... ამბუ ერთი მოხუცებული პოლკოვნიკი შეესიტყვა: — რას ამბობ, კნიაზ სიმონ, თამარ მეფისგან ნაკურთხ ქართველ თავად-აზნაურობას ვინ გააუქმებდესო, მარა კნიაზმა ასე უპასუხა: — მე კი მიყვილია და ახლა თქვენ იცითო. მარა, როცა ამისთანებს ლაპარაკობდა, სულ იცინოდა და ხარხარებდა. მაშინ მივხვდი, რომ კნიაზი ხუმრობდა და უთუოდ ჩვენ გვეცდიდა. ის კი არა, მეც მიჩიჩი: — რად გინდა განცხადების შემოტანა, ტყუილა ხარჯს ნახავო, და თან გადაიხარხარა. მეც აბა რას დავიჯერებდი!

— ჰოდა, ლევარსი, ხომ ხედავ, როგორც ყოფილა საქმე, — მიუბრუნდა გუტატი ლევარსის. — წრეულს უნდა მოვასწროთ ჩვენი წოდების დამტკიცება, თვარა მერე თუ მართლა გლეხებში გადაგვრიცხეს მე და ჩემი ძმა, საერთო წესით ძალიან გაგვიჭირდება.

— დიდი ფული დაგიჯდებათ, გუტატი, ეგ ამბავი! — დანჯალ წარმოთქვა ლევარსიმ.

— რასაკვირველია, მაგრამ მართლა გუბერნიის მარშალს რომ უთქვამს, ასე წყალ-წალბებულები კი არა ვართ მე და ბათუ. ცოტაოდენი მამული კი ვაგვანინა, და ამ საქმეს გაუძლებთ... მართალია, ახლა ნაღდი არა გვაქვს, მაგრამ ამის შემხვეწე ვართ ორივე ძმა, მე და ბათუ, რომ ხელი შეგვიწყო როგორმე...

ლევარსი ერთ ხანს ჩუმად იყო და გუტატიზე ფიქრობდა: „მომჯდა, მომჯდა! მაგრამ... თოლისქვამის სადღეგრძელოდ მიიღონ ამათ აზნაურობა, რას დავეძებ!“

— ბათუ, ხმა ამოიღე, — შეუძახა გუტატიმ, — თვარა ეგონება, რომ მართო მე ვეღროჯები...

ბათუმ თითქოს წამოიკნაელა:

— სესხს დაწყველის ღმერთი, რა ასაღებია... ბანძისგანაც ვისესხებდით, კაცმა რომ თქვას...

— ოჰ, გასწი იქით შენი ბანძი, — აირიდა გუტატიმ, — ან იმას იმდენი ვინ მიიქვავია... ჩვენ კარგა ძალი დაგვჭირდება... ერთი ორი ათასი მანეთი ვერ მოგვპირავს, არა, ბათუ?

— ჰო, რა ვიცი... ზოგს მერტი უჯდებათ, გამიგონია.

— იმიტომ ველმერთები აგერ ლევარსის...

ლევარსი ჩუმად იყო. ეტყობა, თავის გუნებაში რალასაც ანგარიშობდა.

გუტატი მიეძალა:

— შენ ოღონდ ხელი შეგვიწყო და, თუ მოისურვებ, ჩვენ სახლკარს დაგიგირავებთ...

— უა! — ძალაუნებურად წამოიღებოდა ბათუს.

— აარა! — როგორც ვერცხვების ილო ლევარსიმ და დინჯალ წარმოთქვა: — მე თქვენი სახლ-კარი არ მინდა...

ძმები მოელოდნენ, რომ, რაკი სახლ-კარი არ უნდა, ლევარსი მათ უგირავნოდ ასესხებდა ფულს, მაგრამ ლევარსიმ სულ სხვაგან გადაუხვია. ბათუს მამართა:

— თქვენ ტაიას მამული არ გაბართო? — ბათუმ დაუდასტურა.

— მერე და, რამდენი იქნება სულ ტაიას წილი?

— ტაიას, ბატონო, როგორც ყველა გვირგვილიანებს, მართო ბერთემში კი არა აქვთ მამული, არამედ უშაფათში, ცოტა მოხაშში და ცოტაც ლეძასეში.

— მე მართო ბერთემში ვამბობ.

— ბერთემი, ბატონო, სულ მაგათი არ არი, ყველა გვირგვილიანების? ეს აგერ-ახლა შეიხსნეს გლეხებმა ადგულები, თორემ სულ მაგათ მამულზე არ სახლობენ მათი ნაყმეებიც და მათი ხიზნებიც?..

— კაცო, მე ხიზნებზე კი არ გეკითხები, თვითონ ტაიას რამდენი აქ თავის წილად გამოყოფილი...

— წილი, ბატონო, ყველა გვირგვილიანს თანაბრად აქვთ დაყოფილი. მაგრამ დაზუსტებით ვერც მე ვერცხვით თუ ტაიას რამდენი მოუღია... ახლა მერჯევანია მოდის, თუ რალაცაა, მაშინ გამოიჩვენება დანამდვილებით.

— კაცო, — გაეცინა ლევარსის, — აბა რისი მოურავი ხარ, თუ არ იცი შენ სამოურავოში რა ვაქვს?

ლევარსის გუტატიც აყვა სიცილში:

— ჩვენს თავადებს განა არ იცი, ლევარსი, რომ ანგარიშის თავი არა აქვთ და არც კი იციან, სად რამდენი აქვთ. ისევე ჩვენ მოურავები გამოვჩხრეკავთ ზოლმე ზოგიერთ ნაქვეთს და ვაყოწიწებთ ერთიმეორეს, მაგრამ დანამდვილებით მამულის რაოდენობა არც ჩვენ ვიცი.

— ჰა, ჰა, ჰა! — სამივემ გაიცინა, თუმცა ძმებს მაინცდამაინც არ მოსწონდათ ლევარსის შეკითხვები და გული ეთანაღრებოდათ, რომ სესხზე არაფერს ამბობდა.

უცდიდნენ.

— ახლა ეს მითხარით: ტაია ხომ არჩილის შვილია. მაშასადამე, არჩილს, როგორც უფროს ძმას და გავლენიან პირს, საუკეთესო ნაკვეთები ექნება თავის წილში...

— წარმოიდგინეთ, რომ არა, — იყო პასუხი, — ძალიან კარგი ძმობა ჰქონდათ და, როგორც მოგახსენეთ, ყველაფერი თანაბრად ჰქონდათ გაყოფილი. ის კი არა, ვაშების წილიც, სასამართლოებში და უმაღლეს მთავრობაში დიდი დავიდარაბის შემდეგ, მაგათვე დამტკიცეს და ისიც ძმურად გაიყვეს.

— კარგი და, გუტატი, შენ ვისი მოურავი ხარ? ნექტარინასი ხომ?

— არა, სამსონის, ნექტარინას ქმრის, და ეს წილი ნექტარინასთვის ძმებს არ წაურთმევიათ, მის მფლობელობაშია.

— აჰა, მაშ ეს სასახლე ვისია? სამსონის?

— არა, არჩილის და ამჟამად ტაიასი.

— აჰა კნენა შემოხიზნული ყოფილა.

ამაზე ძმებმა არაფერი თქვეს, მაგრამ უგუნებოდ კი შეიქმნენ. აჰამდე არც ერთს არ უფიქრია, რომ ნექტარინა მართლა შემოხიზნული იყო ამ სახლში. ეს არავის აზრად არ მოსდიოდა. სოფელში სახლს „ნექტარინამ დობორეს“ ეძახდნენ, მთელს მახრამაშიაც ყველას დიდ ქალბატონად მიაჩნდა და ეს სასახლეც სწორედ მისი უნდა ყოფილიყო, — ასეთი ჰქონდათ წარმოდგენა. ახლა ლევარსისგან თქმული სიმართლე თავიანთ გუნებაში ერთგვარ შეურაცხყოფადაც კი მიიღეს.

ლევარსიმ ამის შემდეგ კიდევ უარესი უთხრა:

— აჰა, იცით, რა გითხრათ, ძმებო? მე მინდა ტაიას მამული ბეტრეფემე-სულა შევისყიდო... რას იტყვით, ლევარსი?

გუტატი უხეიროდ გაიღმიკა:

— რას ამირებ, ლევარსი, კაცს საცოლო წართვი და ახლა გინდა მამულიც ჩამოართვა?

— როგორ თუ ჩამოვართვა, — ვიცი. ტაია მაინც, რამდენადაც ვიცი, საოჯახოდ არ გამოდგება... იმას სულ სხვა რამე უთამაშებს თავში... ფულები კი მუდამ უჭირს და, მე მგონია, ხელსაყრელ ფასებში დამითმობს. ა, რას იტყვი, ბათუ?

ბათუმ პირდაპირ არ უპასუხა. შეეკითხა:

— ეს სასახლეც გინდა რომ შეისყიდო, ბატონო?

— აჰა როგორ? ეს სასახლეა მშვენება ამ სოფლის და მინდა, რომ ჩემი იყოს. ეგენი ყველა უშვილოები არიან... „საწყლებიო“, კინაღამ წამოცდა, მაგრამ თავი შეიკავა და ასე განაგრძო: — თოლისქვამს მინდა მივართვა პირის სანახავად...

ძმებს „ემწუთხათ“ ეს ამბავი. ბათუს ის, რომ მის მოურავობას მშრალზე ტოვებდა, გუტატის კი სამოურავო რჩეობოდა, მაგრამ ამ სასახლეში ფართაში ესპობოდა, რადგან ეს „გაკვიზინებული“ ვაჭარი ნექტარინასაც ხომ გააძევებდა ამ მის ჩათბუნებულ ადგილიდან. ამაზე მოისურვა ეკითხა, მაგრამ ლევარსიმ, თითქოს მიუხედაო, დაასწრო:

— თოლისქვამს რომ მივართმევ, ეგ საშვილიშვილოდ მინდა, თორემ ოჯახობით აქ კი არ ვიცხოვრებ, მე ისევ ჩემს ფოთს მივაშურებ, ამაზე ნაკლები სახლი კი არ მიდგას გურიის ქუჩაზე? კნენა ნექტარინა კი ხომ თოლისქვამის დედობილია, მაშასადამე, სიდედრად მერგება და, ღმერთო კი მომკალი, ნეუყელი ჩემს სიდედრს მე გავაძევებ ჩემი სახლიდან? მერე ისიც კნენასთანა ქალბატონს? არა, გუტატი, არა, მე მა-

გისთანა უცხვირპირო კაცი არა ვარ. შენ ისევ დარჩები ქალბატონთან ერთად ამ სასახლის მომვლელად და განმკარგულვებლად... პოვოლუსტა. ან თქვენზე უკეთესს მე ვის ვიშოვნი... ბათუს კი, თუ მიკადრებს, ისევისე დავტოვებ ტაიასეული მამულის მოსაველელად... მხოლოდ მეგრული „მოურეე“ კი აღარ იქნება, არამედ „უპრავლია-იუში იმენიემ პერეოვო გილდიი კუპცა, ლევარსი კეიზინია“. ა, როგორია? — თითქოს უხაროდა ლევარსის, რომ ყველასათვის ასე სასიკეთოდ აწყობდა საქმეს და კმაყოფილი შესცქეროდა მთავალ აზნაურებს.

გაასხენდა. ამაზე კი ეს უთხრა:

— თუ ამ საქმეში თქვენ დამეხმარებით, მაშინ ერთი სამი ათას მანეთს გასესხებთ აზნაურობის მისაღებად.

ძმებსაც ეს უნდოდათ. სესხმა და ლევარსის სხვა დაპირებებმა გული მოუღებო ორივეს და დაპირდნენ, რომ ეცდებოდნენ, უმტკივნეულოდ მოეგვარებინათ განზრახული საქმე.

გუტატი ფიქრობდა: „არაფერი არ იცვლება, ბათუ რჩება თავის ალაგას, მეც ისევ და ისევ ბატონ-პატრონი ვიქნები აქაურობისა. კნეინა კი ცოტა შემიწუხდება, რომ მისი მაიორატის გეგმა ჩაეშლება. მაგრამ ან კი რაღა ოხრად უნდა, თუკი ტაიას მამულიც ამისთვის აღარ გამოადგება. თვითონ ხომ, სანამ ცოცხალია, მაინც დედოფლურად იცხოვრებს, და სხვა რაღა უნდაო“. ამაზე გული დააჯერა და ქვევით გადასძახა, ლევარსის მოგვრილი შველი ზევით, ოდაში ამოეყვანათ.

ლევარსიმ კი სთხოვა ორივე ძმას, რომ მისი წინადადება ჯერჯერობით საიდუმლოდ შეენახათ, და ძმებიც დაპირდნენ.

ამასობაში შველიც ამოიყვანეს და სამივე გამართა დიდი ბიენისაკენ, სადაც ამჟამად ნელიად საუბრობდნენ ნექტარინა, ბარონესა, დაგმარა, რიაბინინა და ბეგი.

გუტატიმ შველი ხელში ატატებულნი მიჰგვარა ნექტარინას და მოახსენებდა რომ ეს ლევარსიმ მოგართვითაა.

შველის გამოჩენამ ხომ საამური შთაბეჭდილება მოახდინა განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალებზე; ეალურსებოდნენ, მკერდში იხუტებდნენ, თვალებს უკოცნიდნენ.

ნექტარინამ კი წარმოთქვა:

— ეს, ჩემო ლევარსი, ჩემთვის კი არა, თოლისქეამისთვის უნდა მიგეყვანა პირის სანახავად.

ლევარსიმ ამაზე უპასუხა, რომ „თოლისქეამს პირის სანახავად ამას კი არა, თვითონ იცის, რასაც მიართმევს“, და ბათუს და გუტატის ეშმაკურად გადახედა.

შემდეგ მივიდა, ნექტარინას ხელზე ეამბორა და დიდი მადლობა გადაუხადა, რომ მისი თხოვნა შეისმინა და თოლისქეამს ცოლად აძლევს.

ეს ამბავი კი სტუმარ ქალებს არა სცოდნოდათ და ერთი ყვირილ-ხივილი ასტეხეს:

— წავიდეთ თოლისქეამთან, ეს შველიც მივეუყვანოთ და მივეულოცოთ კიდევ!

— ეგ ჰკვიანურია, ჰკვიანური... წავიდეთ, მივეულოცოთ! — და წამოდგა ნექტარინა. ყველანი მას გაჰყვნენ.

სანამ თოლისქეამთან შევიდოდნენ, გზაში ნექტარინამ ყველას გამოუცხადა, რომ ამალამ, ეელოგიაზე, ნიშნობასაც გამართავს, — რა არის აქ ცუდი? და ჯვარის წერა კი ქუთაისიდან დაბრუნებულზე გამართოთო, — და ყველანი გამხიარულებულნი ეწვივნენ თოლისქეამს.

სოფლებში საერთოდ აღდგომის წირვა გვიან იწყებოდა. ისე კი არა, რაფიელ ერისთავს რომ აქვს: „შუალამე გადავიდა, ასტყდა, ასტყდა ზარის რეკა“. და შემდეგ — „ზარბაზანმაც დაი-

ექვაო“ რომ იხსენიებს, მგოსანს ქალაქი აქვს ნაგულისხმევი.

სოფლად გარიერაზე ძლივს იწყებდნენ სოფლის ხუცები სადღესასწაულო ძღვედელმოქმედებას. ამის მიზეზი უფრო ის იყო, რომ სოფლად მოსახლეობის უმეტესობა ნაშუაღამემდე ძლივს ასწრებდა დაბანას, დასუფთავებას და მორთვა-მოკაზმას. ზოგს საკერაეიც კი არ ჰქონდა მოთავებული, მიწურულ ღრომდე კიდევ ჩაპირკიტებდნენ საქნარს და საერთოდ გვიანობამდე კიდევ ფაციფუცობდნენ.

ბერთემში გვირგვლიანების ეკლესიის გარდა კიდევ იყო ორი საყდარი. ერთი ლებარკალეში, უშაფათის საზღვარზე „ქისეშოხამედ“ (ქრისტეს სამლოცველოდ) წოდებული და მეორეც უფრო ძველი, ერთ ღროს კერპთაყვანისმცემელთა ღროის ტაძრად ხმარებული — „მეისარიონი“, ახლა კი ხის კედლებში გამართული მართლმადიდებელთა ეკლესია. მაგრამ აქ ამჟამად მღვდელმსახურება არ წარმოებდა, რადგან დროებით მღვდელი არა ჰყავდათ. ამიტომაც ამ ეკლესიის მრევლიც ამ დღესასწაულზე აწ ქისეშოხამეზე უნდა წასულიყო, ან გვირგვლიანებთან.

ქისეშოხამე შტატის ეკლესია იყო და თედორე მღვდელი ამ შტატის მღვდლად ითვლებოდა. რიგით და წესით აღდგომას იქ უნდა ეწირა მას, მაგრამ გვირგვლიანების ხათრით აღდგომას ამ „ზედმიწერილში“, — ასე ეძახდნენ გვირგვლიანების საყდარს, — გადაწყვიტა, წირვა ჩატარებინა. შტატის ეკლესიაში კი წინდაწინვე გამოუცხადა მრევლს თავისი გადაწყვეტილება.

ამიტომაც, იყო, რომ ამ აღდგომას დიდძალი ხალხი მოაწყდა ნექტარინას ეზოს, უფრო ახალგაზრდობა, ქალებიც და ვალებიც. ყველა მათგანს უნდოდა, თავი გამოეჩინა თავის ახლადშეკერილ, სააღდგომო ტანსაცმელში.

ერიენენ ხანდაზმულებიც, როგორც მაგალითად ობიშხია, გუდუია და სხვა მისთანანი, მხოლოდ ფუჯახის ქალები არსად ჩანდნენ.

არ ჩანდა, აგრეთვე, ფარნა ბეალაა თავის ცოლშვილით. ამბობდნენ, რომ ამ სააღდგომოდ ბანძას წავიდა, თავის ცოლურს, კოტიებში თავის ოჯახობით.

სინათლე თანდათან ედებოდა არემარეს, ზოგი მიმჯდარიყო დიდი ცაცხვის ზევით ამოყრილ მაგარ ფესვებზე, ზოგიც პირდაპირ მოლზე, ქალიშვილები და ვალები კი თითქმის ერთად თავმოყრილი მზიარულობდნენ და ერთიმეორესთან ლაყობით თავს ირთობდნენ.

აქვე იყო ჩელა, რომელიც თავის ძმას მიქეს და ობიშხიას თადას უდგა გვერდით. შეენოდა ახალი კაბა და ისიც ყელმოღერებული იყო, მხოლოდ საერთო ლაზღანდარობაში მაინცდამაინც არ იღებდა მონაწილეობას. ისე, თუკი მიმართავდნენ, ან რასმე შეეკითხებოდნენ, გარკვეულსა და აუჩქარებელ პასუხს იძლეოდა.

ცოტა მოშორებით ბავშვები დასეოდნენ ერთიმეორეს, კვერცხებს უმტვრევდნენ და იყო ერთი თვილ-ხვილი.

ჩელამ მოჰკრა თვალი, რომ ერთი პაწია განზე გამჯდარიყო და ცხარე ცრემლებს ღვრიდა. ჩელა მივიდა, გამოჰკითხა ტირილის მიზეზი და ბიჭმა სლუჟუნსლუჟუნით მიუგო:

— ორი კვერცხი მქონდა და ორივე გამიტეხეს.

ჩელა მოეფერა, წამოიყვანა. ობიშხიამ დაინახა ნამტირალევი ბავშვი. იცნო: „ეს ხომ საწყალი იოსებს შვილია, სქვამაია. მოდი აქ, ბაბა, მოდი“.

ჩელამ მიუყვანა. ობიშხიამაც გამოჰკითხა სქვამაიას ტირილის მიზეზი. იმასაც სქვამაიამ გულამოსკენით შესწივლა: „ორი კვერცხი...“

— აგერ, ბაბა, აგერ! მაგისტვის რატომ ტირი? — მოეფერა ობიშხიაც და ჯიბიდან შეღებილი კვერცხი ამოიღო.

იქვე მდგომმა ობიშხიას მეზობელმა ობიშხიას კვერცი გამოართვა და გასასინჯად კბილებზე მიიკაეუნა.

— შე წყეულო, ჩაიკრული ხომ არ არი? — მიმართა მან ობიშხიას.

ობიშხიამ გაიცინა, ბავშვს კვერცი გადასცა და შემდეგ დააყოლა:

— იმისთანა დღეს დაათეხს იმ ვირგლა ბიჭებს, რომ შენი მოწონებული მაშინ უნდა ნახო ამის სიხარული.

სქემამაიმ, როგორც კი კვერცი ხელთ იგდო, მოკეურცხლა მოთამაშეებისაკენ.

ამ დროს ეკლესიის კარებიც გაიღო და ხალხიც მიაწეა, მხოლოდ წესიერად, არ არეულან: ჯერ გვირგვინიანები და მათი სტუმრები შევიდნენ და შემდეგ უფროს-უმცროსობით. ბარამ, ბათუ და ბეგი თავიანთ ალაგას დადგნენ სადავითნესთან. უამრავი ხალხი კი, სივიწროობის გამო, გარეთ დარჩა.

თედორე მღვდელმა და დიკონმა ტაძრის შუაგულიდან უჩემრად აასვენეს გარდამოხსნა, რაც ხალხის რწმენით ქრისტეს აღდგომის მომასწავებელი იყო, და ამის შემდეგ შეუდგნენ ლიტანიობას. ყველას წმინდა სანთელი ეკირა ხელში და მგალობლებს გუგუნში ბერძნულ „ქრიალეისონის“ ძანილით უვლიდნენ ეკლესიას გარშემო. ეკლესიის ზანზალაკები წყარუნობდნენ, დიდი და გრძელი საყვირი კი მთელ სოფელს ამცნობდა, რომ აღდგომა გათენდა.

ხალხმა მღვდლის წინამძღოლობით თავისებური ზეიმით სამჯერ შემოუარა ეკლესიას. მღვდელი შემდეგ შებრუნდა ტაძარში. აქ კი ამბიონთან ხალხისკენ მობრუნებული დადგა ჯვრით და სანთლით ხელში თედორე მღვდელი და პირველად დაიძახა „ქრისტე აღდგა“, რასაც მოყვა დამსწრეთა ერთობლივი პასუხი: „ქრისტე აღდგა“, და მგალობელთაგან „ქრისტე აღდგას“ გალობა. ამის შემდეგ შეიქნა ჯვარზე მთხვევა და ერთიმეორის ამბორი „ქრისტე აღდგას“

შეძახებით. ეს რომ მოთაედა ხალხი თანდათან გაიშურწა ეკლესიიდან, რადგანაც ხალისიანი ნაწილი ამ დღესასწაულისა, სადაც თვითონ ხალხი დგმულობდა უშუალო მონაწილეობას, უკვე დასრულდა და იწყებოდა ჩვეულებრივი წირვის მღვდელმოქმედება.

ეზოში გამოსული ხალხი კი განაგრძობდა ერთიმეორის მილოცვასა და ამბორს. თან ერთიმეორეს წითლად შეღებილ კვერცხებს უცვლიდა.

გუტატამ ჩამოუარა გლეხებს და უნდოდა, თუ არ უნდოდა, მაინც ყველას გადაეხვია. ასევე უნდოდა ბანძლის მოქცეულიყო, მაგრამ ერთგან ფეხი წაატეხა: ობიშხიამ და გუდუიამ და ნახეს თუ არა მათკენ მიმავალი ბანძლი, პირი იბრუნეს და სულ სხვა მოშორებით მდგარ ჯგუფში შეერივნენ. ასევე მოიქცნენ მიქე და თადაც, მაგრამ უფრო მოხერხებულად, თითქოს მიქემ რაღაც წაართვა თადას და თადაც მას დასაქვრად გამოუდგა. ორივე ახალგაზრდები იყვნენ და მათგან ასეთი საქციელი არ იყო გასაკვირი. ამგვარად, ბანძლი, ცოტა არ იყოს, უნერხულ მღვდომარეობაში ჩავარდა, რადგან იცოდა დანარჩენ იქ მყოფთ შეუქმნეველი არ დარჩებოდათ მისდამი ზოგიერთისაგან ასეთი მოპყრობა. ამიტომ შეჩერდა: ვაი თუ სხვებმაც ტუჩი ამიბზუოსო, მაგრამ, აჯერ, დაინახა ეზოში განკერძოებით მდგარი ვამეხი, რომელიც უკვე გამხიარულებული სქემამაიას ეთამაშებოდა. ბანძლი თითქოს მის უარისმყოფელთა გამოსაჯარებლად გაეშურა მისკენ და ძველი ჩვეულებისამებრ, როგორც უფროსს, მკერდზე აკოცა. ამით მან დაუდასტურა სხვებს, ხედავთ რა კაცთან ვარ კარგად, თქვენ ვინა ყრიხართო! ვამეხისათვის მოულოდნელი იყო ასეთი იერიში და სამაგიეროდ არც უკოცნია და არც არაფერი უთქვამს, მხოლოდ ბანძლი მაინც ასე მოეფერა:

— შენ ყველასათვის კარგი პატრონი ხარ, გამხარებელი!

ვამებს გაეცინა, მაგრამ არც ამაზე უთქვამს რამე, მხოლოდ გულში გაიფიქრა: „რა გულდაწყვეტილია ეს კაცი აღამიანებზე, არავის სიკეთე არა სჯერა, რადგან არავინ არ ეპყრობა სიყვარულით. იმას კი ვერა გრძნობს, რომ თვითონ არის მიზეზი, ასე ამრეზით რომ ეპყრობიან. თუმცა ნამდვილი და ღრმა მიზეზი იმისა, რომ თვით ბანძი ასეთია, უფრო სხვაგან ძვეს—დღევანდელ ღუბჯირ სოციალურ და ეკონომიურ წესწყობილებებში“.

წირვა გამოვიდა, მზეც ამოვიდა, არემარე სრულიად განათდა და ეზოში კიდევ მეტი ყრიაშული ატყდა. ახლა უკვე „ქრისტე აღდგას“ საგალობელს მარტო მგალობლები კი არ გალობდნენ, არამედ ჯგუფჯგუფად სოფლელებიც, და ამ გუგუნით ოჯახებში მიემართებოდნენ. ამ დღით ნაწირვეს ჩვეულებრივ არ მართავდნენ არც ბურთაობას და არც ცეკვა-სიმღერას, რადგან ამისათვის საღამო იყო მიჩნეული „ობირეში“ და „ოსხაპუეში“ გასამართავად.¹

მხოლოდ ისე იყო მიღებული, რომ თავიანთ ოჯახებში კი არ ბრუნდებოდნენ ამჟამად, არამედ ერთიმეორეში გადადიოდნენ საველოგოდ და ერთიმეორის მისალოცად. არსად ამ დღით არ სადილობდნენ, ყველგან ცოტ-ცოტა უნდა ეგემათ. შემდეგ, საღამოსთვის კარგა მოლხენილი, ზოგი „გამობრუტულიც“ მიდიოდა ამოჩემებულ ალაგას, დაბლა, სოფლის შუაგულ, ეგრეთწოდებულ „ჯვემარიონზე“, იგი წარმოადგენდა კარგა ვრცელ მოედანს, სადაც შეიძლებოდა ბურთაობაც და სხვა გასართობების მოწყობა, მხოლოდ ქვეითთათვის, — აქ არ მართავდნენ არც ჯიჩითს ცხენებით, არც თარჩიას და არც მარულას. ეს უფრო შინაურული, ყოველ სოფელში თავთავისად, უფრო გლეხებისათვის განკეთენილი დღეობა იყო.

პირველად კი, რიგით და წესით, ევლოგიაზე ნექტარინას უნდა წვეოდნენ, მაგრამ ამას ყველა არ ეისურვებოდა, რადგან თვითონ რომ მისულიყვნენ, მათაც ხომ უნდა გადმოჰყოლოდა ჯგრო და ჯგარი სასახლიდან, ამის სამასპინძლო აბა ვის ჰქონდა, და ამიტომ ერილებოდნენ; გადასვლა ერთიმეორეშიაც მიღებული იყო, მაგრამ უფრო მახლობელ მეზობლებში გადადიოდნენ. ზოგი შეიძლება უფრო შორსაც წასულიყო.

ნექტარინასთან ახლაც მხოლოდ რამდენიმე ხანდაზმული და სოფელში ასეთე ისე საპატიოდ მიჩნეული გლეხი ავიდა: ობიშხია, გულდუია, სთეფანე, ხაჩუ, სესია, ანტო და მისთანანი. მაგრამ დიდხანს არ დარჩენილან. ერთი ორაიჭა დალიეს, ცხვრისა და ინდაურის ნაპრებით პირი ჩაიმტებარუნეს, ნექტარინას მიულოცეს დღესასწაული და გამოემშვიდობენ.

ნექტარინა თავზე აღვათ და ისინიც ზეზეულად საუზმობდნენ.

გლეხები კიდევ არ იყვნენ წასული, რომ თანდათანობით მოვიდნენ სხვა სტუმრები, უფრო აზნაურებიდან. აქ იყვნენ საბაბტარიშვილები, ბარკალაიები, შავდიები, ქუჩულორიები, ბოკუჩაიები, ჩახაეები, გობეჩიები და სხვ.

ამათი მოსვლის დროს ნექტარინას მეთაურობით გვირგვინიანებიც მოუსხდნენ სუფრას თავიანთი სტუმრებით.

ბარამმა პირველმა აიმაღლა ხმა და პირველი ჰიჭა დაილოცა „ქრისტე აღდგათი“. ეს იყო პირველი საერთო სადღეგრძელო, რაც ჩამოლოცვას უდრიდა, და ამას მოჰყვა უკვე სიმღერა საერო პანგზე გაწყობილი ისევ და ისევ „ქრისტე აღდგასი“. ამ სადღეგრძელოს კი მოჰყვა საერთო მილოცვა და კოცნა მამაკაცებისა და სადღეგრძელოს სმა. ეს რომ მოთავდა, წამოდგა ვოლკოვი და მოითხოვა, რომ ქალებიც გადაეკოცნათ, რუსეთში ეს მიღებული გვაქვსო. უცხოელებმა ეს რომ გაიგეს, ჩაიცივნეს და თვალები გაუბრწყინდათ. ნექტარინა და ბარონესა მხოლოდ სათნოდ

¹ ობირეში ოსხაპუეში — ხსიომღერო საცეკვაო ადგილი.

ილიმბოდნენ. დაგმარა ჩვეულებისა-
მებრ გაცბუნებული იყო და თოლის-
ქვამაც შეშფოთებული. აქვე იყვნენ კე-
სარია და დესი, რომლებიც ძილხანთან
და სხვა გოგოებთან ერთად სუფრას ემ-
სახურებოდნენ და ვოლკოვის წინადა-
დება რომ გაიგეს, ოდნავ შეჰკოვლეს:
„უიმი, ღმერთო მომკალიო!“ მაგრამ
საერთოდ მოლოდინის წუთი კი დადგა.

ამ დროს ვამეხმა აუხსნა სტუმრებს,
რომ ეს არ არის ჩვენში მიღებულიო,
და ჩვენი ქალები უთუოდ იმიტომ არი-
ან გაკეცივებულნი.

მაგრამ უცრად რიბინინა მოსწყდა
თავის სკამს და ვამეხისკენ გაექანა, თან
დააყოლა:

— Ну чорт с ним Я всех пере-
целую!

და მართლაც გადაკოცნა ყველა იქ
მყოფი მამაკაცი, დაწყებული ვამეხიდან
და გათავებული მოხდენილი ხელზე მო-
სამსახურე ბიჭით, რომელიც ყურებამ-
დე გააწითლა, რითაც გამოიწვია საერ-
თო სიცილი.

ამ დროს არც ვოლკოვი დაცხრა, გა-
ნაცხადა:

— Я тоже последую вашему при-
меру Марина Ивановна! — და გადა-
კოცნა კესარია, რომელიც ამჟამად თავს
აღდა და თითქოს საგანგებოდ, მას რა-
ღაც საკმეღს აწოდებდა.

ამან ვერ დატოვა მაინცადამაინც
კარგი შთაბეჭდილება, მაგრამ ამის გა-
საქარწყლებლად წამოდგა ბარამი და
ძილხანს გადაეხვია. ამან კი ასტეხა სა-
ერთო ღრიანცელი. მხოლოდ ღრიანცე-
ლი დაჟვარა ახლადშემოსულის, ჰალა-
რანშერთულის მწყაზარი ჩოხოსანის შე-
ძახილმა.

— ჩემს ძმებს ვახლავართ, ჩემს
ძმებს... კნენინა ნექტარინა!.. „ქრისტე
აღდა!“ — შესიძაბა მან საერთოდ ყვე-
ლას, რაზედაც გაისმა სტუმრების გარ-
და მამაკაცების შეძახილი:

— ოო, ეკოციმილი მოვიდა, ეკოცი-
მილი!

ეტყობოდა, „ეკოციმილი“ მოსვლამ
გამხიარულა გვირგვილიანები და შე-
აწყვეტინა ადგილობრივი ქალებისთვის
მიუღებელი მამაკაცების ქრცხსქრცხს

„ეკოციმილი“ გვირგვილიანი იყო,
მაგრამ ბერთემში არ ესახლა, სადღაც
ლენხუმისკენ იყო მისი წინაპარი და-
სახლებული და ეს სახელიც მას შერქ-
მეული ჰქონდა, თორემ ოფიციალურად
ერქვა სამეგრელოში დიდად იშვიათი
ევგრაფის სახელი. თავის მოგვარებში
არც თუ ისე ხშირად დაიარებოდა, მა-
გრამ მისი მოსვლა ყოველთვის სასია-
მოვნო იყო ყველასათვის. თვით კნენინა
ნექტარინაც კი ვუღლიად ხვდებოდა,
რადგან ბუნებით მხიარული კაცი იყო
ეკოციმილი, მიუხედავად იმისა, რომ
ერთ დროს დიდი ტრაგედია ჰქონდა
განცდილი, იყო მოშაირე, ძველებურად
ანდაზების და გამოცანების მთქმელი,
კარგი მოცეკვავე და საუცხოო მომღე-
რალი.

ახლაც მოსვლისთანავე მისალმ-ბის
და სადღესასწაულო კონცხვეენის შემ-
დეგ მაშინვე დასძაბა საერო ჰანგათ
„ქრისტე აღდა“ და შემდეგ ბარამს მი-
მართა:

— როგორა ხარ, გენაცვალე, ბარამ!
ხომ ისევ ისე ხარ: „ქვაცა გაქვს და კა-
კალიც“. მე კი რა ღმერთი მიწყრება!
როცა „თავის ადგილასა ვარ, ქვასავით
მძიმე ვარ, როცა დავიძვრები, დავმსუ-
ბუქდები“...

ამას მოჰყვა საერთო სიცილი. სი-
ცილში უცხოელებმაც მიიღეს მონაწი-
ლეობა, რადგანაც ვამეხმა სტუმრებს
გადაუთარგმნა ნათქვამი და გაკვრით
გააცნო ამ კაცის ხასიათი.

ეკოციმილი არა ცხრებოდა, ახლა ვა-
მებს მიუბრუნდა:

— აბა, ვამებს, შენს გაზრდას, ეს ამი-
ხსენი...

— დაიღუპე იქით! — სიცილით მია-
ძაბა ვამეხმა — რა დროს ჩემი გაზრ-
დაა?

— არა, ასე ითქმის... შენ მაგას დაე-
ბოხოვე, ეს ამისენი!

„ბაღაშაია ვადიხედუე, ხილნარი დგა, ისი მინდა,
მარვალიტად ჩაწყობილი, ჯილოსანი, ისი მინდა,
მრავალფერი კაბა ეცვა ვასაბდელი, ისი მინდა,
უნც რომ ამას გამოიცნობს, შეცნიერად ისი
მინდა...“

ეს შაირი — გამოცანა ეკოციმილმა
მამინდელ ჩვეულებებისამებრ, ისე რო-
გორც „ვეფხისტყაოსნის“ შაირებს კით-
ხულობდნენ ხოლმე, შემღერებით წარ-
მოთქვა და ვამეხს მიაჩერდა. ვამეხს გა-
ეცინა და ასე უთხრა:

— კაცო, რა ბავშვი მე მნახე, რომ
ასეთი გამოაშკარავებული გამოცანა
ვერ გამოვიცნო! აარა, შენ გაზრდასო
კი მითხარი, მაგრამ ასეთ გამოცანისათ-
თვის მაინც უკვე საკმაოდ გაზრდილი
ვარ, და როგორ ვერ მივხედებოდი,
„ისი მინდაო“, რომ ასე კოხივით დამა-
ყარე. ამდენი სიმინდი, მგონი, სასიმინ-
დეშაი არ გიწყეია...

ატყდა ხარხარი, მაგრამ ეკოციმილმა
ფაღარი არ დადრკია:

— ვაიმე, ღმერთო მომკალი, ბერთე-
მელი თავადლეკა დამცინის სუხჩელ დიდ
გვირგვილიანს! ჩემი სასიმინდეები გატ-
კიციანებულია სიმინდით წლიდან წლამ-
დე... ხომ გაგიგონიათ: „ძველი ბური,
ძველი ღვინო წლით წლობამდის გამ-
ყოლიაო!“ ისეა ჩემი საქმე...

— ოჰ, ოჰ, ახლა ნამეტანი ტრაბახს
კი ნუ მოჰყვები! — მეგობრულად შეუ-
ტია ბარამმა. ეკოციმილმა გადაიხარხა-
რა და სულ სხვა კილოთი წარმოთქვა:

— აბა რა ექნა? არც მქონდეს და
არც ვიტრაბახო?...

— უი, შენ მოუკვდი შენს პატ-
რონს! — სიცილით შეუტია ნექტარი-
ნამაც.

და შეიქნა კვლავ საერთო სიცილი
და ჟრიაშული. უცხოელებმა შენიშნეს
რომ ეკოციმილმა დაიპყრო ყველა იქ
მყოფის ყურადღება, ის შეიქნა სუფ-

რის სული და გული. ეკოციმილი გან-
გრძობდა თავის ოხუნჯობას.

— ვამეხსა დამიწუნა მემო გამოცანა,
ნამეტანი აშკარააო, მაგრამ მამა ამას
თუ გამოიცნობთ? მღვდელი! ეს საშე-
ნაო!

თედორე შეიშმუშნა და უთხრა:

— წყეული, წყეული! შენ კარგს
არაფერს მეტყვი.

— არა, შენი მადლი არ გამიწყრეს!
აბა რა არის?

„ლაზარმან რკინისამან, ნაყოფმა ხისამან,
ასომან ხარისამან, ლერწამმა ჩალისამან,
კაცი მართალი შეაწუხა“...

— ოო, ეს კი რაღაცა ძნელი გამო-
ცანაა! — წარმოთქვა ბარამმა, — რას
იტყვი, ხუცესო?

ხუცესი ჩუმად იყო. საქციელწამხდა-
რიებით ილიმებოდა.

— ვერ მიხვდა, ვერა, — ხრილებდა
ეკოციმილი. — ჰა, ჰა ისევ მე გეტყვი:
ქრისტეს წამებაა, ანაფორიანო, ეს კი
უნდა იცოდე. აბა ახლა, ბეგი, შენ
გეტყვი...

ამ დროს ბარამი წამოდგა:

— კარგია ახლა, გვეყოფა, თორემ
მაგას რომ ვუყუროთ, აქ დაგვალაქები-
ნებს და ჩვენ კი სხვა ოჯახები არ შე-
მოგვევლია...

— არა, ბარამ, გენაცვალე! ერთს
ვეტყვი ბეგის, უეტი არაფერი „იკომა-
კური, სალაფერდუმი, გოქკანტური“ რა
არის?

— უი, შენ კი დაიღუპე! გოქკანტუ-
რიც ხარ და კიდევ უარესიც.

— რად გეწყინა, ბეგი, შენი ჭირიმე!
შენ რომ გიყვარს, ის არის: თოფი და
მისი ჩახმახი.

ნექტარინა წამოდგა:

— ყმაწვილებო! ჩემი მაზლი ბარამი
მართალია... ევლოგიაზე სხვაგანაც უნ-
და წაბრძანოეთ, ასეთია წესი. დღეს ხომ
არსად, გამწვერად არ სადილობენ და
თქვენც ასე უნდა მოიქცეთ მხოლოდ
ვახშმად კი დღეს ჩემთან უნდა მობრ-

ძანდეთ ყველანი, რადგანაც ჩვენს ოჯახს დღეს, აღდგომის გარდა, სხვა სასიხარულოც აქვს. დღეს ნიშნობა მექნება: თოლისქვაში ინიშნება ლევარსი კვიზინიასაგან და ამისი ცალკე მზადება არა მაქვს, მაგრამ აღდგომის ევლოგიას ამაღამ ნიშნობაც რომ მოვაყოლოთ, მე მგონი, ურიგობა არ იქნება.

ზოგმა, როგორც ვიცით, იცოდა ეს ამბავი, უმეტესობისათვის კი მოულოდნელი იყო, და ახლა ამაზე შეიქნა ხრიბაღი.

ეკოციმილი კი ერთი კომიკურად შეხტა და შეტრიალდა და შემდეგ შიშართა თოლისქვამს და ლევარსის.

— ქალი მორცხვი,
ყვი ხასი,
ახლა ვიცი
თქვენი ფასი!

სუფრიდან ყველა აიშალა და წასასვლელად მოემზადნენ, — უცხოელები და ვოლკოვიც კი, რომელთაც ბარამმა და ვამეხმა შესთხოვეს, მათთან მაინც წასულიყვნენ და სხვა მუზობლებში აღარ შეაწუხებდნენ.

რიაბინინამაც პოინდომა წასვლა, მაგრამ ნექტარინამ შეაჩერა, აუხსნა — აქ მიღებული არ იყო დღესასწაულის პირველ დღეს ქალებისაგან დარბაზობა. საღამოს კი, თუ მოისურვებთ ქალები, წადით ჯგემარიონზე, ვაყებიც გეახლებიან და სოფლელების ცეკვა-თამაშს უყურეთო. ამაზე შეთანხმდნენ.

ამასობაში ვამეხმა სქვამაია მოიკითხა. მისი წამოყვანილი იყო და ერთხანს ამჩნევდა, რომ ბარონესა და სხვა ქალები ეფერებოდნენ, სხვადასხვა სანოვაგესაც უკითხავდნენ და ისიც ილუქმებოდა, მაგრამ შემდეგ თვალი ვეღარ მიაყოლა.

ბავშვმა მოიარა ყველა ოთახი და, რაც კი რამ შეიმჩნია, მისთვის უცხო ხელმისაწვდომს, ყველაჯერს ხელი შეახო, სხვებს კი თვალები შეამტერა

და დიდხანს იდგა მათ წინაშე გაყვრებულნი. მხოლოდ ყველაზე უფრო დარბაზში ჩამოკიდებულმა დიდმა სარკემ მიიპყრო მისი ყურადღება, რადგანაც ასე სრულად, თავით ფეხებამდე თავისთავი ჯერ არ ენახა. დედამისისა და ვამეხის პატარა დასაკეც სარკეში მხოლოდ სახე-პირს უყურებდა, აქ კი მოხიბლა მისმა თავის დანახვამ. ვამეხმა მიავნო და წასაყვანად ხელი მოკიბდა. სქვამაია კი ექყლოპანებოდა და უკან იხედებოდა სარკისაკენ, თან კისკისით ეუბნებოდა: „მე ვარ, მე ვარო!“ — თითქოს გააგებინა, რომ ვიცი, სარკემ ჩემი თავი მაჩვენაო. ამ დროს იეროთეოსი დანახა და სახე მოედღუშა. როგორც იყო, აუხსნა ვამეხს:

— ძალიან მაწვალა, შენი ნაჩუქარი ბროლის კვერცი კინალამ წამართვა. მხოლოდ — ძილხანზე ანიშნა, — ამან დამიბრუნა. — ვამეხი აივანზე ხელის გადასმით კვლავ მოეფერა გაემართნენ სხვებთან ერთად.

სხვები მიდიოდნენ სიმღერით. აქაც ეკოციმილი იყო გამყივარი, მაგრამ უეცრად შემობრუნდა და ორ უცხოელს მკლავი მკლავში გაუყარა. რუსული ცოტა ეხერხებოდა და შეეკითხა, თუ როგორ მოსწონთ აქაურობა? აღდგომას იქაც იმათში დღესასწაულობენ თუ არა, როდესაც დაუდასტურეს, ფართოდ გაიცინა და ასე უთხრა:

— პოდა, თქვენ რომ ვიზიტს ეძახით, ჩვენც ახლა ვიზიტს გავუყეთებთ მეზობლებსო.

უცხოელებიც აპყვენენ ხუმრობაში. გაიძახოდნენ:

— დიახ, დიახ... ვიზიტ... ვიზიტ!

უეცრად ეკოციმილმა ორავე უცხოელი შეაჩერა, და თითქოს გულმა ვერ მოუთმინაო, ერთი ქართული გამოცანის ასხნა ამათაც მოსთხოვა; თან დაურთო, რომ ის, რასაც გამოცანა შეეხებოდა, უცხოელებს უთუოდ ძალზე უყვართ.

— ასეთი გამოცანაა, — ქილიკობდა ეკომიცილი, — შეიძლება რუსულად მე კარგად ვერ გადაგითარგმნოთ, მაგრამ აზრს გაავაგებინებთო. ქართულად ასეთია: „ქვეყანას გადაწვდება, ჭურის პირს არაო“.

უცხოელებმა ბევრი იცინეს, რომ ეს თურმე ფული იყო და სიმბავილე იგრძნეს ამ გამოცანისა.

ეკომიცილი მაინც ეოხუნჯებოდათ:

— აი, ხომ ხედავთ, თქვენი ფული სად მოსწვდა, სადღაც თქვენთვის გადაკარგულ მხარეს, სამეგრელოში, მხოლოდ ჩვენს პატარა ჭურის თავს კი ვერ გადააფარებთ. თქვენს სტერლინგებს თუ პო... თქვენ, მგონი, ფრანკები გაქვთ და ლუიდორები. მე არც ერთი არა მქონია, მაგრამ გამოვივა კი მათი არსებობა... მაინც რამდენნაირია ფული ქვეყანაზე?

ამაზედაც ბევრი იცინეს უცხოელებმა და ცდილობდნენ ეკომიცილისათვის გაეზეპირებინათ ევროპული ფულის ნიშნების სახელები.

უცხოელებმა „ვიზიტი“ გაუკეთეს ბარამს, ვამესს და შემდეგ გლეხებში სხეებს აღარ გაჰყოლიან. ისევ ნექტარინასას დაბრუნდნენ, მათვე, გამოჰყვა ლევარსი და ბეგი, რომლებიც მოეშურებოდნენ, რომ სალამოსთვის ქალები წაეყვანათ სოფლის „ობირეშში“.

ქზ

მართლაც, შესაღამოვდა თუ არა, ნექტარინას გარდა, ქალები, ძილხანი და დესიცი კი წავიდნენ ჯგემარიონზე.

იქ უკვე თავი მოეყარათ სოფლებს და ჩვეულებისამებრ ზოგი ბურთაობდა, ზოგი ერთ კარგა მოზრდილ წრეში საცეკვაოს მღეროდა, დიარას უკრავდა, ცეკვავდა და მხიარულობდა.

მალე ვამეხი მოვიდა და პირველ ხანებში მოზურთალებში გაერია. ეს რომ დაინახეს ხანდაზმულმა გლეხებმა, დასცეს ყიფინა და ახალი ბურთაობა გა-

ჩაღეს. „არჩევან-არადანში“ ერთი მხრით უცოლშვილოები დადგნენ და მეორე მხრით ცოლიანები, მათე მღერის გაჩაღდა შეჯიბრება ღებღებებში. მათვე ვედ იყო ახალგაზრდობა, მაგრამ ვამეხის მეთაურობით არც ცოლშვილიანები უთმობდნენ პირველობას. ასე რომ საქმე გაჭირდა, ორთავ მხრივ დაძაბული მღღომაჩეობა შეიქნა. სერთუკვავახილი ვამეხი ბუროს ჩაიგდებდა ხელში თუ არა, უტყუარად აგზავნიდა მოწინააღმდეგის ლელოზე, მაგრამ საპასუხოდ ახალგაზრდებსაც გაქონდათ ლელო ვამეხის წრის წინააღმდეგ.

ამასობაში მოცეკვავეთა წრეში თითქმის მოთავდა მოცეკვავეთა ალო. ათამაშეს თითქმის ყველა ახალგაზრდა ქალვავი. დარჩა მხოლოდ მიქე და ჩელა, მაგრამ ისინი მგლოვიარედ იყვნენ და ხალხის ერიდებოდა, თორემ მაგალითად ობიშხიამ, მიქეს შეატყო, რომ გულით უნდოდა ცეკვა. მიუხელოვდა და ასე დაუყვავა:

— იცეკვე, ბაბაია, იცეკვე! მგლოვიარობა გეყოფა, კარგა ხანია კიდეც, რაც მამა გარდაგეცვალა... მისი ხანი შენ შეგმატებოდეს, შეილო! იცეკვე! ახალგაზრდამ გული არ უნდა დაიჩაგროს... პო, იცეკვე! დასაძრახისი აქ არაფერია...

მიქე ცოტა ხანს კიდეც ყოყმანობდა, მაგრამ როდესაც შესძახეს მისმა ტოლებმაც, მაშინ კი გავიდა წრეში.

ამის დანახვაზე ჩელა შეკრთა, მაგრამ როდესაც მიქემ გაიწვია სათამაშოდ, მის სახეს გაკვირვება ჩამოშორდა და თამამად გაჰყვა. უცხოელებმა შეამჩნიეს, რომ მიქე და ჩელას ცეკვა არ იყო ისე აღტყინებული. აქ თითქოს სავალდებულო რასმე ასრულებდნენ ორივენი ზუსტიად, წესიერად, არაფერს აკლებდნენ, მაგრამ როგორღაც ცეცხლი მაინც აკლდათ. და-ამამ ვერ გამოხატა სამოჯნურო ექსტაზი. მიუხედავად ამისა, ჩელას ცეკვამ ბარონესას ყურა-

დღეა დაიმსახურა და, ბარონესას როდესაც ჩელამ თავისი ვალი მოიხადა, თავისთან დაუძახა და თავზე აკოცა. მიქე და ჩელას შემდეგ კი შმაგვიით გამოვარდა ობიშხიას თადა და ვილასაც მოუთმენლად დაუწყო თვალით ძებნა. მიაგნო. დესი ქალების ჯგუფში ცოტა უკან იდგა და თადამ რომ გამოსაწვევდ თავი დაუკრა, დიდხანს იუარა, მაგრამ იქვე მყოფმა ქალებმა არ დაუჯერეს და საცეკვაოდ გააგდეს. დესი მაღალი იყო, ტანადი, სახიერი და მართლა მოუხდა ხელებგაშლილი ჩამოვლა და გოგმანი. თადა კი მის გარშემო ტრიალებდა და თავდაუზოგავად ფეხს უსვამდა, „სარეცხულს“ აკეთებდა. დესი კი თითქოს გაურბოდა ვაეს, თითქოს გაფრენას აპირებდნო. მთელი მისი აღნაგობა თითქოს ამბობდა: ვერა, ვერ დამიქერ. ხელში არ ჩაგვიარდებო. მაინცდამაინც ამათაც ხალხის მოწონება დაიმსახურეს, მათ შემდეგ ბეგიმ ლევარსი გამოიყენა ასპარეზზე. ლევარსიმ ცეკვა არ იცოდა, მაგრამ მაინც წაიჩინდრკა და თოლისქვაში გამოიწვია. აქ კი თოლისქვაში დიდ უარზე დადგა. უარის მიზეზი უფრო ის იყო, რომ საერთოდ ლევარსი არ მოსდიოდა თვალში და ახლა კიდევ უფრო არ მოეწონა. აი, უყურებს და რასა ჰგავს ეს ლევარსი?

— წითური, წვრილთვალეა... უწამწამო. სად მინახავს ასეთი თვალები?.. ჰო, ჩვენი ღორისათვის შემიმჩნევია... ტანში გააფრეოლა—ან რა მოყვანილია, მოკლე ფეხებიანი, ჩაბუყნული ტანის, წელი და მხარბეჭი ერთნაირად რომ აქვს შერგვალეებული და მუცელი წინ გამოწეული. ეს სქელი წითელი უღვაშებიც ჯაგარს რომ მიუგავს, როგორ დაბალზე შეუქრეჭია, მაგრამ ლაშებს მაინც უხეიროდ გადმოფენია. ან როგორ აცვია? შავი კასტორის, მაულის ჩოხა, ჩვენებური, მეგრული შალის კი

არა, ტანს რომ კოხტად ადგება, სკილეებიც რა მაღალზე აქვს განიწმლი და შიგ ვერცხლის მოოქვრილი ქილებიც რომ უწყვია.. არ შეენის, არა! ეს კიდევ რააა? შარვალი ჩამოშვებული ჰქონია და „პოლსაბოკები“ აცვია... ამას პირველად ხედავს... აქამდე არც დაკვირვებია ასე გულდასმით. გაგონილი კი ჰქონდა, რომ მეგრელი ვაქრები ხშირად ასე იყენენ გამოწყობილი: ჩოხა-ახალუხი, ქამარ-ხანჯალი და ჩაშვებული შარვალი, თან თავზე კილოფის „შლაბა“, ან „კიზიროკიანი“ ქული, ქული — აბარწამი¹ ლევარსის ამ ეამად არ ახურავს და მოუჩანს კარგა ძალზე მელოტი წითელ-ბალნით გარშემოსხდული თავი. მხოლოდ, ღმერთო, როგორ ცეკვავს? ცეკვავს, კი არა, „დაჯლაგუნობს“. ვერც სიმღერის და დაირის რიტმისათვის აუყოლებია ფეხი, სიმღერა და ხალხის ტაში ცალკეა, ამისი ხტუნვა კიდევ ცალკეა, ვაი სირცხვილო! ხანჯალიც რომ ჩოხის კალთაში შევარდნია. ეს განა შეიძლება? არა, არა, მაგასთან არ იცეკვებს თოლისქვაში. იცეკვებს კი არა, არც დაინიშნება ამალამ არც ცოლად გაჰყვება. ეს რა გამოიგონა ქალბატონმა... სულ არ ყვარებია ნექტარინას თოლისქვაში, თუ ასეა...

მტკიცე უარზე დადგა გოგონა და ცეკვის უცოდინარობა მოიმიზეზა.

მოეშენენ, მაგრამ ფიჭრები არ მოეშვა თოლისქვამს:

— რა ქნას? ჩაშალოს ნიშნობა? უარი თქვას გათხოვებაზე? მერე, მერე, სხვა გამოსავალი სად არის? ტაია! — ერთი გაიღევა ამ სახელმა მის შეგნებაში, მაგრამ ეს იყო მართლა გაელეება. უეცრად ჩამოვარდა სრული სიბნელე და თოლისქვაში თითქოს სრულიად მიიკუნჭა თავისთავში.

სამაგიეროდ, ბეგი ასპარეზზე ყელ-მოღერებულ ირემივით გამოიჭრა და

¹ ქული — აბარწამი — ერლოიანი ქული.

თავის ახალ, მოსირმულ წულა-მესტე-
ბით წრეს ჩამოუქროლა.

ამ დროს დესიმ მედაირეს ჩამოარ-
თვა დაირა და ისეთი „რუხებით“ ააგ-
რიალა, რომ იტყვიან, „მკვდარსაც
ააცეკვებდაო“. დესიმ, ცხადია, ეს ბე-
ვის სახალისოდ ჩაიდინა.

რიაბინინას მოცეკვავე ბეგის დანახ-
ვაზე თვალები გაუბრწყინდა და დაგმა-
რას წასჩურჩულა:

— უთუოდ დემონს ასეთი ფეხსამო-
სი ეცვა, როცა თამაზს ეპარებოდა...

— რაო, რა თქვი? — შეეკითხა დაგ-
მარა, მაგრამ რიაბინინას პასუხი არ და-
ცლია ბეგიმ საცეკვაოდ გამოიწვია.

რიაბინინამ ქართული ცეკვა არ იცო-
და, მაგრამ ბუნებით მუსიკალური ადა-
მიანი იყო, საცეკვაოს რიტმი კარგად
ესმოდა და წარბი არ შეუხრია, ისე გა-
ჰყვა გამომწვევს.

არაფერი არ შეშლია. მკლავებიც ისე
მოხდენილად გაშალა, როგორც ეს წე-
ლან დესის შენიშნა, გოგმანიც კობტა
გამოუვიდა, მეგრულ საცეკვაო სიმღე-
რას და ეშხის მომგვრელ დესის დაირას
ფეხი მშვენივრად გააყოლა და სახე ისე
დაიკავა, თითქოს ვაჟს მართლა იწვევს
თავისთვის მოსახლოვებლადო. შემდეგ
თითქოს გაებუტა ვაჟს და ასპარეზს
გაეცალა, მაგრამ როდესაც ვაჟი მის
წინ დადგა და ფეხებით თითქოს თავის
გრძნობები აათამაშა, ისევ გაჰყვა მიჯ-
ნურს და ხელის მტევნით შერიგების
ნიშანი მისცა, მხოლოდ ახლა თითქოს
ვაჟი დარჩა რაღაცით უკმაყოფილო, და
შედგა ერთ ალაგას. ამ დროს რიაბინი-
ნამ ერთი წარმტაცად ჩამოუქროლა,
შემდეგ შორიდან დაუწყო მიახლოება
და თითქოს მართლა მოცურავსო, ასე-
თი მოგვლევებით ვაჟის პირისპირ დად-
გა და მიმზიდველი ტანის რხევით, თან
სახის უცნაური მიმიკით, ვაჟი ძალიან
თავისკენ გაიწვია. დაიცვა ცეკვის ფო-
ნალის წესიც: გაჰყვა-გამოჰყვა კვა-
ლერს, ბოლოს თავის დაკვრით გამო-

ეთხოვა ბეგის და სიცილ-კისკისით და-
შურა თავისიანებს.

უცხოელებმა ერთიმეორეს უკმაყოფილ-
პარაკეს, რომ ეს უფრო რაფინირებუ-
ლი შესრულებაა აქაური მართლა შესა-
ნიშნავი საცეკვაოსიო. და მართლაც, ეს
იყო თითქოს ვინმე ვირტუოზის მიერ
თავისებურად გამშვენიერებული ხალ-
ხური როკვა. უცხოელებმა ტაში დაუკ-
რეს და მათ აჰყვა ყველა წრეში მყო-
ფი. სოფლელებს უეკირდათ რუსი ქა-
ლის ასეთი მოხერხებულობა, მაგრამ
გამოცდილები ამბობდნენ: განათლებუ-
ლი ქალია და განათლებულს რა არ
შეუძლიაო.

— ვამეხ, სად ხარ? მოდი აქ, შე კა-
ცო! — გადასძახა ბარონესამ. ვამეხი
მობურთალებში იდგა, დალილობისა-
გან ოფლს იწმენდა, სხეებთან ერთად
ხარხარებდა. დამახილზე წამოვიდა.

— დაიღალე, ვამეხ?

— ჰო, თავი მოვიფიციანე. ჩემი ახალ-
გაზრდობა გამახსენდა. ჩემს სიყმაწვი-
ლეში რამდენჯერ მიბურთავია სწო-
რედ მაგათთან...

— შერმე და გაიმარჯვე? — კვლავ
შეეკითხა ბარონესა.

— არა, ახალგაზრდებმა, უცოლოებ-
მა გვაჯობეს... მე თუმცა უცოლო ვარ,
მაგრამ ხანდაზმულობის გამო ძველ მე-
გობრებს არ ვაწყენინე და ცოლშვი-
ლიანებში გავერიე, მაგრამ ახალგაზრ-
დებმა გვაჯობეს, თუმცა... ძალზე კი
გავეუქირეთ საქმე.

— არ დაგვრილოს, ნოფლარი ხარ...

— არა, არაფერი! — გაიხედა. თვა-
ლი ჯგემარიონს მოუხედა. უცბად წარ-
მოთქვა: — არ გინდათ, მინადორა, ჯგე-
მარიონი დაათვალიეროთ?

— მართლა, მართლა, კარგი იქნება.
რამდენჯერ ვყოფილვარ აქ თქვენთან
და არც ერთხელ არ დამითვალიერებია.
გოგოებო, — მიმართა თავისიანებს, —
წავიდეთ, ვნახოთ ჯგემარიონი.

არცთუ ისე შორს იყო ჯგემარბონის ნანგრევები და გაემართნენ კიდევაც. ლევარსი და ბეგიც ვამეხის ჯგუფს გაჰყვა.

გზაში ვამეხი უამბობდა. რომ ეს ძველისძველი ტაძარია კერპ-თაყვანისმცემლობიდან შემორჩენილი, ერთ დროს ქრისტიანულ ეკლესიადაც გადაუკეთებიათ, რისი აღმნიშვნელი წარწერა ახლაც მოჩანს ერთ-ერთი კარების კამარაზე: „მე ვარნაზ ჯაიანმა ავაგე ტაძარი ესე“... მაგრამ ნანგრევებში სხვა არაფერი საეკლესიო აღარ არის შერჩენილი... ნუ გეშინიათ, წამობრძანდით, აქ ქვეშრომები აღარ ბუღობენ... მე აქ სულ გამოვაკაფვინე ეკოლ-ბურღი და მთელი ნანგრევების დათვალიერება ადვილად შეიძლება. ეს ეკვდერია, ეს ტრაპეზი, ქვისგან აგებული... — ხალისით უხსნიდა ვამეხი გამყოლებს. — მხოლოდ აი, ეს დიდი ფილაქანი, ტაძრის შუაგულ რომ არის შერჩენილი, ეს ძველი სამსხვერპლო ყოფილა... წინათ ხომ ადამიანებსაც სწირავდნენ მსხვერპლად... დააწვენდნენ ამ ფილაქანზე და...

— ოჰ, კლავდნენ? — და ცნობისმოყვარეობით თვალი შეავლო ფილაქანს რიაბინინამ.

— რასაკვირველია.

— საქართველოშიაც ადამიანებს მსხვერპლად სწირავდნენ? — ახლა ბარონესა შეეკითხა ვამეხს.

— ამას დანამდვილებით ვერ გეტყვით. მე ისტორიკოსი არა ვარ... ჩვენი მეცნიერები კი სხვადასხვა აზრისანი არიან. ერთი კი ცხადია: ეს ფილაქანი სამსხვერპლოდ იყო განკუთვნილი და, თუ ადამიანებს, არა საქონელს მაინც სწირავდნენ თავიანთ ღმერთებს.

რიაბინინამ გადაიკისკისა. გაახსენდა თხის მეგრული სახელი:

— ჭაყარი! — მეგობრულად გაიხუმრა მან და ყველანი გააცინა.

კარგა შებინდებამდე დაჰყვეს ნანგრევებზე, რადგან ვამეხის ნაამბობი მათ დიდხანს ართობდა.

ამაზე ნაღელიანად შენიშნა ბარონესამ:

— რა გამოვიდა მერე? ეტყობა რომ საქართველო მხოლოდ წარსულის მოგონებით ცხოვრობს.. იტალიას მაგონებს ჩვენი ქვეყანა. იქაც მხოლოდ ნანგრევებითა და წარსულით ამყოფებენ.

— ჰა, ჰა! მათი გამოგონილი არ არის ბატების ნათქვამი, რომ მათმა წინაპრებმა რომი იხსნეს?.. მაგრამ არა, მინადორა, არა! ჩვენს ქვეყანას დიდი მომავალი აქვს.

ამაზე შეწყდა მათი საუბარი. დაბრუნებულზე კი შეამჩნიეს, რომ ნექტარინას ეზოს ჭადრის ძირში ღრმად ჩაფიჭრებული იჯდა ეკოციმილი.

ყველას გაუკვირდა ეკოციმილის ასეთი მდგომარეობა. მაგრამ ვამეხმა აუხსენა, რომ ზშირად იცის ასე: მზიარულობს, მზიარულობს, სხვებსაც ამზიარულებს, მღერის. ცეკვავს, ლაზლანდარობს და უეცრად კი საოცრად მოიწყენს და ისე გარინდდება, რომ ვერაფერს და ველარავის ვერ ამჩნევს. ეს კი სულ იმის ბრალია, რომ ერთ დროს, ამ რამდენიმე წლის წინათ, საშინელი ტრაგედია გადახდა...

სოხოვეს და ვამეხიც მოუყვა ეკოციმილის ამბავს.

სულ დაღამდა და სტუმრებმა იწყეს მოსვლა ნექტარინასას. აკი თოლისქვამის და ლევარსის ნიშნობაზე იყენენ მოპატარებულნი. თითქმის ყველა შეგროვდა, მხოლოდ მოძებნეს და რიაბინინა და ბეგი ვერსად ნახეს. ბარონესამ კი ასე განმარტა:

— სადმე ჩამოგვრჩებოდნენ და მარინა ახლა უთუოდ კნიაზ ბეგის რომელიმე ფრანგული რომანის შინაარსს უამბობს: ნელა მოსივრობენ, უთუოდ მალე მოვლენო.

ბეგი და რიაზინინა მართლაც მოსერირობდნენ სახლისაკენ. ქალი ისე მიყრდნობოდა თავით ბეგის გულ-მკერდს, თითქოს მოგადობებოდა. ბეგის გარდა მას ახლა არაფერი არ სურდა, არავინ არ უნდოდა. მწვევე ტბილი ერუანტელი უელიდა ტანში, მაგრამ გონება მაინც არ დაჰკარგოდა. ბეგის მტკიცედ ეუბნებოდა:

— ახლა კი სწორედ ცოლად უნდა შემირთო... სხვა გზა არ არის!

— რასაკვირველია, რასაკვირველია, ჩემო კარგო, ჩემო მარინა! აკი გითხარი, შემოგფიცე... მარიკა... მარი! — და ვაჟმა ერთხელ კიდევ მაგრად მიიკრა თავის გულმკერდზე აღფრთოვანებული რიაზინინა.

ასე ჩახვეულმა ერთი ცბიერად ახედა ბეგის სახეს, შეჰლიმა და ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა:

— ჯგემარიონი ა? ბეგლიარ... ბეგი!... იმიერიდან... ჩემთვის დაუეწიყარია... ეგ ადგილი... ჰა, ჰა! ფილაქანი! სამსხვერპლო! ქაცარი! მე შენი ქაცარი ვარ... სიყვარულის სამსხვერპლოზე შეწირული არა, ბეგი, ჩემო, ჩემო?

— ქაცარი კი არა, ჩემი ღეთაება ხარ, გენაცვალოს ჩემი თავი!

— მაშ ასე! — რიაზინინა ცოტაზე ჩამოშორდა ბეგის, მაგრამ მაინც მის ყელზე მკლავებშემოჭდობილი, ახლა ასე უხუმრად ელაპარაკებოდა: — აი, მივალთ თუ არა, ჩვენ ორივემ, უწინარეს ყოვლისა, ბარონესას უნდა დაუწიროქოთ. ის ხომ ჩემი დედობილია, თითქმის ჩემი აღმზრდელი.. სხვა მე არავინ არა მყავს.

ბეგი, რა თქმა უნდა, სიხარულით დაეთანხმა და მოვიდნენ თუ არა, ბარონესა ცალკე ოთახში გაიხმეს და დამოკლებმა დალოცვა გამოთხოვეს.

რიაზინინამ ისიც დაამატა, რომ ბარონესას ეს ამბავი ოფიციალურად გამოეცხადებინა დღესვე და მათი დაწინ-

დვაც თოლისქვამის დანიშნასთან ერთად დღესვე მომხდარიყო.

ბარონესას ცოტა გაუკვირდა, მაგრამ ეს არჩევანი არცთუ მთლად დაუწუნია, და მართლაც, იქ შეკრებილებს ყველას გამოუცხადა, რომ კნიაზ ბეგი და მარინა რიაზინინაც დღეს დაიწინდებიან.

ამან უმრავლესობაში გამოიწვია სენსაცია.

უცხოელებმა თქვეს — ეს რა ოჯახი ყოფილა? აქაურ კნიაზებს, ეტყობა, ქორწილსა და ქეიფს არა ურჩევნიათო-რათ.

ვოლკოვი კი მივიდა რიაზინინასთან:

— გილოცავთ, მაგრამ თქვენი არჩევანი ვერ მომიწონებია... აბა რაში შეგეფერებათ ეს ველური კნიაზი... პეტერბურგში აბა რომელ სალონში გამოაჩენთ?

— თქვენს თავს მაინც ეგ მირჩევნია! — მკვახედ უპასუხა რიაზინინამ და ჩამოშორდა. ვოლკოვმა ტუზი მოიკნია.

ნექტარინა აღტაცებული იყო. მიხვდა, რომ ბეგის მისი დარიგება გამოუყენებინა.

ახლა ნექტარინას მისი ფიქრით ყოველივე რიგზე ჰქონდა მოგვარებული: თოლისქვამი - კვიზინიას, შეძლებულ კაცს და მის პატივისმცემელს, რიაზინინა — ბეგის, რუსი არისტოკრატი ქალი, ეგვეც შეძლებული...

ახლა კიდევ უფრო იმედი მიეცა, რომ „მისი არჩილის“ ხსოვნის პატივსაცემად მათორატის საქმეც მალე მოგვარდებოდა.

„აი როგორ შევატრიალე დიდი ოტივის ოჯახის ბედი!“ არ იმჩნევდა, თორემ გულში მეტად გახარებული იყო.

ნექტარინას სწამდა ბედის ტრიალი. მხოლოდ ეს კი ვერ განჰკვირბა, თუ ეს ბედი მომავალში როგორ შემოტრიალდებოდა.

დესიმ რომ ბეგის ამბავი გაიგო, თავის გუნებაში დიდად შეწუხდა, ძალზე

შეწრილდა, ერთ ადგილას ველარ დგებოდა. სულ მიდმოდიოდა, დარბაზიდან აივანზე, აივნიდან ისევ დარბაზში, თითქოს თავისთვის ადგილს ვერ პოულობდა, სანამ ძილხანმა და კესარიამ არ დაუძახეს — სუფრის დალაგებაზე დაგვეხმარეო. დაემხმარა კიდეც, მაგრამ ათასი ფიქრი თავიდან არ გაშორებია:

— მე სულელი, როგორ ვენდე ქაღალტა ბეგის ფიცს! არა, ვიცოდი, რომ არ შემირთავდა, მაგრამ იმდენ რამეს რომ დამპირდა: სამოსახლოსაც, კაბებსაც მორთვა-მოკაზმასაც. ახლა? — სუფრიდან მობრუნდა, გუტატის წააწყადა.

გუტატი დამცინავი ღიმილით შესცქეროდა.

დესი მიხვდა. თავი აარიდა. გულში მაინც ასე გაიფიქრა:

— არა, შენი დასაცინი არ გავხდები. რა ვუყოთ, რომ ბეგი ცოლს ირთავს?

გინა ამისთანები მომხდარა! ხომ შეიძლება, რომ ბეგის კარგი განწყობილება ისევ შევინარჩუნო! თუ... და... გახსენდა — თადა აგერ არა ზეჯეს! მართალია, წელან, ცეკვის შემდეგ, არშეიყობა რომ დამიწყო, ერთი თავში ჩავეუფაჩუნე, მაშინ არ ვიცოდი, მე უბედურმა, ბეგის ამბავი, მაგრამ ისეა ის ბიჭი ჩემთვის გაგიყებულა, რომ... თავს არ დაიზოგავს... მშვენიერი ბიჭია, რას ერჩი! დედისერთაა, გეარიანი ოჯახიც აქვს გლეხის პირობაზე, კარგად მაცხოვრებს... თუ არა ღა... — კიდეც ინაცვალდესის ფიქრმა — კარგად ვიცი გუტატი ასე ახირებულად ვერ მომშორდება... ქალი არ ვიქნები, თუ იმ მიმკენარ კნინას მისი თავი არ წავართვი...

ამ გეგმებმა დესი გაახალისეს და ამაზე გული დააჯერა.

მასაც სწამდა ბედის ტრიალი, მხოლოდ არც ამან იცოდა მისი გზა-კვალი.

(დასასრული ქება)

გოგოლის ხსოვნას



იგი მოვიდა შორსმხედველი და გულმართალი,
ნახა ქვეყანა ანგარების ღერძზე მბრუნავი,
ნახა ცხოვრება უხეში და გაუმართავი
და ტახტზე მჯდარი ბოროტება დაუთრგუნავი.

ნაღველად ექცა მას ოცნება თვისი ბავშვობის, —
შვეების მომგვრელი მის გარშემო არა ჩანდა-რა.
აანთო სიტყვა, სიყვარულის ცრემლში ნაშობი
და სიძულვილის წმინდა ცეცხლში გამოატარა.

ეს იყო სიტყვა მახვილივით მკრელი და ბასრი,
შეუბოვარო, გაბედული და უღმობელი,
ეს იყო ბრძოლად გამოსული ცოცხალი აზრი,
მკვდარი სულების უხამსობის დამამხობელი.

მან დაინახა ამ ბრძოლის დროს მომავლის სახე:
უსაზღვრო სივრცის ელვარება შორს განფენილი.
იმეორებდა ალტაცებით სამშობლოს სახელს
ნეტარი ხილვით დამტკბარი და ცად აფრენილი.

დედა-რუსეთი ამომავალ მზისკენ მიჰქროდა
და გზას უთმობდა მოწიწებით მას ყველა ერი.
ზარის წკრიალის და ზეიმის ზმა თან მიჰქონდა,
გრგვინავდა ფრთებით გარღვეული ლურჯი ჰაერი...

ოჰ, რა სიცხადით და სისრულით განხორციელდა,
დედა-სამშობლოს მომავლისთვის პოეტს რაც მსურდა!
როგორ გაბრწყინდა ეს ქვეყანა და გაძლიერდა,
კეთილშობილი წინათგრძნობა როგორ ასრულდა!..

განათლა მიწა, მზემ გააქრო ღამის უკუნი,
ქველი ბოდმის და ცრემლის გუბე ამომშრალია.
და მსოფლიოში დღეს რომ ისმის წინსვლის გუგუნი,
ეს ჩვენი ქვეყნის დიდი ფრთების ქარიშხალია!

გოგოლი ზვილსში

წერილებში პუშკინის შესახებ გოგოლი სიყვარულით იხსენიებდა საქართველოს... ამ ორმოცდაათი წლის წინათ საქართველოს დედაქალაქში მას ძველი აუგეს.

★

პუშკინი, შენი დიდი ძმობილი,
მრავალჯერ იყო სტუმარი ჩვენი,
რუსეთის შეილი კეთილშობილი
საქართველოზე მღეროდა ლხენით.

ჩემი ქვეყანა გიყვარდა შენცა,
გენატრებოდა პუშკინის ბუდი:
გსურდა გენახა თბილისის ზეცა
და კავკასიის მაღალი ქედი.

ვაგლახ, სურვილი არ აგისრულდა,
(ადრე დანებდი სიკვდილის ლახვარს!),
მაგრამ სამარის კართან მისულმა
წამოსთქვი მტკიცედ:—მე მაინც ენახავ...

და... დაზიალთან დაგზედნენ მოყვრები,
იგრძენ ქართველთა ალერსი ტკბილი!
შენ სიცოცხლეში ვერ ჩამოხვედი,
სიკვდილის შემდეგ ეწეი თბილისს.

თინათინა ჯანგალაშვილი

მიზგორკოში

★

და ეს ამბავიც მსურს გაიგონოთ,
გიაშობთ განა ზღაპრად მოგონილს?
ენახე: ერთმანეთს შეხვდნენ
მიზგორკოდს
ჩვენი დავითი, ჩვენი გოგოლი.
და მე ვიგრძენი ძმობას, სიყვარულს
ძალა და ეშხი ჰქონდა როგორი.
ლიმი ესროლეს შუქსავსე მზესა,
— დადგათ ჩვენი სიმღერის ჯერი!..
მიზგორკოდს თავზე დასცქერდა ზეცა
ზუბოვკელ ქალის თვალების ფერი.
ორნივე ამღერდნენ ხმააწყობილად,

ირგვლივ სიცოცხლის იდგა ნათელი.
ო, უკრაინამ დაამშობილა
დიდი რუსი და დიდი ქართველი.
უკვდავების წინ ნისლებრ ჰქრებოდა,
გადალუწილი წლების კედელი
და დიდ კრემლიდან ილიმებოდა
თვით უკვდავების ოქრომჭედელი.
მიწამაც იგრძნო სიცოცხლეს, ძმობას
ძალა და ეშხი ჰქონდა როგორი
და შეჰხაროდნენ სხივნათელ მყობადს.
ჩვენი დავითი,
ჩვენი გოგოლი.

პაზის ყვეილოგა

რომანი *



ერთუცნობიანი განტოლება

შაბათ საღამოს მომხდარმა თავდასხმამ დისონანსი შეიტანა ბერძენის კოლმეურნეობის შრომით აღსავსე ცხოვრებაში. ათასგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ ამბავმა. ბერძენული მშრომელები აღშფოთებული იყვნენ ამგვარი თავხედობისაგან.

რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, დამნაშავე უნდა ვიპოვოთ და სამაგალითოდ დავსაჯოთ, განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

დილაადრიან ბერძენაში ჩამოვიდნენ რაიონული ცენტრიდან, — კომკავშირის რაიონის მდივანი — კვერიშვილი და პროკურორი ხიდაშელი მილიციას სამი სერჟანტის თანხლებით.

ხიდაშელი ხანგრძლივად ნამუშევარი იყო ალაზნს გადაღმელ რაიონებში, მას რამდენიმე საკმაოდ დახლართული საქმე ჰქონდა გახსნილი, ესენი ეხებოდნენ თავდასხმას, სოციალისტური ქონების ფლანგვას, ზოგი მათგანიც — მკვლელობას.

რამდენიმე წლის მანძილზე მუშაობისას პროკურორმა სახელი გაითქვა თავისი მტკიცე იურიდიული ლოგიკისა და ფაქტების ფრთხილი ანალიზის მეოხებით, ამიტომაც არავის ეპეი არა ჰქონია, რომ პროკურორი ხიდაშელი სულ მოკლე ხანში აღმოაჩენდა დამნაშავეს ამ შემთხვევაშიაც.

თედო თარალაშვილი თემსაბჭოში დაუხვდა სტუმრებს, მაგრამ პროკურორმა მოითხოვა ჯერ ნუნუს მამისეულ ოჯახში წასვლა, რათა თავდაპირველად იქ ეწარმოებინათ მოწმეების დაკითხვა.

უჯირაულების მრავალრიცხოვანმა გვარმა შეურაცხოვად მიიღო ეს, ამიტომაც უჯირაულები, თითქოს პირი შეჰკრესო, შეეცადნენ მათთვის ხელმისაწვდენი საშუალებით ხელი შეეშალათ ძიებისათვის.

ფაქტების თანმიმდევრულად დადგენას უთუოდ აბრკოლებდა ის გარემოებაც, რომ უჯირაულთა გვარის მთელი ახალგაზრდობა, განსაკუთრებით კომკავშირელები, იმ დღეს ცხრამუხის ნაკვეთზე იყვნენ, ხოლო შინ დარჩენილი მოხუცები წინაწარ მოწადინებული იყვნენ: ხელი შეეშალათ ძიებისათვის.

მათ არც უყვარდათ მაინცდამაინც ნუნუ, „წინამასწარას“, „მეტიჩარას“ ეძახდნენ მას. ზოგი დედაბერი მოშიონობდა კიდეც: ახია მასზე, აწი მაინც ისწავლისო ჰკუთას.

ქეთუსა გააფრეოლა მანქანის სიგნალის გაგონებისას, აცახცახებული შეუძღვა პროკურორს, კომკავშირის რაიონის მდივანსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სასტუმრო ოთახში, ქეთუა იმწამსვე გავიდა გარეთ და ნუნუ შეგზავნა სასტუმრო ოთახში. პროკუ-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 2.

რორმა უპირველეს ყოვლისა ეს ჰკითხა ნუნუს:

„ყელი რად შეგისხევი, ქალო?“ — ნუნუს გაწითლდა.

„მოიხსენით ყელსახევი!“ — ნუნუსმ შესრულა ბრძანება.

„რამ დაგიღურჯა ყელი?“

„ეს აღმათ მაშინ მოხდა, როცა ყელში მწვდა თავდამსხმელი“.

„ნუთუ არავეს მიმართ არა გაქვთ ეჭვი?“

არავეს მიმართო.

„ნამდვილად?“

„მართალს მოგახსენებთ“.

ახლა თედო თარალაშვილმა უთხრა ნუნუს:

„იყოფე, ყოველივე ზუსტად უჩვენე ამხანაგ პოკურორს, შეილო. მართალია, შენ მშვიდობით გადაარჩი, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენც გვესაჭიროება გაუგოთ, თუ ვინ ამღვრევს წყალს ჩვენი მშრომელი კოლექტივის ცხოვრებაში. საჭიროა სანიმუშოდ დავსაჯოთ დამნაშავე, რათა საბოლოოდ ამოვიძრკოთ ძველი ყოფის ნაფესვარები ამ ახალი ცხოვრებიდან.“

„ეს ამბავი, როგორც მოგხსენებათ, ძია თედო, ღამით მოხდა, ატმების ჩრდილებს ქვეშ, სწორედ იქ, სადაც ბებერი ცაცხვი დგას, „მტს-ის“ ფარდულის გასწვრივ. გასაგებია, ასეთ პირობებში მე ველარ შევძლებდი თავდამსხმელის სახის ნაკეთების გარჩევას. ამას ყოველივეს ისიც ზედ დაერთო, რომ მას ფაფახი ცხვირის კეხამდის ჰქონდა ჩამოფხატული“.

„არც ხმა გაუღია თავდამსხმელს?“ — შეეკითხა ხიდაშელი ნუნუს.

„არა, ამხანაგო პოკურორო. ეს იყო ოღონდ, როცა ჩემი მჯიღი მოხვდა ცხვირ-პირში, საქონელსავით დაიზმულა, ატმის ჩრდილებს შეეხიზნა მცირე ხანს, ბოლოს ისევ გამომივარდა და ორივე ხელი წამოჭირა ყელში“.

„აბა ეს მითხარი, მამაშვილობას, ეჭვი თუ გაქვს ვინმეს მიმართ? ნუ

დავფარავთ, შენ ღამაში გოგონა ხარ, არ შეიძლება არავეს გეტრფოდეს ბერმუხაში, თუნდაც იდუმალ, მესაქლავა, შენ გეშინოდეს კიდეც? სწავლამსხმელის ვინაობის გამხელისა, მაგრამ დარდი ნუ გაქვს, ჩვენ აქ არა ვართ? ჩვენი პარტია, ჩვენი კომკავშირი არავეს გადათქვრინებს შენს თავს“, — უთხრა თედომ.

„ხომ იყო ბარე ორი შემთხვევა, თუ არა ვცდები, როცა დაჩაგვრა მოგინდომა დედინაცვალმა, კომკავშირის რაიკომი ჩაერია ამ საქმეში და აელავმეთ ის დედაცაცი. თუ ვინმეს მიმართ ეჭვი გაქვს, ჩვენ გეითხარი და საკადრისს სასჯელს მიიღებს იგი“, — ეუბნებოდა კომკავშირის რაიკომის მდივანი ნუნუს.

ორ ცეცხლს შორის იდაგებოდა ქალი. მას თვით უბრალო ყოფისმიერ ამბებშიაც არა ჩვევოდა ტყუილის თქმა.

სწორი ჩვენება მიეცა?

ამ შემთხვევაში იგი იძულებული გახლდებოდა დაწერილებით მოეთხრო, თუ როგორ გაისეირნეს მან და გოდერძიმ სანერგე ფარდულიდან ბერმუხისაკენ, ეამბო ისიც, თუ როგორ გამოვიდა წოწოლა ქუდიანი უცნობი შინდნარიდან და უთვალთვალა მათ. არც ის უნდა დაეფარა, რომ მან გოდერძიმ ძალით ჩამოიცილა და შინ მიცილება არ დაანება ჰორიკანების შიშით.

ეს ყოველივე მთელ სოფელში გახმაინდებოდა, ბოლოს ჰორიკანები ამ უბრალო გასეირნებას ამხანაგ ვაერთან ერთად, გვიან ღამით, ათასგვარ განმარტებას და კულს მოაბამდნენ. ნუნუს მუშაობის გათავების შემდეგ ბრიგადირთან ერთად ტყე-ღრეში ღამეულ სეირნობას აწყობსო და სხვა მისთანანი.

რაც შეეხება ეჭვს, უფრო მეტიც ჰქონდა სათქმელი ნუნუს. გამეხილა თავდამსხმელის ვინაობა? ხელისუფლება დიახაც სათანადოდ დასჯიდა დამნაშავეს, მაგრამ ეს ნიშნავდა თავდამსხმელის მახლობლების მტრად მო-

კიდებას, რაც უფრო მეტად აუტანელ ატმოსფეროს შექმნიდა მის გარშემო.

გარდა ამისა, სხვა რამის უფრო მეტად ეშინოდა ნუნუს. ამ ამბის გამხელობით შესაძლო იყო გოდერძის სიცოცხლეც განსაცდელში ჩავარდნილიყო და იმ ღამეს ნუნუ დარწმუნდა თუ როგორ აუცილებელი, რა ძვირფასი ყოფილა მისთვის ეს ვაჟი.

ნუნუ კარგად იცნობდა შეუღლებულსა და უშიშარ გოდერძის, იგი უშეშვლად ზედ შეაკვდებოდა ასეთი ხულიგნური თავდასხმის მომწყობს.

ამიტომაც არჩია ნუნუმ ეს შეურაცხყოფა როგორმე უსიტყვოდ გადაეტანა, თუმცა იგი დაჯაბნებულად გრძნობდა თავის თავს.

სწორედ ამიტომაც გაბზარული ხმით წაიდუღუნა ნუნუმ:

„არავის მიმართ არა მაქვს ეჭვი?“.

პროკურორის მძაფრმა სმენამ ეს შენიშნა, კიდევ ერთხელ ჩაჰკითხა თავჩაღუნულ ქალს. როცა იგივე პასუხი მიიღო, სერჯანტს უბრძანა: ქეთუა შემოეყვანათ.

თედომ თავის დაფანჯვლი წარბებიდან გამოხედა ახლად-მოსულს:

„დედაკაცო, შენ ყოველ კვირას ახლ-ახალი მოწმობები მოგაქვს კოლმურნეობის კანტორაში, მუდამ ამას წუწუნებ: აეადა ვარ, მუშაობა არ შემძლიაო. როგორც ჩანს, სტუმრებისათვის მზინე მოგიცლია? გუშინ ათი წლის ბალებიც გვეხმარებოდნენ ცხრა-მუხამში, და შენ ასეთ დროს ქეიფსა და ღრეობას აწყობ, როგორაა შენი საქმე, ჰა?“

„რასა ბრძანებთ, ბატონო, რომელი სტუმრები, რა ქეიფი. ნაკვეთზე რად არ მოველი? შარდის ბუშტის ანთება მაქვს (დაურცხვენილად იხმარა ეს სიტყვები ქეთუამ) როგორღა შემძლია დაკუზულად ვიმუშავო.“

გუშინ ქალაქს ვაპირებდნი საექიმოდ წასვლას და... (აქ ულოგიკო ნახტომი გააკეთა ქეთუამ). მე არ შემძლია ვე-

ნახში მუშაობა. ნახირში გასვლა შირჩენია დაკუზულად მუშაობას“.

ჩვენ აქაც გამოგვადგენს მუშაობის ხირეობა ინდომე შარშანს.

ქეთუას შეეშინდა — მენახირეობა ხელახლა არ დამაქისრონო, ცრემლები გადმოღვარა და თქვა:

„მე რომ სახლიდან გავიდე, ბიქს რა ვუყო, ჩემს მალხაზს?“

„ბიქს რა უქირს, ტოლებთან ითამაშოს“.

„განა არ იცი, ძია თედო, მიწას რომა ქამს ჩემი მალხაზი?“

მერმე ისევ ატირდა, მოებლაუჭა შეილსა და „მიწას“ და არ აპირებდა წუწუნის მოთავებას.

ქეთუა, გირჩევე, ყოველივე სწორედ უჩვენო ამხანაგ პროკურორს“.

პროკურორის ხსენებაზე ელთომლეული მოუვიდა ქეთუას. მას ვერც-ი წარმოედგინა, პროკურორი ჩვეულებრივი ადამიანი თუ იქნებოდა. ხან ხიდაშელს უცქეროდა დაფეთებული თვალებით, ხანაც კომკაეშირის რაიკომის მდივანს, ვერ გაერკვია, თუ რომელი მათგანი იყო პროკურორი.

„რა უნდა ვუჩვენო, ძია, თედო, რაც არ ვიცი, რა უნდა ვუჩვენო?“

ეს წაილულულდა, მუხლი მოეკვეთა, იატაკზე დაცუცქდა, იდაყვები მუხლის თავებზე დაიბჯინა, ორივე პეშვში ცხვირპირი ჩაჰყო და მოჰყვა ზღუქუნს. შრამელიდან უჯირაულების ჩოჩქოლი ისმოდა, სერჯანტები ვერ აღდიოდნენ მათ დაშოშმინებას. ბალები და დედაკაცები წარამარა აღებდნენ შრამელის კარებს, ყურთა სმენა არ იყო მათი კრიალისაგან.

ახლა მეზობლიანთ მარო შემოიყვანა სერჯანტმა.

როცა მარომ აზლუქუნებულნი ქეთუა დაინახა, საქმე ცუდადააო — გაიფიქრა და თავადაც გადმოჰყარა ცრემლები. მანაც ეს აჩვენა:

„არაფერი არ ვიცი, არც არსად ვყოფილვარ, არც არაინ მინახამს“.

ყველა წმინდანი ჩამოიყვანა ციდან, მიცვალებულების სული და ცოცხლების სიცოცხლე დაიფიცა: პროკურორმა რაღაც გადაუჩურჩულა თედოს, ამ უკანასკნელმა სერკიანტი მოიხმო, ნიკა უჯირაული და ხელანთ ვანო შემოიყვანეს, მალხაზი უკითხავად შემობორი-აღდა სასტუმროში, გულდაგულ მოვიდა ამ მაგიდასთან, რომელსაც გარს უსხდნენ სტუმრები და გაოცებული მიაშტერდა პროკურორის ხელში მოვლვარე წითელ ავტოფანქარს.

არც ზიდაშელმა და არც თედო თარალაშვილმა ჯერ კიდევ არაფერი იცოდნენ, თუ რა მომენტები უძლოდნენ წინალამინდელ თავდასხმას, ერთი რამ ჰქონდათ განაგონი მხოლოდ: ქუთუას სახლში ქეიფი ყოფილაო იმ საღამოს, მაგრამ ამ ამბის დეტალებს არავინ უმხელდა მათ.

პროკურორმა ისევ მისცა რამდენიმე შეკითხვა ქეთუსა და მაროს. მაგრამ ორივენი ერთსა და იმავეს იმეორებდნენ:

არც არავინ გვინახავს, არც არაფერი ვიცით, არც არავითარი ქეიფი ყოფილაო საღამე.

ხელანთ ვანო პირზე დაადგა მათ: „რას როშავთ, ქალებო, თქვენ ორმა არ გაგვალვიძეთ განა წუხელ? განა თქვენ არა გვთხოვეთ გაგვეზავებინა მოჩხუბარნი? არა?“

„გაგვალვიძეთ, მერე რა, მე და მარო რაიკავშირში მივდიოდით, ვნახეთ, ორი კაცი ჰქლავდა ერთმანეთს, და გაგვალვიძეთ, მერე რა?“

„თქვენ აკი ამბობდით, არავინ გვინახავსო, საინტერესოა, რად მალავდით ამ ამბავს აქამდის?“

მშვიდად შეეკითხა პროკურორი ქეთუს.

ახლა პროკურორის მახვილმა თვალმა შეამჩნია: როცა ქეთუა და მარო ჩვენებს იძლეოდნენ, პატარა მალხაზს ეცინებოდა, წმინდა ბალღური ანგლო-

ბის გამოსხივება ციმციმებდა მის თვალებში.

პროკურორმა თვალით მანძინა სერკიანტს, ქეთუა და მარო გარეთ გააყვანინა, მერმე მალხაზს ხელი გადაუსვა თავზე და უთხრა:

„რამდენი წლისა ხარ, ბიჭიკო?“

კარისკენ მიმავალ ქეთუს ერთხელმა დაუარა ტანში, ერთი მიხედა მალხაზს, გაიფიქრა: ბავშვი ყველაფერს დაფქვავსო, და სასტუმროდან გავიდა,

„ცამეტისა“, — მიუგო ბავშვმა და თავათ მიუბრუნდა პროკურორს:

„რა კაი კალამი დაქქეს, ძია.“

„ეს კალამი როდია, ფანქარია.“

„ჰოდა... ვინ მოგცა ეს ფანქარი ძია?“

„ძალიან მოგწონს ეს ფანქარი, ბიჭიკო?“ — მალხაზი წაეპოტინა ფანქარს.

„რაკი აგრე მოგწონს, შენი იყოს ეს ფანქარი, ბიჭიკო“, — უთხრა პროკურორმა და გულმტკიცეხეულად შეხედა ამ საცოდავი ყმაწვილის სამკუთხედ თავსა და ობობის კარტლასავით წაწერილებულ, ყვითელ კისერს, რომელსაც ჩიყვის ნიშნები უკვე ეტყობოდა.

ახლა სხვა ფანქარი ამოიღო პროკურორმა ჯიბიდან:

„შენ რა გქვია, ბიჭიკო?“

„მალხაზი“.

„იფ, რა ლამაზი სახელი გრქმევია, ბიჭიკო, აბა ეს მითხარი ახლა: შენ რა ხარ დაზარალებულისა?“

„ვისი?“ — ჩაკითხა მალხაზმა და ახლა მეორე ფანქარს, ამჯერად მწვანეს, მიაშტერდა.

„აი ამ გოგონასი“, — უთხრა პროკურორმა და ნუნუნე მიუთითა.

„დაა ჩემი“.

„კარგი და პატიოსანი. ახლა ისევ მითხარი, მალხაზ, წუხელ საღამოს სად იყავი, ჰა?“

„რად გინდა, სად ვიყავი ძია? მანდ ხომ არ უნდა ჩაწერო ეგეცა?“

„არა, მე არაფრის ჩაწერას არ ვაპირებ, ისე მინდა გავიგო“.

„შინ ვიყავი“.

„კიდევ ვინ იყო შინ?“

„დედაჩემი“.

„კიდევ?“

„ძალუა მარო“.

„კიდევ, კიდევ?“

„კიდევ ვინ იქნებოდა“. — მალხაზი დაფიქრდა, კეფა მოიფხანა და ზედინედ ჩამოთვალა:

„პაპა აბრია, პაპა ლუო, ძია კანკრე და, ერთი ღზელი, ღზელი კაცი. აი ეს ფაფახი მას ეხურა თავზე“.

„კიდევ ვინ იყო?“

„კიდევ არავინ“.

„კეთილი. ახლა ეს მითხარი, მალხაზ, რას აკეთებდნენ ისინი?“

„რასა და ღვინოს სვამდნენ“.

„კიდევ რას?“

„არაფრს, კიდევ... ჩხუბობდნენ“

„არ იცი, რად ჩხუბობდნენ?“

„არ ვიცი, ძია“.

„ახლა შენ ეს მითხარი, მალხაზ, ამ ფაფახის პატრონი როდის მოვიდა, არ გახსოვს?“

„მზე არ იყო ჩასული, როცა ის ღზელი კაცი მოვიდა, ძია“.

„მარტოკა მოვიდა?“

„არა, ძალუა მარომ მოიყვანა, მერე თვითონ წავიდა ძალუა მარო“.

„რამე ხომ არ მოუტანია, თუ იცი?“

„ღიიიღი, ღიიი ჩემოდანი მოათრიეს ერთი“.

„რა იყო, თუ იცი, იმ ჩემოდანში?“

„ბევეერი, ბეერი კაბები, ქუდები და ფეხსაცმელები. ქალაქში უნდა წავეყვანეთ იმ ღზელ კაცს მე და დედიკო, მაგრამ მე ვიტყვო და დედა არ წავიდა ქალაქში“.

შრამელში მოგროვილი უჯირაულეები ისე ხმამაღლა ჩოჩქოლობდნენ, სასტუმრო დარბაზში ისმოდა ეს გნისი.

პროკურორმა თავი გადაწია განზე და თედოსა და კომკავშირის რაიკომის მდივანს, კევრიშვილს უჩურობდა:

„იქ ისეთი ხმაურობაა, მუშაობა შეუძლებელია, ხომ ხედავთ, სულ სხვა რამეები ირკვევა. მოდი, თუ მსახურში წავიდეთ და იქ დაეკითხოთ დანარჩენები“.

• •

რადგან კვირა დღე იყო, ამ ახალი ამბით დაინტერესებულნი თემსაბჭოსთან მოგროვილიყვნენ. ჯერ არავინ არაფერი იცოდა დანამდვილებით, უსაქმური ათასგვარ ზღაპრებს თხზავდნენ, ზოგი იმასაც ამტკიცებდა: მერგოლური ნუნუ უჯირაული წუხელ ბანდიტებმა მოიტაცესო, საღაც ტყეში მილიცია გადაჰყარია ბანდიტებს, ხანგრძლივი სროლისა და ვაივაგლახის შემდეგ ნუნუ ყაჩაღებს დაუთმოათო.

მანქანიდან ჩამოსულებმა ძლივს გაარღვიეს მოსიკრეთა ბრბო და თემსაბჭოს დარბაზში შევიდნენ.

დარბაზში სტალინის დიდი პორტრეტი ეკიდა კედელზე, ახლადმოსულნი მაგიდას მოუსხდნენ.

ხიდაშელმა სთხოვა თედოს, უკანვე გაეგზავნა მანქანა და მალხაზის მიერ დასახელებული პირები მოეყვანათ სერჯანტებს.

• •

აბრია უჯირაული ქუდმოხდილი შემოვიდა დარბაზში, სალამი მისცა დამხედურებს. პროკურორმა თვალი შეავლო მას და უთხრა:

„კანონის სახელით გიცხადებთ: სწორი ჩვენება უნდა მოგვცეთ, ხომ გესმის, ძია კაცო?“

„მესმის, ბატონო, როგორ არ მესმის, მე გაფრთხილებაც არა მჭირია ასეთ საქმეში. ჩემს დღეში ტყუილი არ მითქმის და ახლა როგორღა გეტყვით ტყუილს“.

„ეხლა ეს მითხარი, ძია კაცო, წუხელ საღამოს დაესწართ თუ არა ქეთუას სახლში გამართულ შეხვედრას?“

„რომელ ქეიფს, სად იყო ქეიფი, მე შემთხვევით გავიარე იქ და პური ვკამეთ“.

„კეთილი. თქვენ პურის კამას უწოდებთ ისეთ ქეიფს, რომელიც თავპირის მტკრევით თავდება. კიდევ ვინ დაესწრო, თქვენი სიტყვით რომა ვთქვათ, ამ პურისკამას?“

„ვინა და ჩემი ძმა-ლუო, ჩემი ძმის-შვილის შვილი — კანკრე“...

„კიდევ ვინ?“

„კობერიძე, თბილისელი სტუმარი“.

„ვისთან ჩამოვიდა ის კობერიძე?“

„არ ვიცი?“

„ეს ქუდი ვისია?“

„კობერიძისა“.

„ახლა ეს მიბრძანეთ, რა ჩამოიტანა იმ კობერიძემ?“

„არაფერი ვიცი“.

„ვინ იჩხუბა წუხელ ქეთუას სახლში?“

„ჩხუბია? სად იყო, ჩემო ბატონო, ჩხუბი? ტყუილუმბრალოდ წალაპარაკდნენ კობერიძე და კანკრე, ჩემი ძმის-შვილის შვილი“.

„საგანი რა იყო ჩხუბისა, რის გამო წაეკიდნენ ისინი ერთიმეორეს?“

„ღვინოს იპარავო, ჩააცვიდა კანკრე სტუმარს“.

„მხოლოდ ამიტომ?“

„სხვა არაფერი ვიცი“.

ლუო უჯირაული თუთიყუშივით ერთსა და იმავეს იმეორებდა: არავინ მინახავს, არაფერი ვიციო. და როცა პროკურორმა თანამდევრული გამოკითხვა დაუწყო, მან თითქმის იგივე გაიმეორა, რაც მისმა ძმამ, აბრიაძემ.

ახლა კანკრე შემოიყვანეს სერჯანტებმა.

მას თემსაბჭოს დარბაზში შესულს, არც კი მოპკონებია, თავისი ოფლით გაზინთული, ფასონდაკარგული კეპის მოხდა, მიუსალმებლად მიადგა იმ მაგიდას, რომელსაც პროკურორი და სხვა პასუხისმგებელი პირები გარს უსხდნენ.

პროკურორმა თავისი ელუარე პენსზე მიანათა მას, მაგიდაზე დადებულ კრაველის ფაფახზე მიუთითა და უკითხა:

„თქვენ ეს მითხარით, ვისია ეს ქუდი?“

„ქუდიო? მე რა ვიცი, ვისია? მე ხომ მექუდე არა ვარ, აბა რა ვიცი, ვის როგორი ქუდი ახურავს თავზე?“

„მაშ თქვენ აგრე ფიქრობთ, მხოლოდ მექუდეს შეუძლია ნაცნობის ქუდი იცნოს, არა?“

ცივად, აუღელვებლად უთხრა პროკურორმა კანკრეს.

„მაშ, დაიჯეროთ, რომ თქვენ კობერიძის ქუდი ვერ იცანით, არა?“ — თქვა კომკავშირის რაიკომის მდივანმა და თვალი გაუსწორა კანკრეს უხიავად მოლუშულ წარბებს.

კანკრეს არა ერთხელ უგემნია პროკურორების დაკითხვა. იგი შეჩვეული იყო ასეთ დაკითხვებს, ამიტომაც ასე გამომწვევად ეპირა თავი.

ეს შენიშნა თედო თარალაშვილმა და ამიტომაც ჩაერია საქმეში:

„შენ როგორ გიჭირავს, ყმაწვილო, თავი. ხომ არ დაგაფიწყდა, სადა ხარ და ვის წინაშე?“

„მე არაფერიც არ დამეფიყებია და ყველაფერი კარგად მახსოვს, ძია თედო. თემსაბჭოში ვარ, მერე რა?“

„იცი თუ არა შენ, რა დაგაფიწყდა უპირველეს ყოვლისა? — ქუდის მოხდა და ისე შემოსვლა იმ დარბაზში, სადაც ჩვენი დიდი ბელადის სურათი ჰკიდია, თემსაბჭოში, სადაც ჩვენ შენზე უფროსები უქუდოდ შემოვდივართ ხოლმე. კიდევ დაგაფიწყდა ერთი რამ: ზრდილობა, ქართული ზრდილობა. შენზე აღრე აქ მწყემსები შემოვიდნენ — აბრია და ლუო, ეს მწყემსებიც მიხედნენ ქუდის მოხდას და მინალმებას“.

კანკრემ შეხედა ბელადის სურათს, დამღუღრულივით შეტოკდა და სწრაფად მოიხადა თავისი გაზინთული კეპი.

პროკურორმა ისევ განაგრძო დაკითხვა, მაგრამ კანკრე ერთსა და იმავეს იმეორებდა: ლენოს იპარავდა და კობერიძეს ამიტომ ვცემეო.

„ყმაწვილო, — შვიდად უთხრა პროკურორმა კანკრეს, — შენ რამდენიმე წუთის წინათ ამტკიცებდი: ქეთუსას სახლში ქეიფი არა ყოფილაო, მე ავად ვიყავი, კოლმეურნეობის ფართობზე იმ დღეს მიტომაც არ წავესულვარო, ექიმთან მივდიოდი და შემთხვევით ქეთუსასთან გავიარეო.“

ახლა ეს ვიცითხოთ: თუ მართლაც ავად იყავი, ლენოს სმაში როგორ ჩაები, ან იმ კობერიძეს როგორღა სცემდ ავადმყოფმა? ნუთუ ამ ცემის საბაბად ის-ღა ემართა, კობერიძე ლენოს რომ არა სვამდა, თქვენი სიტყვით რომა ვთქვათ, „ლენოს იპარავდა“, ჯერ განაცხადეთ კობერიძეს არ ვიცნობო, მერმე წამოგცდათ, ლენოს ვაჭარიაო. ახლა ეს გვიბრძანეთ, როგორღა გავიგოთ, „სად ამბობთ მართალს, ან როდის ტყუით?“

„მე ტყუილი არა მჩვევია, არაფერსაც არ ვტყუი, ხოში მქონდა და ვცემე.“

პროკურორმა გესლიანად გაიღიმა და მიუგო:

„მაშ თქვენა გგონიათ, საკმარისია „ხოში“ მოეცეს რომელიმე მოქალაქეს და ყველას სცემოს, ვინც მას არ მოეწონება, არა? ახლა მე გეკითხებით: ჰგაის თუ არა ეს თქვენი საქციელი საბჭოთა ადამიანის საქციელს. ხოში გქონდათ და სცემეთ, არა? კეთილი. ახლა ეს მითხარით: კობერიძეს იმ დღეს ხომ არაფერი ჩამოუტანია ქეთუსასათვის?“

„მე რა ვიცი, რა ჩამოიტანა კობერიძემ. ხომ გითხარით, მე ექიმთან მივდიოდი და გვიან გამოვიარე-მეთქი.“

ახლა ზედო თარალაშვილმა ჩაურთო სიტყვა:

„რამდენადაც ვიცი, ჩვენი ექიმი სოფლის ბოლოს ცხოვრობს და შენ

იქ გზად როგორღა გაიარე? გარდა ამისა, შენ ისე ჰგავხარ ავადმყოფს, როგორც მე აბესინიის ექიმეჭრატრის ხომა?“

კანკრემ ხმა გაკმინდა, ხოლო პროკურორმა განაგრძო კანკრეს დაკითხვა: „მაშ თქვენ არც ჩემოდანი გინახათ და არც საჩუქრები?“

„მე ვიცი, ეს ვინც გითხრათ“

„საიდან იცი?“

„მე შრამელში ვიყავი და იქ გავიგონე — მალხაზს გამოჰკითხეთ თქვენ ეს ამბავი, მაგრამ თქვენ გავიწყდებათ, რომ ის ბავშვი, სულელია და ბნედიანი.“

„კარგი, ბავშვის სიტყვებს ნუ დავემყარებთ, ის სულელია და თქვენ ჭკვიანი, კეთილი. ახლა ეს მიბრძანეთ: როცა თქვენ კობერიძეს სცემეთ, ეს ქული თუ შერჩა მას თავზე?“

„როცა მე მას უკანასკნელად შემოეკარი, ეს მახსოვს, ხრამში გადაუვარდა ქული, მაგრამ არ ვიცი, ეს იყო, თუ სხვა ქული.“

„ეგებ სხვა ვინმე ნახე იმ ღამეს, საერთოდ ქული რომ ამოეღოს ხრამიდან?“

„არავენ“

„თქვენ როგორ ფიქრობთ, ჩხუბის შემდეგ სად წავიდა კობერიძე?“

„არც ეგ ვიცი.“

„თქვენ სად წახვედით ნაჩხუბარზე, არც ეგ გახსოვთ?“

„ნიორთავასთან, წისქვილში.“

„რად წახვედით იქ?“

„სათუეზაოდ ვაპირებდით ამ დილით წასვლას.“

კანკრე მიხვდა, რომ მისმა გამომწვევა ტონმა თანადამსწრენი გააბრაზა. ამიტომ უკუქცევას დაადგა უკვე თავდაბლური ტონით მიმართა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს:

„აბა მე მართალს ვიტყვი, ძია თედო. იმ კობერიძეს — ვცემე ერთი იმიტომ, რომ ლენოს იპარავდა, ჩემი დათრობა უნდოდა, გარდა ამისა, კიდევ მქონდა

სხვა მიზეზი. როგორც კი ღვინოში შეკიდა, ჩააცივდა ღვინოსაბნის: ახლავ ნუნუ მომიყვანეთო. ჩვენ უჯირაულეები ასეთ რამეებს არავის გვაგებდინებთ შენ კარგად იცი, ძია თედო“.

„აჰა, თქვენ აქამდის მალავდით ამ მიზეზს? კეთილი. ახლა წადით და დერეფანში მოიცადეთ“, — თქვა პროკურორმა.

როცა კანკრე კარებისაკენ გაემართა, თედო თარალაშვილმა იგი უკუიხმო და მაგიდასთან მოკრძალებით მოახლოებულს უთხრა:

„ახლა ხომ იცი, თუ ვინ არიან ეს ამხანაგები?“

ვიციო, მიუგო თავჩაღუნულმა კანკრემ.

„გამოძიებ ალბათ გამოარკვევს, თუ ვინ ჩაიღინა წუხელ ასეთი ხულიგნობა ჩვენს ბერძუხაში. ჩვენ მას უსასტიკესად დავსჯითო, მაგრამ ამისგან დამოუკიდებლად უნდა გაგაფრთხილო, კიდევ ერთხელ და უკანასკნელად. ეცადე, როგორმე თვითონვე გამოსწორდე, კანკრე. მე თვალყურს გადევნებ მას შემდეგ, რაც შენ ჩვენს კოლეგურნიობას შემოეხიზნე. ორჯერ გაგაფრთხილე, მარტო ის რაღა ღირს, წუხელ შუალამზე ჩხუბი და ღრიანციელი რომ ასტეხე და ჯაფისაგან დაქანულ მშრომელებს ძილი გაუტეხე.“

შენ იცი თუ არა, რას გვასწავლის დიდი სტალინი (ეს უთხრა და ბელადის სურათზე მიუთითა კანკრეს). ჩვენს ქვეყანაში ვინც არ შრომობს, იგი არც უნდა ჭამდეს, ვინც არ მუშაობს და სხვასაც ძილს უფრთხობს, ხომ იცი, მას რა მოეღოს?“

ვიციო, თავმოდრეკილად მიუგო კანკრემ.

„ჩვენი ბელადი ასე გვასწავლის. — განაგრძო თედომ, — კოლექტივი მარტოდუნ საზრდოს მომხვეჭელი ორგანიზაცია როდია, არამედ მშრომელების აღმზრდელიცაა. ახლა წადი და კარგად დაუფიქრდი, რაც გითხარი“.

ესა თქვა თედომ და ლოპინარისფერ თვალებიდან იელვა რისხევამ, სერკანტებმა კობერიძემ შემოიყვანეს. იგი ბარე ორჯერ შრომის კოლონიაში იყო ნამყოფი, ამიტომაც წელში მოკეტული მოუახლოვდა მაგიდას.

კობერიძე კანკრეზე უფრო ნაკლებად თავზედი აღმოჩნდა, თუმცა იგიც ბევრს ეცადა, ტყუილების ღობე-ყორეს ამოფარებოდა. თავდაპირველად დაჰპირდა კიდევაც პროკურორს, ყოველივეს სისწორით მოგახსენებთო, მაგრამ წარამარა იმეორებდა: „არ ვიცი“, „არ მინახავს“, „არ მახსოვს“.

კობერიძემ არ გაამხილა ბერძუხაში ამჯერად ჩამოსვლის ნამდვილი მიზეზი. ჩემს სიმამრიშვილს, მელორე პოპოლას სტუმრად ვეწვიეო, მასპინძელი კრებაზე აღმოჩნდა, ამიტომაც ქეთუსა, ჩემი ძმა კაცის ქერივს შევეუარეო.

არავითარი ჩემოდანი და არც რაიმე საჩუქრები არ ჩამომიტანია, მე მცირე ხელფასიან კაცს, საჩუქრების საყიდელი ფული სადა მაქვსო.

იგი არც თუ ტრაბახს გამოსდგომია კანკრესავით. როცა პროკურორი შეეკითხა, თქვენ ორ შორის რომელმა რომელს სცემო, კობერიძემ მიუგო: ორივემ საკმარისად ვცემეთო ერთიმეორეს.

ჩხუბის მიზეზი მანაც მიაფუჩეჩა.

„კეთილი და პატიოსანი, — თქვა პროკურორმა, — ჩხუბის დასრულების შემდეგ ხომ არ გიძებნიათ, ან არ გიპოვიათ თქვენი ქული?“

„ვეძიე და ვერ ვიპოვე“

„მერმე სად წახვედით იქიდან?“

„ჩემი სიმამრიშვილის, მელორე პოპოლას სახლში“.

„რომელი საათი იქნებოდა, თუ გახსოვთ?“

„ზუსტად თორმეტი“.

პროკურორმა ჩაიწერა ეს ციფრა.

„საიდან იცი?“

„როცა მასპინძლისას მივედი, საათი ამოვიღე. შუშა დამსხვრეული იყო, მაინც მუშაობდა“.

„მერმე ხომ არსად წასულხართ?“

„არსად წავსულვარ“.

პროკურორმა კობერიძესაც გარედ გასვლა და დერეფანში მოცდა უბრძანა. სერკანტებმა: ნიკა უჯირაული და ხელანთ ვანო შემოიყვანეს ხელახლა.

„თქვენ ხომ არ გახსოვთ, რომელი საათი იქნებოდა, როცა ქალებმა გაგაღვიძათ „მტს-ის“ ფარდულში?“

„თერთმეტი, — მიუგო ორივემ, — ახლადმოსულები ვიყავით სამუშაოდან“.

„როცა ქალის კეიღმა გაგაღვიძათ, მაშინ რა დრო იყო?“

„პირველის ნახევარი“.

ეს ციფრიც ჩაიწერა პროკურორმა. ახლა ნიორთავე და მელორე პოპოლა შემოიყვანეს სერკანტებმა.

პროკურორმა ჯერ პოპოლა მოიხმო და ჰკითხა:

„კობერიძე რა ნათესავია თქვენი?“

პოპოლამ თეთრი კბილები გამოაჩინა და თქვა:

„ბევრი არაფერი, ჩემო ბატონო, მას ჩემი დაი ცოლად ჰყავდა ოდესღაც“.

„ახლა სად არის თქვენი და?“

„გარდაიცვალა, ჩემო ბატონო“.

„რისთვის ჩამოვიდა, თუ იცი, ეგ კობერიძე ბერმუხაში?“

„სწორედ რომ მოგახსენოთ, არ ვიცი, ასე მითხრა, ყვარელს მივდიოდი და გამოვიარეო“.

„წინათ თუ გწვევია ოდესმე?“

„შარშანწინ იყო ჩვენსას სტუმრად“.

„რისთვის იყო ჩამოსული, თუ გახსოვს?“

„თუ არ ვცდები, არტელისგან იყო გამოგზავნილი ღვინის შესაძენად“.

როცა ნიორთავე შეიყვანეს დარბაზში, პროკურორს გაეღიმა.

„როგორ ბრძანდები, ნიორთავე?“ — შეეკითხა ახლადმოსულს პროკურორი.

„ყველაზე უკეთესად, ჩემო ბატონო“.

„ერთი ეს მითხარი, ჩემო ნიორთავე, კანკრემ მართლა შენთან ვააბიან წუხელ წისკვილში ღამე?“

„ჩემთან იყო, ჩემო ბატონო, კანკრე“.

„რად გეწვია ღამის გაათევად?“

„დილით უნდა გვეთევაება“.

„რომელი საათი იქნებოდა, თუ გახსოვს?“

„გლეხის ვახშობა იქნებოდა, პა და პა“.

„მერმე არსად წასულა?“

„არსად, ჩემო ბატონო“.

„რა იცი, ეგებ შენ დაგეძინა და ის კი გაგეპარა“.

„არა, ჩემო ბატონო, პირიქით, მე მთელი ღამე ვფხიზლობდი. საფქვავე მოგვყარეს გადაღმელმა კოლმეურნეობებმა. კანკრეს კი ეძინა. რადგან ნამეტრალევი იყო“.

„ეს ქული ხომ არ იცი, ვისია?“ — შეეკითხა პროკურორი და კობერიძის ქული აიღო ხელში.

„არა, ჩემო ბატონო“.

„კანკრე უქულოდ მოვიდა?“

„დიახ, უქულოდ, ჩემო ბატონო“.

„როგორ, მულამ უქულოდ დადის ეგ თქვენი კანკრე?“

„დიახ, ჩემო ბატონო, კანკრე უქულოდ დადის ხანდახან, მაგ ხომ ჩემისთანა ქაჩალი როდია, გრუზა თმა აქვს თავზე“.

„კეთილი. ახლა ეს მითხარი, ჩემო ნიორთავე, როცა კანკრე გეწვია, არ შეგინიშნავეს ნაცემი რომ იყო?“

„ვკითხე კიდევაც, ჩემო ბატონო, ვინ გცემა-მეთქი?“

„რა მოგიგო ამ კითხვაზე?“

ერთ კაცს მაგრად ვცემეო.

„ხომ არ დაუსახელებია ვინმე?“

„არც მე მიკითხავეს და არც მას დაუსახელებია არავინ“.

მოწმეების დაკითხვამ თითქმის არავითარი შედეგი არ გამოიღო. რაც უბ

თავრესია, არ მოხერხდა იმის დადგენა, თუ ორთა შორის ვინ აიღო ლიკიანში გადავარდნილი ქული.

თედო თარალაშვილი და კომკავშირის მდივანი კვერიშვილი ყოყმანობდნენ: ამ სამთავან არც ერთი არა თვლიდა შეუძლებლად იმას, რომ ვინმე მესამე პირს ეპოვნოს ეს ქული და ამ უცხო თავსაბურავით ასე თუ ისე შენიღბულს, თავდასხმა მოეწყოს.

მითუმეტეს სავარაუდო იყო ეს, რამდენადაც თავათ ნუნუ ამტიციებდა: თავდამსხმელს ეს ქული წარბეზამდის ჰქონდაო თავზე ჩამოფხატული. მათი აზრით, ესეც შესაძლებელი იყო: თავდამსხმელი უკან მოჰყვებოდა ნუნუს და გზაში შემთხვევით ნაპოვნი ქული შესანიღბავ საშუალებად გამოიყენა.

პროკურორმა ხელმეორედ დაკითხა ქეთუა და მარო, მაგრამ ორივემ ისევ ჩამოიყვანეს ციდან წმინდანები, მიცვალებული ქმრების სულები და ცოცხალი შვილების სიცოცხლე იფიცეს.

არც კრაველის ქული გვიძებნია, მისი მპოვნელი არც თუ ვინმე გვინახავსო.

ასე რომ, მოწმეების დაკითხვის შედეგად მოპოვებულ მონაცემთა შორის ერთი და უმთავრესი რამ მაინც უცნობი რჩებოდა, კერძოდ, ის ფაქტი, თუ ვინ იპოვა კრაველის ქული?

პროკურორს უკვე საეპკოდაც მიაჩნდა, რომ მილიციის პატრულისაგან გაბრთხილებულ რომელიმე მოჩხუბართაგანს სითამამე ყოფნოდეს ქულის მოსაძებნად.

ამ ვარაუდს ისიც ზედ ერთვოდა, რომ როგორც კობერიძე, ისე კანკრე, მაგრად დაბეჯილები იყვნენ. ერთ მათგანს: სახელდობრ კობერიძეს, საკმაოდ მოზრდილი ბებერა ჰქონდა მარჯვენა წარბს ზემოდ, ნიკაპზე სისხლჩაქცევი შრამი აჩნდა, ხოლო კანკრეს — ორივე დაწვისთავი მაგრად ჰქონდა დალილებული.

მაშასადამე, მოსაძებნი იყო მესამე პირი და საამისოდ არაეფთჳრე გზა არა ჩანდა.

გ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

სწორედ იმ კვირას, როცა პროკურორი ეწვია ბერძუხას, პროფესორი კორინთელი და მისი მეუღლე მეღვათელავს აპირებდნენ ნათესავების მოსაკითხავად, ერეკლე მეფის სასახლისა და იქაური მუზეუმის დასათვალიერებლად წასვლას.

ცხრამუხის ზეგანზე ვაზნარების მოწყობასთან დაკავშირებულმა საქმეებმა და მათთვის თვალყურის დევნებამ ისე ჩაითრია კორინთელი, ბარე ორჯერ გადაიღო ეს სასიამოვნო მოგზაურობა.

ლათქვამდნენ გამგზავრების დღეს და ან რაიკომის მდივანი ციხისთავი ჩამოვიდოდა, ან კოლმეურნეობის თავმჯდომარე თედო თარალაშვილი გამოვიდოდა, ნაკვეთზე წაიყვანდნენ პროფესორს და ეს უკანასკნელიც საღამომდის თავზე ადგა ბრიგადირებს.

კორინთელი ისევ გაიტაცა ამ საქმიანობამ, რომ ხელი შეუშვა თავის კაპიტალურ შრომას: „ქართული მაზის ამპელოგრაფია“, ბოლოს თავი დაანება მკურნალობასაც, თუმცა საკმაოდ სერიოზულად და დაბეჯითებით არაერთხელ გაუფრთხილებიათ იგი ექიმებს.

მედიკო და მათი ველარ აუდიოდნენ მისი კოსტიუმების წმენდას. დილით გაკრიალებულ ტანისამოსს ჩააცვამდნენ, საღამოს ტალახში ამოთხერილი შინ ბრუნდებოდა.

იგი ვერ ითმენდა რომელიმე ზარმაცის უილაჯო მუშაობის ცქერასაც კი. ასეთ შემთხვევაში ზოგს თოხს გამოაცლიდა ხელიდან, ზოგს ბარს, ზოგსაც სეკატორს და თავათ აჩვენებდა გულიანად გარჯის მაგალითს. ხშირად ოფლიანდებოდა ხოლმე ამ დროს, ცივდ-

ბოდა, ლოგინად ჩაეარდებოდა, გულის შეტევა წამოუვლიდა, ხანაც გრიპი; იხმობდნენ ექიმს, გამომჯობინდებოდა, ისევ მიღიოდა ნაკვეთზე, — ასე იღვწოდა დაუღალავად...

როცა ცხრამუხის ზეგანზე ვაზის რგვა მოთავდა, მამუკას უბანში კორინთელმა საცდელი მიკრონაკვეთი მოაწყობინა, მიკრონაკვეთის ხუმრობით „საქართველოს ზვარი“ დაარქვა და აქ დაარგევენა თითო-ოროლა ძირი ქართული ვაზის ოთხასორმოცდაათი ჯიშის ნიმუშად.

მას მიზნად ჰქონდა დასახული თავთ ენახა, თუ როგორ გაიხარებდა ცხრამუხის ზეგანზე საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოტანილი ალადასტური, ალშურა, ავშილური, არიქული, კლარჯულა, მუხამწვანე, თითა, ჩინური, ხისვი, შავკაპიტო, კაპისტონი, საკმიელა, ოროლა, კვიტილური, ჩეში, ოჯალეში, ცხენისძეძუ, ხარისთვალა, მტრედისფეხა, ჯავახეთურა, შავშურა, ლივანურა, ჩხავერი, პუმპულა, კოლოში, მეკრენჩხი, ტვიში, პანეში და სხვანი.

თავის საქმეზე განუზომელად შეყვარებული მეცნიერი ყმაწვილივით ხალისობდა თვით ამ ჯიშთა სახელების უცნაური ეტიმოლოგიისათვის დაფიქრებისას.

მედვა ფრიად ქირვეული ვახდა: ძალიან ბრაზობდა, როცა კორინთელი რაიმე გარემოების მეოხებით გადასთქვამდა ხოლმე შეპირებულის შესრულებას, ან დათქმულ ვადას სხვა დროისათვის გადაიტანდა.

თვით კორინთელს ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ არაერთხელ განუზრახავს თელავს წასვლა.

ძალიან ენატრებოდა მას მოხუცებული მამიდის ნახვა, მამისეული ოჯახისათვის თვალის მოვლება და ერეკლეს სასახლის კიდევ ერთხელ დათვალიერე-

ბა, მაგრამ თბილისში ყოფნის დროს ველარ აღდიოდა კონფერენციებს, თათბირებსა და სხდომებს; ამიტომ მთელი წლის მანძილზე არ უნახავს როგორც მოხუცი მამიდა, ისე მამისეული სახლკარი და ერეკლეს სასახლეცა.

მედიკოს სულ რამდენიმე ნათესავი ჰყავდა შემორჩენილი. ესენი ამ უკანასკნელ ხანებში თელავში იყვნენ თავმოყრილი. წერილებს წერილებზე სწერდნენ, გვინახულებით, ემუდარებოდნენ, მაგრამ, როცა პროფესორი და მისი მეუღლე ბერძუხას ჩავიდნენ, თელაველი ნათესავები ფრიად განაწყენდნენ და ბარათების წერაზედაც ხელი აიღეს.

ბოლოს, როგორც იქნა, მოაგროვა მედეამ ნათესავებისა და მათი ბავშვებისათვის მისატანი საჩუქრები და მტკიცედ დათქვეს თელავს გამგზავრების დღეც.

ყოველივე ამას ისიც ზედ დაერთო, რომ პროფესორ კორინთელს სწორედ კვირა დილას ჩამოუვიდა თბილისიდან მსუბუქი ავტომანქანა, საქართველოს მთავრობის მიერ მისთვის განკუთვნილი

პირიზული კომფორტაბელური ლიმუზინებით სეირნობას მიჩვეულ მედიკოს დიხაც უმძიმდა მუდამ სხვისაგან ნათხოვარი მანქანებით მგზავრობა. უცხოეთიდან ჩამოსვლის დღიდან ოცნებობდა მის ქმარს მსუბუქი მანქანა შეეძინა და საშუალება მისცემოდა ამ მანქანით ნათესავები ხშირხშირად მოენახულებინა, თანაც შემოეარა კახეთი, რომლის ხელახლა ნახვას წლიდანწლამდის ოცნებობდა პირიზში.

დილას მაიამ წინაღამინდელი თავდასხმის ამბავი მოიტანა, როგორც მივარდნილ კუთხეებში მცხოვრებთ ჩვევით, მაიამაც ათასგვარი ფანტაზიები მოაყოლა ამ ამბავს: თავდამსხმელებს ქალი მთელი ღამე ტყეში ჰყოლიათ გატაცებული, ტრაქტორისტებს უვა-

კაცნათ და ძლიერდებოდა წაურთმე-
ვითო ყაჩაღებისათვის სულთმობრძევი
ნუნუ და სხვა მისთანანი.

როგორც ცნობილია, თვით ადამი-
ანის ბუნებაშია მოცემული ფანტაზირე-
ბის, უჩვეულო ამბავთა არა მარტო გა-
მოგონების, არამედ გაგონების წყურ-
ვილიც.

ეს გრძნობა მომეტებულად მძაფრ-
დება განსაკუთრებით მაშინ, როცა
ცხოვრება კანონზომიერად მიმდინა-
რეობს, როგორც ზღვას მიახლოვებუ-
ლი მდინარე, რომელსაც ნელ-ნელა
აყლდება ტალღების სრბოლის ინერცია
და უდრტივნიველად მიედინება თავის
ლაღად გამართულ კალაპოტებში მხარ-
გაშლილი.

მაია მდულარებს აფრქვევდა ამ
„უბედური“, ობოლი ქალის ასეთი ტრა-
გიკული ბედის გამო. კორინთელი ჯერ
კიდევ იწვა, როცა ეს ამბავი გაიგონა.
ცოლმა შენიშნა: იგი ერთბაშად გადა-
ფითრდა, ცოტა ხანს ნერვიულად სწე-
და პაპიროსს, მერმე ეს ჰკითხა მაიას:

„რას ამბობ, მაია, ვინ გითხრა ასეთი
საშინელი ამბავი?“

ამ ავაზაკების საქციელით, მთელი
ბერძენა შეძრულაო, უთენია შემხვდა
თელი თარალაშვილი, მანაც დაადას-
ტურა, რომ პროკურორს და მილიციას
ყოველ წუთში მოველითო.

მედიკოს შენიშნული ჰქონდა: როცა
გვიანამდის მუშაობდა კორინთელი,
ადრე აღგომა ძალიან უჭირდა. ახლა
კი, მოათავა თუ არა პაპიროსის წევა,
ყმაწვილივით მკვირცხლად ზეწამოიჭ-
რა და კოსტიუმის ჩაცმას შეუდგა.

„რად იცემ მაგ კოსტიუმს, ვახტანგ!
რაკი მივდივართ, ბარემ სამგზავრო
ფრენში და ბრიჯის შარვალი ჩაიცვი
დღესაც. მანქანაში გაგიფუძლებდა ახა-
ლი კოსტიუმი“.

„ჯერ ვნახოთ... ეგეც არ იყოს, კოს-
ტუმის გამოცვლას რა უნდა“.

მედიკოს აიღეწა, უსიტყვოდაც შე-
ნიშნა, რომ მისი ქმარი ისე ააღელვა

მაიას ნათქვამმა ამბავმა, ამჯერადც
აპირებდა თელავში წასვლას, გადად-
ებას.

გინტორთიქა

კარებზე ვილაყამ დააკაუნა. კორინ-
თელმა პიჯაკს გაუყარა ხელი და კა-
რისკენ გაემართა. შემოდითო, მიაძახა
კარს უკან მდგარს.

შოფერი შემოვიდა, პროფესორს მი-
ესალმა.

„როგორაა საქმე, ჩემო ანდრო?“ —
შეკითხა კორინთელი.

„ჯერ ვერსად წავალთ, პროფესო-
რო“.

რადო?—იკითხა გოცებულმა პრო-
ფესორმა.

„კარტერი ზეთს უშვებს, ბატონო“.

„რა მოუვიდა კარტერს?“

„რალაც მცირე მიზეზია, გზაშიაც
ოდნავ მოყონაედა ზეთი. მოგეხსენე-
ბათ, ხანდახან ახალ მანქანასაც დაჰყე-
ბა ხოლმე თავიდანვე მცირეოდენი ზი-
ანი. ერთი ორი საათი მდროვეთ, კარ-
ტერს დაეშლი და მერე მოგახსენებთ“...

კორინთელს გაეხარდა მისი მანქანის
კარტერი დაზიანებული რომ აღმო-
ჩნდა შეეშინდა: სახის გამომეტყველე-
ბამ, არ გამოთქვასო გარეთ გავიდა, ნერ-
ვიულად დადიოდა, ბოლოსაა სცემდა
განიერ აივანზე.

საათს დახედა, ისარი ცხრას უახ-
ლოვდებოდა. ყოველ წუთში მოსალო-
დნელი იყო რომელიმე პასუხისმგებე-
ლი კაცის მოსვლა ოფისაბჭოში.

მაია გამოვიდა დარბაზიდან.

ღიასახლისი საუზმეზე გთხოვსო.

„ახლავე, ჩემო მაია, ახლავე მოვალ,
თქვენ დასხედით, ისაუზმეთ, მე ახლავე
მოვალ“.

ბოლოს თავათ მედიკოს გამოვიდა.
მან განაწყენებული კილოთი მიმართა
ქმარს:

„რად გეცდევინებ, ვახტანგ, ბარემ
ვისაუზმოთ, კარტერის დაშლას რა უნ-
და, შოფერი მალე გამოასწორებს ალ-
ბათ ამ დეფექტს, ამასობაში ჩვენ მზად
უნდა ვიყოთ“.

კორინთელი შეყოყმანდა, შინ შესულიყო, იცოდა გუნების ხელოვნურად შეცვლას ვერ შესძლებდა. იგი ზმირად ხუმრობდა ხოლმე:

ი ბუნებას ყოველგვარი ნიჭი მოუცია ჩემთვის ცოტა-ცოტა: ცოტას ვნადრობ, ცოტას ვმღერი, ცოტას ვცეკვავ, მაგრამ არტიტობის ნიჭზე ჩემთვის ბუნებას მტკიცე უარი უთქვამსო.

შინ არშესვლაც შეუძლებელი იყო, რადგან მეღვა უსიტყვოდაც შენიშნავდა მის უგუნებობას ამ შემთხვევაში. ბოლოს მხნეობა მოიკრიფა, დარბაზში შევიდა, ხელპირი დაიბანა და გაშლილ სუფრას მიუჯდა.

როცა მათი სამზარეულოში გავიდა, მეღვამ უთხრა ქმარს:

„რა მოგდის, ვახტანგ, როგორც გატყობ, დღესაც აპირებ თელავში წასვლის გადადებას?“

„ვინა თქვა, რას ამბობ?“

„ჯერ ერთი, ეს იქიდანაც ჩანს, სამგზავრო კოსტუმში რომ არ ჩაიცვი, არც წვერის გაპარსვას აპირებ. არ მესმის, აგრე უცნაურად რამ აგაღელვა?“

„როგორ... ვინ ღელავს, რას ამბობ. მედიკო?“

„ვინა და შენ.“

„სრულიადაც არ ვღელავ, მაგრამ არტულ გასახარელია ასეთი ზულიგნური ამბების გაგონება“...

„მე არ მესმის, რა დიდი ამბავია: სოფელ გოგონას ვინმე გამიჯნურებული ვაჟი მოტაცებას დაუპირებდა, რა მოხდა მერმე?“

„სამწუხაროა, ძველი ყოფის რეციდივების გამეორება დღევანდელ დღეს, სხვა არაფერი“.

„ასეთი რამ არ უნდა გიკვირდეს, ვახტანგ, შენგანვე მაქვს განაგონი: ორი-სამი ათეული წელი ერთი პიროვნების ცხოვრებაში სიცოცხლის დიდი მანძილია, მაგრამ ხალხის ცხოვრებაში თვალის ერთი დაფახულება არისო. რად გაგვირვებია ასეთი რამ?“

კორინთელმა ამის სპასუხოდ არაფერი თქვა. პაპიროსს ცეცხლეშმოუცოდა და მერმე ჩაილაპარაკა:

„ეპ, სილამაზე თითქოს ბედნიერებას უნდა ანიჭებდეს ადამიანს, ისე, როგორც ტალანტი. შეიძლება ითქვას, როგორც უჩვეულო სილამაზეს, ისე უჩვეულო ტალანტს საკუთარი დამსახურების გარეშე ლებულობს მათი პატრონი. ლამაზი ქალები უბედური ზღვებიან ხანდახან, რადგან სილამაზე და ტალანტი ზოგჯერ იმდენ მეშურნეს გაუჩენს მათ პატრონს, რომ დაბადების დღეს დააწყვევინებს უთუოდ“.

„შენ ამას მართალს ამბობ, ვახტანგ, სილამაზე მართლაც გზას უმრუდებს ხანდახან ქალს, ამ მხრივ, უნდა ითქვას. ზმირად შუათანა სილამაზის ქალები უფრო სეგებდნიერად აწყობენ თავიანთ ცხოვრებას. მე არ მინახავს ის ნუნუ, მაგრამ დავიჯერო, რომ ბერძნული გლეხის გოგონა ასეთი სილამაზის პატრონი იყოს?“

„რატომ ფიქრობ, მედიკო აგრე? რად არ შეიძლება კოლმეურნე ქალი ლამაზი იქნეს? მე ბევრს დავდივარ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში, უცნაურად ლამაზი ახალი თაობები მოდიან ამ ახალ დროში. და ეს გასაგებია“...

ახლა მეღვა დადუმდა, კორინთელს არ უნდოდა ამ საკითხის მთლად გაღრმავება, ამიტომაც, როგორც კი გამოსცალა ის ერთადერთი ღვინის ჭიქა, რომელსაც ყოველ დილას სვამდა საუზმის დროს, წამოღვა, ახილი გაიყვანა აივანზე და განაგრძო ბოლთას ცემა.

ამასობაში თემსაბჭოს აივანზე გამოჩნდნენ თედო თარალაშვილი, კომკავშირის რაიკომის მდივანი — კვირიშვილი და პროკურორი ხიდაშელი. კორინთელი მიესალმა მათ და სასახლის კიბეზე ჩავიდა. ახილი უკან გამოუდგა პატრონს, მაგრამ კორინთელი გამობრუნდა, კიბის თავზე მიუთითა ცხო-



ველს, დაწეპიოო, უბრძანა მკაცრად. ძალლი დაემორჩილა ნაბრძანებს.

პროფესორი, უწინარეს ყოვლისა, გამოძიების შედეგებით დაინტერესდა.

თემსაბჭოს აივანზე უკვე მოგროვილიყენენ ამ ამბით აღშფოთებულნი და უჩვეულო ამბებს დახარბებულნი. ამიტომაც თედო თარალაშვილმა მკლავში ზელი გაუყარა პროფესორს, თემსაბჭოს დარბაზში შეუძღვა ოთხივეს და ყარები ჩაპყეტა.

როცა ზიდაშელმა თავისი დასკვნები გაუზიარა პროფესორს, ამ უკანასკნელმა მოიწონა გამოცდილი იურისტის სიფრთხილე.

კორინთელი საეცებით დაეთანხმა მას, რომ იმის ვარაუდს წინასწარი გამოძიების მონაცემები შესაძლებლად ვერ ხდიანო, თითქოს რომელიმე მოჩხუბართაგანს კრაველის ქუდი ეპოვნოს და თავდასხმის მომენტში გამოეყენებინოსო.

„აბა ერთ რამეს გირჩევდით, ამხანაგებო, — ეუბნება კორინთელი სამივეს, — ერთი მაძებარი ძალლი მყავს. და ეგებ ის გამოგეყენებინათ“...

ესა თქვა პროფესორმა და ფანჯრიდან მიუთითა კიბის თავზე გაწოლილ ახილზე. პროკურორი მიაცქერდა ძალლს და თქვა:

„აჰა, ჩვენს რაიმილიციასაც ჰყავს სწორედ ასეთი მაძებარი ძაღლები. წელან ენანობდი კიდევაც, რომელიმე მათგანი თან რომ არ ჩამოვიყვანე. მართლაც, მოდი, ეს საშუალებაც ვსინჯოთ, რა თქმა უნდა, თქვენი ნებაც თუ იქნება, ამხანაგო პროფესორო“.

„რა სათქმელია, ინებეთ, მხოლოდ არ ვიცი, რომელიმე თქვენთაგანს თუ წაპყვება იგი“.

„არაფერია, მე რატომღაც ადვილად მემორჩილებიან ასეთი ძაღლები“.

პროკურორმა დარბაზის კართან ზღვარი სერჟანტი მოიხმო.

კორინთელს გავლიმა.

„არ დაიჯეროთ, ამხანაგო პროკურორო, ჩემი ახილი არამცაღარაშეცდებოდა არც გაპყვება თქვენს სერჟანტს“.

კორინთელი ისევ გავიდა აივანზე და გადასძახა კიბის თავზე მწოლარე ცხოველს:

„აქ მოდი, ახილ!“

ძალმა კიბე ჩამოირბინა, მერმე ზედ გადაველო თემსაბჭოსა და სასტუმროს შორის გამართულ კაცის სიმაღლე ღობეს და თემსაბჭოს აივანზე გაჩნდა.

„დაწეკ!“ — უბრძანა ახილს კორინთელმა.

ყურებდაცქვეტილი იჯდა ახილი, წინგაშევირღ, დრუნჩი დაედო ყვითელ თათებზე, თავისი კვრინჩხივით შავი, ციმციმა თვალებით, შესცქეროდა კორინთელს, თითქოს ეკითხებოდა:

„რას მიბრძანებ, ჩემო პატრონო?“

როცა ოთხივენი ისევ თემსაბჭოს აივანზე გამოვიდნენ, თედო თარალაშვილი მიესალმა სასტუმროს აივანზე გამოსულ მედეას და კიბის საფეხურებს ძირს ჩამოჰყვა, შოფერი ანდრო წინ შეეგება კორინთელს და მოახსენა, კარტერი უკვე გავასწორეო.

კორინთელმა შენიშნა, რომ ეს სიტყვები მედეას სმენას მისწვდა. ქალი აივნიდან გადმოიხარა და ფრანგულად გადმოსძახა ქმარს ნელი ხმით:

„არ მივდივართ თელავს?“

კორინთელი შეცფუნდა.

„ერთი საათის შემდეგ მოვბრუნდები, შენ მანამდის დაეშაღეო“.

„მე უკვე მზადა ვარ“.

გადმოსძახა. მედეამ და, როცა დაინახა, მანქანაში ჩასხდნენ ოთხივენი და ახილიც თან წაიყვანეს, ქალი სასტუმროში შებრუნდა და კარი გაიჯახუნა.

თედო თარალაშვილის გარდა სხვას არავის შეუნიშნავს ასეთი აფექტირებული სცენა, რადგან მედეას არ იც

ნობდნენ არც პროკურორი და არც კომკავშირის რაიკომის მდივანი.

კორინთელმა და თედო თარალაშვილმა ურჩიეს პროკურორს, ახილი თავდაპირველად ქეთუას სახლში წაეყვანათ. სასტუმრო ოთახში შესვლისას ძალს უკერ ფაფახისთვის აყნოსინეს, მერმე პატრონმა უბრძანა მას:

„შერშ!“

კარგა ხანს დასუნსულობდა იატაკზე ცხვირჩარგული ძალი, მერმე ეზოში გავარდა სწორედ იმ კარებიდან, საიდანაც აბრიაშ და ლუომ ძლივს გამოათრიეს კობერიძე და კანკრე.

ბოლოს გუდრონიან გზას დაადგა ახილი, გვერდით ჩაუარა კოლმეურნეობის საბძლებს, რაიკავშირის სავაჭროს, მტს-ის სამანქანო-სატრაქტოროსადგურის ფარდულს და იმ ადგილას შედგა, სადაც მოჩხუბარნი მუშტებსა და წიხლებს თავაზობდნენ ურთიერთს.

გუდრონიანი გზის ნაკვეთი რა მოთავდა, საურჭე შარას დაადგა ახილი და მეღორე პოპოლას ჩალით გადახურულ სახლს მიადგა.

ბოლოს კორინთელმა ახილს ისევ აყნოსინა ქული, ძალი ეზოში გამოვიდა და ისევ იმ ადგილას მიადწია, სადაც მოჩხუბარნი დიდხანს ებრძოდნენ ურთიერთს, აქ ლიქიანით დაბარდნილ ხრამში გადაიჭრა, მანდაც რამდენიმე წრიული მოძრაობა გააკეთა და სანერგე ფარდულისკენ გაემართა. იქიდან კი იარა ხეც-ხეც, შინდარი გადაირბინა და ბერმუხისაკენ გასწია.

მაყურებლები გაოცებული იყვნენ ამ გონიერი ცხოველის საქციელით.

მათ სწორედ აქ შემოეყარათ სანერგე ფარდულიდან მომავალი გოდერძი. პროფესორს გაეხარდა მისი დანახვა, ხელი ჩამოართვა და უთხრა:

„როგორ მოგწონს ჩემი ახილის მუშაობა, გოდერძი?“

ყმაწვილმა გაიღიმა და თქვა:

„ეტყობა, ძალიან გონიერი ცხოველია“.

გოდერძი დააკვირდა ძალიან მოძრაობას, ძალი ბერმუხის ქვეშ მდებარე ჯირკვთან მივიდა. ამ ჯირკვზე წოწოლა ქულიანი ლანდი იჯდა წუხელ.

ძალმა რამდენჯერმე შემოუარა ჯირკვს, მერმე იარა, ისუნსულა და წისქვილისკენ მიმავალ შარას დაადგა, მცირე ხანს მიეყნენ ამ მიმართულებით მიმავალ გზას და აქ შედგა ახილი, აშკარა იყო მან კვალი დააკარგა წყლის პირად; გზა საკმაოდ განიერ რუს გადააწყდა.

ისევ ბერმუხისაკენ გამობრუნდნენ ხუთივენი.

გოდერძი ახლა უკვე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ის ლანდი, რომელიც ლუო უჯირაული ეგონა, ბერმუხიდან უკან გამყოლია სოფლისკენ მას და ნუნუს, მერმე, ბუჩქებში სადმე განახულს, უცდია, ვიდრე გოდერძი ბნელ შეუქაში გაუხვევდა და ამის შემდგომ თავს დასხმია ცაცხვის ქვეშ ნუნუს.

მას არ შეეძლო ყოველივე ამის გამხელა, რადგან ეს ამბავი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა ნუნუს. ამიტომაც მან დადუმება არჩია. ასე რომ, თვით გოდერძიც იძულებული გახდა ერთ-ერთი დეტალი დაემალა პროკურორისათვის.

ბოლოს ბერმუხის ფესვებზე ჩამოსხდნენ ხუთივენი და განაგრძეს ბეობა.

არც პროკურორი, არც თედო თარალაშვილი და არც კორინთელი საკმარისად არა თელიდნენ გამოძიების მიერ მოპოვებულ მონაცემებს. კომკავშირის მდივანი ბუნებით თავშეკაცებელი და მდუმარე ახალგაზრდა იყო, მას საჭიროდ მიაჩნდა კობერიძე დაუყოვნებლივ დაეპირათ და საბრალდებულო სკამზე დაესვათ, მაგრამ ჯერჯერობით თავს იკავებდა, რადგან საკმარისი საბუთები არსად ჩანდა.

მაძებარი ძალის ნიშნებს წინ გადელობა შემდეგი გარემოება:

როგორც თედო თარალაშვილი, ისე კვერიშვილი ამტკიცებდნენ, რომ მელორე პოპოლა პატიოსანი კაციაო, ხოლო ნიორთავას ზნეობრივი სისპეტაკის ამბავი თვით პროკურორმაც კარგად იცოდა.

რაც ტრაქტორისტების — ნიკა უჯირაულისა და ხელანთ ვანოს რიგიანობაში ეპარებოდა ვინმეს ექვი.

მელორე პოპოლას ჩვენებიდან ირკვევოდა, რომ კობერიძე 12 საათზე მოსულყო პოპოლას სახლში, ხოლო კანკრე ამავე დროს უნდა ყოფილიყო წისქვილში მოსული.

რაც შეეხება მაძებარი ძალის მიერ გეშის აღებას, ხომ დასაშვებია იყო ასეთი რამ: კობერიძის ქუდი გაქვნილი იყო მისი პატრონის ოფლის სუნით, ამ სუნს მიჰყვა მაძებარი ძალის მელორე პოპოლას სახლისკენ, მერმე, როცა ახილი უკან გამოზრუნდა, იგი, „მტს-ის“ ფარდულის გასწვრივ შეჩერდა და ცხრაშუხის ზეგანისკენ გადაუხვია.

შესაძლო იყო, რომ ამ ადგილას ვინმეს, მესამე პირს ეპოვნა ის ქუდი და რაკი მასში დომინანტა — ე. ი. სუნის სიჭარბე, ისევედასევე კობერიძის ოფლს ექნებოდა, ამ სუნს გაჰყვა ძალი ამ ახალი მიმართულებით.

ამ ახალმა მიმართულებამ დააეჭვა კომკავშირის რაიკომის მდივანი, მაგრამ, როგორც პროკურორმა, ისე თედო თარალაშვილმა მას შეახსენეს კობერიძის ჩვენებიდან კიდევ ერთი დეტალი: როცა კობერიძე პოპოლას სახლიდან

მაროს სახლში მისულა პირველად, ეს უკანასკნელი შინ არ დახვედრია, პატარა მალხაზს უთქვამს: ძალევი-მყოფი წესე-ქვილშიაო. ასე რომ, კობერიძე ჯერ ნიორთავასთან წასულა და მერმე იქიდან ორივენი უკან გამოზრუნებულან და მხოლოდ ამის შემდეგ წვევიან ქეთვას.

ამრიგად, არც მაძებარი ძალის გულმოდგინე მუშაობით გამორკვეულა რაიმე ახალი, დამნაშავეის აღმოჩენის საქმეში.

და ეს ყოველივე იმის შემდეგ იყო, როცა უჯირაულების გვარმა მაინც შესძლო ძიებისათვის ხელი შეეშალა. გარდა ამისა, თვით ნუნუ და გოდერძიც იძულებული გახდნენ: ზოგ-ზოგი ფრიად არსებითი დეტალი არ გაემხილათ პროკურორისათვის.

ასე და ამგვარად, მიუხედავად ხანგრძლივი ანალიზისა და ბკობისა, ვერც პროკურორი და ვერც დანარჩენები რაიმე დასკვნას ვერ დაადგნენ. ასე რომ, მათ ხელში შერჩათ ერთუცნობიანი განტოლება.

პროკურორ ბიდაშელს თავისი ხანგრძლივი იურიდიული პრაქტიკის შედეგად ერთი დიდი ჭეშმარიტება ჰქონდა მინიშნებული: მართლმსაჯულება ორლესული მახვილია, და თუ იგი ფრთხილად არ მოიქნე, ერთი დამნაშავეის ძებნაში შესაძლოა ორ უდანაშაულოს წააცალო თავი.

ამიტომ ერთადერთი შედეგი ამ გამოძიებისა ეს იყო: კანკრემ უკანასკნელი გაფრთხილება მიიღო, ხოლო კობერიძეს წინადადება მისცეს, რათა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ბერძუხა.

(გაგრძელება იქნება).

ახალგაზრდა მწერალთა შეგომქმედება.

გიორგი ხახაშვილი



ორი შეხვედრა

კორეაში ტანვარჯიშის აშერიველ ჯარისკაცს.

1.

გახსოვს, შეგვეყარეს მრისხანე გზებმა,
მართალ ჯარისკაცს გზები მოვლიდა?!
ჩვენ მივაღვიძეთ ორივე ელბას,
შენ გაღვიძდი და მე გამოღვიძდი.
გულით იცოდი სამშობლო მინდობა,
იღვიძებოდი წლობით ნაბრძოლი.
და სისხლის ფასად ნაპოვნ მშვიდობას
შენც მივსალმე ქუდის ასროლით.
განშორებისას მე იღუმალი
შენი თვალების სევდა გამომყვია.
ალბათ მაშინვე მიხვდი გუმანიით
— სხვაა გაღმა და სხვაა გამოღმა...
დამშვიდობებით დამძიმდა წუთი,
ორივეს გაგვეყვია გული უდრეკი;
როცა ელბიდან სხვადასხვა კუთხით
სამშობლოსაკენ გზებს გავუღვიძეთ.

2.

სამშობლო?

იგი გქონდა თუ არა?!
უცებ აშალეს ფიქრი ეჭვებმა.
კვამლიან გზებზე იცნობდი ვარამს,
ჯარისკაცი ხომ დარდებს ეჩვევა.
მაინც ფიქრობდი: არ იქნებოდი
უუფლებო და ბედის მორჩილი.
ზღვის ნაპირებზე მწვანედ
შეფოთილის
ხაფხულს ნახავდი შენი ცოლშვილით.

მოუთმენლობით სული დაქანცე,
ვერ მიატოვე გემს რიკული.
გეჩვენებოდა ცოლი ბაქანზე
ფერადი კაბით და თაიგულით.
ფუჭი ოცნებით სული აგვესო,
ნაცნობ ნაპირებს ვეშმა მიაგნო.
კვლავ მოღუშული და უაღერსო
რად შეგვეგება ძველი ჩიკაგო?!...
დაქანა ლამაზი ოცნება მაშინ,
შინ დაბრუნებას რისთვის ნატრობდი?
დიდი ქალაქის უძირო ზღვაში
შენ დაიკარგე როგორც ნაფოტი.
დიდ სიხარულის დაუშვი აფრა,
მრისხანებისგან უცებ აზვავდი.
და სიზმარივით უეცრად გაქრა
ოცნება ომის გზებზე ნაზარდი.
სარდაფის კარებს თართოლვით აღებდი,
რა გითხრეს ცოლის გამხდარ
ითთებმა...

შენ ხეტიალში ცვითე წაღები,
შენთან შიმშილიც ღამეს ითევდა.
ფიქრობდი, ასე რად შეგეხვდა ბედად,
თვალები სევდამ რატომ შენისლა?!
გულით ინატრე: „მოვიკალ ნეტავ,
ტყვიას მოვეკალ გერმანელისას!“...

3.

მე ბედნიერი დავბრუნდი სახლში,
დიდი ოცნება გზაზე გამომყვია.
და უფრო ძლიერ გავიგე მაშინ:



სხვაა გაღმა და სხვა გამოღმა.
 ვიყავი საესე ულევ სიცოცხლით
 და მახარებდა შექთა გადმოღვრა.
 მე ვბრუნდებოდი და ეს ვიცოდი:
 სხვაა გაღმა და სხვაა გამოღმა.
 ღიმილით შემხვდა თბილისი ჩემი,
 გულს განა დარდი აწვა ლოდივით?..
 ენახე მეუღლე, ღიმილის მჩენი,
 დასრულდა მისი დიდი ლოდინი.
 დადგენ ზაფხულის დღეები მშვიდი,
 კვლავ ჩირაღდნებმა ხატეს ქალაქი.
 და დღეს, როდესაც გაზეთებს ვშლიდ
 დიდ სიჩუმეში ზღვის აგარაკის,
 ჩვენ შევხვდით ისევ...
 წაგართვეს, ვხედავ,
 კაცობის ნიშნად რაც რამ გებოდა.
 დღეს სამარცხენოდ კორეის ტყვე
 ხარ.

ერთ დროს პირნათლად მღვარი
 ელბასთან.

ჰა, როგორ შევხვდი განმეორებით,
 სად მიგიყვანა შენმა სიბრძავემ...
 დიახ, საბრალო ტყვე ხარ კორეის,
 სიბრაღულითაც ვერ შეგებრალე.

4.

ხომ გიბრძოლია დიდ სიმწვედისთვის
 ომი რაღა გაქვს ბედად მისჯილთა
 „ნუ წახვალ!“
 დულდა შენში სინდისი.
 „წადი!“
 ამბობდა მკაცრი შიშშილი.
 ჰა, პეიზაჟი რუხი სანგრებით,
 მოშავო კვამლი გარს გახვევია.
 როს ნაომარი რუსთავს ვაგებდი,
 შენ თურმე წვევდი სეულს, ფხენიანს
 ტყვე ხარ, გულში გაქვს დარდის იარაღი
 და ნაადრევად გაეხარ ბერიკაცს.
 დასცქერი მიწას. მიწას კი არა,
 რისხვით შეჰყურებ შორ ამერიკას.
 შეხედე, ერთხელ კიდევ შეხედე,
 როგორ გადასწვი მიწა კორეის.
 მე განა ასე მსურდა შეხვედრა,
 შენთან შეხვედრა განმეორებით?!
 გვიან გაიგე ბოლოს და ბოლოს,
 რომ კორეელი არ გყავს მოქიშვედ.
 რომ შენი მტერი იქ არი მხოლოდ,
 სიდანაც ომის ვზით გამოგიშვეს.

ნოდარ გუგუშვილი

დღე და ღამე

★

ლაპიონები ციმციმებენ, შექია ყველგან,
 მტკვარს ნათურებით გადაჰყურებს მაღლით ჯებირი,
 მდინარე უცბად, თითქოს წამით, დადუმდა, შედგა
 და აელვარდა კალმახების ფორეჯებივით.
 ცა ნათელია, ჩირაღდნები შინა თუ გარეთ
 გულშიც ხალისი, სინათლეა ახლა იმდენი...
 და ამ ღამეში ასე ნატრობს მშობელი მხარე,
 რომ კაშკაშა და მშვიდი იყოს დღე ხვალისდელი



გვიან ლამითაც არ იძინებს კაცი დიადი,
 თმათა ნათელი მოგაგონებს თოვლის სითეთრეს,
 ის ფიქრობს, მარად რომ მოისპოს ქვეყნად წყვილიად
 ის ზრუნავს, ხვალის მშვიდი დილა რომ გაგვიტენდეს....
 ამერიკაში ალბათ ახლა შეადლე არის
 და პენტაგონში თათბირი აქვთ მარშალს და ტრუმენს.
 რომ მთელს მსოფლიოს მოუსიონ ბანდიტთა ჯარი
 და გაუთენონ ხალხებს დილა შავი და მრუმე.
 იქ შეადლეა? აბა ჰკითხეთ იმ უმუშევართ,
 საცოდავ ლუკმის ძიებაში ლანდებს, რომ ჰგვანან,
 შიმშილისაგან მზე რომ უჩანთ თვალებში შავად,
 ასეთ ყოფას და ამ სიცოცხლეს დღე ჰქვია განა?!
 ჩემი ლაქვარდი უღრუბლოა და მუდამ სუფთა,
 ჩემი ვოლგა და ჩემი მტკვარი მოკამკამეა,
 ჩემს სამშობლოში შექნათელი დღე არის მუდამ,
 ამერიკაში მუდამ ლამეა.

მეტი პარამიძე

წერილი ამერიკელ ზანგს



თვისუფლებების ძეგლს გადაღმა შავ მონად ყავხარ
 შენს ფერზე მეტად შავი საქმის ველურთა ტომს.
 შენ ახლა გემზე ტვირთს აწყობ თუ მშვიერი დგახარ,
 ოცნებით ფრინავ ჩემს მხარეში — ჯიმ, ჯექ, თუ ტომ!

შენ ახლა თეთრი, მაგრამ შავი საქმის ბატონი
 ახალი ყალბი დაპირებით გიმზადებს ომს,
 და რომ იყიდოს შეათასედ ერთი ატომი
 შენგანც ათასგვარ შრომას ითხოვს — ჯიმ, ჯექ, თუ ტომ!

იქ შენთვის მუდამ ზამთარია, გაწვიმს და გათოვს,
 შენთვის ჯერ კიდევ ვერ იღარა საზარმა დრომ.
 შეზღდე, ძმაო, ჩემს მხარეში ოქტომბრის მნათობს,
 გაზაფხულია აქ მუდმივი — ჯიმ, ჯექ, თუ ტომ!

ასეა თურმე — შავ ბურუსით დახშული ზეცა
 ინთება, როცა გრიგალია და ელვა ქექს;
 და თუ გასურს მართლა შენ სიბნელის სინათლით შეცვლა,
 ოქტომბრის მნათობს უნდა უხმო — ჯიმ, ტომ, თუ ჯექ!



ჯანსუღ ნიქაბაძე

ს ა მ გ ო რ ი



ჯეჯილებიდან ფართქალით მწყერი აფრინდა ქვით-ქვითა.
 ქედებმა ჩამელნებული ღრუბლები შემოიფლითა.
 შემოიფლითა ღრუბლები, სამგორის მინდორს გახეუა,
 კოლმეურნეთა ლაშქარი იდგა ვეება არხებთან...
 არხებთან წითელ ბაირაღს ცელქი ნიაფი არხედა.
 ელავდა ათასფერითა მრავალჯერ ნაკაშქაშარი,
 ქართველი ხალხის მარჯვენით აწენებული კაშხალი,
 ელავდა თეთრი კაშხალი ცათამდე მხრებმიბჯენილი,
 ნიავს მოჰქონდა შორიდან მთებში ძახილი ჯეიღინის...
 ვეფხვივით დაუღღღებო, ნაომარები გრივალთან,
 სამგორის მიწას შებმოდა კომკავშირელთა ბრიგადა.
 დიდლილოელმა პაპამა მიწას რომ დაჰჭრა წერაქვი,
 თოვლივით თეთრი წვერები ჩამოეფინა წელამდი.
 — სამგორის ველის გაღზობა განა საქმეა იოლი? —
 მიწაზე უთვლელ შტოებად მოედინება იორი,
 მოედინება იორი. შორიდან მოჩანს ლურჯადა,
 საბჭოთა ხალხის შრომითა გაკვირვებული უჯარმა.



მორა მამანაძე

ზოიას დედა



ცისიერზე, ცისკარი რომ ციმციმს
 უკლებს
 და მზის სხივი დაიფრქვევა ქვეყნად,
 სკოლაშია პატარებთან იგი უკვე, —
 საყვარელი აღმზრდელი და დედა.
 მზრუნველობით თავს ევლებდა
 აღსაზრდელებს
 და სურვილი არ ასვენებს დიდი: —
 ყველა აღზრდილს რომ ზოიას გული
 ჰქონდეს

და სიცოცხლე ხანგრძლივი და მშვიდი.
 მაგრამ ესმის ოკეანის გაღმა მხრიდან
 მტერი როგორ ლესავს ომის ზახვილს,
 ჩვენ მშვიდობა, სიცოცხლე და ლენა
 გვინდა,
 მათ სურთ ომი და მოსპობა ხალხის.
 აღმფოთებით წარბი წარბზე გადაებმის,
 გულზე ფიქრი მოაწვება დარდად,
 — თქვენ სიკვდილით ემუქრებით,
 ყაჩაღებო,

რამდენ გზრდილს და რამდენის
გზრდას.
ეს იცოდეთ, დაღუპვას ვერ
აცილებით,

თუ დაგვატებთ ომის მეზს და ვლვის,
შეილი არ მყავს, მაგრამ ჩემი
ადრდილებს
შეილებივით მასახელებს ყველა.

ამერიკელ სტუდენტს

★

ლექციას ისმენ, ვით მწარე ამბავს,
და წინ რვეული ვიდევს გაშლილი,
თუ შენც სინდისი არ დაგიკარგავს,
ვერ მოისვენებ მერხზე ბავშვივით.
შენ გასწავლიან ნგრევას, მუქარას,
როგორ აქნით ცელი სიკვდილის,
გწრთენიან ყაჩაღად, მხეცად, უქნარად,
რომ სიცოცხლესთან იწყო ღიდილი.
მოგიწოდებენ სხვების აკლებას
და დოლარისთვის თავისდადებას,
გადაგამტრევეა ომში მკლავები
და სამუდამოდ დაგიღამდება.
მეც სტუდენტი ვარ, მაგრამ სხვაგვარი,
სხვა მიზანი მაქვს გულში ალივით.

წინ გზას მინათებს, როგორც ლამაზი.
წიგნი ლენინის, წიგნი სტალინის.
ვარ ხალხის მოძმე და სისხლთაგანი,
ვსწავლობ და მინდა ბევრი ვიცოდე,
რომ ავაყვავო მთელი მთა-ბარი
და უდაბნოშიც გაჩნდეს სიცოცხლე.
მშრომელმა ჩაგვრა ყველგან დაძლიოს,
არსად ისმოდეს კენესა, ტირილი,
კაცის ცხოვრება გაეახანგრძლივო.
დიდი მიზნისკენ მტკიცედ მივდივარ,
ხალისით მიცემს გული ძლიერი,
შენც სტუდენტი ხარ, მეც სტუდენტი
ვარ.

შენ უბედური, მე ბედნიერი.

ნაზი ქილასონია

მვილაზე ლამაზი სიმღერა

★

ქარი ვერ არწევს ამ მაღალ ამწეს,
გვერდით რომ ჩავევლი სულ ასე
მგონია:
საცაა ქორივით დამწელება თავზე,
და მეც ბუმბულივით აყევები გოლიათს.

რომ მისი თვალებით დაეხედო მიწას,
რომ შევით ავზიდო დულაბი, აყალო.
და ძირს, ძველი სახლის ჩრდილი რომ
მიწვა,
ახალი ხამყაროს ფუძენი ჩავეყარო.

ეს შენი მაჯაა და გული მიღლეავს?
რომ ჩემი სიცოცხლეც შენსას მე ვუბანო.
მასწავლე ყველაზე ლამაზი სიმღერა,
დიდი მშენებლობის პატარა უბანო.
შენს კარმიდამოზე დავანთებ ერთ
ყოფას,
ოღონდ კომუნისზმის ტემპი არ
შენელდეს.
დიდება რად მინდა, მე ისიც მეყოფა,
უბრალოდ რომ მეტყვიით:
სალამი მშენებელს!



შვილობილი



ვიცი არ გახსოვს სიტყვა მშობელის,
დედის თვალები, მამის ჭალარა...
მაგრამ გიშვილა მთელმა სოფელმა
და ყვეაილივით მზეში გახარა.

ყვავილი თავზე ცვარს რომგადაივლებს,
საკითხავია? — როგორ იხაროს...
და გწყინდა როცა გეტყოდა ვინმე:
„ობოლი ხარო“.

გწყინდა, რადგანაც ერთის მაგივრად
შენ ასი კალთა გეხურა თბილი,

ასმა მამილომ გამოგაცილა,
როცა ესტუმრე საყვარელ თბილისს

ამ შარავზეზე ქარი დაგდედა,
ამ ორლობეში ენით ვარდობა,
დაბრუნებულხარ ისევ გამზრდელთან,
რომ ერთხელ კიდევ უთხრა მადლობა.

რომ დღეს ახარო იმისი ნერგი,
და შერე კდემით თავი დახარო,
რაც დიდი ქვეყნის შეილობა გერგო,
მასწავლებლო — პატარა ქალო.

მარიამ აბრამიშვილი

იორი



ზღვა სიხარულის მოვარდნას ჰგავდა,
აზვირთებული როცა მოჰქროდა
და ამ ველების სიცოცხლის გარდა
გამარჯვებულთა ვაშა მოჰქონდა

ზღვა სიხარულის მოვარდნას ჰგავდა,
როცა სამგორზე გადმოიარა,
გადასჭრა ველის ხრიოკი კალთა, —
ღელვა იყო და წყალი კი არა.

ის იყო ღელვა უთვალავ გულთა,
ადამიანთა ღელვა ძლიერი,
გულის ძარღვებში სისხლივით დულდა
დიდი სიცოცხლის წმინდა იერით.

ის მოდიოდა მოსდევდა ხალხი —
მის უძლიერეს ტალღად ქცეული,
ის მოდიოდა ბელადის არხით
და მიტომ — ასე აღტაცებული.

რუსთავი მძახის სამზორს



ღლე გქონდა ბინდბუნდიანი,
მარტოდენ გვალვა და ქარი,
შენ იყავ ველი ტიალი,
მე ვიყავ ნაქალაქარი.

მტერთაგან ლახვარსობილი,
ვიშვი ფოლადის კაშკაშით
და ვწყევარ ახლადშობილი
ხარაჩოების აკვანში.

მზეს ვუმზერ ჩვილის ღიმილით,
 მეც ქვეყნის ერთი ლამპარი,
 ვიზრდები ზღაპრულ გმირივით,
 მაგრამ არა ვარ ზღაპარი.
 არა, ზღაპარი როდია,
 ლალად გაშლილი მკერდებით,
 ეხედავ, შენთანაც მოდიან,
 მოაქვთ სიცოცხლის ნერგები.
 ეისითაც ველი აყვავდა,
 მეც მისი ხელი მამშვენებს,
 შენთან რომ არხი გაკყავდათ,
 მე მისმა ძმებმა მაშენეს.
 მზეს გაუფანტავს ჩრდილები
 და მათ თვალს მოვუძებნივართ,
 ჩვენც ერთი დედის შვილები,
 მკვდრეთით ამდგარი ძმები ვართ.

ვინც ქვეყნის კარი გაგვიღო,
 მარად მისი მზით ვინთებით,
 მან მე ფოლადი გამიყვანა,
 შენ კი — იორის ზვირთები.
 უღაბნოს ვარდი გელირსა,
 მისი მზით შუქდაფენილსა,
 იორის წყალი შეგისევამს,
 ვით წყარო უკვდავებისა.
 დაგეფქვას ოქროს მარცვლები,
 ყურძენიმც დაგიწურია,
 შენს მიწას დაეენაცვლები,
 შენი პურ-ღვინო მწყურია.
 იორის ზვირთთა ღელვაში
 პირი შეუკრავთ იარებს, —
 დაგვირდებ? მოდი, ხელგაშლით
 ფოლადში წამეწიარებ!

3. ბარიკა

კომბაინი სოფელში

★

ამოიხენეშა, შეჩერდა დინჯად,
 ყანებს გახედა ჩუმი ალერსით.
 პაპამ თქვა: ალბათ ძალა მოსინჯა,
 ბევრად ეჩვენა სოფლის ნათესი.

გაღუტრიალდა უცებ გუნება,
 ყანას მშვიერი ვეფხვივით ეცა

(თითქოს-და პაპას გასამტყუნებლად),
 აჩქარდა, ძალა გააორკეცა.

მოხვეტა სოფლის ნათესი სწრაფად,
 ყანები შავი ჩოხით შემოსა,
 ალტაცებული ლოცავდა პაპა
 კომბაინების სოფლად შემოსვლას.

მედიკოსი



მხეცა

★

ექვსასზე მეტი ქალ-ვაჟი მონაწილეობდა ცენტრალური სტადიონის მოწყობაში. აქ გაიცნო ლევანმა ირინა—კალატოთა ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი. შემდეგ წელიწადზე მეტხანს ატარა პატარა გულით სიყვარული. ალბათ ერთი ამდენი ხანი კიდევ გაჟიდოდა, მაგრამ საქმეს რუსი გოგონას სითამამემ უშველა. ირინამ ვაჟის ტრფიალს გუმანი აუღო და ლევანი აიძულა სიყვარულში გამოტეხოდა. შემდეგ ოცნება მომავალ ოჯახზე... ეჭვი და ხანმოკლე დამდურება, რომლის მიზეზიც ხშირად იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ ლევანი ამის გახსენებაზე ღიმილს ვერ იკავებდა.

მეორე ცვლა მუშაობას ამთავრებდა. პირველ და მეორე ღუმელებს უკვე მიეცათ ნაღობი და მეფოლადეები ახლა ღუმელებში ნედლი მასალების ჩატვირთვაზე მუშაობდნენ, ხოლო მესამე ღუმელში, რომელსაც ლევანის ახალგაზრდული ბრიგადა ემსახურებოდა, დნობა კვლავ გრძელდებოდა. სანათურში წითელი ალი ბღღვრიალებდა. ლურჯი სათვალეებიდან მოჩანდა ადუღებული ლითონი, რომელიც შეტბორებული მორევივით ერთ ადგილზე ბრუნავდა და ირგვლივ თაქარა მცხუნვარებას აფრქვევდა.

ლევანმა ღვარად მომსკდარი ოფლი სახელოთი მოიწმინდა. დნობის პროცესის ზუსტად დაცვისათვის ზრუნვას ხელი არ შეუშლია კვლავ ფიქრსა და ოცნებაში წასულიყო. მას კვლავ გაახსენდა ირინასადმი უსაფუძვლო ეჭვი და გული ეტკინა, თავისთავს სულწა-

სულობა და ქედმაღლობა უსაყვედურა. რა უბრალოდ აწყენინა და თვითონაც გული დაიდარდიანა! აბა, რა იყო გასაბრაზებელი?

ილია ერენბურგის „ქარიშხალს“ კითხულობდნენ. აივანზე მეზობლის ბავშვი ხმაურობდა. გამოღებული ფანჯრიდან ნიავს გაზაფხულის სურნელი შემოჰქონდა. ირინას გულზე მიესეტებინა მინდვრის ყვავილების თაიგული. ანგარიშმიუცემლად წყვეტდა სიფრიფანა ფურცლებს და იატაკზე ფანტავდა...

ლევანი მწკავედ განიცდიდა სერგეისა და მადოს აუზდენელი სიყვარულის ამბავს და გულით სურდა რომანის გმირებისადმი ასეთივე თანაგრძნობა ამოეკითხა ირინას თვალებშიაც. შემფოთებით შენიშნა, რომ ირინა ყურს არ უგდებდა. დაშლილი თაიგული კალთაში მიმოფანტოდა. უზომოდ ეწყინა ლევანს, ეწყინა, რომ ირინას ოცნება სადღაც შორს იყო ახლა, ლევანისაგან ძალიან შორს.

„ჩვენ უცხო ვართ ერთმანეთისათვის“, — გაიფიქრა უცებ და გული ეტკინა, — „ნეტავ ვისზე ოცნებობდა?“ ამ კითხვამ გუნება გაუფუჭა და თავგზა აუბნია. ერთბაშად გადაწყვიტა: ირინას აღარასდროს შეხვედროდა და მასზე არც არასოდეს ეფიქრა. ამ აზრს მისდა გასაოცრად იოლად შეეჩვია. თითქოს კიდევ დამშვიდდა, გულში სიმსუბუქე იგრძნო და გაეხარა. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ასე. ლევანი მალე დარწმუნდა, რომ თავს იჩუყებდა. როგორ მოქცეულიყო? საქმეს კვლავ რუ-

სი ქალიშვილის სითამამემ უშველა. ირინამ ლევანთან შეიარა და დაბნეული ვაჟი თითქმის ძალით გამოავლო სახლიდან.

წყნარი საღამო იყო. აღმოსავლეთით ღამის სიღრმეში ჩანთქმულიყვინენ გარეჯის მთა-გორები. დასავლეთით ზოისმოდა მტკვრის შხელილი. ცაზე უამრავი ვარსკვლავი ენთო.

„ვიზე ვოცნებობდი?“ — კიდევ გაუცხრა გული ლევანს ამ კითხვამ და ისედაც უხერხულ მდგომარეობაში ჩაქარდნილი, მიაღდა გააოგნა. იგი შორიან-ლოს მისდგედა ირინას, თითქმის მასთან სიახლოვისა ეშინოდა და ამით ქალიშვილის ფარულ დაცინვასაც კი იმსახურებდა.

ირინამ იცოდა ლევანის გულის დარდი. მას შეეძლო ერთი ტკბილი სიტყვით გაექარწყლებინა უსაფუძვლო ეჭვი, მაგრამ თავს იკავებდა. და ამას სჩადიოდა არა იმიტომ, რომ ვაჟის წინაშე თავის დამცირებისა ეშინოდა, არამედ უბრალოდ, ლევანის გასაბრაზებლად, რაც მას კიდევ ახარებდა. ფარულად ადევნებდა თვალს ვაჟის ყოველ მოძრაობას და გულში ზეიმობდა: ვუყვარვარ, ძალიან ვუყვარვარ, დაე, იეჰვიანოსო.

გარდაბანის გაშლილ ველზე, რომელიც დღითიდღე განიერი ქუჩებით ისე რებოდა, მშვენიერდებოდა ქართული სტილით ნაგები სახლებით, ლალად დაჰბერა მტკვრის ხეობიდან წამოფრენილმა ნიავმა, თმები აუწეწა ირინას. ასეთ მთვარიან ღამეს ბევრი ურბენია ირინას რუსული სოფლის თვალუწედენ ტრამალზე. ყიფინით გამოუდგებოდნენ თანშეზრდილი გოგო-ბიჭები. ახლაც სირბილის სურვილი მოერია. ერთ ადგილზე შეხტა. აბა, დამიპირეო, მიაძახა ლევანს და ადგილიდან მოწყდა.

ვაჟი შეყოვნდა. ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. ირგვლივ მიმოიხედა. ქუჩაზე არაეინ ჩანდა. ლევანმა ქუდი მოიხადა და ირინას გამოუღდა.

ქუჩიდან მინდვრისაკენ გადაუხვეეს. ფეხებში ყვავილები ებლანდებოდათ, ასტებოდნენ პატარა ორძობებს თხრილებს. მერე საშენი მასალებით დატვირთულ მოედანს წააწყდნენ. ირინა მოხერხებულად უქცედა მხარს კირისა და ცემენტის ფარდულებს. გატრილ სილაზე რჩებოდა მათი ნაფეხურები. ირინა აგურების გროვას გადაახტა და უკან მოიხედა. ერთბაშად კისკისი აღუვარდა და ღონე წაერთო.

— გამეცინა, თორემ ვერ დამიქერდი.

ბალახებში ერთმანეთის გვერდით დასხდნენ. ირინამ მუხლზე კაბა გაისწორა.

— არც კი გრცხვენია. გინდა გითხრა, რაზედაც ვოცნებობდი? — უთხრა მან მოულოდნელად, საყვედურით.

ლევანმა არ უპასუხა.

— ვითომ არ გახსოვს, — უკვე წყრომით თქვა ირინამ და სამყურა ბალახი მოგლიჯა, ფოთლები შემოაცალა და მოსრისა.

— ექვს აჰყევი და გული დაიჩაგრე. გინდა გითხრა, ვიზე ვოცნებობდი? შენ გიმზერდი და შენზე ვოცნებობდი, ჩვენ ქალაქზე ვოცნებობდი... იცი, ლევან, როცა სამამულო ომზე ვკითხულობ, ამ ჩემი თვალით ნახულ დანგრეულ ქალაქებსა და გერმანელების მიერ გადაბუგულ სოფლებს ვიხსენებ, რომლებიც რაღაც ხუთიოდ წელში მკედრეთით აღდგნენ და წინანდელზე უფრო მეტად დამშვენდნენ, გული სიამაყით მევსება — რა დიდი და საშინელი ომი მოიგო ჩვენმა ხალხმა, რა მალე მოიშუშა ომის მძიმე ჭრილობები ჩვენმა ქვეყანამ!

ირინამ უნებლიეთ თავი ლევანისაკენ გადახარა. ქალის თმების ლოყაზე შეხებამ ვაჟს გული შეუტყუშა.

— მიხარია და გულიც მტკივა, — განაგრძო შთაგონებით ირინამ, — იცნ რატომ? მე არაფერი გამოიკეთებია ამ გამარჯვების მოსაპოვებლად. ომის

დროს პატარა ვიყავი. ფაშისტებმა მამა მომიკლეს და შური ვერ ვიძიე, სამაგიერო ვერ გადავუხადე მტერს; გული მტკივა იმაზედაც, რომ ჩემი მამა ვერ მოესწრო გამარჯვებას.

ირინას ხმა გაეზარა, რამაც ლევანს ვრუანტელი მოგვარა. მან ანგარიშმიუცემლად მოხვია ხელი ქალიშვილს და მკერდზე მიიხუტა, თავზე გადაუსვა ხელი.

ვაეის თანაგრძნობამ ირინას უფრო აუჩუყა გული, წამწამები ცრემლებმა დაუსველა და მზად იყო ხმაძალა ეტირა. იგი მთელი არსებით მიეყრდნო ვაეის მკერდს და მისდამა მადლიერების უსაზღვრო გრძნობებით განიმსჭვალა. მისთვის ახლა ლევანი იყო არა უბრალოდ საქმრო, არამედ უახლოესი ადამიანი, გულითადი მეგობარი, რომელმაც ყველაფერი გაუგო და უხმოდ თანაუგრძნო...

ირინამ მკლავები კისერზე მოხვია და ლოყა ლოყაზე მიადო.

— მე მამა არა მყავს, ლევან. დედა კი ომამდე გარდაამეცვალა. ისინი მშრომელი და პატიოსანი ადამიანები იყვნენ და, ვიცი, თავს არ დაიზოგავდნენ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. და იცი, ლევან, როცა მე ორ-სამ ნორმას ვასრულებ, ასე მგონია, დედ-მამის გასაკეთებელსაც ვაკეთებ, მათ მაგივრადაც ვმროშობ და ენერგია მემატება. მინდა ვაშენო ბევრი და სწრაფად... იცი, ლევან, წელან რომ გითხარი, შენზე და ჩვენს ქალაქზე ვოცნებობდი-მეთქი, ასე მომეჩვენა, შენ არ დამოგერე. მე კი მართლა ამაზე ვოცნებობდი. როცა აგურს აგურზე ვდებ და შევცქერი ახალამოყვანილ სართულს, ასე მგონია, ჩემი ცხოვრებაც იზრდება, ჩვენი ცხოვრებაც მალდება, ასე მგონია, ამ ქალაქის აშენებით, ჩვენს ბედნიერ ოჯახს ვაშენებ.

ირინამ კისერზე მკლავები შეუშვა და ლევანს თვალებში შეაკქერა.

— შენ ხომ გიყვარს ლამაზი და მყუდრო ოჯახი, ლევან. შენ ვიცი, რომ გიყვარს, განა შენ კი არ ოცნებობ ამაზე?

რომელი ახალგაზრდა არ ოცნებობს ოჯახზე. ლევანიც ბევრს ფიქრობს მომავალზე. მისი სიყვარულის ამბავი ყველამ გაიგო. შეხვდება ამხანაგი ქუჩაში, ხელს ჩამოართმევს, მოიკითხავს, გამოწმვიდობებისას გაუღიმებს და ეტყვის:

— ქორწილი არ გამოამპარო, ლევან.

— რაღას ელოდები, ძმაო, ერთი გემრიელი ქორწილი გვაკამე და გაბედნიერდი...

ბევრი რამ უშლიდა ხელს ლევანს. ყველაზე მთავარი კი უბინაობა იყო. საერთო საცხოვრებელში ხომ არ გადაიხდიდა ქორწილს!

ინდუსტრიულ ქალაქში, რომლის მშენებლობაც ჯერ კიდევ სამამულო ომის წლებში დაიწყო, სოკოებივით იზრდებოდა საცხოვრებელი შენობები. მიუხედავად ამისა, ბინათმშენებლობა საგრძნობლად ჩამორჩებოდა მოსახლეობის მოთხოვნილებას, რომლის რიცხვიც სწრაფად იზრდებოდა. ლევანმა კარგად იცოდა, რომ ბევრ ოჯახს არ ჰქონდა შესაფერი ბინა. ის კი მარტოხელა იყო. ჯერჯერობით საერთო საცხოვრებელში იოლად წავიდოდა. მაგრამ დრო იყო ოჯახის შექმნაზე ეფიქრა. ირინა უზრუნველობასა და გაუბედობას უსაყვედურებდა, თხოვდა ქარხნის ხელმძღვანელობასთან მისულოყო, გულუბრყვილოდ ურჩევდა, დირექტორისათვის ეთქვა, რომ ცოლის შერთვას აპირებს და ერთი ოთახიც კი არა აქვს. ლევანი ირინასათვის ყველაფერს გააკეთებდა ამ თხოვნას კი ვერ უსრულებდა.

— როცა საშუალება იქნება, მომიცემენ. — ცივად უპასუხებდა ქალიშვილს და განწორდებოდა. გულში კი უკვე გადაწყვიტა: ბინის მიღებამდე, უფრო ადრე თუ არა, შემოდგომაზე მაინც ქორწილი გადაეხადა...

შრომისა და ოცნებაში დრო სწრაფად გასულიყო. განთიადი ახლოვდებოდა. სტახანოვიური ბრიგადები ნადნობის მიხედვით ემზადებოდნენ. დნობის პროცესი დასასრულს უახლოვდებოდა ლევანის ღუმელშიც.

ლევანი ღუმელში ტემპერატურის გასასინჯად შებრუნდა. მას აქამდე არ შემწინეცია ქარხნის დირექტორი, რომელიც ნახევარ საათზე მეტი იქნებოდა, რაც საამქროში მოვიდა და სხვა ბრიგადების მუშაობის გაეცნობის შემდეგ ახლა ლევანისაკენ მოეშურებოდა.

ლევანს არ გაუკვირდა დირექტორის მოულოდნელი სტუმრობა. ამხანაგი არჩილი არაერთხელ უნახავთ მარტენის საამქროში დილის ოთხ-ხუთ საათზე. იგი ხშირად მთელ დღე და ღამეს ქარხანაში ატარებდა. მდნობელები ხუმრობდნენ:

— ამ ოჯახაშენებულს ცოლი გაეკეცეაო.

არჩილს ცოლი არ გაეკეცია, მაგრამ დაძაბულმა შრომამ თავისი დადი დაასვა. თმები სულ გათეთრებული ჰქონდა და უეტრად გაანჩხლებას მახლობლები მის ფიზიკურ სისუსტესა და საერთო მოღლილობას მიაწერდნენ. თვითონ არჩილისაგან ამის შესახებ სიტყვას ვერ გაიგონებდით. მას ჰირის დღესავით ეჯავრებოდა თავის თავზე ლაპარაკი.

— აბა, შენთან როგორღაა საქმე, ამხანაგო ლევან? — შორიდანვე ჰკითხა მან და, როგორც ლევანს მოეჩვენა, ხმაში გადაჭარბებული სიმკაცრე გამოხატა.

ლევანმა იცოდა, რომ დირექტორს მაინცდამაინც არ ემარჯვებოდა ტბილი საუბარი. მაინც ეწყინა. ამის გულს ვერ შეაჯერებ, თუ გინდ შრომით თავი მოიკლაო, — გაიფიქრა გულისტკივილით და უცებ გაბრაზდა, დირექტორს ხმამაღლა და ნერვიულად უპასუხა:

— ძალიან კარგად, თორმეტ ტონას მივეცი გეგმის გადამეტებთო. — არჩილს არ გამოპარვია ლევანის სულის მოძრაობა. გულში კიდევ მოეწონა მისი გაბედული იერიში და უფრო მკაცრად უთხრა:

— ცოტაა, მესამე ბრიგადამ თხუთმეტი ტონა გამოადნო ზეგეგმით, შენ კი, ალბათ გეძინა.

— მარტენის ღუმელებთან ვერ დაძინებ, ამხანაგო დირექტორო, — ძალიან ცხელა.

— მაშ ოცნებობდი, — მოულოდნელად მიახალა დირექტორმა და თვალი თვალში გაუყარა.

ლევანს ჰირის ოფლმა დაასხა. დანაშაულზე მისწრებულებით გაწითლდა და ხმა ველარ ამოიღო.

არჩილს ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, რამაც ლევანი მთლად დააბნია. „ამასაც გაუგია, ნეტა ვინ უთხრა, იმ ჩემი ცოდვით საესემ, და ამის ყბაში ჩამავლო?“ — გაიფიქრა და თავი დახარა.

დირექტორი მიუახლოვდა, მხარზე ხელი მოხვია და საამქროს შუაგულისკენ წაიყვანა.

— სიყვარული არ დაიმალება, — უთხრა დირექტორმა და სობანედან ფოლადის ნაჭერი აიღო. — საბოლოოდ მოელაპარაკე?

ლევანმა არაბუნებრივად ჩაახველა, რაც ჩვეულებრივ ემართებოდა უხერხულ კითხვაზე პასუხის გაცემისას და თავაულებლივ თქვა:

— მოველაპარაკე, ამხანაგო დირექტორო.

— მერე რაო, თანახმაა?

ლევანმა კვლავ ჩაახველა და კვლავ გაწითლდა.

— მიჩქარებს. ბარემ შეეკმნათ ოჯახი, ხალხი უფრო დაგვაფასებს და ჩვენ შრომისაც მეტი ბარაქა ექნებაო.

— სწორია, ჰკვიანი გოგონა ყოფილა.

არჩილი ფოლადის ნაჭერს დააქვერდა. მას თითქოს აზრი გაუწყდა, ან შორეულ მოგონებებში ჩაიძირა.

ლევანი გათამამდა. მან პირდაპირ შეხედა თვალელებში დირექტორს და გულუბრყვილოდ ჰკითხა:

— თქვენ კი არასოდეს გამოგიცდით სიყვარული?

დირექტორს გაეღიმა.

— ვისაც გული აქვს — სიყვარულიც გამოუცდია. მაგრამ მე დაეგვიანე, ოჯახს თავის დროზე ვერ მოვეციდე.

მის თვალელებში აღარ კრთოდა ეშმაკური ღიმილი. იგი ახლა უფრო დაყინებით დააქვერდა ცივ ლითონს და თავდახრილი, უბრალოდ, მაგრამ შთაგონებით ლაპარაკობდა.

— დაეგვიანე იმიტომ, რომ საერთოდ გვიან გამოვედი ცხოვრების გზაზე. მეც შენსავით ქარხანაში ვმუშაობდი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შენ სტახანოველი მდნობელის საპატიო სახელს ატარებ, მე კი უბრალო შავი მუშა ვიყავი. 1934 წელს მუშაყაი დაეამთავრე. მერე სწავლის გასაგრძელებლად ინსტიტუტში შევედი. სამამულო ომმა ჯერ კიდევ სტუდენტის მერხზე მომისწრო... ხუთი წელი ფრონტზე დავყავი. საბჭოთა არმიიდან დაბრუნებულმა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დაეიწყე მუშაობა და იმავე წელს ცოლიც შევირთე, როცა უკვე ორმოცი წლის ვიყავი და თმები სანახევროდ გაქაღარაყებული მქონდა.

მან ლევანს შეხედა, შეიძლება იმეტომ, რომ უნდოდა დარწმუნებულიყო — მისმენს თუ არაო და განაგრძო:

— დაეგვიანე, მაგრამ ახლა ბედნიერი ვარ. დამნაშავეა, ვინც ოჯახს გაუბრახის. იცი, ლევან, როცა მე ქარხანაში გათენებამდე ვრჩები, ვზვიავარ სამუშაო მაგიდასთან, ან მორიგ შემოვლანზე მიედევარ სამაქროებში, ოჯახზედაც ვფიქრობ. ჩემი ნაწული მალე სკოლაში ივლის. მე იმ დღეზედაც ვოცნებობ, როცა ნაწული გასათხოვარი იქნება. — არჩილმა ფოლადის ნაჭერი სოხანეზე დააგდო ისევე. კოსტუმის ჯიბეები მოსინჯა. ლევანი მიხედა, რომ დირექტორი სათუთუნეს ეჭებდა და თავის სიცოცხლეში პირველად ინანა, პაპიროსს რომ არ ეწეოდა.

— ყველა მიზანი, ყველა ოცნება განხორციელებისათვის იბადება. — განაგრძო. დაფიქრებით არჩილმა და თითქმის ბრძანების კილოთი დაუმატა: — უგვირგვინო სიყვარული მაინც საეკვია. შენთვის პატარა ბინა გამოვყავით — ერთი ოთახი სამზარეულოთი ჯერჯერობით უნდა დაგვეკრდე. შენდება ახალი ქალაქი, მალე უკეთეს ბინაში გადაგიყვანთ, — დაამთავრა მან და ხელი გაუწოდა.

...მარტენის სამაქროში დღის ნათელი დამდგარიყო.

გმიერთა სისხლით *



XXI

„სტარაია ვოლიას“ ქარხნის განადგურება — მართლაც მწვავე დარტყმა იყო გერმანელებისათვის. პოლონეთში მყოფი მტრის გარნიზონები ამ ამბავს ვერ ურიგდებოდნენ, მათ სურდათ სამაგიერო მიეზღოთ პარტიზანებისათვის. სწორედ ამ მიზნით მტერმა ყოველი კუთხიდან მორეკა ურიცხვი ჯარი და გარს შემოერტყა სოფელ შელინგში დაბანაკებულ ჩვენს დივიზიას. პარტიზანები დიდი საფრთხის წინაშე დაედგნენ, ყოველ საათს მოსალოდნელი იყო სოფელში მტრის რიცხოზრვიად ქარბი ძალების შემოჭრა; ამასობაში მშვერაკებიც დაბრუნდნენ, მათ გადმოგვეცხა, რომ „მყუდრო სოფელი აღმოვაჩინეთ, სადაც გერმანელების ჯარი არა დგასო“. შტაბმა განკარგულება გასცა, დივიზიას ამ სოფელში გადაენაცვლებინა. ამ სოფელს კასაბუდა ერქვა, იგი შელინგის ჩრდილოეთით მდებარეობდა და მისგან რამდენიმე ათეული კილომეტრით იყო დაშორებული. ვერშიგორამ შელინგიდან გასვლის ბრძანება გასცა. როგორც მკითხველმა იცის, ჩვენს დივიზიას ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასაცვლება ეწინააღმდეგებოდა, ამიტომ მტერს გზა-კვალს ადვილად ვუბნევდით. აი ახლაც, წყნარად და სრული წესრიგით გავედით შელინგიდან, შარავზით ჩვენი ცხენოსანი ნაწილი გაემართა, სოფლის ვიწრო გზით, დივიზიის დანარჩენმა ნაწი-

ლებმა დაიწყეს გასვლა. მტერს ვერ წარმოედგინა, თუ დივიზია სოფლის საცალფეხო გზით წავიდოდა, ისიც ღამით.

დიდი სამსახური გაგვიწია პოლონელმა ქალ-ვაჟმა. ეს ორი ახალგაზრდა პატრიოტი დივიზიას წინ გაუძღვა და კასაბუდას საზღვრამდე მიგვაცილა.

— მოვალედ ვთვლით ჩვენს თავს, ჩვენი ქვეყნის დასახსნელად მოსულ პარტიზანებს დავეხმაროთ, გზა ვუჩვენოთო — ამბობდნენ ახალგაზრდა პოლონელები.

ღამაში სოფელი აღმოჩნდა კასაბუდა; სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდნენ მწკრივში განლაგებული კოხტა სახლები, განიერი და სუფთა ქუჩები, მთელი სოფელი ხშირი და უზარმაზარი ხეებით იყო დაფარული. ჩვენი მშვერაკები სოფლის შესასვლელში შემოგვხვდნენ, მათ გვითხრეს, რომ სოფელში სრულიად უხიფათოდ შეიძლება შესვლაო. ამავე მშვერაკების სიტყვით, სოფელელებს როგორც კი გაეგოთ, პარტიზანები მოდიანო, საჩქაროდ მიმალულიყვნენ სახლებში. სოფელი უდაბნოდ გვეჩვენა, არსად სულთერი არსება არ ჰქაჩანებდა. მხოლოდ ერთმა პოლონელმა ჰაბუკმა გაბედა და სანახევროდ გაღებულ სახლის კარიდან თავი გამოჰყო. ჰაბუკს ხელის დაქნევით ვანიშნეთ, ახლოს მოსულიყო. ის გაბედულად მოვიდა ჩვენთან, გაიღიმა და მოგვეხალმა.

— სად არის ხალხი? — ვეკითხებით ახალგაზრდას. ჰაბუკმა გულიანად გაი-

* ვაგრძელება. თ. „მნათობი“ № 12, 1951 წ.

ლიმა, ხელები მოიფშვნიტა და წყნარად წარმოთქვა: — ბიუსეიტი არიახ!

— დაიძალენ?

ახალგაზრდას ისევ ღიმილით განაგრძო:

— დიახ, მორიდებულად არიან.

— ვის ერიდებიან, რა აქვთ საშიშარი და მოსარიდებელი?

— მტერმა ასე ჩააგონათ. ზომ მოგვხსენებთ, გერმანელები ცილისწამებისა და პროვოკაციების მოწყობაში დახელოვნებული არიან.

— მერე და გერმანელების ჩმახვას უჯერით?

— არა გვეჯერა, მაგრამ სოფელი პანკით არის მოცული, ზომ იცით!..

ღივიზის შტაბი და პირველი პოლკი კასაბულაში დაბინავდნენ, დანარჩენი ნაწილები ახლომახლო სოფლებში მოეწყვენ.

მალე თითოთოროლა პოლონელმა იწყო ბინებიდან გარეთ გამოსვლა. თავიანდაკე მივესალმეთ სოფლელებს, პაპიროსები მივაწოდეთ, გულთბილი საუბარი გავეუბით. შიში გაქრა და გაიფანტა, მალე დავმეგობრდით.

— პარტიზანები ხალხს არბევენო, — გვიმტკიცებდნენ გერმანელები, ნამდვილად კი სულ სხვას ვხედავთ. თვითონ ფაშისტები გვაყენებდნენ ათასგვარ შეურაცხყოფას, ადამიანებად არ გვაგებდნენ. ჩვენ, მართალია, გერმანელების ტყუილებს და პროვოკაციებს შევეჩვიეთ, მაგრამ, როდესაც ადამიანი ყოველდღე ჩაგძახის — ეს შავია და არა თეთრიო, დაგაეჭვებს, თეთრ საგანს ერთი წუთით შავად მოგაჩვენებს. აი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ რამდენად ცრუ და მოჩმახულია მტრის პროპაგანდა, — ამბობდნენ სოფლელები.

ჩემი ბინის პატრონი ძალიან დამიმეგობრდა. საათობით რჩებოდა ჩემთან ოთახში, ცის და ქვეყნის ამბებს მკითხავდა და თვითონაც მიამბობდა. მერე შითხრა — მეზობელ სოფელში დიდი მემამულე ცხოვრობს, სულიდან ზორ-

ცამდე გვატყავებს, ძალიან თავხედა, საბჭოთა პარტიზანებს ისევე ამბავებს და უდიერად იხსენიებს, როგორც უმას გერმანელები სჩადიანო.

— გლეხები რა განწყობილებაში არიან მასთან? — შევეკითხე სახლის პატრონს.

— ჰირივით ეჯავრებათ, მისი სახელის ხსენებაზე გლეხი გვერდზე იხედება და აფურთხებს.

— ეგ თქვენი მემამულე ალბათ დამეგობრებული იქნება გერმანელებთან?

— კვირაში, სულ უკანასკნელი, ორ კამპანიას უმართავს ჰიტლერელებს. მის მშეს ფიცულობენ გერმანელები.

— მაგ თქვენს ბატონს ყური რომ აუწუიოთ, მოსახლეობა როგორ შეხედება ამ ამბავს?

— ვერ გაგიგე....

— ჰო, ძირს რომ დავეცოთ, ქონებაზე ხელი ავადებინოთ.

— გაუხარდებათ გლეხებს, ძალიან ესიამოვნებათ.

— მაშ კარგი!

— ოღონდ, ამას გთხოვთ, — წამოიძახა გლეხმა — ნუ იტყვით, რომ ეს ამბავი მე შეგატყობინეთ. თქვენ წახვალთ აქედან და ბატონი მე პირველსავე ხეზე ჩამომახრჩობს.

— ნუ დარღობთ, თქვენი ვინაობა გაუმჟღავნებელი დარჩება.

შვეერავებმა დაადასტურეს ჩემი სახლის პატრონის სიტყვები, დანარჩენი სოფლელებიც ასევე ახასიათებდნენ თავგასულ მემამულეს: ჩვენი ნაოფლარი, სარჩო-საბადებელი მთლიანად მის ბელელში შედისო.

საქმე მეტ დაყოვნებას არ ითმენდა, მტკიცედ გადავწყვიტეთ მემამულის ალაგმვა.

— იცი, ამხანაგო იოსებ, იმ ჯალათს უსათუოდ ჭკუა უნდა ვასწავლოთ, მისი დაუსჯელად დატოვება დანაშაული იქნება, — ვუბნები ტოუტს.

— სამუდამოდ მოიგებთ აქაური გლეხების გულს, — მიპასუხა ტოუტმა. ამის შემდეგ ბოკარევის ხელმძღვანე-

ლობით ერთი ასეული გამრვევი და ახლად შეღამებულზე მემამულის ბუნაგის დასანგრევად გაეგზავნე. მეც თან გავყევი პარტიზანებს. წყნარი ღამე იყო, კაშკაშა ბადრი მთვარის ნახი შუქით მოვერცხილი იყო არემარე. ჩვენი ბიჭები მთვარეს საწყალი კაცის ელნათურს ემაზოდნენ. ტყეში, მთაში თუ ბარში ყველგან სწედება მისი შუქი და მგზავრს გზას. უნათებსო, — ამბობდნენ.

სოფელს მივეუახლოვდი. განმარტოვებულ ადგილას, შიგ სოფლის შუაგულში უზარმაზარი ქვიტკირის შენობა დავინახეთ, წინ მაღალი შავი ალაყაფი იყო აღმართული. ჭიშკრის გადაღმა, ეზოში, მაღალტანიანი ხეები მოჩანდა. ეს იყო მემამულის სასახლე. ჯიშინი ძაღლის ბოხი და მოდუნებული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყეფა ისმოდა.

ფეხაკრფით მივეუახლოვდი ალაყაფის კარებს. „ნამდვილი ცინე-დარბაზია“, — ზურჩულით მეუბნება ტოუტი: ტოუტმა ალაყაფის კარებს მიუკაკუნა, კაკუნი მან ავტომატის კონდახით სამჯერ გაიმეორა, კაკუნს მეორე მხრიდან გუშაგი გამოეხმაურა. გუშაგს კარების გაღება მოეთხოვეთ, ჩვენს წინადადებაზე მან ჰაერში თოფის გასროლით გვიპასუხა. დასკვივლეს პარტიზანებმა, რკინის კეტებით მიღეწ-მოღეწეს ჭიშკარი და ეზოში შეეცვიდნენ. ძაღლებმა აურზაური შეჰქმნეს, ყეფით მოგვეცვიდნენ. ავტომატების ტყვიებმა მალე ჩააჩუმეს ბატონის ოთხფეხი მცვილები. სასახლეს მივეუახლოვდი. მემამულის მცველებმა თითო გასროლა მოასწრეს და შემდეგ თავების სორო მონახეს.

ბიჭების ერთმა წყებამ საჯინბოს მიაშურა და ეზოში ჯიშინი ცხენები გამორევეს. თვალი დამჩნა ერთ არაბულ ულაყზე, ცხენს მოვეალურსე, ხელი კისერზე აუსვ-დავუსვი.

— ფრთხილად, ფრთხილად, დავით, ხეს მოეფარე! — ნერვიულად მო-

მაძახა. ტოუტმა და ერთდროულად ავატომატის გრძელი ჯერი გაუშვა.

— ცოტა-ლა დააკლდა ამ წყეულს, ის-ის იყო კინაღამ გაგზავნავ! — სულს მოუბრუნებლად მეუბნება ტოუტი.

— ვინ იყო? — გაოცებით ვეკითხები ტოუტს.

— წამოდი! — მითხრა მან, ხელი მკლავში ჩამკიდა და სახლის ბნელ კუთხესთან ჩაკეცილ კაცს თავზე დამაყენა. უცნობი კენესოდა, სიკვდილს ებრძოდა, მის მახლობლად სანადირო თოფი ეგდო. ეს მემამულე იყო.

აურზაურში ის თოფით კარში გამოსულიყო და სახლის ბნელ კუთხეში ჩასაფრებულყო. ჩემში მან უთუოდ მეთაური შეიცნო და თოფი დამიმიზნა, ტოუტმა დროზე მოჰკრა თვალი და მემამულეს ავტომატის ჯერი მიაყარა. სიკვდილს ბეწვზე გადაერჩი. ტოუტის სიფხიზლე რომ არა, ამ მემამულის ეზოში სამუდამოდ დაწვებოდი.

მემამულის სიკვდილის ამბავი მომსახურე პერსონალმა უმალ გაიგო, წინააღმდეგობის გაწევა ახლა ვერც ერთმა მამაკაცმა ველარ გაბედა.

ამ ამბავში რომ ვიყავით, მეორე სართულის აივნიდან ძვირფას ბეწვიან მოსასხამში გახვეული, იხვივით ჩასუქებული ქალი გადმოდგა და სამჯერ ზედინედ ვილაყას გადმოსძახა. პასუხი რომ ვერ მიიღო, ბაჯბაჯით ისევ ოთახში შებრუნდა. ეს მემამულის ცოლი იყო, ქმარს ეძახდა. მე და ტოუტი მეორე სართულზე ავედით. ოთახში ის ქალი დაგხვდა: „ტყუილბრალოდ შემოგვყავა თავი თქვენმა მეუღლემ“, — უთხრა მემამულის ცოლს ტოუტმა და თან განუმარტა, თუ როგორ პირობებში იქნა მოკლული მისი ქმარი. ქალი ამბობდა: „განა ცოტა ვემუდარე, ცოტა ვთხოვე და დავუშაღე, ნუ ჩადიხარ ძირს. შენი სანადირო თოფით ვის დააშინებ. ჩასაღისთანავე მოგკლავენ, უკან დაბრუნება არ გიწერია-მეთქი“. „არა, ძირს ჩავალ, ჩა-

უესაფრდები და ცოცხალს ერთს არ გაუეშვებო, — თქვა ესა, ხელში თოფი აიღო და კარებს ფეხი ჰკრა. სასოწარკვეთილმა თოფს ხელი ვუტაცე, ზედ ჩამოვეყიდე, ნუ გამოგვჭრი ყელს, თავს წააგებ იცოდე-მეთქი, შეეკივლე. ჩემს მუდარაზე ის დაიღრიჯა, ხელიდან თოფი გამომგლიჯა, კუთხეში მიმაგდო და ბუზღუნით კარში გამოვარდა. კერპი ხასიათისა იყო, თხოვნამუდარა მასთან არ გადიოდა. ფანჯრის ფარდა აეწიე, გავარჩიე თუ როგორ ამოეფარა ხეს და თოფი მორიარჯვა; სროლა ვერ მოასწრო, წინიდან ავტომატის გადაბმული რაკრაკი გაისმა და ისიც დღეა.

ქალის ოთახიდან ჩქარა გამოვედით. უკან დაბრუნების დრო იყო.

სახელდახელოდ შემოაწყვეს ბიჭებმა მარხილებზე დაკლული ღორები, ფქვილი, კასრებით არაყი და ქუჩაში გამოვედით.

XXII

კასაბუდაში მყუდროება იყო. პარტიზანებმა გამოაცოცხლეს ეს მოდუნებული სოფელი. ახლადგადახალისებულ დივიზიის ნაწილების წრთუნა და ვარჯიში დიდიდან საღამომდე მიმდინარეობდა. ბინებიდან გარეთ გამოფენილი სოფლელები პარტიზანების ვარჯიშს დიდი ინტერესით უსკეროდნენ.

დღის თორმეტ საათზე პარტიზანების ყურადღება ავტომატების სროლის შორეულმა ხმამ მიიქცია. ამ ხმაურზე მოვარჯიშენი შედგნენ და სმენად იქცნენ. უეცრად დაეინახე — სოფლის განიერ, სწორ ქუჩაზე შეკავშირე პშენინი ცხენს მოაქროლებს. გამისწორდა თუ არა, ის ცხენიდან ჩამოხტა, დაფეთებული თვალები მომაპყრო და სხაპასხუპით დაიწყო:

— მტრის მშვერავების რაზმი გვიახლოვდება, ამხანაგო უფროსო ჩემი

თვალთ დაეინახე, ტანკებით რომ შემოადგნენ სოფელს. ბევრი არიან!

სროლის შორეული ხმა ~~ანდათან~~ ახლოვდებოდა და ძლიერდებოდა. ~~დამ~~ ირღვა ჩვენი მყუდროება, საბრძოლო სამზადისი გაჩაღდა. სახელდახელოდ შეკავშირე ვაფრინე დივიზიის შტაბში.

თავდასხმელებმა ყიყინით და დიდი აურზაურით იწყეს იერიშით წამოსვლა. ცეცხლის წვიმით მიეგებნენ მოიერიშეებს პარტიზანები. სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა. გერმანელების ასეთმა დაურიდებელმა იერიშებმა გამოაცა. ბრძოლა ახალი გამწვანებული იყო, როდესაც ჩვენმა ბიჭებმა შტაბში ტყვე გერმანელი მოიყვანეს. თავშეუკავებელი სიცილი წასკდათ ბიჭებს ამ ტყვე ფრიცის დანახვაზე. ხათანგში გაბმული თავივით, ის მთელი სხეულით თრთოდა და მოღრეცილ სახეზე ამობურცულ თვალებს აქეთ-იქით აცეცობდა. «გუტ პარტიზან, გუტ პარტიზან!» ჩხაოდა ჯარისკაცი.

— ცივი წყალი დაალევინეთ. იქნებ გული მოიბრუნოს. დაკითხვისათვის დიდი დრო არ დაკარგოთ. — ეუბრძანე, ბიჭებს. ჯარისკაცს წყლით საეგე თუნგი მიაწოდეს. მან სული მოიბრუნა და კანალომა ნელ-ნელა გაუარა. ამ დროს უნებლიეთ მომაგონდა ის დრო, როცა საკონცენტრაციო ბანაკში ვიყავ დამწყვდეული, თვალწინ დამიდგნენ ყბელი და თავგასული პიტლერელები, გამხსინდა, როგორ მიმოდდიოდნენ ისინი ბანაკის ერთი თავიდან მეორე თავში და მგლური გამოხედვით თავზარს სცემდნენ მისუსტებულ, შიმშილისაგან ილაჯგამოცლილ პატიმრებს. ახლა ეს ტყვე გერმანელი ჩვენს წინაშე ასე თრთის, და ვინ იცის, რამდენ პატიოსან აღამიანს დაუბნელა მან შუკ! მე ხომ სწორედ ამისმა მსგავსმა მაწანწალამ რყვიობის დროს თოფის კონდაში ჩამარტყა უიარაღოს და კბილები ჩამამტვრია. და ეს აეზაყი;

ამ წუთში ასე რომ იკუნტება, მისი ამინდი რომ იყოს, ერთს და ორს ჩამტერევეს კბილებს?!

— ეს რა ღრიანცელი აქვთ თქვე-
ნებს, რა აყვირებთ, რა მოუვიდათ? —
ვეკითხები გერმანელს.

— გადაკრულები არიან, დაუფა-
ლოვდით თუ არა სოფელს, თითო სალ-
დათზე ოთხასი გრამი არაყი გასცეს,
გადაეკარით და იერიშზე წამოვედით!

— ალბათ სითამამისათვის? — ვე-
კითხები ჯარისკაცს.

— დიახ, ეგრეა, სწორედ სითამამი-
სათვის გადაკრეს!

— რომელ ნაწილს ეკუთვნით?

— ესეგლები ვართ, ვიკინგის სა-
ხელობის დიეიზიის ნაწილი! სხვებიც
გვირევიან, ფრანგებიც არიან ჩვენ-
თან.

— ტანკი, ტანკი მოდის! — შესძა-
ხეს ბიჭებმა და თან ტანკმხვრეტი თო-
ფები მოიმარჯვეს.

— შეჩერდით, არ ესროლოთ! —
ვუბრძანე პარტიზანებს. თეთრალმიანი
ტანკი ზღაზვნით მოგვიახლოვდა, ტან-
კის უფროსის კაბინის კარები გაიღო
და ხელნაწილი ტანკისტები გადმო-
ვიდნენ ტანკიდან. „ჩვენ ფრანგები
ვართ, ფრანგები, — გაიძახოდნენ ტან-
კისტები, — ბრძოლა არ გვსურს!“

„მაშ, თქვენ ნებაყოფლობით და
შეგნებულად მოხვედით ჩვენთან?“ —
შევეკითხე მათ თარჯიმნის პირით.

— დიახ, დიახ, სრული ნებაყოფ-
ლობით, ყოველივე ზეგავლენის გარე-
შე, ჩვენ ფრანგები ვართ, ფრანგები.
ფრანგი ტანკისტების გადმოსვლა
ჩვენს მხარეზე მართლაც დიდად სა-
სიხარულო ამბავი იყო. ჩემს პოლკ-
ში ტანკისტი-პარტიზანებიც ირიცხე-
ბოდნენ ისინი ფრანგებს გვერდში მო-
უსხდნენ, ტანკი შეაბრუნეს და მტერს
ეკვეთნენ: ერთი საათის განმავლობაში
მტრის ორი ტანკი მწყობრიდან გამო-
იყვანეს. ბრძოლა თანდათან უფრო გამ-
აფრებულ ხასიათს იღებდა, მტერს

იერიში იერიშზე მოქონდა, მაგრამ
ყოველ შემოტევას ჩვენმა პარტიზანებმა
გერიებდით. ვედილობდით, დაღმე-
ბამდე გაგვექლო, და ღამე ხომ პარ-
ტიზანების დროა. მტერს ახალ-ახალი
ძალები ემატებოდნენ, დაპირილ მებრ-
ძოლთა რაოდენობა თვალსაჩინოდ იზრ-
დებოდა. მართო ჩემს პოლკში დაპ-
რილთა რიცხვი ორმოც კაცამდე აღ-
წევდა. ეს გარემოება კი პარტიზანების
წინსვლას ანელებდა.

შელამდა. ტყვიამფრქვევების, ნალმე-
ბის და ქვემეხების ქუხილი ერთ გაბ-
მულ ღმუილად იქცა. სწორედ ამ
დროს „ეშაო“ — დასძახეს ბიჭებმა და
მტერს გაშმაგებით ეკვეთნენ. მოწი-
ნალმდეგემ იგრძნო, რა განსაცდელი
მოელოდა და უკუიქცა. გარბოდნენ
გერმანელები და მათ კვალდაკვალ
პარტიზანები მისდევდნენ. დაიქსაქსა
მტრის ჯარები, პიტლერელთა დიდი
ნაწილი განადგურდა, ვინც ცოცხალი
გადაარჩა, ტყეს შეაფარა თავი!

ამ ბრძოლის შემდეგ ორი დღე ისე
გავიდა, რომ მტრის ერთი ჯარისკაცი
არ გამოჩენილა. მზვერავებმა გვაცნო-
ბეს, რომ მტერი აიყარა და ახალი მი-
მართულებით წავიდაო. ჩანდა, პიტ-
ლერელებმა ჩვენი დამარცხების იმედი
დაკარგეს.

ამ ბრძოლაში განსაკუთრებით თავი
ისახელა სანიტარმა ქალმა, ლავრინეც-
მა. მან ცეცხლის ხაზიდან რამდენიმე
დაპირილი პარტიზანი გამოიყვანა. ლავ-
რინეცი დაპირილს ზურგზე მოიღებდა
და მიწაზე ისე მიხობხავდა, რო-
გორც დატურებული ხე წყალში. იგი
ჯანმრთელი ქალი იყო, ღონით მამა-
კაცს არ ჩამოუფარდებოდა, ბოხი ხმა
ჰქონდა, მის ხმას რამდენიმე ათეულ
მეტრზე გაიგონებდით.

დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა პირ-
ველი პოლკის მეორე ბატალიონის
შტაბის უფროსმა ამხანაგმა კოროვ-
ჩენკომაც. თითქმის უმსხვერპლად გა-
არღვია მან მოწინააღმდეგის ალყა და

დაიფრინა ჰიტლერელები. კოროჩენ-
კო საერთოდ მუდამ თავზარს სცემდა
გერმანელებს. ჩინით ის ლეიტენანტი
იყო, ომის პირველ ხანებში რეგულა-
რულ ნაწილში მსახურებდა. ერთ-ერთი
ბრძოლის დროს მისი ნაწილი მტრის
აღყაში მოექცა. რამდენიმე გულადი
ბიჭის თანხლებით მან შესძლო ალყის
გარღვევა და ტყვეს შეაფარა თავი. ამ
დროიდან კოროჩენკო არალეგარულ
მუშაობაზე გადავიდა, ბელორუსიის
სოფელ-ქალაქებში მტრის წინააღმდეგ
აგიტაციას ეწეოდა, პოსახლეობაში
ფურცლებს ავრცელებდა. ერთ მშვე-
ნიერ დღეს მან დიდად სასიხარულო
ამბავი გაიგო. მას უამბეს, თუ როგორ
შემუსრა კოვპაკის პარტიზანულმა შე-
ნაერთმა დაბა ლელჩიკაში მდგარი
მტრის დიდი გარნიზონი. ამ ამბით აღ-
ფრთოვანებული კოროჩენკო კოვპა-
კის შენაერთისაკენ გაეშურა და მალე
მიზანსაც მიადგინა ის კულბაკას ბა-
ტალიონის მშვერავებთან ერთად მო-
ვიდა შენაერთში. კოროჩენკო პარტი-
ზანული დივიზიის დაშლამდე ჩვენს
რიგებში სანიმუშო მებრძოლად ითვ-
ლებოდა.

— ამხანაგო კოროჩენკო, — ვუთ-
ხარი ერთხელ მას, — მთელი დღე ბრძო-
ლაში გაატარე, ლუკმა არ აგიღია ხელ-
ში, მოდი, ახლა მაინც დაისვენე!

— გამადლობთ, ამხანაგო უფროსო, —
მიპასუხა თავდადებულმა პარტიზან-
მა, — მე მაშინ დავისვენებ, როდესაც
არც ერთი ჰიტლერელი ჩვენს ქვეყანა-
ში არ დარჩება, მხოლოდ მაშინ შემო-
ძლია გულდასმით დავისვენო.

ამხანაგი კოროჩენკო მტკიცე დის-
ციპლინის კაცი იყო, ბრძანების ზუს-
ტად შემსრულებელი.

ფრანგი ტანკისტები, რომლებიც კა-
საბუდას ბრძოლაში ჩვენსკენ გადმო-
ვიდნენ, საიმედონი აღმოჩნდნენ, ორი-
ვენი ჩემს ბოლში ჩაერაცხე. დივი-
ზიის პოლკებს შორის პარტიზანთა ნა-
ციონალური შემადგენლობით ჩემი

პირველი პოლკი ყველაზე ბრავალ-
ფეროვანი იყო. დიდი საბჭოთა კავში-
რის ეროვნებათა შეილებს ვარდა თუ
შეხვედებოდი გერმანელებს, პარტი-
ზანელებს, ჩეხებს, იტალიელებს და ფრან-
გებს. ამის გამო ამხანაგები ინტერნა-
ციონალური პოლკის უფროსს მეძახო-
დნენ.

— იბრძოლებთ ისეთი თავგამოდე-
ბით, როგორც ჩვენი პარტიზანები
იბრძვიან? — შევეკითხე ერთხელ ფრან-
გებს.

— მას შემდეგ, რაც თქვენთან მო-
ვედი, უკანდახევაზე ფიქრიც კი
ზედმეტია. მოწინააღმდეგის სუსტი
მხარეები ჩვენ კარგად ვიცით, ამ მხრივ
პარტიზანებს დიდ სამსახურს გავუ-
წევთ. გვერწმუნეთ, რომ ჩვენ ნება-
ყოფლობით თქვენს წინააღმდეგ არ
ვიბრძოდით, ძალით გამოგვრეკეს და
ბრძოლაში ჩაგვებეს!

— საინტერესოა, მტრის რომელი
სუსტი მხარე გაქვთ მხედველობაში? —
ვეკითხები ტანკისტებს.

— საერთო გულგატეხილობა! დღეს
ყველა გერმანელი დარწმუნებულია,
რომ ბრძოლა წაგებული აქვთ, ამიტომ
ისე თავგამოდებით როდი იბრძვიან,
როგორც წინათ, პირველ ხანებში.
იბრძოდნენ. არა, გერმანელი ჯარისკა-
ცი პირველ მოხერხებულ შემთხვევის-
თანავე შზად არის ჩვენსაკენ დასტო-
ვოს პოზიცია და თქვენსკენ გადმოვი-
დეს.

ფრანგმა ტანკისტებმა მართლაც
ღირსეულად შეასრულეს თავიანთი
სიტყვა. ტანკიდან გადმოვიდეს ოცდა-
ორმილიმეტრიანი ქვემეხები და მარ-
ხილზე მოაწყვეს; ორი თვის განმავ-
ლობაში იბრძოდნენ ისინი. ამ ქვემე-
ხით, ვინ მოთვლის, რამდენ ჰიტლე-
რელს დაუბნელეს დღე. ფრანგების
ჩვენთან მოსვლა განსაკუთრებით ვი-
ლეტს უხაროდა.

— მე გერმანელი, ვარ, — უთხრა მან
ერთხელ ფრანგებს, — ჰიტლერელე-

ბის რიგებში ვიბრძოდი. ვიცოდი, რომ ამ ომის გამჩაღებელი — პიტლერია, ამ ყაჩაღმა მოახვია თავზე თავისუფლების. მოყვარულ საბჭოთა კავშირის ხალხს ეს გაუგონარი ომი. მე მობილიზაციის წესით ვიყავი ჯარში გაწვეული, ექმბდი მოხერხებულ შემთხვევას, რომ პიტლერელებს ჩამოეცილებოდი და სამართლიანობისათვის მებრძოლთა რიგებში ჩამდგარიყავ. ამის შემთხვევა მომეცა და მე აქამდე საბჭოთა ქვეყნის პარტიზანებთან ერთად ვებრძვი უსამართლობას.

ორი თვის შემდეგ, როცა ლიანდაგზე ბრძოლით გადასვლა მოგვიხდა, მტრის ჯოჯოხეთურ სიმაგრეს წავაწყდით. ლიანდაგი უნდა გაგვეწმინდა, ისე გადასვლა არ ხერხდებოდა. ექლიანი მავთულის ხლართით შემოსერილი ლიანდაგი, ადგილ-ადგილ რკინაბეტონის ნაგებობით იყო მოფენილი. ჩვენმა ფრანგებმა მოხერხებულ ადგილას დადგეს თავიანთი ქვემეხი და ლიანდაგის გაწმინდაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. დივიზიამ იწყო განთავისუფლებულ ხაზზე გადარბენა, ფრანგებოც მოემზადნენ, რკინიგზის ხაზთან მიაგორეს ქვემეხი, შედგეს ფეხი ლიანდაგზე თუ არა, თითქმის ორივე ერთდროულად განგმირა მტრის ტყვიამ. მათთან ერთი ჩვენი ძველი მებრძოლიც დაიღუპა.

როგორც ფრანგები, ისე ჩვენი მებრძოლი, პარტიზანული წესით დაეხმადლავეთ. ძმათა სასაფლაოზე მუხის ფიცარი დაემაგრეთ და ზედ წაეაწერეთ: „აქ განისვენებენ ფრანგი მებრძოლები, რომლებიც გამოექცნენ პიტლერელ ჯალათებს და გმირულად დაეცნენ მტერთან ბრძოლაში. მათთან ერთად განისვენებს საბჭოთა პარტიზანი ივან გორლოვი“.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, თუ რა ძლიერი იყო პოლონელი ხალხის სიძლიერი პიტლერელებისადმი. ზოგი პარტიოტი პოლონელი მტრის სიძულ-

ვილით ისე იყო გამსქვეპალული, რომ მზად იყო მტერს მივარდნოდა და კბილებით დაეგლოჯა. სოფელ კასაბუდაში ჩემი პოლკის შტაბმოსხტეცქმარლონელის სახლში იყო მოთავსებული. როგორც აღვნიშნე, მოხუცა ყოველდღე მოდიოდა ჩემთან ოთახში და მთელი საათობით მესაუბრებოდა. ლაპარაკის თემა მუდამ გერმანელების დამარცხება იყო. მოხუცი სულ იმ დღეზე ოცნებობდა, როცა გერმანელებს პოლონეთიდან გავაძევებდით.

— ოჰ, იმ დღეს მოვესწრებოდე, იმის მოწამე გავხდებოდე, რომ ეს სულთამხუთავი მოძალადეები ბარგს აიკრადნენ და აქედან გაიქცეოდნენ, შემდეგ თუგინდ იმ დღესვე მოგვედე, — ნალელიანად იტყოდა ხოლმე მოხუცი.

მტრის ნაწილთან ბრძოლის შემდეგ კასაბუდის გარეუბნებიდან პარტიზანებმა ბინებში მარხილებით დაჭრილები მრიყვანეს. ამ სურათის დანახვაზე მოხუცი აენთო.

— რუსეთის გმირი პარტიზანების სისხლით ირწყვება პოლონეთის ტერიტორია და ჩვენ ამ სურათის უბრალო მაყურებლები რად უნდა ვიყვნეთ. მე მზად ვარ, თქვენთან ერთად მტერს ვეკვეთო და პიტლერელი არამზადები შევმუსრო, მაგრამ ვაი რომ ჩემი ბებერი ძელები დაღლილი და მოღუნებულია, არც მკლავი მიჭრის ძველებურად!

— ნუ დარდობ მოხუცო, შენს ჯავრსაც ვიყრით მტერზე — უთხრა მას შტაბის უფროსმა ბერეენოიმ.

— დღეგრძელი იყავი, შეილო, აბა თქვენ იცით, — მოხუცი შედგა, ეტყობოდა რაღაცის სათქმულად ემზადებოდა; ოთახში გაიარ-გამოიარა, კვლავ შედგა და ბერეენოის დააქვერდა: — იცით, კაპიტანო, რა მოგახსენოთ! (ბერეენოი ჩინით კაპიტანი იყო და მას პარტიზანები „კაპიტან ბერეენოი“, მიმართაოდნენ. მოხუცს ეს შეენიშნა). დიდხანია, მინდა ერთი რამე გითხრაათ

და ვერ მომიხერხებია. ნუ გაიკვირებთ ჩემს გულახდილობას. მე ერთი ოხერი ვაყის პატრონი ვარ, ოხერი-მეთქი ვამბობ, იმიტომ, რომ დღეს ის სამშობლოს მოღალატეა, მტრის ყურმოჭრილი მონა-ლაქია გახდა, გერმანელების სამსახურში მოეწყო. — მოხუცი შეჩერდა, ორივე ხელებით თვალები ამოიწმინდა. — დიხ, გერმანელების სამსახურში მოეწყო, დღეს ის კასაბუდას სტაროსტაა!..

მოხუცის ამ სიტყვებზე პარტიზანებმა ერთმანეთს გადახედეს.

— სად არის ახლა შენი შვილი, — ეკითხება მოხუცს ბერეენოი.

— აი, მოგახსენებთ, შემოდგით თუ არა თქვენ კასაბუდაში ფეხი, იმ დღესვე სარდაფში ჩაძვრა და დღესაც იქ იმყოფება.

— სად, რომელ სარდაფში — კვლავ შეეკითხა მას ბერეენოი.

— აი, ამ სახლის სარდაფში. — მოხუცმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაჰკრა ფეხი იატაკზე, — აი აქ არის, ქვევით, — მან კიდევ გაიმეორა, — ჩემს საქციელს ნუ გაიკვირებთ, სამშობლოს მოღალატე, გინდ შვილი იყოს, გინდა ძმა — ახლოს არ უნდა გაიკაროს ადამიანი.

მოხუცმა როგორც კი სიტყვა დაამთავრა, კარში გავიდა. სახელდახლოდ გამოვიძახე ბიჭები, წინადადება მივეცი, სარდაფში ჩასულიყვნენ და სტაროსტა შტაბში მოეყვანათ.

— კარტოფილის საწყობადაა გამოყენებული ის სარდაფი — მეუბნებიან უკან დაბრუნებული ბიჭები, — აი, ეს კაციც ვიპოვეთ იმ აშშორებულ საწყობში!

ნაგაზი რომ მწყემსებს აედევნება, ისე მოსდევდა ბიჭებს თმაგაბურძგვინილი, გამხდარი ჯუჯა ტანის ახალგაზრდა კაცი.

— აქაური სტაროსტა განა შენა ხარ? — ეკითხებიან ჯუჯას. მან გამოყვებილი თვალები ააპარპალა; ხმა-

ამოუღებლად იღგა ჯუჯა, თითქოს მას არ ეხებოდა ეს შეკითხვა. მამამისის წინადადებაზე — პასუხი შეეცა უფროსსაო, მისი სახის ნაკვეთი ოღნავ არ შერხელა, ერთთავად სდუმდა, ხმა ვერ ამოვალბინეთ.

— გაიყვანეთ, — ეუთხარი ბიჭებს, — და ისე გაუმასპინძლით, როგორც სამშობლოს მოღალატეს ეკადრება.

მყუდრო სოფელი კასაბუდა მალე ჰიტლერელების ყურადღების ცენტრში მოექცა პარტიზანების სადგომად ამიერიდან იგი აღარ გამოდგებოდა. მტრის დიდი ძალების მოსვლა საათობით იყო მოსალოდნელი, იმიტომ კასაბუდა დავტოვეთ და სოფელ ლუმაიში გადავიწაცვლეთ.

ახალ ადგილზე. მისვლისთანავე ტოულტს შევეკითხე:

— ხომ დაბინადრენ ბიჭები, ყველაფერი ხომ წესრიგზეა?

— ბიჭები კარგად მოეწყვენ, მხოლოდ დივიზიის შტაბიდან გადმოგვეცეს, რომ მთავარი დახვერვის მებრძოლი კრუჩკოვი არსად ჩანს, თავისი ჩვეულება აღმათ ისევ გაიმეორა, გადაჰკრა და სადღაც ჩამოგვჩაჩა.

— კრუჩკოვზე ხომ მეტია ლაპარაკი, ანარქისტი კაცია, დისციპლინას არ ემორჩილება!

ჩვენს დივიზიაში მუდამ იყო თითო-ოროლა თავისებური ტიპი. ასეთ გამოწკლისთა რიცხვს ეკუთვნოდა პარტიზანი კრუჩკოვიც.

კრუჩკოვი დონელი კაზაკი იყო, მორჩილი, ჩია ტანისა. ის მუდამ მოკლე სამხედრო ფარაჯას ატარებდა, თავზე კობტად წამოდეებული კავალერისტის ქუდი ეხურა. ქოჩორი ყოველთვის დაუვარცხნელი და აწეწილი ჰქონდა. არაყს თუ მიაგნებდა, შიგ კოლოსავით გადავარდებოდა. გასაოცარი ის იყო, არაყს გადაჰკრავდა თუ არა, ერთბაშად გამოიცილებოდა, დადინჯდებოდა, კრუჩკოვი თუ მჭერმეტყველებდა გადაკრულშიაო, იტყოდნენ ბიჭები.

კრუჩკოვს ცხენიც უცნაური ჰყავდა. ეს იყო რაღაც ახმახი, უზარმაზარი, აქლემივით მალალი პირუტყვი.

— კრუჩკოვ! კარგს იზამ, კიბეს რომ შეიძინდე, ამ ახმახ ცხენზე შენი ასევე სხვაგვარი წარმოუდგენელიაო, — ოხუნჯობდნენ ბიჭები. მართლაც ღამურასავით ჩამოეკიდებოდა ხოლმე უზანგზე კრუჩკოვი და დიდი ვივიგულაბით აცოცდებოდა უნაგირზე. კრუჩკოვის კიდევ ერთი უცნაურობა ის იყო, რომ უმეტესი დრო ცხენზე იჯდა. ვიკითხავდით, სად არის კრუჩკოვი, — გვიპასუხებდნენ ცხენზე ზის; ცხენზე საუზმობდა, იქვე ეძინა, ოჯახურად იყო ის ცხენზე მოწყობილი: ქერი, თევზი, ტანსაცმელი, საცვლები, მაზარა, ყველაფერი პარკებში და ჩანთებში კობტად ჩალაგებული და უნაგირზე ამოკრული, ცხენზე ჰქონდა.

— კრუჩკოვო, შენს თუთუნს აქებენ, შევამოწმოთ ერთი?

— ცხენზე მაქვს!

— აბა ერთი ქალაღის ნახვევი გვითავაზე!

— ცხენზე მაქვს!

და მართლაც, რაც კი რამ გააჩნდა და ებადა კრუჩკოვს, ყველაფერი ცხენზე ჰქონდა.

კრუჩკოვს განმარტოვებულად ყოფნა უყვარდა, მარტო ბრძოლის დროს, დასაწყისიდან დაბოლოვებამდე, არ სცილდებოდა ამხანაგებს. მისდა სასახლოდ ისიც უნდა ითქვას, რომ გაბედული მებრძოლი იყო, მის მიერ გასროლილი ტყვია ყოველთვის აუცდენლად ხვდებოდა მიზანს. მისი უბედურება — ღამობა იყო, გზაზე გამოსულ პარტიზანებს შეუშინებლად გამოგვეთიშებოდა, თავისი ცხენით სადმე ქონის კარებს მიადგებოდა და თავაზიანად, საფასურით არაყს ითხოვდა, დათვრებოდა, ცხენს ხის ძირში დააყენებდა, უნაგირზე დააყვავებულ წიწილივით აიბუზებოდა და ჩაიძინებდა. იგი ხშირად სამოთხ დღეს არსად ჩან-

და. შემდეგ, როცა მოაღწევდა ჩვენამდე, ახლოს მოსვლას დაირცხვენდა და თავისი რაშით შორს დადგებოდა. არაერთხელ დავსაჯეთ, მაგრამ მის გამოსწორებას არაფერი ეშველა. სწორედ ამ ღამობამ დაღუპა ის. კრუჩკოვს პიტლურელებმა მოუსწარეს იმ დროს, როცა ის პარტიზანთა რიგებს ჩამორჩენილი იყო. მარტოხელა აბა რას გააწყობდა. მტრის ტყვიამ განგმირა იგი.

ხშირად მთელი თვეები ისე გაივლიდა, დასვენებაზე ფიჭვიც ზედმეტო იყო. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ახლადგადანაცვლებულ სოფელში ვიმყოფებოდით, ყოველ საათსა და წუთს მტრის თავდასხმას ველოდით და იარაღით ხელში ვიძინებდით. დიდი რეიდის შემდეგ მაინც ყოველთვის ვეძებდით მყუდრო მხარეს, ჯერჯერობით კი ასეთი ადგილი პოლონეთის ტერიტორიაზე ვერსად ვიპოვეთ.

მიუხედავად ამ რთული ვითარებისა, მაინც სისტემატურად ვატარებდით პარტიულ-კომკავშირულ კრებებს. ახალი მისულები ვიყავით სოფელ ლუშაეში, როცა ჩემთან ვერშიგორას პირადი მცველი იასონ ჟორგოლიანი მოვიდა და გადმომცა — ვერშიგორა გეძახისო.

— იცი, ამხანაგო დავით, — მისვლისთანავე მითხრა ვერშიგორამ, — ამ საღამოს ლუშაეც ვტოვებთ და სოფელ რუდა-რუენეცკაიში გადასვლა გეაქვს განზრახული. შებინდებთ თუ არა, აქედან გავალთ, შენ კი შენი პოლკით ჯერჯერობით აქვე დარჩები. თვითმფრინავის მოსვლაა მოსალოდნელი, მიიღებ და შემდეგ გამოგვიდგები.

თვითმფრინავების მიღებაში დახელოვნებული ვიყავი, მისაღებ სამზადისს დროს არც ერთი წვრილმანი არ გამოვშვებოდა.

ტყის მახლობლად, სოფლის გარეუბანში საკმაოდ მოზრდილ მინდორზე კოცონი გავაჩაღეთ. ნაშუალამევის სამ საათზე გაისმა შორეული გუგუნო. მაღლე ვიცანით ჩვენი, საბჭოთა, თვით-

მფრინავის ხმა. კიდევ რამდენიმე წუთი და თვითმფრინავი მინდორს თავზე წამოადგა. ვხედავთ, რაღაც თეთრი წერტილები ტრიალით წამოვიდა ჰაერში. ისინი თანდათანობით იზრდებოდნენ. საპალნეები ძირს დაეშენენ, ერთზე წერილი იყო მიკრული: «გულითადი სალამი, ძვირფასო ამხანაგებო! გილოცავთ გამარჯვებებს! ჩაიბარეთ ცენტრალურ შტაბიდან მოწოდებული საბალნე. თქვენი ტარანეკო».

თვითმფრინავმა რამდენიმე წრე კიდევ შემოავლო ცეცხლით გაჩაღებულ მინდორს. ფრთები აათამაშა, თითქოს სალამს გვაძლევდა, შემდეგ კამარა შეპკრა და სამშობლო მიწისაკენ გაფრინდა. ბიჭებმა თვალები მიაყოლეს მანქანას, ხელების ქნევით გაჰყვიროდნენ — სალამი საბჭოთა უკრაინას, სალამი განთავისუფლებულ კიევსო!

მფრინავ ტარანეკოს კარგად ვიცნობდით, მას სისტემატურად მოჰქონდა ზეწთან სამხედრო საჰტურელი, მედიკამენტები და სხვა საჭირო ნივთები. თვითმფრინავით მოწოდებული საგნები მარხილებზე შემოეაწყვეთ და სასწრაფოდ წინ გაეწიეთ, რათა დივიზიას წამოეწოდოთ.

XXIII

ლუშაციდან რუდუ-რუქანეცკაიამდე ჯოჯოხეთური მგზავრობა მოგვიხდა: კუპრივით შავ ღამეში მუხლამდე ტალახში გვიხდებოდა სიარული. ერთ წუთში ჭარბუქით მიწის ზედაპირი მოიყინებოდა, გაყინულ-გათოშილ გზაზე მარხილები წესიერად მოძრაობდნენ, მეორე წუთში ჭარბუქი წვიმანარევი თოვლით შეიცვლებოდა და გზაზე ლაფი დადგებოდა, მარხილები ტალახში ეფლობოდა და ამიტომ სახელდახელოდ გვიხდებოდა ტალახში ჩაფლული მარხილებიდან საომარი მასალის აღაღებზე გადატვირთვა. უბედურება ის იყო, რომ საკმაო რაოდენობით რაც აღა-

ლები გაგვიანდა. ტალახში წელიწადე ამოსვრილებმა და არაქათგამოცლილებმა დიდი ვაივაგლახით შემგზავნეს რუდუ-რუქანეცკაიას.

მეტად დაძაბული დღეები იყო. ფოლადის სალტესავით გვერტყა ირგვლივ მტერი. გერმანელების გარნიზონები განუწყვეტლივ ივსებოდა ახალ-ახალი ნაწილებით.

მოწინააღმდეგე მყელა შარაგზის ჩაქეტვა მოასწრო. თითქმის მეორედებოდა კარპატების მთებში ერთხელ უკვე განცილილი და განვლილი ტრაგედია; ასეთ რთულ პირობებში პარტიზანთა მეთაურები არ იზნეოდნენ, დიდ წინდახედულებას და გამჭირაობას იჩენდნენ.

ის იყო რუდუ-რუქანეცკაიას საზღვარს დავეხლოვდით, როცა წინ შტაბიდან გამოგზავნილი კაცი შემოგვხვდა. შტაბი წინადადებას მაძლევდა, ერთი ბატალიონი სამხრეთის მიმართულებით გამეგზავნა და იმ მხრიდან შარაგზა ჩამეკეტა. მშვერაუების ცნობით, სწორედ სამხრეთიდან იყო მოსალოდნელი რუდუ-რუქანეცკაიანზე მტრის თავდასხმა, შარაგზის გადაკეტვით კი თავიდან ავიცილდით მოსალოდნელ საშიშროებას. სახელდახელოდ გამოეყავი ბატალიონი და სერდიუკის ხელმძღვანელობით სამხრეთისაკენ მტრისათვის გზის გადასაკეტად გავგზავნე. ამასთან ერთად, სანამ რუდუ-რუქანეცკაიამდე მივიდოდით, ბოროდოვის მეთაურობით ერთი ასეული ხუთი კილომეტრით უკან ჩამოვიტოვე, ამ ასეულს მტრის შემოსევის შემთხვევის დროს, პოლკის დაცვა უნდა უზრუნველყო. რუდუ-რუქანეცკაიამდე უხიფათოდ მივალწიეთ და ის-ის იყო შევდგით ფეხი ჩვენთვის გამოყოფილ ბინებში, როცა სერდიუკის გამოგზავნილმა კაცმა შტაბის ბინაზე მოაგლო ცხენი და სულმოუბრუნებლად მომასხენა:

— სერდიუკი გაცნობებთ, ამხანაგო უფროსო, რომ დანიშნულების ადგი-

ლზე მისვლისთანავე მტერი წინ შემოგვეფეთა და ტყვია დაგვაყარა. სერდიუკი გთხოვთ, საჩქაროდ ტყვიაწამალი მოგვაშველეთო.

— შენ თავად მოწმე ხარ მტრის თავდასხმისა? — შევეკითხე მეკავშირებს.

— დიახ, ჩემი თვალთ ვნახე, მტრის ურიცხვი ჯარი მოდის. ამინდმაც ხელი შეგვიწყო, ჩვენი ჩასაფრების არემარე ნისლით იყო დაბურული. ჩვენები ჩასაფრებული იყვნენ გზის ორივე მხარეზე და გარინდული ელოდებოდნენ მტერს. ამ დროს მანქანის შორეული გუგუნე გაისმა. ისე იყო შარაზე ნისლი გამდგარი, ორ ნაბიჯზე ვერაფერს დაინახავდი. გუგუნე შემოგვესმა, მანქანა გვიახლოვდებოდა. კიდევ ორი წუთი და ნისლის ბურუსში მტრის მსუბუქი მანქანა ბუნდოვნად გამოჩნდა. ჩვენმა ბიჭებმა ავტომატების ჯერით დაცხრილეს მანქანა, კარები შეაღეს და შიგ ერთიმეორეზე მიწყობილი ხუთი ჰიტლერელის გვამი ნახეს. ტანსაცმელზე ეტყობოდა, რომ დაზოცილები მეთაურები იყვნენ. მათ შორის, როგორც ეს დოკუმენტებმა გვიჩვენა, ერთი ნაწილის უფროსი იყო. მანქანის დაცხრილების შემდეგ გააფთრებული ბრძოლა გაიმართა. ფუტკარით შემოესია მტერი ჩვენს ბატალიონს, მოწინააღმდეგის შემოტევას ჩვენები მდგარი ცეცხლით შეხედნენ, დიდი და სასტიკი ბრძოლა იყო გაჩაღებული, როდესაც ამხანაგმა სერდიუკმა დავალებით თქვენთან გამოემგზავნა.

— კარგი, — ეუთხარი მეკავშირეს. იმავე წუთს განკარგულება გავეცი, ტყვიაწამალით დატვირთული ადამიანი სერდიუკისათვის სასწრაფოდ გაეგზავნათ.

ის იყო გავემზადე მოსასვენებლად და ამ დროს ვილაცამ კარზე დააკაკუნა.

— ვინა ხარ? — შევეკითხე.

— ამხანაგო უფროსო, ბოროდოვოის მეკავშირე მოვიდა, თქვენს ნახვას რჩეპრის, — მითხრა გუშაგმა: *Гушак*

— შემოვიდეს! რა ამბავსაქვამხანაგო? — ვეკითხები მეკავშირეს.

— როცა დანიშნულ ადგილს მივეახლოვდით, თავდაცვის მოწესრიგების თადარიგს შევეუდმიეთ. ირგვლივ სქელი ნისლი იდგა, თვალში თითს ვერ მიიტანდი. მტერი გზის გაღალმა, ტყეში ყოფილიყო ჩასაფრებული. შეგვამჩნია თუ არა, სროლა აგვიტეხა, ორი მებრძოლი მოგვიკლა და ორი დაგვიკრა. შემდეგ საღაც მიიმალა. ბოროდოვოი გთხოვთ, ამხანაგო უფროსო, რაც შეიძლება დაჩქარებით მიაწოდეთ ტყვიაწამალი.

— თავდაცვის მოწყობის დროს ალბათ ერთი აურზაური გქონდათ ატეხილი, არა?

— მართალია, ბიჭები ხმამაღლა საუბრობდნენ!

— ჰოდა, კიდევ იაფად გადარჩენილხართ. ასეთ გაუფრთხილებლობას, შესაძლო იყო, დიდი მსხვერპლი მოჰყოლოდა. რატომ წინ დაშვერვა არ გზავნეთ? მტერი დაფრთხა და დაგვემალაო, ფიქრობდით ალბათ. მტრის ძალების შეუფასებლობა და ანგარიშგაუწველობა ჩვენვე გვაზიანებს, — საყვედურით მივმართე მეკავშირეს.

ბოროდოვოისაც მივაწოდე ტყვიაწამალი, თან მეკავშირის ხელით საყვედურის ბარათი გაეუფგავნე. შემდეგში, როდესაც ერთმანეთს შევხვდით, გაუფრთხილებლობისა და უყარათობისათვის კიდევ ერთხელ მაგრად შევახურე.

მტრის იერიში ყოველ საათობით ძლიერდებოდა, ჩვენ ფრიალ სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოეჩნდით; ძალზე კრიტიკული წუთები დაგვიდგა და ჩვენ კი ტყვიაწამლის საკმაო მარაგიც არა გვქონდა, ყველზე მეტად ეს გვაფიქრებდა. მართალია, უკანასკნელ ხანებში თვითმფრინავით ტყვია-

წამალი გამოგვიგზავნეს, მაგრამ ეს წვე-
თი იყო ზღვაში. თვითმფრინავი, რომ
მიგველო — ამისათვის კარგი ამინდი
იყო საჭირო.

ასე იყო, თუ ისე, ყველა უბანზე
იფეთქა ბრძოლამ, საჭირო შეიქნა დი-
ვიზიის თითქმის მთელი შემადგენლო-
ბის ბრძოლაში ჩაბმა.

აღრე ჩვენ ხშირად არ ვღებულობდით
მტრის გამოწვევას, ახლა კი, მას
შემდეგ, რაც პარტიზანული შენაერთი
დივიზიად იქცა, მტრის ყოველ იერიშს
კონტრიერშითა და დარტყმით ვუპა-
სუხებდით. ამ დროიდან პარტიზანული
ბრძოლების ხასიათი ნელ-ნელა იცე-
ლებოდა და ის რეგულარული ნაწილის
ბრძოლების სახეს ღებულობდა. ჩვენს
დივიზიაში, განსაკუთრებულ და სე-
რიოზულ წუთებში, დიდი და პატარა
ფეხზე დადგებოდა ხოლმე. ახლაც ყვე-
ლამ ხელში იარაღი აიღო და გაჩნდა
მომღვარ მტერს თავგამოდებით ექვეთა.

მხვერავებს ზედიზედ მოჰქონდათ
შემაფოთებელი ცნობები. ჩვენ უკვე
ვიცოდით, რომ ზამოსტიეს და იანოვას
რაიონებში მტერმა ორი ათასამდე ჯა-
რისკაცს მოუყარა თავი. ისინი აღჭურ-
ვილი იყვნენ ყოველი ჯურის იარა-
ღით, დაყოფილნი იყვნენ ჯგუფებად
და პარტიზანების დაბანაკების სოფ-
ლებზე თავსდასასხმელად ემზადებო-
დნენ. ვიცოდით ისიც, რომ იერიშის
დროს მათ წინ ჯავშანტრანსპორტიო-
რები წამოუძღვებოდნენ.

პარტიზანები სულგანაბლნი ადევ-
ნებდნენ თვალყურს მტრის ჯარების
მოძრაობას; ჩვენები საიმედოდ იყვნენ
ჩასაფრებულნი, და აი, ჯავშანტრან-
სპორტიორები გამოჩნდნენ. ჩვენმა ჯავ-
შანმზერეტლებმა იარაღი მოიმარჯ-
ვეს და ერთი ჯავშანტრანსპორტიორი
დაცხრილეს. მტრის ქვეითა ნაწილი,
რომელიც ჯავშანტრანსპორტიორს უკან
მოსდევდა, პარტიზანების ტყვიამფრ-
ქვევებმა მოსცულეს. მეორე ჯავშან-

ტრანსპორტიორი ფიცხლავ შეზღუდა
და გაქცევით თავს უშველდურდნენ.
ბრძოლამ ორ-სამ საათზე მტრს გას-
ტანა, შემდეგში ამ უბანზე იერიშით
წამოსვლა მტრის აღარ უძლია.

სოფელ ბევნიაში, სადაც ჩვენი
მეორე პოლკი იყო დაბანაკებული,
ბრძოლამ უფრო სერიოზული ხასიათი
მიიღო. საარტილერიო ბომბარდირების
შემდეგ მტერმა ამ სოფელს დიდი რაო-
დენობით მოაყარა ქვეითი ჯარები. შე-
მოსევულ მტერს პოლკის უფროსი კულ-
ბაკა მთელი ქვეგანაყოფით გადაელობა,
წინამდებარე მალლობი დაიჭირა და
ხუთი საათის განმავლობაში იგერიებ-
და გერმანელთა იერიშებს. დაბოლოს
მოწინააღმდეგემ ხელი აიღო ამ უაზრო
იერიშებზე, დიდი ზარალის შემდეგ
უკან დაიხია, ზამოსტიეს და კრასნო-
ბრუდს შეაფარა თავი.

მოკლე ხნით დაცხრა მტერი, სული
მოიბრუნა, შემდეგ ძალები კვლავ მო-
იკრიბა და ოსარაჩიეში ჯა ევარეცში
დაბანაკებულ პარტიზანების პოლკს
აღუა შემოარტყა, ბრძოლა გაუმართა.

არც ახლა გაუმართლდა იმედი მოწი-
ნააღმდეგეს, ორი ტანკის და ჯავშნიანი
მანქანის დაკარგვის შემდეგ გერმანე-
ლებმა თავიანთი ჯარები მოხსნეს და
საჩქაროდ უკან გაბრუნდნენ.

მოწინააღმდეგეს შტაბი, ცხადია,
ბრძოლას რეგულარულად ადევნებდა
თვალყურს, ხელადა თავისიანების
მარცხს. ამიტომ პარტიზანების წინა-
აღმდეგ მებრძოლ ნაწილებს გერმანე-
ლები ყოველ საათს ახალ-ახალ დამხმა-
რე ნაწილებს უგზავნიდნენ.

ჩვენი დივიზიის შტაბმა მალე ბრძა-
ნება გამოსცა — რუდლ-რუქანეცკაია
დასტოვეთ და ახალ ადგილზე გადაი-
ნაცვლეთო.

ჯერ ისევ რუდლ-რუქანეცკაიაში ვი-
დევით, როდესაც ჩვენს მალა, ცაზე
მტრის უზარმაზარი სატრანსპორტო
თვითმფრინავი გამოჩნდა. დიდი სიჩქა-
რით მიფრინავდა, ჩვენი ცხენოსანა

დივიზიონის პარტიზანებმა მედგარი ცეცხლი გახსნეს, თვითმფრინავი საფუძვლიანად დააზიანეს. დიდი ვაივაგლახით გაიარა დაზიანებულმა საპაერო მანქანამ სამი-ოთხი კილომეტრი და შემდეგ იძულებული გახდა ძირს დაშვებულიყო. ეკიპაჟი და მგზავრები, არანაკლები ასი კაციცა, თვითმფრინავიდან საჩქაროდ გამოძვრნენ და დაზიანებული მანქანის ირგვლივ თავდაცვა მოაწყვეს, თანაც თავისიანების სამხედრო ნაწილთან დაკავშირება სცადეს. მართლაც, რამდენიმე საათის შემდეგ კატასტროფის ადგილზე გერმანელები გაჩნდნენ, თვითმფრინავი გასინჯეს, დარწმუნდნენ, რომ ის უკვე საფუძვლიანად დაზიანებული იყო, ამიტომ დაშალეს, ღია პლატფორმებზე შემოაწყვეს და გერმანიაში გაგზავნეს. ეს ცნობა ადგილობრივმა გლეხებმა მოგვაწოდეს.

რუდუ-რუჟანეცკაის დატოვების შემდეგ დღეს მოწინააღმდეგემ დიდი ძალებით ალყა შემოარტყა სოფელს და პაერადან ძლიერად დაბომბა; გერმანელებმა მხოლოდ მოგვიანებით გაიგეს, რომ პარტიზანები სოფლიდან გასული იყვნენ, მათ კი ტყუილად გაანადგურეს და ააწიოვეს სოფელი.

ამ რთულ, სერიოზულ მომენტში განსაკუთრებული დამაბულობით მუშაობდნენ ჩვენი მშვერავები. როგორც იტყვიან ხოლმე, საპირობის დროს ისინი ნემსის ყუნწში გაძვრებოდნენ. ერთ დღეს მათ ცნობა მოიტანეს — სოფელ ბელგორაიაში მტრის დიდი ძალება გროვდებიან, თუ დღეს არა, ხვალისათვის მაინც მტრის ეს ჯარი დაიძვრება და პარტიზანებს ბრძოლას გაგვიმართავსო. ამას გარდა, დაბა ტარნოგრუდში ჩვენი მშვერავებისათვის გლეხებს ეთქვათ — ტანკებით და ქვემეხებით შეიარაღებულმა გერმანელებმა გუშინ სალამოს და დღეს დილით ჩაიარეს ჩვენი დაბის ახლოს და იანუესკის ტყის მიმართულებით წავიდნენო. ეტყობოდა, გერმანელები ძალიან ფრთხილობდნენ. შე-

დგეს თუ არა ფეხი დაბის ტერიტორიაზე, მოსახლეობა გააფრთხილეს — „სანამ ჩვენი ჯარი მთლიანად ვერ გამოვალთ, დაბაზე, დიდი და პატარა — სახლებში ჩაიკეტებით, თავი კარში არ გამოჰყოთ, ვინც ბრძანებას დაარღვევს, განუკითხავად დაისჯებაო“. დაშინებული ხალხი სახლებში იყო ჩაკეტილი, სანამ ჯარმა სოფელზე არ გაიარა. თითო თროლა გაბედული და თავზე ხელაღებული სოფლელი კარში გამოსულიყო და გაეგოთ, რომ გამვლელი ჯარი გალიციელი „ესესელები“ იყვნენ.

ესეც არ იკმარეს გერმანელებმა. მშვერავების ახალმა წყებამ ამბავი მოიტანა — ცეშანოვიდან გამოსული მტრის ჯარი გაძლიერებული მარშით ნაროლის მიმართულებით მიეშურებო. მოწინააღმდეგეს ასეთი ფაცაფუცი და მოძრაობა, ჯარების კონცენტრაცია გადაგუფუტება, პარტიზანებთან ანგარიშის გასწორების მიზნით ხდებოდა.

1944 წლის 28 თებერვალს ჩვენმა დივიზიამ მაიდანსინიავსკის მიაღწია და ამ მიდამოებში დაბანაკდა.

პარტიზანული პოლკი, რომელსაც მე ემეთაურობდი, სოფელ პავლოვში განლაგდა. მაიდანსინიავსკში ჩვენმა ბიჭებმა გენერალ მაიორ ნაუმოვის პარტიზანული შენაერთის მიერ გადანახული საწყობები აღმოაჩინეს. იქაურებმა გვითხრეს — ამ სოფელში ორი კვირის წინ ნაუმოვს შეტაკება ჰქონდა გერმანელებთანო. გლეხებს ბრძოლის ველზე ებოვნათ და სახლში წაეყვანათ ორი მძიმედ დაჭრილი პარტიზანი. როდესაც პავლოვში მივედით, ბიჭები ორივენი გამოჯანსაღებული დაგვხედნენ და ჩვენ შეგვიერთდნენ. ჩვენმა პარტიზანებმა მაიდანსინიავსკში და პავლოვში კარგად დაისვენეს, შტაბმა ყველა მხარეს მშვერავები გაგზავნა, გვიანტერესებდა, თუ რა ხდებოდა მდინარე სანის გადამა და ლვოვ-პერემიშლის რკინიგზის ხაზზე.

როცა რუდა-რუფანეცკიაში ვიყავით და ის იყო წამოსვლას ვაპირებდით, კარგი ამინდი დივირია, ამიტომ მოსალოდნელი იყო კივიდან ტყვია-წამლით დატვირთული თვითმფრინავის მოსვლა. ჩვენ კი მივდიოდით ამ სოფელიდან. ამიტომ ყოველ შემთხვევისათვის ტუტერევი ერთი ბატალიონით ამ სოფელში დავტოვე; თუ ვინიცობაა თვითმფრინავი გამოჩნდებოდა, ის ტუტერევს უნდა მიეღო. მოუთმენლად მოველოდით ტუტერევის ცნობას, მალე სოფელ პავლოვში თვითონ ტუტერევი გამოცხადდა, მაგრამ ხელცარიელი მოვიდა. თვითმფრინავი არ გამოჩენილიყო. ტყვია-წამალი კი სულ აღარ გექონდა. გული მაინც არ გავიტეხეთ, ჩვენ ხომ კოვპაის სკოლა გექონდა გავლილი და ამიტომ სიტყვა — სასოწარკვეთილება ჩვენს ლექსიკონიდან ამოღებული იყო.

ამ ხანებში ჩვენს დივიზიას მტრის ტყვეობიდან თავდაღწეული მებრძოლების ახალ-ახალი ნაკადები მოაწყდა. «ფიცის მიღების გარეშე არც ერთი კაცი არ ჩარიცხვით პარტიზანთა რიგებში», ვასცა ვერშიგორამ ბრძანება.

მწვერაეები დღე-ღამე დაუღალავად ტრიალებდნენ; მათი მუშაობა ახლა ძალიან გართლებული იყო. ხუმრობა საქმე არ იყო დაწვერევის წარმოება, როცა ირგვლივ მტერი ბუზებივით გვეხვია. ჩვენი მამაცი მწვერაეი მაინც მარჯვედ ასრულებდა ყველა დაქისრებულ ამოცანას.

ის იყო შედამდა, როცა მწვერაეები დაბრუნდნენ: ყოველ წუთში მოსალოდნელია სოფელ ოჯანოზე მტრის თავდასხმაო, — გადმოგცეს მათ. ამ სოფლის მცხოვრებლებს შეენიშნათ, რომ ირგვლივ ტყეები მტრის ჯარებით აივსო. ოჯანო პატარა სოფელია, ორ მხარეზე მას ტყე არტყია. იმხანად ოჯანოში ჩვენი ცხენოსანი დივიზიონი ისვენებდა. დილით ადრე მართლაც შემოიჭრა მტერი ოჯანოში და დივიზიონი ცეცხლში გახვია. ჩვენები მომხდურებს ავტომატ-

ბის ცეცხლით მიეგებნენ. მალე ხელჩართული ბრძოლა გაიხდა. ეჭვგარეშე და გაფთვრებული შეტაკების შემდეგ მონაწილემ ნალმდევე განადგურებული იქნა. ამ ბრძოლაში, როგორც ტყვეების დაკითხვიდან გამოირკვა, მონაწილეობას „ესესელთა“ პოლკის სკოლის კურსანტები ღებულობდნენ. ტყვეებმა თქვეს: ფრონტზე წასასვლელად მოგვამზადეს, უკვე ვაგონებში ვისხედით, როცა მოულოდნელად ეშელოსის უფროსის განკარგულებით ყველა უკანვე გადმოგვსხეს და გაგვიცხადეს: მახლობელ ტყეში ბანდა ყოფილა გადმოხვეწილი მდინარე ბუგიდან, სახელდახელოდ უნდა გავანადგუროთ და შემდეგ ისევ გზას გავედგებიით.

მაგრამ, როგორც ვთქვით, მტრის ძალები სასტიკად განადგურდნენ. არც ერთი კურსანტი ცოცხალი არ გადაჩენილა. მართალია, ოჯანოში შემოჭრილი მტერი ჩვენებმა დაამარცხეს, მაგრამ ეს გამარჯვება ჩვენც ძვირად დაგვიჯდა: ამ ბრძოლაში ცხენოსანმა დივიზიონმა ორი მეთაური — ლარიონოვი და გპონენკო დაკარგა. ერთიც და მეორეც ტყელი პარტიზანები იყვნენ. კარპატის რეიდის მონაწილენი, შეუპოვარი მებრძოლები და განთქმული მეთაურები. ბევრჯერ სასტიკ ბრძოლას გადაურჩნენ და ამჟამად ოჯანის პატარა შეტაკებაში დიალუბნენ.

ამ ბრძოლის შემდეგ მიზნად დაეისახეთ ქალაქი ულიანოვი გაგვეთავისუფლებინა. პოლონელი მოქალაქენი გვეუბნებოდნენ, რომ ეს ქალაქი გერმანელებს ძალიან გამაგრებული აქვთ, აქ მტერს სამხედრო საწყობები აქვს, ტყვია-წამლის დიდი მარაგი აქვს შენახული, ამიტომ თავგამოდებით იცავენ ქალაქსო. ჩვენმა დაწვერევაამაც ეს ცნობა დაადასტურა. ამას გარდა ქალაქ ულიანოვის მახლობლად კეთილმოწყობილი აეროდრომი იყო. თუ ქალაქს ავირუბდით, ცხადია, აეროდრომიც კარგავდა თავის მნიშვნელობას. ულიანო-

ვი პატარა ქალაქია, მაგრამ მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა; ანტიკომ გადაწყვეტით, ეს ქალაქი ხელთ გვეგდო, დივიზიის შტაბმა მესამე პოლკის უფროსს უბრძანა ულიანოვი ალყაში მოექცია და აეღო. მესამე პოლკი ევეთა ქალაქს, აქ მოულოდნელი ამბავი დატრიალდა: ქალაქის გარნიზონი პირველი შეტევისთანავე დაგემორჩილდა. შეტევის დროს სერგო არუთინოვის ასეული დაწინაურდა, გაარღვია მტრის თავდაცვა და ქალაქში შევიდა. არუთინოვის ასეულმა რადიოსადგურამდე მიადგინა და მისი განადგურება დაიწყო. ინასობაში მესამე პოლკის სხვა ნაწილებიც შეიჭრნენ ქალაქში. ქალაქზე თავდასხმა ისეთი ელვისებური სისწრაფით მოხდა, რომ ულიანოვის მეზობლად მდებარე ქალაქ ქსეშოვის გარნიზონმა და აეროდრომის მცველებმა ფეხზე დადგომა ვერ მოასწრეს. ქალაქის აღებისთანავე ბიჭებმა ტყვია-წამლით და სამხედრო საკურვლით დატვირთეს ალალები, თან ოცდათექვსმეტი ტყვე წამოიყვანეს. ამ გამარჯვების შემდეგ გზა დამშვიდებით განვაგრძეთ.

ახლა ჯერი ქალაქ ქსეშოვზე მიდგა. ქსეშოვის გარნიზონის განადგურებაც მესამე პოლკის მეთაურს მიენდო. ამ პოლკიდან გამოყოფილმა ასეულმა ქალაქის მცველები გაანადგურა, მხოლოდ მდინარე სანზე გადებული ხიდს ადგბა დააგვიანეს. ამ შეცდომით მტერმა ისარგებლა, ახალი ჯარები გამოიყვანა, ტანკები მოიშველა და ხიდზე გამაგრდა. ჩვენ იძულებული ვაგხდით ქალაქი დაგვეტოვებინა და მარშრუტიც შეგვეცვალა. პარტიზანებმა ნადავლი ალალებში ჩატვირთეს და სოფელ ლოკოვაში გადაინაცვლეს.

ქალაქიდან წყნარად გამოვედით, მაგრამ წინ ახალი დაბრკოლება აღიმართა. მტერს გზის დანალმვა მოესწრო. ირო გზაჯვარედინზე, როცა ჩვენმა ქვეშევნა გადაიარა, გზა აფეთქდა და ქვეშევი

დაზიანდა, მემიზნე ალექსეევს ნაღმბორივე ფეხი მოსწყვიტა, კომუნისტური ბელორუსელი მწვერავის მძაბრ წინსვლა სკი ნაფლეთებდა აქცია. დაზიანებული ქვეშევი ჩვენმა ბიჭებმა სახელდახელოდ დაშალეს და მარხილზე მოაწყვეს. ეს ქვეშევი შემდეგში შევაკეთეთ და მან კიდევ დიდი სამსახური გაგვიწია, არაერთხელ გამოგვადგა მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

მდგომარეობა თანდათან უფრო რთულდებოდა, მტერმა დიდძალი ჯარები მოაყარა და ჩვენ საწინააღმდეგოდ აქტიური მოქმედება დაიწყო. ბელგარისკის ტყის რაიონში ჩვენი დარჩენა დივიზიას განსაცდელში ჩააგდებდა. მტერმა იერიშებზე წამოსვლა გააპირა. მტრის ჯარები, რომლებიც გენერალ მათორ ნაუმოვის შენაერთს მისდევდნენ, ახლა ჩვენს დივიზიას გადაელობნენ გზაზე და მოსვენებას არ გვაძლევდნენ. ლეოვ-პერემიშლის რკინიგზის რაიონი გაქედილი იყო გერმანელი ჯარისკაცებით და ოფიცრებით. დასავლეთის მიმართულებით გადაინაცვლებაც ძალზე სახიფათო იყო, მდინარე სანის და განის ყველა ხიდზე და საერთოდ ამ მდინარეების სანაპიროებზე მტერმა უთვალავ ძალებს მოუყარა თავი. გერმანელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, რაღაც არ უნდა დაჯდომოდან, ჩვენ აღარც დასავლეთისაკენ და აღარც აღმოსავლეთისაკენ არ გავეშვიოთ მოწინააღმდეგის ასეთი გადაწყვეტილება აშკარად ჩანდა, ამას ყველა ჩვენთაგანი ხედავდა და ნათლად გრძნობდა.

აქაც კარპატების ისტორია მეორდებოდა, იქაც ხომ ამ დღეში ვიყავით. მაგრამ პარტიზანები გულს არ იტეხდნენ. მთების სუსხს გადაუტრიალთ, ბარის განსაცდელს მით უმეტეს ადვილად გადავიტანთო, ამბობდნენ ისინი.

ამ რაიონს დროზე უნდა გავცლოდით. მართლაც, გარს შემომდგარი მტრის ალყა ვაეარღვიეთ, იმ არემარეს ათი-

ოდე კილომეტრის მანძილით გავცილ-
დით და სოფელ დობროვიცაში დავბა-
ნაკდით.

თოვლი საბოლოოდ გადნა, მიწა,
ზამთარში ყინვისაგან რკინად რომ იყო
ქცეული, გაღვდა და გაფუცდა. მარხი-
ლებით სიარული ახლა აღარ შეიძლე-
ბოდა. ჯერ კიდევ დომბროვიცაში არ
ვიყავით, მისული, როცა ერთი წყება
ბიჭებისა სამნეო ნაწილის უფროსის
მოადგილის ბოგოლიუბოვის-მეთაურო-
ბით ალალების შესაძენად გზიდან ერთ-
ერთ დიდ სოფელში შევგზავნე. ბოგო-
ლიუბოვს გერმანული ფულის ნიშნე-
ბით გავუხვე საველე ჩანთა და თან გა-
ვატანე, თანაც დავუბარე — ეცადე მე-
მამულეების ხარჯზე შეიძინო ალალე-
ბი, მემამულეებს უსიტყვოდ და ულა-
პარაკოდ ჩამოართვი, თუ ამ გზით არ
მოხერხდეს საქმის გაკეთება, გლეხები-
დან საფასურით შეიძინეთ-მეთქი.

ის იყო ირიტრაცა და ჩვენც დომბრო-
ვიცაში შევდგით ფეხი, სწორედ იმ
დროს ბოგოლიუბოვმა ოფელში გაქაფუ-
ლი ცხენი მოაგდო ბანაკში და სულ-
მოუბრუნებლად მომასხენა: „ამხანაგო
უფროსო, თქვენი დავალების შესრუ-
ლება შეუძლებელი შეიქნა: სოფლის
საზღვარს უხიფათოდ მივაღწიეთ, გზა
ისე გავიარეთ, არავინ შეგვხვებდრია,
მტრის გუშაგებიც კი არსად ჩანდნენ.
ვიფიქრეთ, სოფელში უვნებლად და თა-
ვისუფლად შევქლებდით შესვლას, ამ
დროს მოულოდნელი ამბავი დატრიალ-
და: მტერი ყოფილიყო სოფელში დაბა-
ნაკებული, საშინელი სროლა აგვიტე-
ხეს. ჩვენ უვნებლად შევქელით უკან
გამობრუნება, მაგრამ სამწუხარო ისაა,
რომ ალალები ვერ ვიმოვნეთ“.

— როგორ ფიქრობ, დიდი რაოდენო-
ბით არის მტერი? — ვეკითხები ბოგო-
ლიუბოვს.

— ეტყობა, ბევრნი არიან! იეტომა-
ტებთან ერთდროულად არტილერია და
ტყვიამფრქვევებიც ამუშავეს! სხვათა-
შორის, სოფლის მიდამოებში სქელი

ნისლი იყო ჩამოწოლილი, უვნებლად
ჩვენს გადარჩენას ნისლიც შეუწყო
ხელი.

როდესაც მე და ტოუტი შტაბში ვის-
ხედით, გაურკვეველი ქუხილის ხმა მეც
მომესმა, მე პირველად მეგონა, საღა-
ნადმი აფეთქდა-მეთქი. სინამდვილეში
ეს თურმე საარტილერიო კანონადის
ხმა იყო. იმავე წუთს საქირო ზომები
მივიღეთ. ვიცოდით, გამოქცეულ ბოგო-
ლიუბოვს თან მტრის ჯარი გამოჰყვე-
ბოდა. ასეც მოხდა. უეცრად დაეინახე,
მეკავშირე ჩემსკენ ცხენს შურდული-
ვით მოაგელვებდა. მტერი შეამჩნია
უთუოდ, გავიფიქრე გულში. მოხსენე-
ბის დასრულება ვერ მოასწრო მეკავში-
რემ, როცა გერმანელები საშინელი
სროლით მოადგნენ სოფელს.

ჩვენები მომხდურებს ცეცხლით შეე-
გებნენ. ყურთა სმენა აღარ იყო, ისეთი
აურზაური დადგა. მეკავშირე ვაფრინე
ჩვენს მეტყვიამფრქვევებთან, მოვთხო-
ვე, სროლა შეეწყვიტათ, ნისლითა და
ბურუსით ესარგებლათ და ტყვიამფრქ-
ვევები ჩასაფრების ადგილიდან განზე,
დაშორებით გადაეტანათ. ამავე დროს,
ტუტერევს დავავალე, თავისი ბატა-
ლიონით მტერს ზურგში მოქცეოდა.
ტუტერევმა მოხერხებულად შესძლო
დანიშნული ადგილის დაკავება. დავა-
ლების შესრულება ტუტერევმა მამხა-
ლებით მაცნობა. ამის შემდეგ ალყაში
მოქცეულ მტერს ყოველი მხრიდან
სეტყვასავით დავაყარეთ ტყვია, შეტე-
ვაზე გადავედით და ხელჩართულ ბრძო-
ლაში ჩავითრიეთ. მტერმა ახლა კი
იკადრა გაქცევა. ვინც გაიქცა და თავს
უშველა, გადარჩა, ნისლიანი ამინდით
ისარგებლა და ტყეს თავი შეაფარა,
ვინც ჩვენებთან ხელჩართულ ბრძოლა-
ში ჩაება, ისე განადგურდა, ამბის წამ-
ლები არ გადარჩენილა. დიდძალი ნა-
დავლი დავატოვებინეთ გერმანელებს.
აღსრულდა ჩვენი ნატვრა: ნადავლი
იარაღისათვის ტყვია-წამლის მარაგი
გავიჩინეთ. სამხედრო საქურველით და

სურსათ-სანოვაგით დატვირთული ალა-
ლებით სოფელში გავბრუნდით.

დაზვევრიდან დაბრუნებულმა ორმა
მებრძოლმა დახურული კონვერტი მოი-
ტანა. ჩვენს შეკითხვაზე, თუ ვისგანაა
წერილი, გვიპასუხებს: გზის მახლობ-
ლად, ტყეში ვისვენებდით, ამ დროს
ჩვენს თვალწინ გზაზე დიდმა ძაღლმა
გაიჩინა. ყელზე კონვერტი ჰქონდა შე-
ბმული, დავეინტერესდით, თავი დავუ-
რეთ, ძაღლი ხელიდან გავვისხლტა,
ორმოცდაათი-სამოცი მეტრი გაიჩინა,
შემოტრიალდა, თავი მალა აიღო და
დაგვატყერდა, მერე უცებ შეტრიალდა
და შურდულებით გაქანდა. სხვა გზა არ
იყო, ვესროლეთ; ძაღლი წაიქცა, კონ-
ვერტი შევხსენით და წამოვიღეთ!

კონვერტზე გერმანული წარწერა
იყო. ამხანაგი შერბატი გამოვიძახე,
მან კარგად იცოდა გერმანული ენა.
შერბატმა ბარათი გადაიკითხა, თავი
გაიქნია და ჩაიციანა. გერმანელების
ერთი გარნიზონის უფროსი მეორე გარ-
ნიზონის უფროსს სწერდა: ალბათ;
იციო, ჩვენს მოსაშველებლად წუხელ
სადგურზე ჯარი გადმოსხეს. ამ რაიონ-
ში ამჟამად მოზრდილი ძალები გვყავს,
პარტიზანებს არამცთუ გავუმკლავდე-
ბით, კისერსაც მოვტეხთ, პოლო-
ნეთში მათ სახსენებელს ძირიან-ფესვი-
ანად ამოვადებთ. ბარათში მოცემული
გეგმა ითვალისწინებდა, რა დროს, რო-
მელ საათზე, როგორი წესრიგით უნდა
გაეშალა მტერს ჩვენი საწინააღმდეგო
ბრძოლა, სად უნდა მოეწყოთ ჩასაფ-
რებები. ყოველი მხრიდან ერთდროული
შემოტყევის და დარტყმის სათიცი კი
იყო ნაჩვენები. გარნიზონის უფროსს
არ გაუმართლდა მოლოდინი, გეგმა ჩა-
ეშალა, მისი შეკავშირე ჩავარდა.

ახალი შეღამებული იყო, როცა ეს
წერილი წაიკითხეთ. ძლიერი ქარი ზუ-
ზუნებდა. გახურებული ღუმელის ირგ-
ვლივ ვისხედით: მე, ტოუტი, ბერეენოი
და ბინის პატრონი, მოხუცი კაცი. მას
გვერდზე თავისი ძაღლი წამოსწოლოდა.

მართლაც საამური და სასიამოვნო
იყო იმ დამეს თბილ ღუმელფრენულო-
მა. გარეთ სტიქია ბზმზჭმზჭმზჭმზჭმ
კი ტყბილად ვთვლემდით. საკმარისი
იყო ვინმეს ჩვენთაგანს წყნარად ჩაე-
ხველებინა, და ძაღლიც ფიცხლავ თვა-
ლებს გაახელდა, დარწმუნდებოდა რა
ყველაფერი წესრიგში იყო, თვალეზს
ისევ დახუჭავდა და ძილს განაგრძობდა.
ვღუმედით ყველანი. თითოთაოლა
სიტყვით რომელიმე ჩვენგანი თუ დაარ-
რლევდა სიჩუმეს. გაბმულ ლაპარაკს
ყველა ერიდებოდა. ბერეენოიმ ჩანთი-
დან ბლოკნოტი ამოიღო და ფურცელა
დაიწყო. რალაც წერილს წააწყდა, გაშა-
ლა და დაატყერდა, თან თავი ნაღვლია-
ნად გადაიქნია.

— ეგ რა წერილია, ვანო? — ვეუბნე-
ბი ბერეენოს.

— როგორ გითხრა, ერთი მხრივ სა-
სიამოვნოცაა და ამავე დროს სევდის
მომგვრელიც...

— მიხეც, ვისგანაა ეგ წერილი?

— წერილი კი არა, რუდნევის გან-
კარგულებია... დაზვერვაზე წასვლის წინ
გამომიგზავნა.

რუდნევის სახელის გაგონებაზე
ყველა ერთდროულად შეკრთა, სახეებ-
ზე ყველას სევდა აღებქმდა. მეც თვალ-
წინ დამიდგა საყვარელი კომისრის მუ-
დამ მოლიმარე სახე. აგერ, თითქოს ახ-
ლაც ვხედავ — სიმონ ვასილის ძეს ხის
ძირში თავის პატარა რადიკთან ერთად
მწვანეზე წამოწოლილს. საღამოს ეამს
მამა-შვილი ტყეში განმარტოვდებოდ-
ნენ ხოლმე და უკრაინულ სიმღერებს
ლილინებდნენ. ახლა კი აღარცერთი არ
არის ცოცხალი, მაგრამ განა ასეთ ადა-
მიანებს სიკვდილი მოტრევა?

ქარი თანდათან გაძლიერდა. უეცრად
ტოუტი ზეზე წამოდგა. „ვიღაცა კარებ-
ზე აკაკუნებს!“ თქვა მან, სმენად გადა-
ვიქეციით.

— ზომ არ მოგეჩვენა, ქარი გატყუი-
ლებს უთუოდ, — ვეუბნები ტოუტს.

— არა, ვიღაცაა!

მოხუცმა გაიღიმა „სცდებით, ბატონო უფროსო, რომ ვინმე იყოს, ჩემი ძალღი ფეხზე დადგებოდა, ხმას პირველად ეს გაიგონებდა!“ ამ სიტყვებთან ერთად მოხუცმა ძალღს ხელი თავზე გადაუსვა.

ძალღმა თვალები მაგრად მოხუცა.

— ეს ჩემი ძალღი, თქვენებმა რომ ძალღი მოკლეს, იმაზე ნაკლები როდია! ტოუტი ჩქარი ნაბიჯით კარებთან მიიჭრა და გააღო. მხოლოდ ღამის წყვდიადი იღგა მის თვალწინ, არავინ ჩანდა. „მოვტყუდი!“ ჩაილაპარაკა თან.

— ნუთუ ასეთი ფხიზელია, მოხუცო, ეს თქვენი ძალღი, ერთი უნდა მოვსინჯოთ! — უთხრა მოხუცს მოუსვენარმა და ყოველთვის მზიარულმა ბერეცნოიმ.

— შე კარში გაველ, ცოტა დრო რომ გავა, კარებს შემოვაკაუნებ, გესმის მოხუცო?

— დიახ, მესმის, ბატონო! — ბერეცნოი კარში გავიდა, დრო გადიოდა, არაფერი ისმოდა, ძალღი უცებ ზეზე წამოხტა და ყურები ცქვიტა. ჰავ, ჰავ, ჰავ, — დაიწყო მან ყეფა და კარებს ეძგერა. კარები გაიღო, ბერეცნოი გამოჩნდა.

— აკი გითხარით, ჩემს ძალღს არაფერი გამოეპარება-მეთქი, — ამაყად თქვა მოხუცმა.

გაოცებული შევეცქეროდი ძალღს, ჩვენ ხომ უბრალო ფაჩუნცი არ გავგიგონია.

— დააკაუნე კი, ამხანაგო ვანო? — შევევითხე ბერეცნოის.

— ძალიან ფრთხილად, როგორც იტყვიან, რწყილს ვერ გააღვიძებდა!

ქარი სახლის კედლებს ისევ ასკდებოდა, ხეები თითქოს კენესოდნენ, ქარი ზუზუნებდა მათს ტოტებში.

ტოუტი და ბერეცნოი თავდაცვის შესამოწმებლად გავიდნენ. შე კი ვანო რეხიაწვილის ბოლოდროინდელ წერილის ხელმეორედ გადათვლიერებას შევეუდექი. ვანო მწერდა: „თუმცაღა შე ამკამად ინვალიდი ვარ, შესაძლებლობა აღარ მაქვს ვიბრძოლო თქვენს რიგებში, მაგრამ მაინც ისევ სამხედრო საქმეს ვემ-

სახურები, ომში გაწვეულ მოქალაქეთა ოჯახების დამხმარე სამმართველოში ვმუშაობ“.

უკვე მტრედის ფრად იხათა. ჩექმების ბრახუნის მომესმა. ოთახში ბერეცნოი შემოვარდა.

— ამხანაგო დაეით! — წამოიძახა ვანომ, — მტერი გვიახლოვდება, დაგვიშენენ სადაცაა! რაღაც უცნაურად აცვიათ, ეშმაკი ვერ გაარჩევს, რას ჰგვანან!

ოთახიდან ფეხი გამოვდგი თუ არა, საშინელი სროლა ატყდა. მტერმა გააფთრებით შემოგვიტია. მეკავშირე ვაფრინე შტაბში, მტრის მოახლოვება ვაცნობე. ჩვენები ფიცხლავ ჩაებნენ ბრძოლაში. სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა, უცნაურად ჩაცმული მტრის ჯარისკაცები იტალიელები აღმოჩნდნენ. რაღაც ფართო, ნაცრისფერი ქულები ეხურათ, მათ ყოველი ჯურის იარაღით დაგვიწყეს სროლა, ისე გათავხედდნენ, რომ იერიშზედაც გადმოვიდნენ. ეტყობოდა, მათ ჯერ არ ჰქონდათ ნაგემი პარტიზანების ხელნართული ბრძოლის სუსხი.

პოლკის ყველა მებრძოლი, ბრძოლაში ჩაება, ყველამ აიღო იარაღი ხელში. იტალიელებმა არა მარტო თავიანთი ქულები დაჰკარგეს, თავებიც ოხრად დარჩათ. შეტაკება მტრის დამარცხებით დამთავრდა. მათ ორასამდე დახოცილი მებრძოლი დასტოვეს ბრძოლის ველზე; ჩვენ ხელთ ვიგდეთ ოთხი საბატალიონო ნაღმსატყორცი, ავტომატები, თერამეტი ტყვე ცოცხლად წამოვიყვანეთ. სოფელ დომბროვცაში შემდეგში ჩვენი დარჩენა მიზანშეწონილად აღარ იყო. ისევ მოსალოდნელი იყო მტრის მიერ დიდი ძალების ჩვენს წინააღმდეგ გადმოსროლა. ამიტომ დივიზიამ სასწრაფოდ დატოვა დომბროვცა.

ცენტრალურ პარტიზანულ შტაბს ვაცნობეთ დომბროვციას დატოვება და შევატყობინეთ ჩვენი შემდგომი მარშრუტი, ვთხოვეთ, პირველ შესაძლებლობისთანავე მოეწოდებინათ ტყვია-წა-

მლი. როგორც ყოველთვის, თვითმფრინავის მიღება ახლაც მე მომანდეს. მეც ბრძანება გავეცა, გზაში ალაღებზე ჩალა შემოაწყეთ-მეთქი. ყურს მოვკარავდით თუ არა თვითმფრინავის მოტორის გუგუნს, კოცონს გავაჩაღებდით. დამბროვიციდან სრული წესრიგით გავედით. რვა კილომეტრზე გაიშალა დივიზია. მარტის მერყევი ამინდი საათობით იცვლებოდა. გაუვალ ტალახში უძნელდებოდა ცხენებს ალაღების ტარება. ვნატრობდით ზამთარს, ზამთრის გაყინული მინდვრები ასფალტდაგებული გზებსავით ადვილი სასიარულო იყო.

— სმენა ზომ არ მატყუებს, — შეუბნება ტოუტი, — თითქოს თვითმფრინავი გვიახლოვდება?

— სწორედ გამოიცანი, თვითმფრინავია, ჩვენთან უსათუოდ, ალბათ სამხედრო საკურველი მოაქვს.

თვითმფრინავის მისაღებად მოვეშხადეთ, სასწრაფო განკარგულება გავეცა, ჩალით დატვირთული ალაღი გამარტოვებულიყო და თვითმფრინავის მისაღებ თაღარიგს შედგომოდა. ბიჭებმა სახელდახელოდ ვადიტიანეს ჩალა ტყის მახლობელ მინდორზე, ოთხკუთხედად დააღაგეს და ცეცხლი გაუჩინეს. დივიზიის აეროდრომის ადგილმდებარეობის ნიშანი ეს იყო. თვითმფრინავმა ნიშნის ადგილს პირველად თავზე გადაუარა, შემდეგ შემობრუნდა და წრე შემოხაზა. თეთრი ქოლგები, რომლებზედაც ტომრები იყო გამოხმული, წელი მოძრაობით ძირს დაეშენენ. ამჯერად თხუთმეტი ცალი ტომარა მივიღეთ. მტერმა შეამჩნია თვითმფრინავის მოფრენა. მიღების ადგილიდან, დაახლოვებით ორი კილომეტრის დაშორებით, მოწინააღმდეგე იყო ჩასაფრებული და თვითმფრინავს სროლა აუტეხეს, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. ტომრები ალაღებზე შემოვაწყეთ და დივიზიას გამოვუდექით. საშინელ ტალახიან გზაზე

დიდი ვაივაგლახით შეეძვლით დივიზიას დაეწოდით.

ის იყო თენდებოდა კიდევ-ერთი დღე და, ღამით ველარ მივალწევდით დანიშნულ ადგილამდე. ამიტომ იძულებული გავხდით, პირველად შეხვედრილ სოფელში შეგვეხვია და თავი შეგვეფარებინა. ასეც მოვიქცევით, სოფელ ლიპინი-დოლნეში დავბანაკდით და მთელი დღე იქ გავატარეთ. ამ სოფელში დიდხანს გაჩერება არ იყო ხელსაყრელი, ცბიერი და მუხანათი მტერი კვალდაკვალ მოგვედევდა. საჭირო იყო გზა დაგვენია მისთვის, თუმცა ძლიერ დაქანცულები ვიყავით, მაგრამ საღამოს შეიღი საათისათვის მაინც დავტოვეთ ლიპინი-დოლნე და გზა განვაგრძეთ. როგორც ყოველთვის, ახლაც ალაღებით მიგვეყავდა დაპირილები. სანიტარი ქალები და ექიმები ალაღებზე ისხდნენ, ჩვენი მედპერსონალი დაპირილებს მგზავრობის დროსაც არ აკლებდა მზრუნველობას.

დიდი მანძილის გავლა ვერც ახლა შეეძქლით. დანიშნულების ადგილას ვერ მივალწევით.

— სადაც არის, გათენდება, — თქვა ტოუტმა, — ისევ მახლობელ სოფელში უნდა შევუხვიოთ და დაღამებამდე ვიცადოთ.

— რა გაეწყობა სხვა გამოსავალი არ არის!

სიტყვა არ ჰქონდა დასრულებული რომ უეცრად ავტომატების სროლის ხმამ შესძრა აგრემარე.

— დივიზიის წინა კოლონა, მწვერავებთან ერთად, სოფელ ლუკოვას მიუახლოვდა, სოფელში მტრის გარნიზონი ყოფილა, ჩვენები დალანდეს თუ არა, სროლა აუტეხეს, — მითხრა მეკავშირემ.

დივიზიის კოლონის თავში მეორე პოლკი იყო მოქცეული. ამრიგად, მტერს პირველ რიგში კულბაკა შეებრძოლა. მოულოდნელად ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. შეტაკება დიდხანს არ გაგრძე-

ლებულა, გერმანელებმა ვერ გაუძლეს პარტიზანების მედგარ იერიშს და ტყეში შეცვივდნენ, პარტიზანები სოფელში შეიჭრნენ.

მაგრამ ამით როდი დამთავრდა ყველაფერი. ცნობები მივიღეთ, რომ მტრის ჯარები ირგვლივ ერთყმოდნენ ჩვენი ბანაკის მიდამოებს. დაჭიმული მდგომარეობა შეიქნა, კაცი ვერ იტყოდა, რა მოგველოდა ხვალ. ლუკოვას ირგვლივ ძლიერი თავდაცვა მოვაწყვეთ. მთელი დღე არ დაგვისვენია, იარაღი ხელიდან არ დაგვივდია, საათობით და წუთობით მოველოდით მტრის შემოტევას. მებრძოლები ძლიერ ნერვიულობდნენ, ილიაში ამოდებული აეტომატებით ეზოებში მიმოდისოდნენ და სულგანაბლური უსმენდნენ ყოველ გაფანქნებას.

დღის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა თვითმფრინავების ღმუილი შემოგვესმა.

— მესერაშიმდტებია! — შესძახეს პარტიზანებმა.

სოფლის თავზე ორ-სამ წუთში მართლაც გაჩნდნენ მფრინავი გიგანტები და უთავბოლოდ იწყეს ბომბების ჩამოყრა. ეზოებში ვერ დაინახავდით ერთ პარტიზანსაც კი, ყველამ მოასწრო თავის შეფარება. დიდხანს სერავდნენ თვითმფრინავები ცის კამარას, მერე ალბათ დარწმუნდნენ, სოფელში არაფერი არის, ერთიმეორეს კუდში მოეზნენ და შთის გადაღმა მიიშალნენ.

ჩვენს მზვერავებს კი ახალ-ახალი, ერთიმეორეზე უფრო საგანგაშო ცნობები მოჰქონდათ. ჩვენს გარშემო მდებარე ქალაქებს, სოფლებსა და ტყეებს

მტერი ახალი ჯარებით აესებდა, თითქმის ყოველ კილომეტრზე მარტინისა და დეგე იყო ჩასაფრებული.

— ბიჭობაც ის იქნება, თუ ამ განსაცდელს დაუძვევრით! — მეუბნება ბერეცნოი.

— ნუ გეფიქრება, ამაზე ძნელ პირობებშიაც ვყოფილვართ და გამოსავალი გვიპოვნია. ტყვია-წამალი ზომ ბლომად გვაქვს! ეს არის მთავარი! დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული. მარჯვედ მოვიქცეთ და მტერიც დამარცხებული იქნება.

პარტიზანები აივანზე და ეზოებშიაგვუფ-აგვუფად ჩამდგარიყვნენ და ხმამაღლა საუბრობდნენ:

— დიდი ამბებია მოსალოდნელი, სერიოზული მდგომარეობაა!

— მერე-რა, ამაზე უარესიც გვინახეს!

— მაგალითად?

— მოიგონე კარპატების ბრძოლები!

— მართალია, კარპატების რეიდი დიდი და სასტიკი იყო, მაგრამ წინამდებარე ბრძოლები უთუოდ გაცილებით მეტი სიძლიერის იქნება, ძლიერ ალყაში ვართ მოქცეული, მისი გაგლეჯა და სამშვიდობოზე გასვლა ძვირად დაგვიჯდება!

— გავეგლეჯთ და გავალთ!

— მე არ ვამბობ ჩაეინეხებით-მეთქი, მაგრამ რომ ძლიერი ბრძოლებია მოსალოდნელი, ეს აშკარაა.

პარტიზანები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს შექმნილ მდგომარეობას და სერიოზულ სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებისათვის ემზადებოდნენ.

გაგრძელება იქნება

ქარხანას აგებენ



მზე ამოვიდა, გადახედა ველს ღამენათევს,
შეატორტმანა სქელი ნისლი და გაარღვია,
ახლადგებულ ქარხანას მან დილის სინათლე,
ვითა დროშები ირგვლივ წითლად შემოახვია.

მალე საყვირი მხნედ შესძახებს ჩვენს საუკუნეს,
გაბრწყინდებიან დიად შრომით ქარხნის კედლები.
უკვე სახურავს ახურავენ... უკაკუნებენ
მზეში მის თუნუქს კომუნისზმის ოქრომკედლები.



მზის ჩასვლა

მარტო მიდიხარ... ქალაქ გარეთ ჩადგა ნამკერი.
მზე გზის ბოლოს ჩანს, მის გარშემო ზეები დგანან.
ხარ მოხიბლული ჩამავალ მზის სინათლის ცქერით
შენ, ერთი ქარხნის ინჟინერი, ერთი მანანა.

ის წითლად ღვივის. მის გარშემო ღრუბლებიც შედრკენ.
მის ახლოს არ ჩანს მოძრაობა თვით ხის ლანდისა.
წინათ ამ სურათს ადარებდნენ, ლამაზო, ეკედერს,
შენ კი ადარებ ქარხნის ღუმელს, ალს ფოლადისა.

სვალინის წიგნი

თურქეთის მიუვალ კლდეზე ფეხებულ საპრობილეში პატიმრებმა, რომელთა შორის არიან ლაშვიცი, მოახერხეს ამხანაგ სტალინის „ლენინიზმის საფუძვლებისა“ და „ლენინიზმის საკითხების“ შეტანა.

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ .

★

ლაზო, ქართველო ძმობილო,
შენი ხმა აქაც აღწევს.
ციხეში გამომწყვდეულო,
ცრემლი გისველებს ღაწვებს
და აკვანს თავისუფლების
მშვიდობის ფიქრში არწევ.

ციხევე, მოგიკვდეს ამგები,
რად გინდა რკინის კარი?
შენს ჯურღმულებში სურთ ჩაჰკლან
ოცნება სანუკვარი.
მებრძოლ ვაეკაცებს ამაოდ
ხელ-ფეხი გაუკარი.

დაქოლეს ყველა სარკმელი,
ბნელი მოაღლეს ირგვლივ,
ცხრაკლიტულშიაც ნათელი
შეიჭრა ციხის შიგნით,
გული აინთო ტანჯულმა
დიდი სტალინის წიგნით.

მტრებო, გაცოფდით, მებრძოლის
კენესას ვერ გაიგონებთ;
სტალინის წიგნზე აღზრდილ კაცს
შიშით ვერ დაიმონებთ,
მშიერს აპურებს, წამებულს
მატებს იმედს და ღონეს.

ლაზო, მანდ ბნელშიც გინათებთ
სტალინის წიგნის ბჭკარი,
იმ ძუძუს სწოვდა ისიცა,
შენ რომ მოგგლიჯეს ძალით,
იწ მითის კალითდან აფრინდა,
სად შენი ფუძე არი.

დაქოლეს ყველა სარკმელი,
ბნელი მოაღლეს ირგვლივ,
იქაც შეიჭრა ნათელი
დიდი სტალინის წიგნის,
მის ბჭკარებს ნაღმად აწყობენ
შავ-ბნელი ციხის შიგნით...

ახალგაზრდა პრ ხნის ქორცინება

*

ორი ჯაღმოკარი

სოფელ ლიუძიაძიოში ორი ჯაღო-
ქარი ცხოვრობდა. ამ სოფლის ახლო-
მახლო მიდამოში ისეთ ადამიანს ვერ
შეხედებოდით, რომელიც მათ არ იც-
ნობდა.

ესენი იყვნენ მამაკაცი და დედაკა-
ცი. მამაკაცს ერ კუნ-მინს ეძახდნენ და
მისწად იყო ცნობილი. დედაკაცი წმინ-
დანად ითვლებოდა და ეძახდნენ სან
სიან-გუს.

ისინი ერთმანეთისათვის სრულიად
გარეშენი იყვნენ და სოფელ ლიუძია-
ძიოს ორ მოპირდაპირე მხარეს დსახ-
ლდნენ, თითქოს არ უნდოდათ ერთმან-
ეთისათვის ხელი შეეშალათ.

ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, მამა-
კაცს ერქვა ლიუ სიუ-დე, მაგრამ ეს
სახელი თანდათან დაეიწყებას მიეცა
და ხალხი მას ეძახდა ერ კუნ-მინს და
ერ-ჯუ-გეს.

დიდი ხნიდან თვლიდა ის თავისთავს
ღმერთების რჩეულად და ყველა თავის
წინასწარმეტყველებას ძველი დაბეუ-
ლი სამარჩიელო წიგნის საშუალებით
გამოთქვამდა. ამ წიგნს ის არასოდეს
არ იშორებდა ხელიდან რა საქმეც არ
უნდა ჰქონოდა — მინდვრად მუშაობა,
მეურნეობაში წიტრიალ-მოტრიალება,
გაყიდვა, თუ სადმე გამგზავრება. ის
სხვების მსგავსად არ ლოცულობდა.
არა, ასეთ შემთხვევებში გადაშლიდა
თავის „ბედის წიგნს“, ღრმად ჩაფიქ-
რებული ჩაიძრებოდა წიგნის ფურც-
ლებში და დიდხანს უხმოდ აცმატუ-

ნებდა ტუნებს, თითქოს რაღაც საიდუ-
მლო საქმეს აკეთებდა. ეძებდა წიგნში
პასუხს, თუ რა შედეგი ექნებოდა მო-
სალოდნელ საქმეს და თავის მოქმედე-
ბაში მიღებული პასუხით ხელმძღვა-
ნელობდა. მას ურყევად სწამდა და
სურდა, რომ სხვებსაც ერწმუნათ მის-
თვის, როგორც ზეციდან რჩეული მის-
ნური წიგნის მფლობელი ჯაღოქრი-
სათვის.

მხოლოდ ერთი დამცინავი წინადა-
დება გუნებას უმღვრევდა, უფრო
სწორად რომ ეთქვათ, მოსვენებას არ
აძლევდა მას. სულ რამდენიმე სიტყ-
ვისაგან შედგებოდა ეს წინადადება.
რომლის გახსენებაზე ის ღრუბლები-
დან მიწაზე ეშვებოდა. ეს იყო შემდეგი
სიტყვები: „შეიძლება თუ არა დღეს
დათესვა?“ მის ჯაღოქრულ პროფე-
სიაში ეს სიტყვები სამარცხენო ჩა-
ვარდას აგონებდნენ მას.

ერთხელ, გაზაფხულზე, ბრინჯის
თესვის პერიოდში, იდგა ჩვეულებრი-
ვად ცხელი და გვალიანი ამინდი.
უცებ, ძველი მთვარის კალენდრით
სამ მაისს, უხვი წვიმა მოვიდა, რომელ-
მაც კარგად გააძლო მოწყურებული
მიწა.

სოფლის მცხოვრებნი ძალიან გახა-
რებული იყვნენ ამ დიდი ხნიდან ნანა-
ტრი წვიმით და მეორე დღეს, რიყრაყ-
ზე, დიდი და პატარა მინდვრად სამუ-
შაოდ გავიდა: დრო ძვირად გვიღირს,
ადრე დათესვა — ადრე აიღებ მოსა-
ვალსო, — ფიქრობდნენ თავიანთ ნაყ-
ვეთებისაკენ მიმავალი გლეხები.

მაგრამ ერ კუნ-მინი მათ არ გაპყვა. მას თავის ჯადოქრულ წიგნში უნდა გაეგო, დროული იქნებოდა, თუ არა ახლა მინდვრად გასვლა. დიდხანს აყოლებდა თითს წიგნის გიერდებზე, გულ-მოდგინედ ბუტბუტებდა რალაცას, შემდეგ კი საგანგებოდ ხმამაღლა წამოიძახა, რათა მინდორში რომელიმე მიმავალთაგანს გაეგონა: „დღეს თესვა არ შეიძლება“.

მცხოვრებლებმა არ უსმინეს ამ გაფრთხილებას და მინდვრად გავიდნენ. მეორე დღეს დუან-უს¹ დღესასწაული იყო.

ერ კუნ-მინს არასოდეს თავის სიცოცხლეში არ უმუშავია ამ დღეს და ახლაც ასევე მოიქცა.

მართალია, ისევ დაცხა, მაგრამ მისი ჯადოქრული წიგნი უწინასწარმეტყველებდა, რომ ექვს მაისს თესვისათვის მეტად ხელსაყრელი დღე იქნება.

მაგრამ ორიოდ დღეში გვალვამ მოასწრო მიწის გამომშრობა, ერ კუნ-მინს კი არაერთი ჯადოქრული ძალა არ მოემატა მიწის დასამუშავებლად. თავის ოთხი მუ მიწის დასათესად ძალიან დიდი შრომა დახარჯა, მაგრამ ამის შედეგად თესლის ნახევარი არ აღმოცენდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ კარგად მოწვიმა და მისი თანასოფლელები უკვე ბრინჯის ყანის გასამარგლად გამოვიდნენ.

შარავანდედშემოცლილი ერ კუნ-მინი იძულებული გახდა, გაეყვანა მთელი თავისი ჯალაბი, რათა დამატებით ჩეთესა ბრინჯი მოტიტვებულ ადგილებზე, სადაც გვალვისაგან ბრინჯი არ აღმოცენდა.

შუადღისას, როდესაც ხალხი დასასვენებლად სახლებში ბრუნდებოდა,

¹ დუან-უ დღესასწაულია, მე-3-4 საუკუნეში მცხოვრები პოეტის ციფი უიანის საპატივცემოდ, რომელმაც თეოთმცოდნეობით დალია თავისი დღე, ამ დღეს ჩინელები ნავეზით სიონობენ და სხედასხვა რიტუალებს ასრულებენ.

ერთმა მხიარულმა ქაბუქმა, რომელმაც პირველი წვიმის შემდეგ გაეგონა ერ კუნ-მინის წინასწარმეტყველება, უდაბონაბა რა ქუჩაში ერ კუნ-მინს, ~~სხვა~~ შეწვლავნად შეეკითხა მას:

— ეი, მეგობარო, შეიძლება თუ არა დღეს თესვა?

ერ კუნ-მინი მიხვდა, რომ ამ დამციანავი კითხვით ქაბუქმა მას უხიერო წინასწარმეტყველებასზე გადაუტარა და ამით მისი ჯადოქრობის ავტორიტეტს შეეხო. მან სიბრახით გადახედა ბილწთახედს, მაგრამ არაფერი უპასუხა და პატარა ნაბიჯებით გაიქცა თავის ფანჯისაკენ. შეჯგუფული ხალხი კი მხიარული ქაბუქის თაოსნობით უფრო ხმამაღლა იცინოდა.

ამ დღიდან სოფლის მცხოვრებნი ხშირად ცდილობდნენ წინასწარმეტყველების მაღა გაეფუჭებინათ მისთვის.

სან სიან-გუ, ეს ცრუ წმინდანი, სხვა ყაიდის ჯადოქარი იყო. მან აირჩია თვეში ორი „განსაკუთრებული“ რიცხვი, ამ რიცხვებში „არამქვეყნიურ არსებად“ გადაიქცეოდა ყოველი თვის პირველ და თხუთმეტ რიცხვებში თავზე წითელ თავშალს გადაიხურავდა, უსაქმურად დაიწყებდა ჯალსში ხეტიალს, სიარულის დროს ქანაობდა და ისე აჩვენებდა თავს, თითქოს ზებუნებრივმა ძალამ შეიპყრო.

სან სიან-გუ ცდილობდა ყველას დაჯერებას, თითქოს ავადმყოფების განკურნების ძალა შესწევდა. თუმცა ამ საკითხის გამო ის განსაკუთრებული ავტორიტეტით არასდროს არ სარგებლობდა, მაინც იყო შემთხვევები, როდესაც მას უმწეო ადამიანები მიმართავდნენ.

მაგრამ ერთხელ აბეზარმა შემთხვევამ გაუფუქა „წმინდანს“ საქმე. მას ერთმა წინადადებამ წაუხდინა ქორუშის კარიერა. სან სიან-გუს ჰყავდა ქალიშვილი, სახელად სიათ ტინ. სწორედ ამ ქალიშვილმა უცაბედად გადააქცია თავისი დედა ზედარსებიდან

ჩვეულებრივ ქალად რომელიც, როგორც იტყვიან, ამქვეყნიურ ამოებას არაა დაშორებული.

როგორღაც მინ ვანის მამა მოვიდა სან სიან-გუსთან და დაუწყო მუდარა, რომ სან სიან-გუს თავის მისწობით მის ოჯახში ერთი ავადმყოფი ბოვრჩინა, სან სიან-გუს, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში, მაშინვე წმინდანის სახე მიიღო. მან მედიდურად დაუქრა თავი, რაც ნიშნავდა თხოვნაზე სრულ თანხმობას, სასოებით დაიკრიფა ხელები გულზე და ცერემონიულად გავიდა სპეციალურ ოთახში, სამლოცველოში, სადაც საკუთარი საკურთხეველი ჰქონდა. იქედან მალე მოისმა რაღაც ლოცვის სიტყვები რომელთაც, მოგვი ქალი, სიმღერასავით აგრძელებდა. ის მოუწოდებდა ჯადოსნურ ძალას, განეკურნა ავადმყოფი. მინ ვანის მამა ამ დროს მუხლებზე დაჩოქილი იდგა პატარა მაგიდის წინ, სადაც გაღვივებული საქმეველი ძლიერ სურნელებს აფრქვევდა და გულისფანცქალით უსმენდა, როგორ ემუხსაიფებოდა ჯადოქარი ღმერთებს.

ამ ცერემონიის დაწყებამდე ქალღმერთის პატარა ქალიშვილმა სადილის კეთება დაიწყო. ამ საქმეს პატარა გოგონა საკუთარი ძალღონით ახერხებდა, რადგან უკვე ცხრა წელი შეუსრულდა. მაგრამ აი, გოგონამ გაიგონა, როგორ ამღერდა მეორე ოთახში მისი დედა. ხმა მომგადობლად მოეჩვენა, საქმეს გული ვერ დაუდო, საჩქაროდ ჩაყარა ბრინჯი თუჯის პატარა ქვებში, სწრაფად დაადგა ქვაბი ცეცხლზე და სამზარეულოდან ოთახში შეიპარა სადაც ცერემონია ხდებოდა. თავდავიწყებით უსმენდა გოგონა ამ ლოცვას,

რაღაც განსაკუთრებულ საიდუმლოების მოლოდინში.

სან სიან-გუს იგრძნობდა მისი მამის სუნს, შეიხედა ოთახში, სადაც მოსული სტუმარი იყო, და დაინახა, რომ მისი ქალიშვილიც ცერემონიით იყო გაართული. სან სიან-გუს უცხად დაავიწყდა, რომ ის ამ წუთას „ქალღმერთთა“ და ბუზღუნით მიმართა ქალიშვილს:

— ჩქარა გასწი სამზარეულოში და სადილს ყური უგდე! მგონი ფაფა დაიწეა!

გოგონა გაიქცა.

მინ ვანის მამა კი ამ სიტყვების გაგონებაზე უცებ გამოვიდა თავისი რელიგიური ექსტაზიდან. რას ნიშნავს ეს? ქალღმერთთა და ისეთ ჩვეულებრივ რამეს ლაპარაკობს, რაც ხშირად გაუგონია შინ საკუთარი ცოლისაგან. რაღა ქალღმერთთა? ასეთ მნიშვნელოვანი ლოცვის დროს საქმელზე ფიქრობს! არა, ასე არ მოიქცევიან ქალღმერთები. — ფიქრობდა იგი.

შინ დაბრუნებულმა მინ ვანის მამამ, დაუყოვნებლივ უამბო მეზობლებს, ნახულის და გაგონილის შესახებ, ეჭვიც გამოთქვა სან სიან-გუს ქალღმერთობის შესახებ. ზოგიერთი მეზობელი დაეთანხმა, და ეს შემთხვევა სასაცილოდ გაიხადეს, გასართობ ანეკდოტად გადააქციეს იგი ამის შემდეგ, როდესაც სან სიან-გუს შეხვდებოდნენ, უყვარდათ მისი მასხრად აგდება და შეეკითხებოდნენ:

— ფაფა ხომ არ დამწვარა?

ამრიგად, სან სიან-გუს ქალღმერთობამ ფაფის გამო გაკორტება განიცადა სან სიან-გუს ძლიერ შესძულდა ეს წინადადება, რომელმაც ის ხალხის თვალში ზეციდან მიწაზე დაუშვა.



რატომ უწოდეს „ქალღმერთს“ სან სიან-გუს.

ეს მეტად შორეულ წარსულში მოხდა. ამ მეტსახელის ამბავი სოფლის ძველ მცხოვრებლებსაც კი დაავიწყდათ. თითქმის, უკვე ოცდაათი წელი იქნება, რაც ამ წმინდანს სან სიან-გუს უწოდებენ.

ეს სახელი მიაკეთვნეს მას თხუთმეტი წლის ასაკში, მაშინვე, როგორც კი ახალგაზრდა იუი ფუს მისთხოვდა. ახალგაზრდობაში იუი ფუ ყველაზე ლამაზ ჰაბუკად ითვლებოდა სოფელში და დიდი მოწონებით სარგებლობდა ქალიშვილებში. მიუხედავად თავისი სილამაზისა, ის მორიდებული, წყნარი, წესიერი ახალგაზრდა იყო; დიდი შრომისმოყვარეობით განირჩეოდა და რიყრაყიდან შხის ჩასვლამდე მამასთან ერთად მუშაობდა ყანაში.

იუი ფუმ ძალიან ადრე დაჰკარგა დედა და ბავშვობაში დედის ალერსი და მზრუნველობა არ გამოუცდია. ის დიდხანს მარტოდმარტო ცხოვრობდა მამასთან, მერე კი დაქორწინდა. იუი ფუმ ცოლის თხოვის შემდეგაც არ უღალატა თავის ჩვეულებას, წინანდებურად ადრე მიდიოდა მინდვრად სამუშაოდ და მარტობაში ტოვებდა ახალგაზრდა ლამაზ ცოლს.

სოფლის უსაქმური ახალგაზრდობა ხედავდა, რომ იუი ფუს ახალგაზრდა მზეთუნახავი, ცოლი, მარტოობით სწუხდა, ყმაწვილკაცებმა თანდათანობით გაბედეს და ერთმანეთის წახედულობით დაიწყეს მასთან სიარული და დროს ტარება.

მაღე ახალგაზრდა ქალის სახლში ყმაწვილკაცობამ ჯგუფუჯგუფად იწყო სიარული, გროვდებოდა მთელი კამპანია და უკვე მეზობლებს ხშირად ესმოდათ მისი სახლიდან სიმღერა, სიცილი და მხიარული ხუმრობა.

როდესაც ამ სამარცხვინო გართობის შესახებ იოი ფუმ და მამა მისმა გაი-

გეს, ისინი მეტად გაურისხდნენ ახალგაზრდა ქალს და სწრაფად გადააჩვიეს ყმაწვილკაცობა ევლო მათ სახლში მათი არ ყოფნის დროს.

მაგრამ იუი ფუს ახალგაზრდა ცოლს ეს ახალი ცხოვრება მოეწონა, მას აღარ სურდა ასეთი ცხოვრების შეცვლა და ქმარს და მამამთილს დაუზოგავი ომი გამოუცხადა. მან მიმართა ყოველგვარ ოინებს: დღედაღამ ტიროდა, მოთქმით ემღუროდა ბედს მარტობისა და მოწყენილობისათვის, თავი დაანება კოხტაობას, აღარ ივარცხნიდა თმას, აღარ იბანდა პირს და ბოლოს ჰამაზეც უარი განაცხადა.

როდესაც დაინახა, რომ ეს ოინები არ შეეღის, ახალი ოინების გამოგონება იწყო და ბოლოს ერთმა ასეთმა ოინმა უსწელა სახელის მოსაპოვებლად.

ახალგაზრდა ქალი წვებოდა კანზე და თავს უგრძნობლად ასაღებდა. არავის შეეძლო მისი წამოყენება. მამა და შვილმა ამ ჰირვეული მზეთუნახავის მოსარჯულებლად ველარაფერი მოიფიქრეს და ბოლოს შესჩივლეს მეზობელ ქალს, რომელმაც ცოტა დაფიქრების შემდეგ გადაწყვიტა, რომ ახალგაზრდა ქალი ალბათ რაიმე სნეულეობით არის შეპყრობილი. მეზობელმა უჩჩია, მიეწვიათ მზეთუნახავთან ჯადოქარი ქალი ავადმყოფის თავზე რამდენიმე ლოცვის წასაკითხავად, რაც ციურ მადლს მოჰყენდა ავადმყოფს და სნეულებიდან განკურნავდა.

მამაკაცებს მეტი არაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ დათანხმებოდნენ, რადგან ამ ამბავმა ისინი ძალზე მოჰქანცა.

„ავადმყოფთან“ მოწვეულმა ჯადოქარმა დაიწყო თავისი ლოცვების კითხვა, ამ ლოცვებში ხშირად იმეორებდა, რომ ავადმყოფს ქალღმერთ სან სიან-გუს სული, ჭაესახა.

ცრუავადმოფი, კანზე წამოწოლილი, ყურადღებით უსმენდა. მან ლოცვის სიტყვებიდან გაიგო, რომ მასში სან სიან-გუს სული ჩაისახა. იუი ფუს ცოლმა დაარწმუნა საკუთარი თავიც, რომ ეს სწორედ ასეა.

ქალმა გადაწყვიტა, რომ მასში მართლაც რაღაც სხვა სული დასადგურდა და ახლა იგი ნამდვილი წმინდანია. აქედან მოყოლებული ის თავის თავს სან სიან-გუს უწოდებდა და ყველგან იმეორებდა ამას. მალე გარეშეების დარწმუნებაც დაიწყო, თითქოს მასში დაბინავებული სულის წყალობით, სნეულების განკურვნა შეუძლია. ზოგიერთმა ცრუმორწმუნე მცხოვრებლებმა დაიწყეს მასთან სიარული პირველ და თხუთმეტ რიცხვებში. ეს რიცხვები ქალმა ლოცვის დღეებად გამოაცხადა და ცრუმორწმუნენი სთხოვდნენ განეკურნა ისინი ამა თუ იმ სნეულებისაგან. საქმის ხალხი კი — ხელოსნები, ვაჭრები და სხვები — ხშირად მიმართავდნენ, რათა ელოცა მათთვის, რომ ზიერი ენახათ ამა თუ იმ წამოწყებულ საქმეში.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ხან სიან-გუმ დაინახა, რომ ზოგიერთ მცხოვრებზე ვავეუნა მოიბოვო, გადაწყვიტა, თავისი ესოდენ ადვილად შეძენილი პროფესიის გასამტკიცებლად მოეწყო ამ საქმის შესაფერისი საკუროთხველი. მან დაალაგა საკუროთხველზე სხვადასხვანაირი პატარა დაფები, რომლებზეც აღნიშნა წინაპრების, ყოველნაირი წმინდანების და ჯადოქრების სახელები, რათა მათთვის, როგორც ღმერთებისათვის, ლოცვით მიემართათ.

საკუროთხველზე ღარნაკები იდგა, რომლებშიაც სურნელოვანი საკმეველი იწვოდა და ყოველნაირი სანთლები ენთო.

ამის გაგონებაზე არა მარტო ამ სოფლის ყმაწვილკაცობა მოაწყდა სან სიან-გუსთან, არამედ ახლომახლო მდებარე სოფლებიდანაც გამოცხადდნენ. მათ

არავითარი სნეულებიდან არ სჭირდებოდათ განკურნება, ხოლო ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას იმ წმინდანს ქალის უფრო ახლოს გაცნობა უნდოდათ. ყმაწვილკაცობამ იცოდა, რომ იგი მხიარული ახალგაზრდა მზეთუნახავი იყო, რომელთანაც ზოგიერთი მათგანი სულ ახლახან ატარებდა დროს, ახლა ისინი დაინტერესებული იყვნენ, როგორი გახდა და როგორ მიიღებს მათ. მაგრამ ცრუწმინდანს, თავისი მოგონილი ღვთიურობის მიუხედავად, არ დაჰკარგვია ამქვეყნიური ბიწიერება. სან სიან-გუ ისევ მოწყალედ ღებულობდა მოზეავებულ ყმაწვილკაცობას და მთელ თავის მომხიბვლევლობას ხმარობდა ახალგაზრდების გულის მოსანადირებლად. თავისი გჯრუგნობის მოვლასაც დიდ დროს ანდომებდა.

სან სიან-გუ ყოჩის ფრთასავით შავ თმებს კოხტად ივარცხნიდა, თავის ლამაზ სახეს გულმოდგინედ და ხანგრძლივად იხეღდა სხვადასხვა ნელსაცხებით, ზევიდან კი თხელ ფენად სურნელოვან პულერს იყრიდა. ის დიდი გემოვნებით ირჩევდა ლამაზ ტანსაცმელს და ახალგაზრდობის და სილამაზის სრული ბრწყინვალეობით იტაცებდა ქაბუკების გულს. ისინიც გუნდ-გუნდად მოდიოდნენ მასთან.

ასეთ ცხოვრებას ის ოცდაათ წელიწადს ატარებდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი მისი თაყვანისმცემელი ოჯახს მოეკიდა, დაწერილწვილდა და თანდათან მიატოვა მასთან სიარული.

მიდიოდა წლები. ახლა, ზოგიერთი ხნეირი უცოლო მამაკაცის გარდა, არავინ დადიოდა ამ გასართობ სახლში სან სიან გუს სანახავად. უკვე დრო დადგა ორმოცდახუთი წლის დედაკაცს შეეცვალა თავისი ცხოვრება, მაგრამ განუბიერებელი, უხიაკი სან სიან-გუ აგრე არ ფიქრობდა. ის, მიუხედავად თავის წლოვანებისა, ახალგაზრდობაში შეძენილ ჩვეულებებს არ ეშვებოდა, წინან-

დებურად კვლევობდა, თვალისმომკრელ სამოსლით ირთებოდა, პატარა სხვადასხვა ფერად მოქარგულ მაშვიებსაც კი ატარებდა. მისი შარვალი ახლაც უკანასკნელ მოდაზე იყო შეკერილი, ბოლოზე ფურჩალებმოკრებულნი. დრომ მშვენიერება დააკარგვინა, მაგრამ გულდასმით უვლიდა თავს და ხელოვნურად ცდილობდა ნაკლის დაფარვას. მაგალითად, შუბლს, რომელზედაც წინათ ლამაზი კულუღი ეყარა, შავი თავსახვევით იკრავდა.

დიდი უბედურება იყო მისთვის, რომ პუდრი და ნელსაცხებელი უკვე ისე კარგად აღარ ადგებოდა სახეზე. ახლა ეს სახე დაეფარა, ნაოჭებს რომლებსაც ვერავითარი პუდრი ვეღარ ფარავდა. საცხებელიც ვეღარ შეელოდა და რამდენსაც არ ზრუნავდა ამასზე, მაინც მისი სახე სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა შემწვარ ვაშლს.

სიამო ტინი

სან სიან-გუს ექვსი შვილი ჰყავდა, მათგან ცოცხალი ერთი გოგონა-ლადარჩა, სახელად სიამო ტინ, რომელიც ჯერ ისევ ორი-სამი წლის ასაკში ყველას აკვირვებდა სილამაზით და გონიერებით. გოგონა ასაკის შეუფერებლად სწრაფად ვითარდებოდა.

სან სიან-გუს თაყვანისმცემლები სიამოვნებით ხედებოდნენ ამ გოგონას. ყოველი მათგანი თავზე ხელს გადაუსვამდა და ამბობდა „ჩემია“.

იზრდებოდა პატარა ტინ და მათთან მოსულ მამაკაცთაგან, რომელნიც ერთმანეთში ტინის მამობას იჩემებდნენ, სულ ესმოდა სიტყვა „ჩემია“.

როდესაც ხუთი წელი შეუსრულდა, ბავშვი ინსტიქტით მიხვდა რომ ამ სიტყვას რაღაც სამარცხვინო მნიშვნელობა აქვს, და ერთხელ უთხრა დედას:

— არ მინდა, ნუ მეუბნებიან — „ჩემია“.

თავქარიანმა ლამაზმა დედამ ასწავლა მას, როგორ ეპასუხა:

მთხედავად ასაკის იფრინისა, სან სიან გუ მაინც არ ტყდებოდა და მამაკაცების საზოგადოებას არ შეეგუბოდა. მას ხნიერი უცოლო კაცები არ მოსწონდა, ახალგაზრდობას კი ბოლო წლებში ის სრულიად ვერ ხიბლავდა.

მაგრამ აი, უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში სან სიან გუმ ისევ მოახერხა მოზარდილ ბიჭთაგან საზოგადოების შემოკრება. ყველას უკვირდა, როგორც მოახერხა ხანდაზმულობაში შესულმა დედაკაცმა თავის ვარშემო ამ ახალგაზრდობის შეგროვება.

ეს ამოცანა სან სიან-გუსათვის სამწუხაროდ მის სასარგებლოდ არ აიხსნებოდა.

ამ საიდუმლოების მიზეზი სულ უბრალოდ აიხსნებოდა. სან სიან გუს ქალიშვილი, ახალგაზრდა და ლამაზი სიამო ტინი ხიბლავდა ახალგაზრდობას.

— როდესაც კიდევ გაიგონებ ამ სიტყვას, აუცილებლად უთხარი: „არა, შენი კი არა ვარ, დეიდად შეგეფერები“.

პირველივე შესაფერის შემთხვევაში პატარა ტინმა ორი-სამი მამაკაცის სიტყვა „ჩემიას“ უპასუხა ისე, როგორც დედამ ასწავლა. ამის შემდეგ მიხედნენ, რომ ბავშვი უკრძალავს მათ დედის ცოდვებზე გადაკრულ ლაპარაკს. ამიერიდან მოზარდ ტინის მამობაზე კრინტს ვერავინ სძრავდა.

წელს სიამო ტინს თერაპეტი წელი შეუსრულდა. დედის ყოფილი თაყვანისმცემლები იხსენებდნენ რა სან სიან-გუს ახალგაზრდობას, ამბობდნენ რომ სიამო ტინ გაცილებით ლამაზია, ვინემ დედამისი იყო ამ ასაკში.

ახალგაზრდა ვაყები ახლა სიამო ტინის სილამაზით იხიბლებოდნენ და ყოველ მათგანს დიდ სიამოვნებად მიანდა სიამო ტინთან გამუხაიდება.

ყველგან დასდევდნენ ამ ლამაზ ქალიშვილს. ოჯახის საქმეზე რომ გამოსულიყო ქუჩაში, იქაც არ შორდებოდნენ, თეთრეულის გასარეცხად მდინარეზე რომ წასულიყო, აედევნებოდა ახალგაზრდების ჯგუფი აგრეთვე თეთრეულით ხელში. წავიდოდა აუ არა ტყეში თხილის ან სოკოს საკრეფად, მაშინვე გაედევნებოდნენ სოფლის ბიჭები. ყოველ თავისუფალ წუთს ცდილობდნენ სიათ ტინის მზერით დამტკბარიყვნენ. სადილობის დროსაც კი, როდესაც მთელი სოფელი დასასვენებლად სახლებში იხიზნებოდა, მისი სილამაზის ზოგიერთი თავგამოდებული თავყვანისმცემელი ვერ ისვენებდა სახლში და სავსე ჯამით სან სიან-გუს სახლისაკენ მიდიოდა.

სიათ ტინის სილამაზით არა მარტო ამ სოფლის ახალგაზრდობა იყო მოხიბლული, მას სხვა სოფლის ახალგაზრდა ვაყებიც ვერ აშორებდნენ თვალს. იქამდე მიდიოდა საქმე, რომ ზოგიერთ ყმაწვილკაცს არ მიაჩნდა დიდ შრომად რამდენიმე ლი მანძილის გაელა იმ სოფლამდე, სადაც სიათ ტინ ცხოვრობდა, ოღონდაც ერთი ორი სიტყვით გალაპარაკებოდნენ მზეთუნახავს.

სან სიან-გუ განებივრებული იყო ახალგაზრდების განსაკუთრებული ყურადღებით და პირველ ხანებში ფიქრობდა, რომ ჯერჯერობით არ გაქრობია მომხიბვლელობა. მაგრამ დღითიდღე ეს მოსაზრება ძალას ჰკარგავდა. ყმაწვილკაცობა მთელ თავის ყურადღებას აქცევდა არა დედის დამტკნარ მშვენებას, ხრამედ შეჰყურებდა მისის ვარდივით გაფურჩქნელი მზეთუნახავი სიათ ტინის სილამაზეს. სან სიან-გუსათვის თანდათან უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ახლა მის ქალიშვილს ამჯობინებდნენ.

ქალიშვილი ხასიათით დედას არ ჰგავდა. ის ახალგაზრდებთან ძალიან თავაზიანი იყო, და ხუმრობაც ეხერხებოდა, მაგრამ ზედმეტ სითამამის ნებას ირავის არ აძლევდა. სიათ ტინ

თავდაპირველი ქალი იყო და თავის დროზე იცოდა ზოგიერთი ვითამამებული ახალგაზრდის კალამოტში ჩაყენება.

მაგრამ ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში თავის თავყვანისმცემელთა რიცხვიდან მას განსაკუთრებულად გამორჩეული ჰყავდა ახალგაზრდა ერ ხეი, ერ ხეის მიმართ სიათ ტინ შესამჩნევად მოწყალე იყო და მასთან უფრო სხვანაირად ექირა თავი.

ზოგიერთ ვაგს ხშირად გაუგონია თავიანთი მამებისაგან სიათ ტინის დედის შესახებ, რომ ის ახალგაზრდობაში განსაკუთრებული გულმოწყალე იყო თავის თავყვანისმცემლების მიმართ; ამ ყმაწვილკაცებს ეგონათ, რომ ქალიშვილიც თავის დედას დაემსგავსებოდა, და ამიტომ სიათ ტინიც ხელმისაწვდომი ქალი ეგონათ.

ასეთ აღვირახსნილ ახალგაზრდებიდან ერთ-ერთმა გადაწყვიტა ლამაზი სიათ ტინის ხელში ჩაგდება. ერთ ზაფხულის დილას, როდესაც იუი ფუ ჩვეულებისამებრ სამუშაოდ იყო წასული, სან სიან-გუ კი მეზობლებში ლოცვების სათქმელად იყო გადასული, შინ მარტო სიათ ტინ დარჩა.

ამ დროს სახლში ძინ ვანი შემოვიდა, სწორედ ის ძინ ვანი, რომლის მამამაც ოდესღაც სან სიან-გუს „ღვთაებრიობის“ ავტორიტეტი დასცა, ძინ ვანმა ნახა, რომ ქალიშვილი მარტოა, ცინიკურად ჩაიციინა და ასე მიმართა ტინს:

— სწორედ შესაფერისი წუთია ახლა ჩვენთვის. ხომ გესმის ჩემი?

ამ თავხედობამ ძალიან შეურაცხყო და ბაღელვა ახალგაზრდა ქალი. აღშფოთებულმა სიათ ტინმა მკვახედ შეაწყვიტინა:

— ძინ ვან, ამიერიდან, როდესაც ლაპარაკს გამიმართავ, ფრთხილად შეარჩიე სიტყვები. შენ უკვე ცოლშვილიანი კაცი ხარ და ყოვლად უხამსად გიქ-

რავს თავი ჩემისთანა ახალგაზრდა ქალიშვილთან.

ძინ ვანი სრულიად არ ელოდა ქალიშვილისაგან წინააღმდეგობას. სიბრაზით ტუჩზე იკბინა და გესლიანად ასისინდა:

— ერთი ამას უყურეთ, როგორი უკარებაა. არ მესმის, რას თვალთმაქცობ. აგერ მოვა შენი სიაო¹ ერ ხეი, მოგეხვევა და მაშინ დალბები... მგონია, ასეც აჯობებს. სიაო ერ ხეის შემდეგ უფრო გულკეთილი და ხელმისაწვდომი გახდები სხვებისათვის. ნუ გეშინია, საშიშარი არაფერია. ბინძური ტაფაც კი იწმინდება. შენი საქმეც ასე იქნება.

ძინ ვანი

ძინ ვანი მეტად უსიამო კაცი იყო. საჭიროა უფრო ვრცლად გაგაცნოთ მისი თავი. ძინ ვანის, ოჯახი სოფელ ლიუძია ძიოში ცხოვრობდა და მთელ სოფელში არავინ არ სცემდა მას პატივს. თუმცა იყო, ერთი გამოჩაქლისი. ერთ ადამიანს, რომელიც ნათესავად მოხედებოდა, ჰქონდა მასთან საერთო ენა. ამ ადამიანს ერქვა სინ ვან. ეს ორი არსება ერთმანეთს ჰგავდა ხასიათით.

ძინ ვანის მამა, ისე როგორც სოფლის სხვა მცხოვრებნი, მიწის მუშაობას მისდევდა, მაგრამ თავის თანასოფელებთან ტყბილად არ ცხოვრობდა, ყოველთვის ცუდ განწყობილებაში იყო მათთან. თანასოფელებს არ უყვარდათ იგი და არც არაფრით იყო საყვარელი.

წლების განმავლობაში ძინ ვანის მამა სოფლის გამგეობის თავი იყო. მისთვის არაფერს არ ნიშნავდა ადამიანის დატუსაღება, შებოჰვა და სიკედლილის პირამდე ცემა. ამ მხრივ ის დიდ ოსტატობას იჩენდა და ძველი დროის რომე-

ამის თქმასთან ძინ ვანმა ქალიშვილის პაწია ხელს მოუქირა ჭელე ფაფეხორცი ღიმილით დაუწყეთ დაუყვებნა
— თვალთმაქცობას თავი დაანებე, უკარებად ნუ მოგაქვს თავი!

ქალიშვილმა ძინისათვის მოულოდნელად თავდასაცავად გამგმირავი ყვირილი მორთო.

ძინ ვანს შეეშინდა, ხელი გაუშვა ქალიშვილს და გაბრაზებით აბუზღუნდა.

— რას მოგაქვს თავი, ვითომ პატიოსანი ქალიშვილი იყო, კარგად გიცნობ, რაცა ხარ! — ამ სიტყვებით იგი, პირში ჩალაგამოვლებული, გამოვიდა, სან სიან-გუს სახლიდან.

ლიმე დესპოტთანაც შეეძლო შეჯიბრება.

როდესაც ძინ ვანს თერამეტი წელი შეუსრულდა, ის ყოველგვარ საქმეებში მამის უბაღლო თანაშემწე გახდა. ძინ ვანი ასაკის შეუფერებლად ეუფლებოდა ასეთ საქმეებს, რადგან მამის ხასიათის ღირსეული მემკვიდრე იყო. ძინ ვანი თანასოფელების დასჯამიც გულმოდგინედ ჰბაძევადა თავის ნათესავების ხასიათს.

როდესაც მამამ დაინახა, რომ ძინ ვანმა საესეებით შეითვისა მისი გაკვეთილები, მთლიანად დააეალა ვაჟს თანასოფელების ძარცვა და ცემა-ტყემა. საკმარისი იყო ძინ ვანის მამას ებრაძენებინა ძინ ვანისათვის და მის გულთად მეგობარ სინ ვანისათვის ვინმეს დასჯა, რომ მათ ზუსტად აესრულებინათ ეს ბრძანება.

ესენი სოფელ ლიუძიაძიოს მრისხანე მბრძანებლის ერთგვარ ჯალათებს წარმოადგენდნენ.

იაპონიასთან ომის წლებში ამ ორმა წარმატებით მცხოვრებმა არამზადაჟ ფართოდ გაშალა ფრთები.

¹ სიაო — ჩინურად ახალგაზრდას, პატარას ნიშნავს.

იმ მოუსვენარ დროს ფრონტის ახლო რაიონებში დიდი არეულობა იყო: ყველგან მძევნავარებდნენ ყაჩაღები, მოლაღატენი და გამცემლები, ისინი გულმოდგინედ მუშაობდნენ მტრის სასარგებლოდ. ფრონტის დეზერტირებს, აგრეთვე იაპონელების მიერ დამარცხებულ გომინდანელთა ნაწილებიდან ჩამორჩენილთ, უწყსრივობა შეჰქონდათ სოფლებში და შიშის ზარს ჰკვირიდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს.

ძინ ვანს, თავის ნათესავ სინ ვანთან ერთად, სულაც არ უფიქრია ჩამდგარიყო იმათ რიგებში, ვინც ამ წყევლით მის დროს ხალხზე ჩამოწოლილ უბედურებას ებრძოდა. მათი გული უფრო მეტხუთე კოლონაში ადგილის დასაპყრად მიიწვედა. ხოლო რადგან ამბები უეცრად იცვლებოდა, ისინი დიდი სიფრთხილით მოქმედებდნენ, ჩინელები რომ იტყვიან, ერთდროულად ავადმყოფის და მკურნალის როლს ასრულებდნენ.

ამ არეულ დროს მათ სურდათ გამდიდრება. „ომი ზოგს ანადგურებს და ზოგს ამდიდრებს, მაშ ჩვენც ვავმდიდრდეთ. მაგრამ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ მგლებიც მაძლარანი იყვნენ და ცხვრებიც მთელები“, — აი, ეს იქცა ძინ ვანისა და სინ ვანის დევიზად.

ისინი ახალ ხრიკებს მიმართავენ: ავაზაკებს უთითებდნენ შეძლებულ გლეხებზე, რომელთა გაძარცვაც სახერრო იყო, თანაც არაფერს არ თაკილობდნენ, მკაალითადა, რომელიმე სახლიდან აღამიანების გატაცებაში ეხმარებოდნენ ავაზაკებს, შემდეგ კი დაზარალებულთ „ეხმარებოდნენ“ დიდი ქრთამით ავაზაკებისაგან თავის დახსნაში. ამით ზინი თანასოფლელებთან გულმოწყალე შეამდგომლებად ასალებდნენ თავს.

ამგვარ ორპირობაში მათ იაპონელების მაინც ეშინოდათ და ამიტომ იაპონელების შეტევის დროს მტრისგან გა-

დასარჩენად მათ სოფლელებთან ერთად დატოვეს სოფელი დროებითად. შემდეგ, როდესაც სოფელს შეტევა არამია დაიკავა და ლიკვიდირებული იქნა ავაზაკთა ბრბოები და ყველა დეზერტირი დაიპირეს, მცხოვრებლებმა მთებსა და ტყეებიდან სოფელში იწყეს დაბრუნება.

ძინ ვანი და სინ ვანიც დაბრუნდნენ სოფელში. მთის მცხოვრებნი წინათაც ფრთხალი ხალხი იყო, ამ არეულობის დროს კი, რომელმაც რამდენიმე თვეს გასტანა, ისინი კიდევ უფრო მეტად დაშინდნენ, რადგან ამ ხნის განმავლობაში მათ თვალწინ მშვიდობიანი მცხოვრებნი დაიხოცნენ სრულიად უმიზეზოდ.

სოფელ ლიუძიძიძიას მცხოვრებნი ისე იყვნენ ამ ამბებით დამფრთხალნი, რომ შემდეგ კარგა ხანს დღისითაც ეშინოდათ გარეუდ გამოსვლა.

სოფელ ლიუძიძიძიასში, ისე როგორც ყველგან, დემოკრატიულმა ხელისუფლებამ დაადგინა, რათა გლეხს თვითონ აერჩია სოფლის ხელმძღვანელი ორგანოები. აგრეთვე სამშობლოს დასაცავად ჩამოეყალიბებია კავშირები და თავდაცვის ადგილობრივი რაზმები. მაზრიდან მხოლოდ მამასახლისი ეგზავნებოდათ.

მაგრამ ამ პერიოდში დაშინებულ მცხოვრებნი ყველაფერს ერიდებოდნენ, განზე დგებოდნენ ყველაფრის ეშინოდით და ამ საზოგადოებათა ჩამოყალიბება არ სურდათ, არ უნდოდათ აგრეთვე ამ საზოგადოებაში შესვლა და განსაკუთრებით მათი ხელმძღვანელობა. მაგრამ შეუძლებელი იყო ამის თავიდან აცილება. სოფელში ვინმეს ხომ უნდა დაეცვა წესრიგი. მაზრიდან, სადაც იცოდნენ, რომ სოფელში ხელმძღვანელობა არ არსებობს, გამოგზავნილი იყო სპეციალური რწმუნებულნი, რომელსაც დავალებული ჰქონდა სოფლის ადმინისტრაციის არჩევნების ჩა-

ტარება და ყოველგვარი კავშირების და საზოგადოებების ჩამოყალიბება.

ძინ ვანი და სინ ვანი მაშინვე მიხედნენ, რომ მათი ბატონობისათვის მეტად ხელსაყრელი დრო დადგა. მათ არამცთუ არ ეშინოდათ სოფლის გამგეობაში მოხვედრილიყვნენ პირიქით, ყოველ ღონეს ხმარობდნენ ამისათვის.

ისინი მოხერხებულად სარგებლობდნენ მით, რომ სოფელს არ სურდათ ყოფილიყვნენ არჩეული რომელიმე ორგანიზაციაში, ყოველგვარი ზრიკებით ახერხებდნენ, რომ მეზობლებს დაესახელებინათ. სოფელსმა დიდი სიხალისით აირჩიეს ძინ ვანი სოფლის გამგეობის წევრად და სინ ვანი თავდაცვის ადგილობრივი რაზმის უფროსად, ოღონდ კი თვითონ გადაარჩინილიყვნენ არჩევას.

ძინ ვანის ცოლიც კი, ძინ ვანის ძალდატანებით, არჩეულ იქნა სამშობლოს დამცველ ქალთა კავშირის თავმჯდომარედ.

ამრიგად, ძალაუფლება ისევ მათ ხელში მოხვდა. ყველა დანარჩენი თანამდებობა, ძინ ვანის და სინ ვანის გეგმის მიხედვით, შეესებოდა იყო უენო, გადაყრუებული ბებრებით.

დაუკავებელი დარჩა მხოლოდ ერთი — თავდაცვის ახალგაზრდათა რაზმის უფროსის თანამდებობა. მართალია, შეიძლებოდა კიდევ ერთი მიხრწნილი მოხუცეს გამოიხატა, მაგრამ ეს უხერხული იყო, რამდენადაც ამ თანამდებობას შეჭფეროდა სწორედ ახალგაზრდა და ფიცხელი ადამიანი.

ასეთ ფიქრებში გართულმა სინ ვანმა შენიშნა ერთხელ კრებაზე ახალგაზრდა ერ ზეი და მაშინვე გაიფიქრა: „რა იქნება, რომ ეს დაესახელოთ? გაგებული ვაქცაია, ამასთან ლამაზია და ეს თანამდებობა საესებით შეეფერება“. ბევრი აღარ უფიქრია, ისე დაასახელა ერ ზეის სახელი.

მან გონზე მოსვლა ვერც კი მოასწ-

რო, რომ ამ კანდიდატურას უკვე კენჭი უყარეს და ერთხმად მიიღეს.

ახალგაზრდა ერ ზეის მამამისს წინააღმდეგი იყო, მაგრამ პროტესტის ხმამალა განცხადება ვერ გახვდა, რადგანაც მისი ვაჟის კანდიდატურა სინ ვანის მიერ იყო წამოყენებული.

როგორც ზემოთ ვთქვით, სოფლის მამასახლისი ლიუძიაძიაში მაზრიდან იყო გამოგზავნილი, სოფლის საქმეებში ჯერჯერობით სუსტად ერკვეოდა და, რაც მთავარია, ჯერ ხალხს არ იცნობდა. ეს კი მტკიცე ხელმძღვანელობას უშლიდა.

ამით ისარგებლეს ძინ ვანმა და სინ ვანმა, ახალ პირობებში, რამდენადაც შეეძლოთ, ძველებურად იქცეოდნენ და ისევ დაიწყეს უმოწყალოდ და უხეშად თანასოფელებთან ანგარიშის გასწორება.

როდესაც მამასახლისის მოტყუებას მოახერხებდნენ, ვინც არ უნდა ჩაეარდნოდათ ხელში, მისი ბედი წინდაწინვე იყო გადაწყვეტილი. მთელი სოფლის ბედ-იღბალი მათზე იყო დამოკიდებული.

ბოლო წლებში მრავალ სოფელში მოხდა გადარჩევა, ზოგიერთ თანამდებობაზე ხალხი რამდენიმეჯერ გამოიკვალა, მხოლოდ ძინ ვანი და სინ ვანი თავის ზრიკებისა და გაიძვერობის წყალობით მტკიცედ შერჩნენ თავიანთ ადგილებს.

სოფელს მთელი თავის არსებით სძულდათ ისინი, სძულდათ იმ დროიდან, როდესაც ძინ ვანი მამამისს თვითნებურად მართვა-გამგეობაში ეხმარებოდა, მაგრამ მათ წინააღმდეგ კრინტის დამკრასაც ვერ ბედავდნენ. ხალხს მათი გულღვარძლიანობისა და შურისძიების, ეშინოდა. ამიტომ უსიტყვოდ იტანდნენ მათ ყოველგვარ სისაძაგლეს.

ყოველი მათგანი ფიქრობდა, რომ, სულერთია, გარეშე ძალის დაუხმარებლად შეუძლებელი იყო მათი ჩამოგდება დაკავებული თანამდებობიდან.



ახალგაზრდა ერ ხეი

ხიოა ერ ხეი ჯადოქარ ერ ჯუ-გეს მეორე ვაჟი იყო. ეს იყო ღონიერი და მარჯვე ვაჟაკი. ერთხელ მან გამოქცეულ გომინდანელებთან შეტაკებაში ორი ავახაჟი მოკლა, რისთვისაც დაჯილდოებული იყო „ჩინებული მსროლელის“ მედლით.

ბუნება ჰემმარიტად გულუხვი იყო ერ ხეის მიმართ. ბუნებამ დააჯილდოვა იგი სილამაზით და ცოცხალი ქუთით. ერ ხეის სილამაზესა და ქუთაზე სოფელ ლიუძიაძიას ფარგლებს იქითაც ლაპარაკობდნენ. ხშირად დღესასწაულებზე, განსაკუთრებით ახალწლის უქმეებზე, როდესაც გრძელი ღამეებია, გამოდიოდა ერ ხეი სოფელებს წინაშე და მათ ზემირად უკითხავდა ძველ კლასიკოსთა ნაწარმოებებს.

რომელ სოფელშიც არ უნდა გამოსულყო ერ ხეი, ყველგან დიდი წარმატებით სარგებლობდა, განსაკუთრებით მოსწონდათ ის ახალგაზრდა დედაკაცებს და ქალიშვილებს.

არა ერთ მათგანს დარჩენია მასზე თვალი, არა ერთს ამოუხენეშია, როდესაც ის შორდებოდა მათ. ეს არც იყო გასაკვირალი, რადგან სილამაზის და ქუთის ამგვარი შეხამება, როგორც ერ ხეის ახასიათებდა, იშვიათად შეგხვდებოდა.

სიოა ერ ხეის სულ არ უვლია სკოლაში. მან მხოლოდ რამდენიმე იეროგლიფის დასწავლა მოახერხა. მისი მასწავლებელი — ბებერი ერ ჯუ-გე, — მამამისი იყო. ამ გაკვეთილებზე მას არასოდეს არ უსწავლია არც უ ძინი, და არც სი შუ,¹ არც გრამატიკა.

მამამისი აძლებდა მას ყოველგვარი წიგნების სიბრძნის შეთვისებას, ამ წიგნებში კი ციკლური ნიშნების ახსნა-

განმარტება და სხვადასხვაგვარი მკითხაობის წესები იყო მოთავსებული. საერთოდ ერ ხეი თავის განათლებას ყოველგვარი წყაროდან იძენდა, რამდენადაც კი ხელი მიუწვდებოდა.

ერ ხეი მეტად ნიჭიერი ბავშვი იყო. ის სწრაფად ითვისებდა წიგნის შინაარსს და რამდენიმე დღის შემდეგ უკვე შეეძლო წაკითხულის ზემირად ვადმოცემა. მამამისი ხშირად ტრახახობდა თავისი შვილის ნიჭით. უფროსებიც ხედავდნენ ბავშვის განსაკუთრებულ ნიჭიერებას, გარდა ამისა, ის ძლიერ მზიარული და სიცოცხლით სავსე ბიჭი იყო. ის ყველას უყვარდა, ვინც კი გარს ეხვია, ხანში შესული ადამიანებიც არ თაკილობდნენ მასთან მუსაიფს. ხშირად ხუმრობდნენ მასთან და შეხედრისას ეტყოდნენ:

— აბა, ერთი, ერ ხეი, მიმარჩიელე, რა მომივა?

ასეთ ლაპარაკს თავდაპირველად არ ჰქონდა გესლიანი ხასიათი, შემდეგში კი, მამამისმა, ერ ჯუ-გემ, უხეიროდ რომ წარმოსთქვა თავისი ბრძნული წიგნიდან იმის შესახებ, რომ „დღეს თესვა არ შეიძლება“ და უღროოდ დათესა ბრინჯი, ერთბაშად შეიცვალა მეზობლების განწყობილება მისდამი და მისი ოჯახის წევრების მიმართ.

ამ შემთხვევის შემდეგ ოჯახში ეცადნენ ემოქმედათ ერ ჯუ-გეზე: ცოლი ხშირად ლაძდავდა მას მისნური წიგნებიდან ამოღებული სულელური სიტყვებისათვის, არც უფროსი ვაჟისაგან მოკლებია დატუქსევა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ერ ჯუ-გეს დღენი-დავ დასციროდნენ მეზობლები უხეირო წინასწარმეტყველებისათვის, მას შინც შეუღრეკლად სწამდა თავისი სამარჩილო წიგნი და წინანდებურად განაგრძობდა წინასწარმეტყველებას.

¹ უ ძინ და სი შუ — ძველი კლასიკური წიგნებია.

ამის შემდეგ სოფელში ერთბაშად ვერ ხეის მიმართაც გამოიკვალა განწყობილება. ამ დროს ვერ ხეის ცამეტი წელი შეუსრულდა. მეზობლებს ის გულის მოსაუბრანად, თავის გასართობად განტყეების ვაცად გაეხადათ და მის მიმართ ისეთ ზემორობას იკონებდნენ, რომლითაც მამამისს ხანდახან დამსახურებულად ეხებოდნენ.

ზოგიერთ მეზობელს ჩვეულებად გადაექცა, ახალგაზრდა ვერ ხეისთან შეხედრისას აუცილებლად ეკითხა მისთვის: „ვერ ხეი, ჩაიხედე წიგნში და გვიჩიე, შეიძლება თუ არა დღეს დათესვა?“

ჰეკიანი და განვითარებული ბიჭუნა უკვე მშვენიერად ერკვეოდა ამბებში და კარგად არჩევდა კეთილს ბოროტისაგან.

ახალგაზრდა ვერ ხეის ესმოდა, რომ დღენიდან შეუსაბამოდ ერთი და იმავე კითხვის მიცემა ზემორობის საზღვარს სცილდებოდა და ბოროტ დაციწვდა იქცეოდა.

ზოგჯერ მისი ტოლი გოგო-ბიჭებიც კი ქუჩაში გავლას უშლიდნენ მას. რომელიმე მათგანთან უსიამოვნება რომ მოსვლოდა ვერ ხეის, თითქმის მთელი ქუჩის ბავშვები შემოესივოდნენ მას, როგორც ყორნები ლეშს, და გაჯავრებას დაუწყებდნენ. ყოველი მხრიდან ერთბაშად ისმოდა: „დღეს თესვა არ შეიძლება“, — ცეკვით ტრიალებდნენ ბავშვები საცოდავი ბიჭუნას გარშემო და ისე გაიძახოდნენ ამ სიტყვებს..

ვერ ხეი ბუნებით არ იყო გულჩათხრობილი, მაგრამ შეურაცხყოფა მინც ღრმად აწინდებოდა. ასეთი შეურაცხყოფის შემდეგ ყოველთვის იტანჯებოდა იგი, უარს ამბობდა თამაშზე და ხანდახან რამდენიმე თვეს არ გამოდიოდა ქუჩაში, რომ მეზობლებს არ შეხედროდა და არ გაეგონა მათი უკეთური ზემორობა.

ბავშვი ხალხს ემალებოდა, ხოლო დედას გულს უხსნიდა და მეზობლებზე სამღერავეს ეუბნებოდა. მხოლოდ მამამ არ უზიარებდა ვერ ხეი ვარაშს, რადგან მისი მარჩიელობისადმი სრულიად დაჰკარგა რწმენა. ერთადერთი, ვისთანაც მეგობრობდა, ეს იყო სიხო ტინი, სან სიანი-გუს ქალიშვილი. მათი მეგობრობა უკვე რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა.

როდესაც ვერ ხეის თექვსმეტი წელი შეუსრულდა, ის ხანდახან ზამთრის გრძელ საღამოებში სხვა ყმაწვილებთან ერთად სან სიანი-გუს სახლში სტუმრობდა, სადაც წინანდებურად დროს მხიარულად ატარებდნენ.

სიხო ტინთან მეგობრობა ვერ ხეის თანდათან გადაექცა ამ ახალგაზრდა და მშვენიერი ქალისადმი სიყვარულად. ბოლოს ძლიერმა გრძნობამ იქამდე შეიპყრო ქაბუცი, რომ სიხო ტინის უნახვად გატარებული დღეები სევდიანად და მძიმედ მიიჩნდა, ხოლო შეხედებოდა თუ არა სიხო ტინს, სიცოცხლე ისევ წარმტაცად და ხალისიანად ეჩვენებოდა.

სოფელთა უმეტესობა ამჩნევდა, როგორ იზრდებოდა ამ ლამაზ წყვილში ერთმანეთისადმი სიყვარული. ხალხს გულთ სურდა მათი ბედნიერება და ბევრს საწინააღმდეგოც არაფერი ექნებოდა, რომ მშველობა გაეწია, რათა დაექორწინებინათ სიხო ტინი და სიხო ვერ ხეი.

მაგრამ ახალგაზრდა ვერ ხეის მამამ, შეამჩნია ეს თუ არა, მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია მათ. ამ ქორწინების დასაშლელად მას თავისი მოსაზრებები ჰქონდა. საქმე ისაა, რომ მოხუცი ვერ ხეი-გე ზოგიერთ ნიშნებს თავის თავზე მეტად უჯერებდა. მისი აზრით, ქორწინება ვერ მოხერხდებოდა შემდეგი მიზეზების გამო: უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ვერ ხეი დაბადებული იყო ისეთ დღეს, რომლის

ციკლური ნიშანი იყო „ჩინ“, რაც ლითონს ნიშნავს, სიხო ტინის დაბადების დღეს კი ზედებოდა ციკლური ნიშანი „ზო“, რაც ცეცხლს ნიშნავდა. ამის გამო მოხუცი ერ ჯუ-გე ძალიან შიშობდა, რომ ცეცხლმა ლითონი არ გააღნოს.¹ მეორე ის იყო, რომ სიხო ტინ დაბადებული იყო მეთათე მთვარის თვეს, ერ ჯუ-გეს მისნური წიგნი კი ამ თვეს არახელსაყრელად თვლიდა. ამ თვეში დაბადებული ბედნიერი არ იქნებაო. მესამე მიზეზი კიდევ ის იყო, რომ ახალგაზრდა ერ ხეის მომავალ სიღედრზე, ცნობილ სან სიან-გუზე, ბევრი ცუდი ხმები დადიოდა.

ყოველივე ეს, ეუბნებოდა მოხუცი ერ ჯუ-გეს, რომ ახალგაზრდა ერ ხეის და სიხო ტინის ქორწინება უნდა დაიშალოსო.

სწორედ ამ დროს ხენანის პროვინციაში ჩამოვიდნენ ლტოლვილები, რომელნიც მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. ლტოლვილთა შორის იყო ვიღაც მოხუცი ლი რვა წლის გოგონათი. ამ ორი სიცოცხლეს — ხნიერს, მიმქრალს და, ახლახან ფესვგაბარებულ ახალგაზრდას — შიმშილით სიკვდილი ემუქრებოდა. მოხუცი ლის ესმოდა თავის მდგომარეობა; იგი უკვე არ ფიქრობდა საკუთარ თავზე. რა პირობითაც არ უნდა ყოფილიყო, თუნდაც მდიდარ ოჯახში მოსამსახურედ მოეწყო ბავშვი, ოღონდ მისთვის როგორმე სიცოცხლე შეენარჩუნებინა.

ამის შესახებ ხნიერმა ერ ჯუ-გემ გაიგო და მაშინვე მოისაზრა, რომ ამ გოგონას აყვანა არაფერი არ დაუჯდებ-

ბოდა. მაგრამ, როგორც ყოველთვის იცოდა საქმის დაწყებულს, წინა ახლაც თავის ციკლურ ნიშნებსა და მისნურ წიგნს მიმართა, სწორედ იმ წიგნს, რომელმაც არა ერთხელ მოატყუა იგი სასტიკად. ერ ჯუ-გემ დიდხანს და გულმოდგინედ ათვალიერა ამ წიგნის თავსატეხი ნიშნები, შემდეგ ნახევარი დღე ბუტბუტებდა თავისთვის რაღაცას და ყველა ამ გარჯის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წიგნი სიკეთეს უქადის. მან თავის ვაჟზე — ერ ხეიზეც გაიფიქრა, რომელმაც სიხო ტინზე გადაკიდებით დიდი თავსატეხი ამოცანა გაუჩინა. ასწონა რა ყოველივე ეს, ერ ჯუ-გემ გადაწყვიტა, რომ ბედი სწყალობს. საჭიროა ამ გოგონას ოჯახში შემოყვანა და ერ ხეის მომავალ მეუღლედ გამოზრდა. წიგნის ყოველგვარი ნიშნები მოწმობს, რომ ეს საქმე ურიგო არ იქნება.

ამრიგად, მამა ახალგაზრდა ერ ხეის ბედს ქაბუკის დაუკითხავად სწყვეტდა. თუმცა ხნიერ ლისთან გოგონას შესახებ სრული შეთანხმება მოხდა და მოხუცი ერ ჯუ-გემ ზედმიწევნით შეისწავლა და კარგად მოიფიქრა ყველაფერი, მაგრამ მაინც ახალგაზრდა ერ ხეიმ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მას და ამ გეგმის მოსმენაც კი არ ისურვა. მამა და შვილი რამდენიმე დღეს კამათობდნენ. მამა ცდილობდა დაემტკიცებინა შვილისათვის ამ ქორწინების უპირატესობა და უხსნიდა, თუ რა სარგებლობას მოიტანდა ამ გოგონასთან შეუღლება. ბოლოს ხნიერმა ერ ჯუ-გემ პირდაპირ განაცხადა, რომ აუცილებლად აიყვანს გოგონას თავის ოჯახში. ახალგაზრდა ერ ხეიმ ხაბუთიანად შენიშნა მამამისი:

— თუ გინდა გოგონას ოჯახში შემოყვანა, შემოიყვანე, ხოლო ასეა თუ ისეა, ჩემი ცოლი ის არ იქნება. ახლაც

¹ ძველი ჩინური კალენდრის მიხედვით, ყოველი წელიწადი რომელიმე ციკლური ნიშნით მიდის, რაიც ამა თუ იმ ხასიათს საზღვრავს. ასეთი ციკლური ნიშნები თვეებს, დღეებს და სათბებლად კი აქვთ.

წინააღმდეგი ვარ და შემდეგშიც წინააღმდეგობას გაგიწევ!

ერ ჯუ-გეს დაჩემებით გოგონა ოჯახში მიიღეს, მაგრამ ხეირიანად ვე-

ორი „სამხედრო ბლოკი“

მას შემდეგ, რაც ძინ ვანი სიათ ტონის მკაცრ წინააღმდეგობას წააწყდა, მან ქალიშვილის წინააღმდეგ საშინელი სიაცე ჩამარხა გულში. ყოველთვის, როგორც კი გაახსენდებოდა თავის გაწილება, — ამ შემთხვევას კი ის ხშირად იგონებდა, — ძლიერ ბრზობდა და უარის თქმა ვერ ეპატიებინა ქალიშვილისათვის.

ის შურისძიების წყურვილმა შეიპყრო და მთელი ამ ხნის განმავლობაში ფიქრობდა, თუ როგორ გადაეხადა სამაგიერო სიათ ტონისათვის.

ერთხელ სინ ვანი, როგორც ადგილობრივი თავდაცვის რაზმის უფროსი, რაზმის წევრებთან ჩვეულებრივ სამხედრო მეცადინეობას ატარებდა.

მეცადინეობაზე ყველა გამოცხადდა ახალგაზრდა ერ ხეის გარდა, რომელიც ამ დროს მალარიით იყო ავად და ვერ შეძლო მისვლა.

მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ძინ ვანი, რომელიც აგრეთვე ესწრებოდა მეცადინეობას, შინ შეუვლელად გაემართა პირდაპირ სინ ვანთან და უთხრა მას:

— სიათ ერ ხეი მეცადინეობას ავადმყოფობის გამო კი არ დაკლებია, არა, ის ავადმყოფობას იგონებს, ის ნამდვილი სიმულანტია. და ყველაფერი ეს იმიტომ, რომ სიათ ტონის მიერაა გარყვნილი. საჭიროა კარგად ვასწავლოთ ქუთა!

ძინ ვანს თვითონაც არ დაეიწყებია, როგორი სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მას სიათ ტონმა, როდესაც მისი პატიოსნების შეზღავნა მოინდომა. ძინ ვანის შელახული თავმოყვარეობაც მოითხოვდა შურის ძიებას, აქ კი შესა-

რავინ გაიგო, თუ რა პირობით იყო ეს ბავშვი. ამ ოჯახში — როგორც შემდეგ აღიარდა, თუ როგორც უბრალოდ სამსახურე.

ფერისი შემთხვევა ეძლეოდა ამისათვის, ისიც ძერფას მეგობრის მონაწილეობით. სინ ვანმა აქვე ურჩია ძინ ვანს, მოლაპარაკებოდა თავის ცოლს, რათა ქალთა კავშირის მობილიზაცია მოეწყო და დაუზოგავი ომი გამოეცხადებინა ამ მეტიჩარა გომბიოსათვის.

სინ ვანისაგან ასეთმა მხარდაჭერამ კიდევ უფრო მეტად ააფორიაქა ძინ ვანი. ის წინდაწინვე ეძლეოდა ბოროტ სიხარულს ამის გამო, რომ სამაგიეროს გადახდა შესაძლებელი ხდებოდა.

ძინის ცოლი, როგორც მკითხველმა უკვე იცის, სამშობლოს დაცვის ქალთა კავშირის თავმჯდომარე იყო. მიიღო რა განკარგულება, სიათ ტონის სახელისათვის ჩირქი მოეცხო, მან მიატოვა თავისი შინაური საქმეები და დაიწყო ცილისწამების გავრცელება ქალიშვილის მიმართ, რომელსაც არასდროს თავი არ შეურცხვენიდა.

მეორე დღეს უკვე ორი „სამხედრო ბლოკი“ იყო მზად: ერთი ერ ხეის წინააღმდეგ, რომელსაც ძინ ვანი მეთაურობდა და მეორეც ძინ ვანის ცოლის ხელმძღვანელობით.

სიათ ერ ხეის ყოველთვის პატიოსნად ეჭირა თავი და არაფერში არ იყო დამნაშავე. როდესაც სინ ვანმა დაჰკითხა, ის თავის ნათქვამზე მტკიცედ იდგა და სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა, რომ მას არაფერი დანაშაული არ მიუძღვის.

სინ ვანს ისე ეჭირა თავი, თითქოს მას ეს არ სჯერა, და უზომოდ ურისხდებოდა ლამაზ ტაბუკს ჯუტობისათვის. ბოლოს ვითომ მოთმინებიდან გამოვიდა და ბრძანა, შეეპოკათ უდანაშაულო ერ ხეი, რათა რაიონის მარ-

თველობაში გაეგზავნათ ამ საქმის გამოსარკვევად.

საბედნიეროდ მაზრიდან გამოგზავნილი სოფლის მამასახლისი, ფხიზელი ჭკუის პატრონი იყო. გაეცნო რა ამ საქმეს, მან დაბეჯითებით დაუწყო რწმუნება სინ ვანს და ასე უთხრა:

— სიათ ერ ხეი ნამდვილად ავიდ იყო და მხოლოდ ამის გამო არ მოსულა მეცადინეობაზე. ის სიმულანტი არაა, მისი დამოკიდებულება შრომისა და ადამიანების მიმართ ყოვლად პატიოსნურია, მას არაფერში არ დაურღვევია კანონი, ამისათვის ჩვენ არავითარი საფუძველი არ გვაქვს დავაპატიმროთ და შევბოკოთ.

მოისმინა რა ასეთი მტკიცე არგუმენტები, სინ ვანი მიხვდა, რომ ერ ხეის სიმულანტად გასაღების ცდა ჩაეფუშა. მან მაშინვე გადაწყვიტა მიემართა მეორე, უფრო მეტად ჩახლართული ოინისათვის და წარმოთქვა:

— მამასახლისო, განა შენ არ იცი, რომ მას შინ ცოლი ჰყავს ის კი სიათ ტინთან არშიყობას განაგრძობს?

მამასახლისმა ამაზეც უპასუხა:

— ვინ არ იცის სოფელში, რომ ყმაწვილი ერ ხეი თანახმა არაა ამ ქორწინებაზე? ამას გარდა, ნუ დავივიწყებთ, რომ ერ ხეის ძლივს შეუსრულდა თექვსმეტი წელი, სიათ ტინს კი მხოლოდ თხუთმეტი და ისინი ჯერ საქორწინო ასაკის არ არიან. რაც შეეხება იმ გოგონას, ის მხოლოდ ათი წლისაა. ყველასათვის ცნობილია, ისიც, რომ ერ ჯუ-გეს სახლში ის ჯერჯერობით ცხოვრობს მოახლედ, და არა ერ ხეის მეუღლედ. რაც შეეხება ამ დამოკიდებულებას, რომ სიათ ერ ხეი სიათ ტინს ეარშიყება, ასეთ საქმეში არავის არ შეუძლია ჩარევა. ეს უფლება მათ გულს ეკუთვნის.

ამ სიტყვებზე ასეთმა მოხერხებულმა კაცმა კი, როგორც სინ ვანია, ვერაფერი უპასუხა.

მამასახლისის სიტყვებმა გამაჩნევს ყმაწვილი ერ ხეი, და მაშინვე ეთათამებულმა ჰკითხა სინ ვანს:

— ერთი მითხარი, დანაშაულის. და უმტკიცებლად ადამიანის შებოკვა კანონის დარღვევა თუ არა?

ამ შეკითხვამ სინ ვანი თვითნებობაში ამხილა და ამაზე ვერაფერი უპასუხა.

მამასახლისმა გადაწყვიტა, რომ საქმე მოგვარებულა, და თვითონ გაუხსნა ახალგაზრდა ყმაწვილს ხელები.

სინ ვანს არაფერი დარჩენოდა იმის გარდა, რომ შერცხვენილი წასულიყო სახლში, მაგრამ მან ვერც კი მოასწრო სოფლის სამმართველოს შენობის დატოვება, რომ მამასახლისთან კანცელარიაში აურზაურით შემოვარდა ორი ქალი. სიათ ტინს სამშობლოს დაცვის ქალთა კავშირის თავმჯდომარისათვის ხელი ჩაეჭიდა და მან პირდაპირ მიმართა მამასახლისს:

— მამასახლისო, მამასახლისო, განა სწორი არ არის, რომ, თუ დანაშაულზე არ დაიჭირე ადამიანი, ისე ქურდობას ვერ დასწამებ? ეს დედაკაცი კი რას აკეთებს? მას არავითარი საბუთი არა აქვს ჩემს წინააღმდეგ. ისე მდებს ბრალს. თუ ეს თავმჯდომარეა, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ უფლება აქვს, რაც უნდა, ის აკეთოს! ეს ზომ იმას არ ნიშნავს, რომ მას ყველანაირი უკანონობის ჩადენა შეუძლია.

სინ ვანს მოულოდნელად მიუსწრეს და ძალიან შეეშინდა, არ წამოსცდენოდა ძინ ვანის ცოლს იმის შესახებ, რომ სიათ ტინთან ატეხილ სკანდალს მჭიდრო კავშირი აქვს ყმაწვილი ერ ხეის „საქმესთან“. როგორმე არ გასცეს, რომ მისი ბრძანებით მოქმედებდა, თორემ მაშინ ყველასათვის აშკარა იქნება, რომ სიათ ტინის და ახალგაზრდა ერ ხეის წინააღმდეგ შეთქმულებას ჰქონდა ადგილი. საკუთარი რეპუტაციის დაკარგვით შეშინებული სინ ვანი, ღვარძლით აესილი, უცბად გაძვრა სამმართველოს კანცელარიიდან. მამასახ-

ლისმა კი საქმის დაწვრილებით გარჩევის შემდეგ სიათ ტინის სიმართლე დადასტურა და იგი შინ გაუშვა.

ამრიგად, ძინ ვანისა და სინ ვანის პირველმა ცდამ, — შური ეძიათ სიათ ტინზე — უნაყოფოდ ჩაიარა.

სან სიან-გუს ძალიშვილს ათხოვებს

სან სიან-გუს, როგორც დედას, ყველაზე ახლო კავშირი უნდა ჰქონოდა სიათ ტინთან, განსაკუთრებით ამ ასაკში, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ იყო. უკანასკნელ ხანებში, სიათ ტინი გასათხოვარ ასაკს უახლოვდებოდა, მან დედასთან დაახლოება ვერ მოახერხა.

სან სიან-გუს ძველებურად უყვარდა ახალგაზრდა ვაჟების საზოგადოება. ახალგაზრდათა შორის, ვინც სან სიან-გუს სახლში დადიოდა, ის ახლაც თავისთვის არჩევანს ეწეოდა და აი, უკანასკნელ ხანებში მისი არჩევანი ლამაზ კაბუჯზე ერ ხეიზე შეჩერდა. ვნების მთელი აღზნებით მოინდომა მან ამ ნაყოფის გასინჯვა და ერთბაშად იმედი უცრუვდებოდა — ამ ნაყოფით სარგებლობა არ შეიძლება! ხელს უშლის სიათ ტინი, რომელმაც ერ ხეი ისე მოხიბლა, რომ დედის წილად აღარაფერი დარჩა.

ყმაწვილობიდანვე გამარჯვების ხოლად მოპოვებას მიჩვეულ სან სიან-გუს სიბერეშიც არ სურდა ქალიშვილისათვის გზა დაეცალა და დაიწყო ფიქრი, როგორმე ქალიშვილი სადმე ერ ხეის მოშორებით გაეთხოვებინა.

ეს კი მალე არ ხერხდებოდა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ სან სიან-გუს ცუდი სახელი ჰქონდა გავრდილი სოფელ ლიუძიაძიას გარშემო და არავის სურდა მისი დანათესაეება.

ხოლო იმის შემდეგ, რაც ორმა „ბლოკმა“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღა ამ შეყვარებული წყვილის წინააღმდეგ, უფრო ჩქარა დატრიალდა ამბები.

ერ ხეი დარწმუნდა თავის სიმართლეს. მან აშკარად და გაბედულად იწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ თავის ბედი მზეთუნახავ სიათ ტინის ბედთან

დაეკავშირებინა. ერ ხეიმ განაცხადა: გადაწყვეტილი მაქვს შევიართო ტინ, ამაზე მშობლების თანხმობაც რომ არ იყოსო.

სიყვარულით ქორწინებაზე დაყრდნობით ხმა უცებ მოედო სოფელს.

ხმები იზრდებოდა და ყველა ამაზე ლაპარაკობდა. როგორც კი ამ დაკინებულმა ხმამ სან სიან-გუს ყურამდე მიიღწია, მან გაიფიქრა: „ღიახ, ჩემი საქმე ცუდადაა. ერ ხეი თუ ჩემი სიძე გახდება, მასთან არშიყოფა შეუძლებელი იქნება, როგორ არ მიმართლებს ბედი! რა საწყენია!“.

გალიზიანებული ენება სან სიან-გუს მოსვენებას არ აძლევდა და იმდენი ენერგია შემატა, რომ მან მეტი თავგამოდებით დაიწყო ქალიშვილისათვის სხვა საქმროს ძებნა. „ვინც უნდა იყოს ის, ოღონც ერ ხეი ნუ იქნება. ის ჩემი უნდა იყოს“, — ასეთი ფიქრებით იტანჯებოდა ეს გარყვნილი, ავბორცი დედაკაცი.

რა თქმა უნდა, ისეთი ლამაზი ქალიშვილის მსურველები, როგორც სიათ ტინი იყო, მალე გამოჩნდნენ. როგორც ამბობენ, კისერი იყოს მზად და უღელი უოველთვის მოინახება. აქაც ასე მოხდა. გამოჩნდა ვიღაც ბატონი უ, ყოფილი კაპიტანი, იან სი-შანის ჯარების შტაბის მოსამსახურე.

ეს იყო მდიდარი კაცი, რომელსაც ახლახან მოუყვდა ცოლი. ერთხელ ბაზრობაზე შეხვდა ლამაზ სიათ ტინს და ძალიან მოეწონა. კაპიტანს ბევრი აღარ უფიქრია, გადაწყვიტა წინადადების მიცემა.

1 იან-სი-შანი — შანის პროვინციის გომინდანელთა ყოფილი გუბერნატორი.

ამ მიზნით გაგზავნილმა მაშვალმა, როგორც იტყვიან, ზღურბლზე ფეხის გადადგმაც ვერ მოასწრო ისე უცბად მიიღო სან სიან-გუს თანხმობა.

რამდენიმე დღის შემდეგ საქმრომ, არსებული ადათის მიხედვით, გაუგზავნა საცოლოს თავის მეტრიკული იეროგლიფები¹. ის ფიქრობდა, საქმე გაჩარხელიაო.

ყოველივე ეს ხდებოდა სწორედ იმ მომენტში, როდესაც ერ ხეი და მისი არჩეული სიათ ტინი თითქმის შეთანხმდნენ ქორწინებაზე. აბა, რა დღეში ჩავარდებოდა სიათ ტინი ამის შემდეგ, როდესაც გაიგონა დედისაგან, რომ მან თანხმობა განაცხადა — სიათ ტინი მიათხოვოს ხანშესულ მდიდარ უს.

დადგა ის გადამწყვეტი დღე, როდესაც სასიძო უსაგან საპატარძლოსათვის მიღებული იქნა საქორწინო საჩუქრები. სიათ ტინმა ეს საჩუქრები არ ნიიღო, რის გამოც სასტიკად წაეჩხუბა დედას. ბრახმორეულმა და ძარღვებაშლილმა სიათ ტინმა აიღო საყურეები, ბაფთები და სასიძოს სხვა საჩუქრებ და ქუჩაში გადაყარა.

როდესაც საჩუქრების მომტანი მამვალი წავიდა, სიათ ტინმა უთხრა დედას:

— ბოლოს და ბოლოს გაიგე, რომ მე თანახმა არა ვარ გაეთხოვდე მასზე. მისი საჩუქრები არ მიმიღია, და ვინც მიიღებს ამ საჩუქრებს, იმან იცხოვროს კაპიტანთან. მე კი არასდროს არ მივთხოვდები მას.

სიათ ტინის ასეთმა მტკიცე განცხადებამ სან სიან-გუ საბოლოოდ გამოიყვანა წონასწორობიდან. მას შეეშინდა, რომ უძლური აღმოჩნდებოდა ქალიშვილის ასეთ გაბედულებასთან. ნახევარი დღე ლოგინზე გაატარა იმის ფიქრ-

¹ წინური ადათით, მამულობის დროს სასიძო და საპატარძლო უგზავნიან ერთმანეთს თანხმობის მეტრიკულ იეროგლიფებს, ესე იგი ციკლურ ნიშნებს, და ეს ნიშნები მათი დაბადების წელს, თვეს, დღეს და საათზე ხედებიან.

ში, თუ როგორ ემოქმედა მან ვაჟიკცხა ქმარი იმისათვის, რომ ის ასე ცუდად ხელმძღვანელობს ოჯახის (საქმეებს) და სრულიად არ ცდილობს მოქმედოს ქალიშვილზე.

ბევრი ფიქრის შემდეგ სან სიან-გუმ გადაწყვიტა, რომ ახლაც თავის ნაცად ხერხს მიმართოს. ვახშმის შემდეგ მან უეცრად გამოაცხადა, რომ ციურმა ძალამ ისევე შეიწყნარა იგი. თავისი ჩვეულებრივი რიტუალის შესრულების შემდეგ ის ისევე „ქალმერთად გადაიქცა“, და საზეიმო ხმით წარმოთქვა, რომ კაპიტან უსთან სიათ ტინის შეუღლება თვით ბედისაგანაა ნაკარნახევი. შემდეგ ამ ძველმა გაიძვერამ სევდიანი ხმით დაიწყო სიმღერა:

„ბედის კარნახი—ეს ღმერთის ბრძანებაა, და ვინც ღვთის ნებას დაარღვევს, უბედურება არ ასცდება“.

იუი ფუ მთელ სიცოცხლეში ვერ გადაედა წინააღმდეგობა გაეწია ცოლისათვის, და ამ საქმეში ახლაც უძლური აღმოჩნდა. მთელი ამ ხნის განშავლობაში ის მუხლმოდრეკილი იდგა და მოთქმით ლოცულობდა. ის ჩიოდა, რომ თუ ღმერთებმა ახლავე არ უბოძეს მას სიათ ტინის ჯიუტობის მოსათურგნად, შემდეგში აღარაფერი გამოუვა. სწორედ ახლა უნდა ესწავლებინა ჰეჟა სიათ ტინისათვის. ასეთი იყო ვედრება ამ კეთილი ადამიანისა, რომელიც დიდი ხანია თავისი პირველი ცოლის მორჩილებაში იმყოფებოდა.

როგორც კი სიათ ტინმა გაიგონა ყოველივე ეს, მიხვდა, რომ დედასთან, ასეთ ნახევრად შეშლილ დედაკაცთან, ხეირიან რამეზე შეთანხმება არ მოხერხდება. მამა კი ოჯახის ცხოვრებაში არავითარ გადამწყვეტ როლს არ თამაშობდა.

ქალიშვილმა დაინახა, რომ ახლავე საქიროა გაბედული ნაბიჯის გადადგმა. მან გადაწყვიტა დედის თვალთაგან გადამალულიყო სადმე. დატოვა აღზნებით მლოცველი დედა, დაუყოვნებლივ

გავიდა მშობლიურ სახლიდან, გამოშვიდობების ნიშნად სახლისკენ ხელი დააქნია და აჩქარებული ნაბიჯით გაიარა სოფელი. სიოთ ტინმა გადაწყვიტა, მოენახა ერ ხეი და ეამბო მისთვის ყველაფერი, რაც სახლში მოხდა. ბევრი ფიქრი ირეოდა მის ნორჩ თავში, ხოლო იმედი საყვარელ ერ ხეისთან ბედნიერი და კარგი ცხოვრების მოწყობაზე არ შორდებოდა მას. უცებ შეაგზახე თავის ერ ხეის შეხვდა. ეს განვლილი უსიამოვნების შემდეგ კარგ ნიშნად მიიჩნია.

ერ ხეი იმ განზრახვით მოდიოდა, რომ სიოთ ტინს შეხედროდა. უცებ

თავის შეყვარებული აღლვებულ და შემფოთებული დაინახა და მიხვდა, რომ რალაც უნდა მომხდარიყო უამრის დასადასტურებლად სიოთ ტინმა ნატკალიანად უთხრა:

— რალაც უნდა გაიმბო...

ერთმანეთთან ხელჩავლებულნი, უსიტყვოდ გაემართნენ ისინი ტალახიანი და ჭენჭყიანი ბილიკით იქვე ახლოს მდებარე გამოქვაბულისკენ.

მათ სურდათ, დაშვიდებით მოეღაპარაკათ მომხდარი ამბების შესახებ, ერთიმეორისათვის რჩევა ეთხოვათ და შიელოთ საჭირო გადაწყვეტილება სან სიან-გუს გეგმის ჩასაფუშვად.

დაპირილი წყვილი

ხალხისაგან მოშორებით, ნახევარდბნელ გამოქვაბულში, სიოთ ტინი აღლვებით უამბობდა ახალგაზრდა ერ ხეის, თუ როგორ გადაიქცა დედამისი ისეე „ქალღმერთად“.

— ოხ, ერ ხეი, — ეუბნებოდა შეძრწუნებული ქალიშვილი, — რას არ გალობდა, ეს იყო რალაც საშინელი შელოცვა და ჯადოსნიტყეები!

ერ ხეი ყოველნაირად ცდილობდა თავისი ნორჩი მეგობრის დამშვიდებას.

— ნუ გეშინია, — ეუბნებოდა ვაჟი, — რაიონის ცენტრიდან მოსულ ამბანავისაგან გავიგე, რომ ახლა ქორწინებისათვის სრულიად საკმარისია ქალვავის თანხმობა. ჩვენ კი, რადგანაც დიდი ხანია შეთანხმებული ვართ, რაიონში ჩვენს ქორწინებას დაუყოვნებლივ გაატარებენ რეგისტრაციაში და აწ ველარავენ გავითიშავს.

ერ ხეის უცბად ხმა მოესმა. გამოქვაბულს ხალხი უახლოვდებოდა. ერ ხეიმ თავი გამოჰყო და დაინახა, რომ ხეების ჩრდილში რამდენიმე კაცი დგას. ერთმა მათგანმა, შეამჩნია რა ერ ხეი, დაიყვირა:

— აი თურმე სად ყოფილა ეს წყვილი! დანაშაულის აღგილას მიევსწაერთი! ორთავეს სტაკეთ ხელი!

სიოთ ტინმა და ერ ხეიმ მაშინვე იცნეს მინ ვანის ბოროტი ხმა. ერ ხეი აინთო და გაჯავრებით წამოიძახა:

— ხელი გეტაცონ? ვის? თქვენ უფლება არა გაქვთ! ჩვენ არავითარი კანონი არ დაგვირღვევია.

სინ ვანიც აქვე აღმოჩნდა. ის მიუახლოვდა გამოქვაბულს იმის გასაგებად, არის თუ არა აქ, ვინც მას სჭირდება. როცა ორივე დაინახა. მედიდურად გასცა ბრძანება.

— ხელი სტაკეთ და შეკოკეთ. შემდეგში ვნახავთ, დაარღვიეს თუ არა კანონი. — და საკუთრივ ერ ხეის მიმართა: — რამდენიმე დღით რომ შეგამწყვდევთ ციხეში, მაშინ დამშვიდდები!

სიოთ ერ ხეი არ გრძნობდა თავს დამნაშავედ, არ დაიბნა და გულდამშვიდებით უბასუხა სინ ვანის მუქარას.

— საითაც გვეტყვი, იქით წავალთ, თუნდაც სასაზღვრო რაიონის მთავრობამდე. მაგრამ შენ არა გაქვს უფლება ხალხს ასე მოექცე. წავიდეთ.

სინ ვანის თვალბში მტრული ნაპერწყლები აინთო, მან გაბოროტებულად უთხრა:

— იოლად გინდა ფონს გახვიდე! აბა რაც შეიძლება, მაგრად შეჰკაროთ! — ისევე გასცა მან განკარგულება.

ერ ხეიმ წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ მთელ ხროვასთან გამკლავება განა შეიძლება? უცბად მასთან მიიჭრა რამდენიმე კაცი, წიხლები დაუშინეს და ცემა დაუწყეს. ცემისაგან თითქმის გონებადაკარგული ჭაბუკი, როგორც იქნა, შეეკოტეს. სინ ვანი ბრძანებლობას განაგრძობდა. მან ახალი განკარგულება გასცა ღრიალით:

— იქ, გამოქვამულში, კიდევ გომბიოა, ისიც უნდა შევკოქოთ. მას ოდესღაც სამხილებელი საბუთი სურდა? ასე ბრძანა, ქურდი დანაშაულზე უნდა დაიჭირო, ისე ქურდობას ვერ შესწამებო. ახლა კი განა გვაკლია საბუთი, როცა მათ ერთად შეეუსწართ?

ეს თქვა და თვითონვე დაიწყო სიაო ტინის შეკოჭვა. სიაო ტინი სწორედ ამ დროს გამოეყვანათ გამოქვამულოდან. ჭალიშვილმა ვერც კი მოასწრო შინაური უსიამოვნებისაგან დაწყნარება, რომ ეს ახალი უბედურება დაატყდა თავს. ის დაიბნა და ენა გაუშეშდა.

განაწამები და შეკოჭილი სიაო ტინი და ერ ხეი სოფელზე გაატარეს.

ლიუძიძიძიოს მცხოვრებნი ჯერ არ დაწოლილიყვნენ, თუმცა თავთავიანთ ფანზეში იმყოფებოდნენ.

უცბად ქუჩაში რაღაც ხმაური გაისმა. ზოგიერთი ცნობისმოყვარე გამოვიარდა თავის ფანზიდან, რათა დაენახა, რა ხდებოდა ასე გვიან. მინ ვანის დამხმარე მოლაშქრეების ჩირადღნების სინათლეზე ხალხმა ორი გაკოჭილი ადამიანი დაინახა. მზეთუნახავი სიაო ტინის გამოცნობა ძნელი არ იყო, ძალზე ნაცემ ჭაბუკს რომ დააკვირდნენ, ერ ხეი შეიცივნეს.

ბევრი მათგანისთვის ნათელი იყო, თუ რაში იყო საქმე. მინ ვანისა და

სინ ვანის ძველი ხრიკები ამ ახალგაზრდა წყვილის წინააღმდეგ არავისათვის საიდუმლო არ იყო.

ხმაურობაზე ერ ხეის მამაც გამოვიდა, ზარდაცემულმა მამამ დაინახა, როგორ მიჰყავდათ ქუჩაში მისი შვილი, ერ ხეი, ნაცემი და ხელბეშეკრული. მამის გულმა ვერ აიტანა ასეთი წამება, დაავიწყდა თავის ხანდაზმულობა და ღირსება, მოიდრიკა მუხლი გამარჯვებული სინ ვანის წინაშე და აკანკალებული ხმით მიმართა მას:

— სინ ვან, არც მე და არც ერ ხეის არასოდეს არაფერი ცუდი არ გაგვიკეთებია. შემობრალე მოხუცი, გთხოვ, გაუხსენი ერ ხეის ხელები, შეგვიწყნარე, დაგვზოგე.

ასე ემუდარებოდა მოხუცი მამა ამ გაბოროტებულ და შურისმაძიებელ ადამიანს, რომელმაც მოხუცის ვედრებას ცივად და ნიშნის მოგებით უპასუხა:

— ეს ჩვენ არ გვეხება. რაიონში უნდა გავაგზავნოთ და იქ გაარჩევენ ამ საქმეს.

მამის დამამცირებელი მუდარის გონებაზე ერ ხეიმ მშვიდად წარმოთქვა:

— მამა, ამ საქმეში ნუ ერევი. სადაც არ უნდა გამაგზავნონ, სულერთია, გამამართლებენ. არაფერი დამიშავებია და არ მეშინია მათი.

უკანასკნელ სიტყვებზე ახალგაზრდა ერ ხეიმ ზიზღის გამომხატველი თვალით გადახედა მინ ვანსა და სინ ვანს.

— შენ მართლაც გმირულად გიჭირავს თავი. ენახოთ, ბოლომდე როგორი იქნები! — გამომწვევად უთხრა სინ ვანმა და უბრძანა მოლაშქრეებს: — აბა, გეყოფათ! წაიყვანეთ!

ერთმა მოლაშქრემ არ იცოდა, სად უნდა წაეყვანა პატიმრები და შეეკითხა სინ ვანს:

— სოფლის ხამმართველოში წაიყვანოთ?

სინ ვანმა სიტყვა გააწყვეტინა მოლაშქრეს და მკვებედ უთხრა:

— რისთვის? რა უნდა გავაკეთოთ ამ სამმართველოში? განა ამას წინათ შეცდომა არ დაუშვა მამასახლისმა, როდესაც ის გაათავისუფლა? — გვეყოფა! ამით ახლა წაფიქვანთ სარაიონო

სამმართველოს უფროსთან, დეი მან საშხედრო კანონების მიხედვით განაჯგოს.

გინჯლინიძე

სინ ვანმა ორივე შეკოპილ ტყვეს ხელი ჰკრა და უბრძანა რაიონის ცენტრისკენ მიმავალ გზას გადგომოდნენ.

ერ ჯუ-ზე ისევ მარჩინელობს

ამ ამბის მოწმე სოფლელებმა მშვენიერად იცოდნენ, რომ ახალგაზრდები ტყუილუბრალოდ იყვნენ შეპყრობილნი. მაგრამ ერ ხეის საქმეში ჩარევა ვერც ერთმა გლეხმა ვერ გახედა. ისინი ძინ ვანისა და სინ ვანის სიამოვნებას იცნობდნენ მათი წარსული საქმეების მიხედვით.

როგორც კი ეს ორი ავაზაკი თვალს მიეფარა, მგზობლები ერთმანეთს არ აცლიდნენ, ისე პატივებდნენ ჯუ-გეს თავიანთ სახლებში, სადაც მოწმეების დაუსწრებლად შეიძლებოდა თანაგრძობის გამოთქმა და გულმოკლული მოხუცის ნუგეშისცემა.

მაგრამ ერ ჯუ-ზე მოპატივებზე უარყოფის ნიშნად თავს აქნევდა და ამბობდა:

— რა საჭიროა ყოველივე ეს! სულერთია, არაფერი მიშველის. მე წინდაწინვე ვიცოდი, რომ ამ დღეებში მნიშვნელოვანი და უსიამოვნო რამ უნდა მომხდარიყო. ამას წინათ დილაადრიან გაველ მინდორში, არსად ჯერ არც ერთი აღამიანი არა ჩანდა. როგორც კი ავედი ბორცვზე, დაეინახე, რომ ჩემსკენ მოემართებოდა ვირზე მჯდარა დედაკაცი. ეს ცუდის მომასწავებელია!

— ვიცოდი, — ნალვლიანად განაგრძობდა იგი, — რომ წელს ვარსკვლავილო შეხედება ვარსკვლავ ზოუს, ეს შეხედება კი მხოლოდ ცუდის მომასწავებელია. მარტო ერთი საშუალებით შეიძლება უსიამოვნების აცდენა, სახელდობრ: არ უნდა გახვიდე ქუჩაში, სულ უნდა იჯდე სახლში, რომ არ შე-

ხედე ვირზე მჯდარ დედაკაცს. მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს უბედურება ასე მალე მეწვეოდა. ჩანს, ბედს ვერსად დაემალება, — ნალვლიანად მოთქვამდა მოხუცი. — აგერ, კიდევ ჩემმა ცოლმა წუხელ უცნაური სიზმარი ნახა, თითქოს ის ბორონში იყო და იქ თეატრალური წარმოდგენა დახედა. ესეც ცუდის მომასწავებელია. ამ დღით კი სახლის სახურავის აღმოსავლეთ მხარეზე ყვავი ჩამოჯდა და ზედონედ ათჯერ დაიყრატალა... ეხ, ასეა თუ ისე, ბედს და უბედურებას ვერსად გაეშკვევი.

ყველა ეს ნიშანი ისე ცვივოდა მოხუცის ბაგეთაგან, როგორც ცერცვი გამოხეული ტომრიდან. შემდეგ ის ალგზნებაში შევიდა და ნალვლიანად დაიწყო თავისთვის ლიღინი. უკვე კარგა გვიანი იყო, და მგზობლებს, რომელნიც დიდხანს უსმენდნენ მის მოთქმასა და ბედზე ჩივილს, მოსწყინდათ და მობეზრდათ ამის გაგონება.

ზოგიერთებმა სცადეს რამდენიმე თანაგრძობის სიტყვა ეთქვათ მისთვის, მაგრამ დაინახეს, რომ ეს სრულიად უსარგებლო იყო და ნელ-ნელა იწყეს თავიანთ ფანჯრებში დაბრუნება.

როდესაც ერ ჯუ-ზე მარტო დარჩა ქუჩაში, დასვედიანებული გაეშურა საკუთარი ბინისაკენ, რათა იქ გადაეტანა ესოდენ მძიმე ღამე.

შეუძლია თუ არა მშვიდად ძილი აღამიანს, რომელსაც უბედურება შეემთხვა? მოხუც ჯუ-გეს ოჯახში, გარდა ერთი გოგონასი, რომელიც სრუ-

ლიად უცხო იყო მათი გვირისათვის, არც ერთ უფროსს ერთი წუთითაც არ მიუღუღავს თვალი.

მოხუცი ერ ჯუ-გე წრიალებდა ფან-ზაში, რამდენჯერმე სცადა დაწოლიყო, მაგრამ ვერ გაძლო და ვერც ვერაფრით მოისვენა.

ბოლოს პატარა ყუთიდან სამი ძველებური ფული გამოიღო და მუკში ააჩხარუნა. დიდხანს, და გულმოდგინედ მიმართავდა ის მარჩიელობის ამ ხერხს. შემდეგ მოიკრიფა გაბედულება, გახსნა ხელი და დახედა, რას ანიშნებდა ეს ფულები. უცებ სახე დაეღრიაჯა და ფერი ეცვალა.

— ო, საშინელებაგ, საშინელებაგ! — დაიგმინა მოხუცმა ერ ჯუ-გემ, — ნიშნები ჩოუ და ტუ¹ კიდევ უფრო დიდ, შემზარავ უბედურებას მიქადაიან. და ყველაფერი ეს იმიტომ მოხდა, რომ არჩეულ იქნა ახალგაზრდა-თა რაზმის უფროსად. ო, როგორ დაბეჯითებით მოვითხოვდი, არ აერჩიათ ის ამ თანამდებობაზე, მაგრამ ვინ გამოგონა! თვითონაც დიდი დოვლათია რაღა წინამძღოლობა მოინდომა და ამით თავის თავიც და მეც უბედურებაში ჩაგვადო. აკი მითხრეს, რომ სამხედრო კანონების მიხედვით უნდა აგებინონ პასუხი!

ასე მოთქვამდა დაუსრულებლად მოხუცი ერ ჯუ-გე და შიშის ზარს სცემდა შინაურებს.

ერ ხელის მოხუცი დედა ქმრის გოდების გაგონებაზე კიდევ უფრო იტანჯებოდა. უიმედო მწუხარებას მოეცვა მისი დედობრივი გული. ოთახში მიდი-მოდდიოდა, ხელებს ასავსავებდა, დასტროდა თავის ლამაზ და ქკვიან ბიჭს და მწარედ მოთქვამდა:

— შეილიყო, ჩემო შეილიყო! ამა, ვინ იფიქრებდა, რომ შენ ასეთ საქმეში ჩაგაბამდნენ.

საწყალი დედის ტანჯვა შეედრებოდა დედალი მტრედის წამებას, რომელსაც ბუდიდან ბარტყი გადმოუფარდა და გაიძვერა მელიას პირდაპირ ხახაში ჩაუვარდა.

უფროსმა ვაჟმა, და ხეიმ, დედის დასამშვიდებლად თქვა:

— ნუ გეშინია, დედა. არა მგონია ერ ხელის დიდი საშიშროება მოელოდეს. ის რაიონში წაიყვანეს და ეს უკეთესიცაა, რადგანაც იქ უფრო მალე მიხედვებიან, რომ არაფერში არაა დამნაშავე. ახლაც გავიქცევი რაიონში და დაწერილებით გავიგებ, თუ რა ხდება იქ, თქვენ კი დამშვიდდით და დაწვეით.

იგი ამის თქმაზე წამოდგა ლოგინიდან, ანთო ფარანი და ქუჩაში გამოვიდა, სადაც ღამის წყვილიდმა უფსკრულივით ჩანთქა. მოხუცი ერ ჯუ-გესივესე იჯდა, თავი ფულებისკენ დაეხარა და გულმოდგინედ სწავლობდა მათ წინასწარმეტყველებას.

მაგრამ მალე მოუხდა მას ამ საქმისათვის თავის დანებება. შორიდან ქალის ტირილი მოისმა. ეს ხმა ერ ჯუ-გეს სახლს უახლოვდებოდა.

ქალი მიუახლოვდა ფანჯარას, რომლის ახლოს ერ ჯუ-გე იჯდა, ერთი წამით შეჩერდა და შემდეგ სწრაფად გაემართა ჰიშკრისაკენ. ერთი წუთის შემდეგ დედაკაცი უკვე ოთახში იყო. ერ ჯუ-გემ ვერც კი მოასწრო სახეზე თვალის მოკვრა, ისე სწრაფად მიუახლოვდა ქალი, ხელი სტაცა ხელზე და უფრო ხმამალა იწყო ტირილი და ეიში.

— ლიუ სიუ-დე! სად არის ჩემი ქალიშვილი, რა მოუვიდა? ყველაფერში ხომ შენი შეილია დამნაშავე. ეს მან შეარცხვინა ასე ჩემი ქალიშვილი. ამას მე ვერ გადავიტან!

¹ ჩოუ და ტუ—ორი ციკლური ნიშანია, რომელთა განლაგებით მარჩიელები აღმოიანის ბედს უწინასწარმეტყველებენ. ტუ-ჩინურად მიწას ეწოდება.

მოხუცი ერ ჯუ-გეს ცოლი მწუხარებისაგან თითქმის კეკადაკარგული იყო. აქ კიდევ ვიღაც დედაკაცი მობრძანდა და ბედავს მისი თვალისჩინის, უდანაშაულო ვაჟის გამტყუნებას! დედაბერი ყურადღებით ჩააკვირდა შემოსულის სახეს. ეს სწორედ „წმიდანი“ სან სიან-გუ იყო. აქ კი ერ ხეის დედამ ვერ მოითინა: მან იპოვა საშუალება გადმოენთხია ყველაფერი, რაც დაგუბებული ჰქონდა გულში, ახალგაზრდა შველის სისწრაფით გადმოხტა კანიდან და აღშფოთებით დაუყვირა ახალ მოსულს:

— კარგია, რომ მოხვედი! მე თვითონ ვაბირებდი შენთან მოსვლას. რაც ჩემს შვილს შეემთხვა, ამამი ხომ თქვენი ხარტ დამნაშავე. შენ და შენმა ქალიშვილმა თქვენი ყოფა-ქცევით შერყვენი ჩემი შვილი! მაშ კარგი! წავალ რაიონში და იქ ვიტყვი სიმართლეს.

ორივე დედაკაცი, ერთხანს გამძინვარებული ძუ ვეფხვებივით შესცქეროდნენ ერთმეორეს, შემდეგ კი ჩააფრინდნენ ერთმანეთს თმებში.

ერ ჯუ-გე შეეცადა მათ გაშველებას, მაგრამ ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა.

ერ ჯუ-გე მოწყალებას ითხოვს

მას შემდეგ, რაც ერ ჯუ-გემ თავისი ცოლი და სან სიან-გუ გააშველა, ზელმეორედ დაკარგა წონასწორობა. ვედარ შესწლო მარჩიელობაში დაძაბულად ჩაძირულიყო. მთელი ღამე თვალი არ მოუხუტავს. ხან დაწყებოდა ლოგინში, ხან ისევ წამოდგებოდა, წრიალებდა ოთახში და თან აღერდილი ბუტბუტებდა:

— რისთვის არ დაბრუნდა ამდენ ხანს და — ხე, სად დაიკარგა?

როგორც კი ინათა, მოლოდინით გაბეზრებული ერ ჯუ-გე თვითონ გაეშურა რაიონში.

ნახევარი გზა არც კი ჰქონდა მას გავლილი, რომ მოპირდაპირე მხრიდან გამოჩნდა მისი უფროსი ვაჟი და — ხე.

ერთ წუთს ის იდგა მოჩხუბრების მახლობლად, შემდეგ კი გაანხრნდა და მათავრებული არა აქვს ბედნიერება კითხვა, მიუბრუნდა თავის მარჩიელობას და შემდეგ ქალებისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

ამ შეჯახებაში სან სიან-გუს ცეცხლი სწრაფად გამოხელდა, ცემა-ტყევის გაგრძელება აღარ შეეძლო, ერთ წუთს კიდევ განაგრძობდა აურზაურს, მერე კი ბუმბულზე უფრო მჩატედ გავარდა კარებიდან ქუჩაში.

ერ ხეის დედა ვერ დამშვიდდა, სან სიან-გუს კიშკამდე მისდევდა. როდესაც ერ ჯუ-გემ დაინახა, რომ აურზაური ეზოშია გადატანილი, გადასლო მარჩიელობა და განიზრახა მოჩხუბრების გაზავება, სანამ მეზობლები მოვარდებოდნენ. ის რომ არ ჩარეულიყო, ვინ იცის, სადამდე გასდევდა დედაბერი მისგან ლტოტვილ სან სიან-გუს.

ერ ჯუ-გემ ძალით შემოაგდო ცოლი ოთახში. მაგრამ ერ ხეის დედა დიდხანს ვერ დაწყნარდა და ქმარს მწარედ ავინებდა, ჩხუბში რომ ჩაერია.

და — ხე მოდიოდა იმ სამი მოლაშქრის თანხლებით, რომლებმაც გუშინ ერ ხეი და სიან ტინი წაიყვანეს. მათთან ერთად კიდევ ორი რაიონის თანამშრომელი მოდიოდა, ერთი მათგანი განსაკუთრებულ დავალებათა აღმასრულებელი მოხელე იყო.

რა დაინახა შვილი, ერ ჯუ-გემ შორიდანვე გასძახა:

— და — ხე, როგორაა საქმე?

მოხუცი მამის დასამშვიდებლად ვაჟმა ააჩქარა ნაბიჯი და მხიარულად უპასუხა:

— დიდი არაფერია, ნუ გეშინია. ყველაფერი მოგვარდა. — მერე მიუბრუნდა და დასძინა: — რაიონში სურთ, დამატებით დაგკითხონ შენ და იუი

ფუს ცოლი. ახლა შენ წადი იქ, ცუდი არაფერი მოგივა, მხოლოდ რამდენიმე კითხვას მოგცემენ ამ საქმეების გამო.

შემდეგ დახემ ერ ჯუ-გეს მთელი ამბავი მოუყვა.

— როგორც კი ერ ზეი და სიხო ტინი რაიონში მიიყვანეს, მაშინვე გაუსხსნეს მათ ხელები. რაიონამდე უკვე მისულია ცნობები, რომ ძინ ვანი და სინ ვანი სოფელში უღირსად იქცევიან. ორივე — ძინ ვანიც და სინ ვანიც — როგორც კი ისინი თავის პატიმრებს შემოჰყვნიან რაიონში, მაშინვე დააპატიმრეს. აი, რაიონის ეს მოსამსახურენი კი ჩვენს სოფელში მოავლინეს რწმუნებულებად, კრების ჩასატარებლად. უნდა შეაგროვონ ნამდვილი ცნობები ამ ორი თავგასული ბედოვლათის ყოველგვარი უწყსობების და თვითნებობის შესახებ. როდესაც რაიონში მივედი, — განაგრძობდა ამბის მოყოლას ახალგაზრდა დახე, შევეკითხე ყველას ძმის და სიხო ტინის ბედის შესახებ და იქვე გავიგე, რომ რაიონის ხელისუფლებამ ერ ზეის და სიხო ტინს ქორწინების ნებართვა მისცა.

ერ ჯუ-გე დიდი მღელვარებით უსმენდა და — ხეს მოყოლილ ამბავს და როდესაც შეიღმა თხრობა დაამთავრა, წარმოთქვა:

— ეს ძალიან სასიამოვნოა, რომ ერ ზეი დამნაშავედ არ იცენეს, მაგრამ სიხო ტინზე მისი დაქორწინება შეუძლებელია. ამის ნებას მე არ მივცემ. ეს ნიშნავს ბედის წინააღმდეგ წასვლას! ეს ხომ არ იცი, რისთვის მიხმობენ რაიონში? — შეშფოთებით დაუმატა მან.

— არ იცი, — უპასუხა და ხემ, — არა მგონია, რომ რაიმე მძიმე საქმე ჰქონდეთ. წადი, მამა, ნუ გეშინია. მე კი შინ დაებრუნდები და საჩქაროდ ვუამბობ დედას ყველაფერს, რომ დაგამშვიდო.

განსაკუთრებულ დავალებათა მოხელეც მიუბრუნდა მოხუცი ერ ჯუ-გეს და უთხრა:

— აი რა გითხრა, მეგობარო, ჩვენ უკვე გავცანიით ერთმანეთს. მე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, გგზავნი შენ რაიონში. ვთხოვ წახვიდე. მე ახლა სოფელში ჩავალ, რადგან კიდევ ერთი აღამიანი მჭირდება.

ამ სიტყვით ისინი დაშორდნენ ერთმანეთს.

სარაიონო სამმართველოში მისულმა ერ ჯუ-გემ მაშინვე დაინახა ერ ზეი, რომელიც სიხო ტინის გვერდით იჯდა მერხზე.

მამამ შეიღს გაიციხვა დაუწყო. ჯუ-გემ ხამაღლა მიმართა შეიღს ასეთი საყვედურით:

— ვაი, შე უბედურო! წამებული ვარ შენგან! აქ რას უყურებ, შინ რისთვის არ ბრუნდები? შენ ხომ კარგა ხანია გაგათავისუფლეს! ისიც ხომ იცი, რომ მე და დედაშენი ლამის დავიხოცეთ შიშით შენი ამბების გამო! როგორ არა გრცხვენია?

ვინ იცის რამდენხანს გაგრძელდებოდა ეს ქკუის სწავლება, სარაიონო სამმართველოს თავმჯდომარეს რომ არ გაეგონა და არ ეყვირა გაანჩხლებული მოხუცისათვის.

— რაშია საქმე? ეს რა ღრიანცელია? — უთხრა ერ ჯუ-გეს თავმჯდომარემ. — რას ფიქრობ, სამმართველოს შენობა სააღრზაურო აღგილია?

მოხუცი ერ ჯუ-გე მაშინვე გაისუსა. მან ვერ მოასწრო საყვედურების მთლად გადმონთხევა, რადგან სამმართველოს თავმჯდომარემ გამოკითხვა დაუწყო.

— მაშ შენ თვითონ ხარ ის ლიუ სიუ-დე?

— დიახ, — უპასუხა ერ ჯუ-გემ. — შენ მიიღე სახლში ერ ზეისათვის გოგონა?

— დიახ, — ამოიბლუყუნა მოხუცმა ჯუ-გემ.

— რამდენი წელი შეუსრულდა იმ გოგონას? — ისევ გაისმა შეკითხვა.

— აბა რა გითხრა, — აკანკალებული ხმით დაიწყო შეფიქრიანებულმა ჯუ-გემ, — მაიმუნის¹ დროისათვის თორმეტი წელი შეუსრულდება.

— იცით თუ არა, რომ გოგონა რომელსაც თხუთმეტი წელი არ შესრულდება, კანონით ვერ დაქორწინდება? აი, რას გეტყვი, ჩემო ბიძია, ის გოგონა ახლავე დაუბრუნე თავის მშობლებს, — მაგრად ჩაუკაკუნა ერ-ჯუ-გებს რაიონის სამმართველოს თავმჯდომარემ, — შენმა შეიღმა ერ ხეიმ უკვე თანხმობა განაცხადა დაქორწინდეს სიოო ტინზე, — დაუმატა მან.

აქ კი ერ-ჯუ-გემ თავმჯდომარეს მდგომარეობის ვრცლად ახსნა დაუწყო:

— ამ გოგონას მართო მამა ჰყავს, და ისიც სადღაც გაჰქრა ჩვენ სოფელში ის მხელ დროს გაპოჩნდა, როდესაც შიმშილისაგან თავის დახსნას ცდილობდა. თავისი ქალიშვილი მე მომიყვინდა თვითონ კი მაშინვე გაუჩინარდა: ასე რომ, გოგონას ვერსად გავგზავნი. შენ მეუბნები, რომ თხუთმეტი წლის ასაკამდე ქალიშვილის გათხოვება არ შეიძლება. ეს თქვენი ახალი წესია, ჩვენი სოფლური ადათით კი გოგონების გათხოვება შეიძლება წლის ასაკშიც შეიძლება. ამიტომ მე გთხოვ, უფროსო, ერ ხეის და სიოო ტინის ქორწინება გააუქმო.

— მოხუცო, ბოლოს და ბოლოს გაიგე, რომ ეს კანონის დარღვევა იქნება. — უთხრა სამმართველოს თავმჯდომარემ. — ახლა მხოლოდ ის ქორწინება ითვლება კანონიერად, როდესაც ორივე მხარე თანხმობს. თუ ერთი მხარე უარს აცხადებს ქორწინებაზე, ასეთი ქორწინება არაკანონიერად ითვლება.

მაგრამ მოხუცი ვერ შეურიგდა ამას; მან ახალი ბრიკი მოიგონა და ისევ მიმართა „რაიონის უფროსს“ რუკორცის რაიონის სამმართველოს თავმჯდომარეს უწოდებდა.

— გეთანხმები, ამხანაგო რაიონის უფროსო, მაგრამ ერ ხეის ქორწინება ჩვენ მიერ აყვანილ გოგონაზე ორივე მხარის სურვილით ხდება.

— მაშ, შეევეკითხოთ მას, ასეა ეს თუ არა? — თქვა რაიონის სამმართველოს თავმჯდომარემ და ერ ხეის მიმართა:

— ლიუ ერ ხეი, გსურს დაქორწინება იმ გოგონაზე, რომელიც თქვენს ოჯახში ცხოვრობს?

ახალგაზრდა ერ ხეის პასუხი მოკლე და მკაფიო იყო: — არა, არ მსურს.

ერ ხეის ასეთმა დაუჯერებლობამ მოხუცი ჯუ-გე შეაშფოთა. მან ბრან-მორეული თვალებით გადახედა შეილს და დაისისინა:

— მაშ, შენ ასე გიპირავს თავი?

რაიონის სამმართველოს თავმჯდომარემ მამა-შვილის დავა იმით გადაწყვიტა, რომ მოხუც ჯუ-გეს გადაპრით განუტყავდა:

— დაანებე თავი შეილს, ვინც უნდა, ის შეირთოს, ძალას ნუ ატან შენ თხოულობ ცოლს, თუ შენი შეილი? ახლა ქორწინება თავისუფალი უნდა იყოს და არა დედ-მამის ბრძანებით. გირჩევნია, სიამტკილად წახვიდე შინ. და თუ, როგორც ამბობ, იმ გოგონას წაყვანა არსად არ შეიძლება, საკუთარ ქალიშვილად მიიღე შენს ოჯახში და მთელი ეს დავა ერთხელ და სამუდამოდ იქნება მოწესრიგებული.

— კარგი, ვეთანხმები თქვენს წინადადებას. — ისევ დაიწყო ერ-ჯუ-გემ. — ხოლო ერთ მოწყალებას გთხოვ, ჩემს შეილს არ დართოთ ნება, ეს გომბიო, იუი ფუს ქალიშვილი შეირთოს.

მაგრამ თავმჯდომარე შეუღრეკელი იყო, და ამ თხოვნაზე მოხუცს კიდევ ერთხელ უთხრა ჩამაგონებლად:

¹ მაიმუნის ნიშანი — ჩინური მთავრის კალენდრის ერთ-ერთი ციკლური ნიშანია.

— მამი, ნუ ერევი ამ საქმეში, შენი მხრით ეს უგუნურებაა.

მოხუცი ჯუ-გე ისევ გაიწმინდა:

— დაბეჯითებით გთხოვ, რაიონის უფროსო, ჩემს მდგომარეობაში შედი, ჩემს მიმართ ასე მკაცრი ნუ იქნები. ეს ქორწინება მის ბედისწერას ეწინააღმდეგება. თუ ის შეერთო, მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ გამოასწორებს ამ შეცდომას. — აქ ისევ მტირალა ხნით მიმართა ერ ხეის:

— ჩემო შეილიკო, შენი მამის კადრას ნუ შეარცხვენ. ეგ მარტო შენ კი არა, ჩვენ ყველას გვეხება. ნუ იზამ ამას, ნუ შეერთავ!

დიდხანს გაგრძელებოდა კიდევ მამა-შვილს შორის დავა და ბევრ სულელურ საბუთებს მოიყვანდა მოხუცი ჯუ-გე ერ ხეის და სიან ტინის ქორწინების წინააღმდეგ, მაგრამ თავმჯდომარეს არ სურდა ძველი ტრადიციებისათვის მხარის დაჭერა და შეაწყვეტინა მოხუცს:

სან სიან-გუ ხალხის სამსჯავროს წინაშე

მიუხედავად იმისა, რომ სან სიან-გუ იმ დღეს ჯუ-გეს ცოლის წინაშე დამარცხდა, ის მაინც მეტად კმაყოფილოდ არჩა მასთან მისვლით. სან სიან-გუს გეგმა, უბირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობდა, რომ დაენახებინა ყველასათვის, როგორი თავდადებით ზრუნავს თავისი ოჯახის სახელისათვის. მეორე კი ის იყო, და ეს გახლდათ ყველაზე მთავარი. სან სიან-გუმ ამ სკანდალით ხელი შეუწყო თავისი ქალიშვილის ერ ხეისთან დაქორწინების დაშლას. რა მძიმეც არ უნდა ყოფილიყო ეს ქალიშვილისათვის, დედა ამით კმაყოფილი იყო. შინ დაბრუნებულმა, თითქოს პატიოსანი შრომით დაღლილმა, წამსვე დაიძინა და მეორე დღეს გვიან აბრძანდა.

იუი ფუ ცოლზე უფრო იყო აღელვებული ქალიშვილის თავგადასავლით,

— გეყოფა, ბიძია, — უთხრა მან, — ნუ არცხვენ შენს შვილს, დაეძულე აიქულებს ცხრამეტი წლის ჰანუკა-ფოტოშის გოგონა შეერთოს. მე კიდევ ერთხელ ავიხსენი, რომ ახლა რეგისტრაციაში ტარდება მხოლოდ ისეთი ქორწინება, რომელიც ორივე მხარის ნებით ხდება, ესე იგი სასიძოს და საპატარძლოს თანხმობით. ჩვენ კი ნაკლებად გვინტერესებს, ვსურს ეს შენ თუ არა. ვასაგებია? ახლა წადი შინ და, თუ იმ გოგონას არსად წასასვლელი არა აქვს, ქალიშვილად მიიღე შენს ოჯახში.

მოხუცი ერ ჯუ-გე მზად იყო ისევ გადმოეღვარა სიტყვების ნაკადი, თავისი „მისწერი საბუთები“ მოეყვანა და, ბოლოს, ყველაფერი ცრემლთა ნაკადულით და ვედრებით გაელამაზებინა, მაგრამ განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე მიუახლოვდა მას, მოწიწებით გაუყარა მკლავი და კანცელარიიდან ქუჩაში გაიყვანა.

მაგრამ აქამდე ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ მიეღო. ის მოთმინებით ელოდა თავისი ბრძანებელის გაღვიძებას. თვითონ ვერ ბედავდა მისი ძილი დაეფრთხო და ესოდენ ნელა მიმდინარე დრო რომ შეემოკლებინა, გადაწყვეტა საქმისათვის მოეკიდა ხელი და სადილის ხარშვას შეუდგა.

როდესაც სადილი თითქმის მზად იყო, სან სიან-გუმ იწყო ლოგინიდან წამოდგომა და გულმოდგინედ შეუდგა თავისი რთული ტუალეტის წესრიგში მოყვანას, თითქოს სახლში არაფერი მომხდარიყოს. იუი ფუმ ამის დანახვაზე გაბედა. მორიდებით შეკითხოდა ცოლს:

— ხომ არ წავიდე და გავიგო, რა დღეშია სიან ტინ? საჭიროა ვიცოდეთ, როგორაა იქ საქმე, ვინახულობთ...

— ვინაშე? — შეფრთხილდა ამ სიტყვებზე სან სიან-გუ. — რისთვის? ის წლოვანი ქალია, თვითონ იცოდა, რასაც სჩადიოდა.

იგი ფემ ველარ გაბედა მეტი რამის შეკითხვა, გაშალა სუფრა და განზე გაჩერდა, რადგან ვერ ბედავდა, პირველს დაეწყო ქაშა.

დიდხანს იდგა ის მოთმინებით და უცდიდა, სანამ მისი ბრძანებული დამთავრებდა გამოწყობას.

ვერც კი მოასწრეს სადილის დამთავრება, რომ ოთახში განსაკუთრებულ საქმეთა მოხელე შემოვიდა და სან სიან-გუს გადასცა რაიონის უფროსების განკარგულება, რათა ის აუცილებლად მისულიყო სარაიონო სამმართველოში.

სან სიან-გუმ დამშვიდებით მოისმინა ეს განკარგულება და ისეთი სახე მიიღო, თითქოს თვითონაც სურდა იქ წასვლა, რომ ქალიშვილზე ემოქმედა. სან სიან-გუმ მოღლილი ხმით დაიწყო ლაპარაკი, თითქოს ქალიშვილის ჯიუტობით გაწამებული ყოფილიყო.

— ეს გომბიო, რაც გაიზარდა, არაფერს არ გვიჯერებს. აი, ახლა მოვეუყვები ყველაფერს რაიონის უფროსს, დეე, კარგად ასწავლოს ქეჯა.

სან სიან-გუმ მთელი ცერემონიით დაიწყო რაიონში გასამგზავრებლად მზადება. ახალ კაბაში გამოეწყო, შუბლი ახალი ატლასის ბაფთით გაიკრა და თავის დამკვანარ სახეზე პუდრის სქელი ფენის დადება არ დაეიწყა. შემდეგ ფეხებზე დაფოთლილი ქოშები წამოიცივა და ქუჩქუჩა არშიამოვლებული შარვალი ჩაიცვა, თავზეც, აგრეთვე, ყოველგვარი სამკაულები და რიჩხინები წამოიკოსა. გამოწყობას რომ მორჩა, იგი ფუს უბრძანა, ვირი კარგად შეეკაშმა სამგზავროდ. გამოპრანქული სან სიან-გუ შეჯდა ვირზე და უბრძანა ქმარს თან ზღებოდა და ვირი გაერეკა.

ამ გვარად გაემგზავრნენ ისინი რაიონში.

რის შესახებ ჰქონდათ მათ გზაში სულეზარი, ეს მათ შორის დარჩა.

რაიონის სამმართველოში მისვლისთანავე განსაკუთრებულ საქმეთა მოხელემ სან სიან-გუ თავმჯდომარის კაბინეტში შეიყვანა.

შესვლისთანავე კარებთან სან სიან-გუმ მუხლი მოიყარა და ჩოქვით, იატაკზე შუბლის რტყმევით იწყო თავმჯდომარის მაგიდასთან მიახლოება, ამასთან ხმამაღლა მოთქვადა.

— ჩვენი მშობელო მამავ, რაიონის უფროსო! შენა ხარ ჩვენი ბრძანებელი! რაიონის სამმართველოს თავმჯდომარე ამ დროს მაგიდაზე თავდახრილი გულმოდგინედ რაღას წერდა. ასეთ უჩვეულო მოთქმაზე უცბად ასწია თავი, რათა უცნაური მთხოვნელისთვის შეეხედა, მაგრამ მთხოვნელის სახე ვერ დაინახა, რადგან სან სიან-გუ თავიკაინდრული და მუხლმოდრეკილი იდგა. თავმჯდომარემ მხოლოდ ის დაინახა, რომ დედაკაცის თავი მრავალნაირი ჩიზილ-პიპილებით იყო მორთული.

თავმჯდომარემ გადაწყვიტა, რომ მის წინაშე სწორედ ის ახალგაზრდა ქალია, რომელიც ორი დღის წინათ თავის დედამთილს წაეჩხუბა და ვისი საქმეც გასარჩევად ჰქონდა ჩაბარებული.

— აი, რას გეტყვი, მოქალაქეე. — ეთხრა მან, — ნუთუ შენმა დედამთილმა თავდებები ველარ იშოვნა? აქამდე რატომ არ მომიყვანეს ისინი?

სან სიან-გუმ ასწია თავი და გაუგებარი თვალებით შემოხედა.

როდესაც სამმართველოს თავმჯდომარემ დაინახა ხანშიშესული დედაკაცის ძალზე გაუდრული სახე, მიხედა, რომ ეს სულ სხვა ქალია და უადგილო იყო მისი შეკითხვა.

განსაკუთრებულ საქმეთა მოხელე სასწრაფოდ შეეცადა თავმჯდომარე

უხერხული მდგომარეობიდან გამოეყვანა და გაუგებრობა გაეფანტა.

— შემდლარი ხარ, — უთხრა მან, — ეს დედაკაცი იუი ფუს ცოლია, სიოო ტინის დედა.

მაშინ თავმჯდომარემ ისე გამპრიახად მიაპყრო თვალი დედაკაცს, რომ კარგს ვერაფერს მოასწავებდა.

— ა, ეს შენა ხარ, სიოო ტინის დედა, — განაგრძობდა თავმჯდომარე დაკვირებით ცქერას და თან ლაპარაკს. — აბა, წამოდექი და თავი დაანებე წმინდანად თავის გასაღებას. აქ მისწობისათვის ადგილი არ არის. ჩემთვის ისედაც ყველაფერი ნათელია. აღუქი!

სან სიან-გუ არ ელოდა თავის მუხლმოდრეკის ასეთ შეფასებას და წამოდგა.

— რამდენი წელი შეგისრულდა? — თვალმოხუშვით შეეკითხა სამმართველოს თავმჯდომარე.

— ორმოცდახუთი. — როგორც იქნა, გაკირვებით წარმოთქვა სახტად დარჩენილმა სან სიან-გუმ.

— მამ შენს თავს კარგად დააკვირდი. შენ ზომ აღამიანის ელფერიც დაპყარე. აბა, რამდენი პულარი გაყრია სახეზე! აი, აი, რამდენ პულარს ხარჯავ! — მოდგა თავმჯდომარე მედიდურ „ქალმერთს“:

ამ დროს კაბინეტის კარებში გამოჩნდა ათი წლის გოგონა. იმის გაგონებაზე, თუ როგორ იგდებდა მასხრად უფროსი სან სიან-გუს, გოგონამ ხმამალა გადაიკისკისა.

განსაკუთრებულ საქმეთა მოხელემ გოგონას მკაცრად შეუბღვირა.

— აბა, ერთი გაბრძანდი ქუჩაში, შენ აქ არაფერი გესაქმება.

ამ სცენის პატარა მოწმე თავუნასავით გაქრა.

აქ კი რაიონის სამმართველოს უფროსმა საქმის ვითარების მიხედვით დაუწყყო მისან ქალს დაკითხვა:

— ერთი მითხარი, დიდხანს აპირებ კიდევ შენი ჯადოქრობის გაწევას, თუ დაანებებ თავს მაგ ხელჩანსს?

სან სიან-გუ საბოლოოდ უხერხულად ბული დარჩა ამ კითხვით. მასთან არავის არასდროს ასე არ ულაპარაკია ერთილგონიერად ჩათვალა, ამ კითხვაზე პასუხი არ გაეცა.

— ერთი მითხარი, — განაგრძობდა თავმჯდომარე, — მართლა ეძებდი შენი ქალიშვილისთვის საქმროს?

— ნახული მყავს უკვე, — უხეშად უპასუხა სან სიან-გუმ.

— რამდენი მიიღე ქალიშვილისთვის სასყიდლად? ამბობენ, სამნახევარი ათასი? — იძიებდა თავმჯდომარე. — კიდევ რა მიიღე? საქორწინო თავის სამკაულები, ატლასის ბაფთები, საყურეები? ამ ქორწინებაზე ქალიშვილს შეუთანხმდი? — შეუწელებლად ეკითხებოდა თავმჯდომარე გულშემატკივარ დედას.

უკანასკნელ კითხვაზე ქალმა ისევ უხეშად უპასუხა:

— არ შემითანხმებია და საკირიდაც არ ვთვლი.

— სურს კი შენს შვილს შენ მიერ ამორჩეულ სასიძოს გაპყვეს ცოლად?

— არ ვიცი, — გაისმა ისევ სან სიან-გუს უხეში პასუხი.

— აი, ახლა შესაძლებლობას მოგცემ გამოარკვიო. — აქ სამმართველოს თავმჯდომარემ მიმართა განსაკუთრებულ საქმეთა მოხელეს:

— დაუძახე იუი სიოო ტინს.

ამ დროს კი იმ გოგონამ, რომელიც ჩუმიდ ყურს უგდებდა, თუ როგორ შეახურა სან სიან-გუ სამმართველოს უფროსმა, მოასწრო მეზობელი ეზოების შემორბენა და ამ ახალი ამბის გაგებიინება.

ბავშვური გულუბრყვილობით უამბობდა პატარა ქორიკანა ყველას:

— ოო, რა საინტერესოა, ახლა გავიგონე, როგორ ასამართლებენ ერთ დედაკაცს რაიონის სამმართველოში. ის

ორმოცდახუთი წლისაა, ისეთი გაბუღრული და ფერადი ქოშებითაა...

შეზობელი დედაკაცები, ასეთი საკვირველი ცნობებით დაინტერესებულნი, სამმართველოს ეზოში გაიქცნენ და ფანჯრების მახლობლად აიტუნენ. სულ ხუთი-ათი წუთის შემდეგ ნახევარი ეზო შეჯგუფული ხალხით იყო გაპედილი.

თავშეყრილ ხალხში ისეთი ლაპარაკი ატყდა, რომ კრახანას კბენაზე უფრო გაამწარებდნენ ადამიანს. სისინი არ ცხრებოდა. ერთი დედაკაცი, კმუნევით თავს აქნევდა და ამბობდა:

— ერთი შეხედეთ, რა ხდება! ორმოცდახუთი წლისაა, — და როგორი არაშეიბი აქვს შარვალზე, მაშიები კი მწვენი მინდორს მიუგავს, სულ ყვავილებით მორთულს!

— ოი, ოი, ოი, — ბანს აძლევდა მეორე და ცნობისმოყვარეობით ათვალეერებდა სან სიან-გუსს, სამმართველოს ფანჯარაში.

ასეთი მითქმა-მოთქმის გამგონე სან სიან-გუ მზად იყო მიწა გაპობოდა და შიგ ჩავარდნილიყო. არასდროს არ გაწითლებულა ის სირცხვილისაგან, ახლა კი ყველა ამ დაცინვის შემდეგ სახე წითლად აჭრელებოდა. ოფლი კი რა უქნას ოფლს, რომელიც უხვ ნაკადულებად ჩამოსდიოდა სახეზე?

როდესაც განსაკუთრებულ საქმეთა მოხელემ სიაო ტინი გამოატარა ამ შეჯგუფულ ხალხში, ირონიულად უთხრა თავმოყრილ ცნობისმოყვარეებს:

— რა გინდათ აქ? რას ათვალეერებთ? ეს ისეთივე ადამიანია, როგორც ყველა. რა დაინახეთ აქ საინტერესო? აბა, ერთი გზა მიტიეთ.

ბრბომ იგრძნო მოხელის ხმაში დამცინავი კილო და ხმამალა გადაიხარხარა.

როდესაც სიაო ტინი სამმართველოს თავმჯდომარის კაბინეტში შევიდა, შე-

წყვეტილი საუბარი ხელახლა გაგრძელდა.

— აბა, ერთი შეეკითხეთ, სურს თუ არა შენს შვილს, შენ მიერ გამოძებნილ სასიძოს მისთხოვდეს ცოლად? — მიმართა სან სიან-გუს თავმჯდომარემ.

სან სიან-გუმ ვერც კი გაიგონა თავმჯდომარის შეკითხვა, ის გართული იყო ბრბოში მასზე ლაპარაკით. ყურებში აბუნჩარად ესმოდა გამკილაევი სიტყვები: „უი, ორმოცდახუთი წლის დედაკაცია! როგორი ჭრელი მაშიები ჩაუცვამს!“ მას ისე შერცხვა, როგორც არასოდეს თავის სიცოცხლეში არ შერცხვინია. აქ კიდევ ეს ოფლი, რომელიც საბოლოოდ ამხელდა, ნაოკების შირმას — პუღრს; სან სიან-გუ უკვე აღარ ფიქრობდა ამაზე და მხოლოდ გამალებით იწმენდა ოფლს. აბა, სად შეეძლო ასეთ მდგომარეობაში ესმინა უფროსისათვის, ანდა ებასუბა მისთვის რაიმე! ამის დარდი ჰქონდა ახლა დამკვნარ თვალთმაქცს!

უცებ გაიგონა, რომ ბრბოში ლაპარაკის თემა შეიცვალა. ხოლო ახლა შემდეგნაირი შეძახილები აღწევდა მის ყურამდე: „ამ ქალიშვილის მამა ვინ იცის, ვინაა!“ სან სიან-გუ მსჯავრგამოტანილ დამნაშავესავით იღვია: თურმე მისი წარსული არავისათვის არ წარმოადგენდა საიდუმლოს.

„შეხედეთ, ქალიშვილი დედაზე უარესადაა ჩაცმული, შეხედეთ ერთი. დედა როგორი გამოპრანჭულია!“ — გაისმა მეორე ხმა. სან სიან-გუს მისმა მოკაზმულმა კაბამ მოუქირა, ოფლი ისე ჩამოსდიოდა, თითქოს უშრეტელ წყაროდან მოედინებოდა. აქ კიდევ ვიღაცამ ცეცხლს ახალი მუგუზალი შეუნთო: „იცი, ამბობენ, თითქოს ამ მორთულ-მოკაზმულმა ქალღმერთად გადაქცევა იცის!“..

ხალხში აღმოჩნდნენ მისი უფრო მეტად მცოდნენიც, რომლებმაც მომწვა-

რი ფაფის ძველი ანეკდოტიც კი გაიხსენეს. სან სიან-გუს წინათაც არ უყვარდა ამის გახსენება, ახლა კი სირცხვილისაგან მზად იყო დამწვარიყო, ხოლო ოდესღაც მიღებული ზეციური მადლი, სამწუხაროდ ამისათვის ცეცხლს არ აძლევდა და ის გარეტიანებულებით თავჩაქინდრული იდგა.

სამშართველოს თავმჯდომარე კი განაგრძობდა:

— მაშ, შენ თუ არ ეკითხები, შენ მაგიერ მე მომიხდება ამ საქმის ხელისმოკიდება. — მიუბრუნდა სიხო ტინს და უთხრა: — იუი სიხო ტინ, გსურს თუ არა შენ მისთხოვდე იმ ადამიანს, რომელიც დედამ გაგირიგა?

— არა, — უპასუხა ახალგაზრდა ქალიშვილმა. — უმჯობესია, შემეკითხოთ, ვიცნობ მას თუ არა?

საქმის ბოლო აზვირბინებს

სამშა მოლაშქრემ, რომლებმაც რაიონში მიაცილეს შებოქილი ერ ხეი და სიხო ტინი, დაბრუნებისთანავე დაარხიეს ხმა, მთელ სოფელში, რომ ძინ ვანი და სინ ვანი დაპატიმრებული არიან და ახალგაზრდა წყვილი კი განთავისუფლებულია. ისიც თქვეს, რომ რაიონიდან სოფელში სპეციალური რწმუნებულნი ჩაშოვიდნენ, რომლებსაც დავალბებული აქვთ ამ ორი მეგობრის — ძინისა და სინის — მხეცობის შესახებ ყველა ცნობები შეგკრიბონ.

გაუგონარი სისწრაფით მოედო სოფელს ეს ამბავი. ნასადილევს დასვენების შემდეგ მცხოვრებლებმა იწყეს ძველ კერპოსალოცავში კრებაზე თავისმოყრა. კრების გახსნასთან ერთად სოფლის მამასახლისმა დაადასტურა ხმები ძინისა და სინის შესახებ და თხოვნით მიმართა ყველა დამსწრეთ, ჩამოეთვალათ ყველა ის უკანონობა, რასაც ეს ბოროტმოქმენი სჩადიოდნენ.

მაშინ სამშართველოს თავმჯდომარე მიუბრუნდა მისან ქალს და ჰკითხა:

— გაიგონე შენი ქალიშვილის უპასუხი?

ამის შემდეგ თავმჯდომარემ საკმაოდ დაწვრილებით ახსნა ქორწინების ახალი კანონის პრინციპები, რომელნიც არჩევანის სრულ თავისუფლებას ანიჭებენ სასძლოსა და სასიძოს. და მკაცრად უბრძანა სან სიან-გუს დაუყოვნებლივ დაებრუნებინა კაპიტან უ-სათვის ყველა მისგან მიღებული საჩუქრები და ფული და წინადადება მისცა ქალიშვილის და სიხო ერ ხეის ქორწინებაზე დათანხმებულიყო.

ამრიგად, სიხო ტინის და ერ ხეის ქორწინების საკითხი, რომელიც ესოდენ გახშიანდა, ახლა ნორჩი მზეთუნახავის სასარგებლოდ გადაწყდა.

მაგრამ გლეხებს, იმთავითვე ძინ ვანის და სინ ვანის გულღვარძლობით და ყოველგვარი შევიწროებით დაშინებულთ, ახლაც ერიდებოდათ მათ წინააღმდეგ გამოსვლა.

მოხუცება ეშინოდათ, რომ ეს ავაზაკები თავისი ეშმაკური, გაიძვერული ხრიკებით ისევ დაბრუნდებიან თავიანთ პოსტებზე. ამიტომ, მამასახლისის წინადადების მიუხედავად, ისევ ჩუმად უოფნას ამჯობინებდნენ. ახალგაზრდა მამაკაცები მოხუცების პატივისცემით დუმდნენ, ელოდნენ, უფროსებს დაეწყეთ ლაპარაკი. ყველაზე მოშიშრებმა, განსაკუთრებით იმთ, ვისაც ბევრი უთმენია ამ ვაჟბატონებისაგან, ჩუმ-ჩუმად დაიწყეს ჩურჩული, რომ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ახლაც სჯობს გაჩუმება, როგორც ჩანს, ასე გეიწერია, მოვითმინოთ, ანდაზაც კი ამბობს, რომ „სიჩუმეს სიმშვილე მოაქვს“.

ასეთმა ხმებმა მიღწია ერთი ახალგაზრდა ვაჟის ყურამღე. წინათ, არეულობის დროს იგიც მოტაცებული იყო და შემდეგ, ძინ ვანისა და სინ ვანის მოხერხებული ჩარევის წყალობით, ბანდიტების ხელიდან გამოსყიდული. მისი გული აღშფოთებით აღდგა. „როგორ! გაჩუმდე და ითმინო, როდესაც ყოველივე ამის წარმოთქმის დრო დადგა?“ — გაიფიქრა მან, თავი ვერ შეიკავა, სინუმე დაარღვია და სიტყვა აღო.

— მაშ, თქვენი აზრით, წინათ არ ვუთმენდით მათ? მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რაც მეტს ვითმენდით, მით უფრო დაშორებული ვიყავით სიმშვიდეს. თქვენ კი ამას ამბობთ: „სინუმეს სიმშვიდე, — მოაქვს“. მაშ, რახან თქვენ დუმხართ, თუმცა ჩემზე მეტი იცით, — მიმართა მან მოხუცებს, — მე თვითონ ვიტყვი ყველაფერს, რაც ამ თავგასული ვაებატონების შესახებ ვიცი.

ყმაწვილმა კაცმა დაწვრილებით მოპყვა, როგორ მიუთითეს სინმა და ძინმა ბანდიტებს მისი მშობლების სახლზე და თვითონ ეს ვაჭი ბავშვობაში მოატაცებინეს.

ამ ახალგაზრდას ახალი კანონებისა და წესრიგის უფრო სჯეროდა, ვიდრე ძველი ტრადიციებისა, და რამდენჯერმე გამოვიდა კრებაზე.

იგი თავის გამოსვლას შეკრებილთა წასაქვებლად ყოველთვის ამგვარი სიტყვებით ამთავრებდა:

— აი, მე კიდევ გავიხსენებ რამეს და დავუმატებ. ახლა კი სხვები გამოვიდნენ. ამ მტარვლების შესახებ მათ უფრო მეტი იციან.

ახალგაზრდამ წავსი გატეხა. ყინული ჩატყდა, სინუმის საგუბარი გაიჩრღა. ბერს აესხნა ენა და სიტყვები მშფოთვარე მდინარესავით გადმოიღვარა. სოფლის მცხოვრებნი ძილისაგან გამოფხიზლდნენ და ერთმანეთის მიმდევ-

რობით ჰყვებოდნენ ამ არამზადების ბოროტმოქმედებასა და უკანონობაზე.

სიტყვებით გამოსულთა შორის ყველა თებიც იყვნენ, რომელთაც სინ ვანი და ძინ ვანი უკანონოდ ფულის გადახდას აიძულებდნენ. აღმოჩნდა, რომ მათი ფარფაშის დროს რამდენიმე კაცმა შევიწროებასა და ძალმომრეობას ვერ გაუძლო და თავი მოიკლა. ისეთი შემთხვევებიც იყო, როდესაც განსაცდელში ჩავარდნილი გლეხები იძულებული იყვნენ ამ ძალმომრეებისათვის მთელი თავიანთი ქონება მიეცათ. თურმე ეს პირუტყვები სოფელში ბევრ ქალზე იჩენდნენ ძალადობას.

ამ უკანასკნელ დროს კი ძინმა და სინმა წინანდებურად აიხსნეს აღვირი. ისინი მოლაშქრეებს აგზავნიდნენ ტყეში თავისთვის შეშის დასამზადებლად, ზოგიერთ გლეხს კი ძალას ატანდნენ, სრულიად უსასყიდლოდ დაემუშაებინათ მათი ყანები თესვიდან მოყოლებული — მოსავლის აღებამდე.

ძინისა და სინის თავგებობას საზღვარი არა ჰქონდა. ისინი იქამდე მიდიოდნენ, რომ თავის სასარგებლოდ აწყობდნენ ფულის აკრეფას. იმ შემთხვევაში კი, თუ ვინმე პროტესტს გამოაცხადებდა მათ უკანონობაზე, ძალას ატანდნენ მოლაშქრეებს, უდანაშაულო ხალხი შეებოჭათ.

კრებამ შუალამემდე გასტანა. ძინის და სინის მიერ ჩადენილი ორმოცდაათამდე დანაშაული გაიხსნა. ლიუძიაძიას სოფლის მცხოვრებთა კრების ოქმის საფუძველზე რაიონის სამმართველოს თავმჯდომარემ ეს დანაშავენი ბაღრაგის თანხლებით მაზრაში გაგზავნა.

მაზრაში ამ საქმის გარჩევის შემდეგ მიუსაჯეს ძინ ვანსა და სინ ვანს თითოეულს თხუთმეტი-თხუთმეტი წლით პატიმრობა და ამას გარდა თანასოფლელებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება დაავალეს.

ანაირად დამთავრდა ამ ორი წურბელას ფართაში.

როდესაც გლუხებმა გაიგეს ამ ორი პარაზიტისათვის სამაზრო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, სულ მოითქვეს. რამდენიმე ხნის შემდეგ, მთელი სოფლის გამგეობის გადარჩევა მოხდა, ამ ჯერად მწარე გამოცდილების მქონე მცხოვრებლებმა არ მისცეს ხმა საევეო რეპუტაციის მქონე ადამიანებს და მათ მაგიერ საიმედო პატროსანი მშრომელები წამოაყენეს.

ამ დროს სამშობლოს დაცვის ქალთა კავშირის ხელმძღვანელობის გადარჩევაც მოხდა და თავისთავად იგულისხმება, რომ ძინ ვანის ცოლი მაშინვე იყო გადაყენებული.

კრებანე ის ტუჩების მანჭვით ინანიებდა თავის შეცდომებს და თავგამოდებით ჰპირდებოდა ხალხს, რომ ამიერიდან უსათუოდ გამოსწორდებოდა. მაგრამ ამ მელას დრო წავიდა, მისი თარეში დამთავრდა.

სოფელ ლიუძიაძიაოში ახლა ბევრი რამ გამოიცვალა. ორმა ჯადოქარმაც კი — ერ კუნ მინმა სან სიან-გუმ — სხვანაირად იწყეს ცხოვრება.

სან სიან-გუ, რაიონის სამმართველოდან დაბრუნების შემდეგ, მწარედ იფონებდა ნახევარი დღის განმავლობაში მთელი ჯგუფი ქალებისაგან სასტიკ დაცინვას და როგორც იქნა, მიხვდა, რომ მისი ცხოვრება მთლად ცარიელი და უაზრო იყო.

მას ისევ ესმოდა ყურში თავმჯდომარის სიტყვები: „შენ ორმოცდახუთი წლისა ხარ, შეხედე შენს თავს, ადამიანსაც აღარ ჰგავხარ!“ ახლა სულ სხვა თვლით დააკვირდა სარკეში თავისთავს, მერე გადახედა თავის მოკაზმულობას, რომელსაც ასე დაცინოდნენ ქალები და თავის ტანსაცმელი, მართლაც, მეტად აჭრელებულად მოეჩვენა. სან სიან-გუ თითქოს ცუდი სიზმრიდან გამოფხიზლდა.

— მართლაც მახინჯი ვყოფილვარ ამ ტანსაცმელში, — გაიფიქრა მან და მხოლოდ ახლა შეიგნო, რომ მას ღირსი ქალიშვილი ჰყავს, რომელიც ახლა თხოვდება. — ნუთუ მე კიდევ განვადგრძობ სასაცილო თვალთმაქცობას? მე ხომ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ამ ჯამბაზობით საკუთარ თავს არა ვგავდი. არა, ამას ბოლო უნდა მოეღოს!

ასეთი ფიქრების შემდეგ მან მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება. სწრაფი მოძრაობით მოიგლიჯა თავიდან სამკაულები, ჩამოიხსნა ატლასის ლენტე. ოდესმე მისთვის საყვარელ ნივთებს, რომლითაც აქამდე გულმოდგინედ იმკობდა თავს, მიჰყვენენ მისი დაფოთილილი მაშები, ზიზღით მოიცილა ყველაფერი და უბრალო, სადა კაბა ჩაიცვა, როგორსაც სოფელში ყველა ხანშიშესული დედაკაცი ატარებდა.

სამოსელგამოცვლილმა სან სიან-გუმ ახლა თავის საკურთხეველს შეხედა. „ოცდაათი წლის წინათ დავდგი ეს საკურთხეველი, — ფიქრობდა ის, — ოცდაათ წელიწადს ვეწეოდი მისნობას და წესებს ვასრულებდი, და თურმე ახლა ეს არავის სჭირდება“. სან სიან-გუ შეუდგა ამ „წმინდათაწმიდის“ დამსხვრევას.

სევდა თუ სინანული იხატებოდა სან სიან-გუს სახეზე, როდესაც შარავანდედმოცილი მისანი ქალი იშორებდა ამ კერპთაყვანისმცემლობის უკანასკნელ ატრიბუტს. ხუმრობაა, ოცდაათი წლის განმავლობაში ეს საკურთხეველი მას პირწმინდად ემსახურებოდა ახლა კი მას თითონვე ამსხვრევდა!

ანაირად, ახალი წესწყობილების გავლენით, ხალხის გაკაცებით გულნატრენმა დედაკაცმა უარპყო თავისი ცრუმორწმუნეობა.

ერ ჯუ-გე ვერაფრით ვერ დამშვიდდა. მან ჯერ კიდევ ვერ მოიშორა ბედისწერის წინასწარგაჭების აკვიატე-

ბული სურვილები. და ისევ უმეორებდა ის თავის ბებრუხუნას უაზრო წინასწარმეტყველებას, რომ ერ ხეის ტინზე დაქორწინება ეწინააღმდეგება ბედისწერის ყოველგვარ ნიშანს. წინათ მოხუცი ქალი ითმენდა ყოველივე ამას, მაგრამ ახლა ვეღარ გაუძლო და ისევ დაუწყო ქმარის დატუქსვა, რომ ერთი დაკვრით დაამსხვრია ქმრის ყოველგვარი საბუთები.

— აქედან დამეკარგე, — დაუყვირა მან ქმარს, — და თან გააქრე ეს ეშმაკეული წიგნი, თორემ მე თვითონ გადავისერი სადმე, ან ცეცხლში დავეყავ. ამ წიგნის წყალობით არ ცრუობდი, რომ ამჯერად ერ ხეი შინ არ დაბრუნდება? ისეთი შიშის ზარი დამატეხე, შეილიყო კი საღად და უენებლად დაბრუნდა შინ. აქედან დაიკარგე და ზალხს თვალს ნუ უხვევ. შენგან არავითარი სარგებლობა არ არის, — დააბოლოვა ცოლმა ეს უჩვეულო გამოსვლა ერ ჯუ-გეს წინააღმდეგ.

— მე ახლა დიდი ყურადღებით დავაკვირდი ამ ქალიშვილს, — სიხო ტინს, — განაგრძო მან, — და მივხვდი, რომ ის ძალიან კარგია და ჩვენი ერ ხეის შესაფერისია. რისი ბედი, რა ბედი!.. გეყოფა! ის წინასწარმეტყველება ხომ არ დაგავიწყდა რომ „დღეს თესვა არ შეიძლება“, — შეახსენა დედაბერმა საძულველი სიტყვები, — ამის შემდეგ, მაგ ეშმაკეული წიგნის წყალობით, ცრუობს თავს კიდევ არ ანებებ?

ერ ჯუ-გემ დაინახა, რომ მისი ბებრუხუნა საბოლოოდ ხელიდან წავიდა.

„თუ ჩემს საკუთარ ცოლს არა სჯერა ჩემი წინასწარმეტყველებისა, მაშ გარეშე ზალხისაგან რაღას უნდა ველოდე“, — გაიფიქრა მან.

სამპართველოდან თავიანთ ოჯახებში დაბრუნებულებმა სიხო ტინმა და ერ ხეიმ დაინახეს, რომ მათი ბებრების განწყობილება გამოიცვალა და გამოკეთდა მეზობლები კი ყოველთვის

მათ უჭერდნენ მხარს და ახალგაზრდა წყვილს ახლა უფრო უკმაყოფილოდ უყურა თავი. მოხუცებმა სვეტებით დაწყვირეს იარაღი და გულისწყრომა ლობიერებით შესცვალეს, ახლა ოჯახური ზნეობის ხომალდი ახალი ცხოვრების მდინარეებში შეუშვეს, — იმ მდინარეებში, რომელმაც აღმოთხვრა ძველი ტრადიციები და ცრუმორწმუნეობის ძირფესვები.

ერ ხეის დაქორწინება მზეთუნახავ ტინზე ახლა უკვე არამართო ამ წყვილის სურვილით მოხდა, არამედ ორივე მხრიდან მშობლების თანხმობითაც.

ახლადდაქორწინებულთა სიხარულს და ზეიმს საზღვარი არა ჰქონდა. სოფელში ლაპარაკობდნენ, რომ ასეთი ბედნიერი წყვილი, როგორც ერ ხეი და სიხო ტინია, არასდროს არა ჰყოლიათ.

ერ ხეი და მისი ახალგაზრდა ცოლი ხშირად იგონებდნენ თავისი ცხოვრების ნაღვლიან ხანასა და ახლა იმ განვლილ მწუხარებას მხიარული ხუმრობის საგნად აქცევდნენ. სიხო ერ ხეიმ კარგად დაიხსოვა თავისი სიდედრის უკანასკნელი ლოცვის სიტყვები, რომლებიც მან უხეირო მამვალობის წინ წარმოთქვა და ამ სიტყვებს ახლა ყოველგვარ კილოზე იმეორებდა მხიარულად. ხშირად გააფონებდით მისგან, როგორ მღეროდა „ჩემი ქალიშვილის ბედი ცაშია გადაწყვეტილი, კაპიტან უ-ს მეუღლე გახდება“. სიხო ტინს კი სიცილის გარეშე არ შეეძლო გაეხსენებინა მამამთილის მდგომარეობა, როდესაც ის რაიონის სამმართველოს თავმჯდომარის წინ იდგა და ემუდარებოდა, აეცილებინა ერ ხეის და სიხო ტინის ქორწინება, რადგან ეს კავშირი „ბედისწერას ეწინააღმდეგებოდა“.

სიხო ტინისა და ერ ხეის სიცილი ხშირად ქუჩამდეც აღწევდა. ცნობისმოყვარე ბავშვებმა გადაწყვიტეს, ჩუმად დაეგდოთ ყური და გაეგოთ, რის

გამო მხიარულებდნენ ასე. ახლად დაქორწინებულნი. ბავშვებმა მალე დაიზებირეს ეს ფრაზები და გადაწყვიტეს ყოფილ ორ ჯადოქარზე თავიანთი ძველი დაცინვა ამით შეეცვალათ.

სან სიან-გუს რომ შეხვდებოდნენ, ახლა ამგვარად დაუმღერებდნენ მისი უკანასკნელი ლოცვის სიტყვებს: „ბე-

დისაგან გადაწყვეტილია, ვის უნდა მისთხოვდეს ქალიშვილს? **კონსული** ერ-გუ-გეს შეხვედრისას: **ქვი და უდ-გრომელი** ბავშვები ასე გაიძახოდნენ: „ბედისწერის წინააღმდეგ ვერ წახვალ“.

თარგმანი პ. კახაბაძისა

იანოზ რინლი*

XVI

მიდიოდა ზღვაზე გემი,
 გაეშალა თეთრი აფრა,
 გემზე იჯდა იანოზი,
 უბერაედა ქარი მძაფრად.
 მიდიოდა გემი სწრაფად,
 ვერ აკრთობდა ღელვა ვერსად,
 მაგრამ ფიქრი იანოზის
 ჰქროდა გემზე უსწრაფესად.
 სატრფოსთან იყო ვაჟაკის
 გული, ფიქრი და გონება,
 გულში ამბობდა: „ილუშკას,
 მიეუტან ამდენ ქონებას,
 მან არც კი იცის საბრალომ
 გემით რომ მისკენ ვიჩქარი,
 გამომეგებოს საქმაროს,
 ფართოდ გამიღოს კიშკარი.
 შინ მივალ გამდიდრებული,
 მის ვასახარად ვბრუნდები,
 დაილეწება წვალების
 და სიღარიბის ხუნდები.
 ერთმანეთს აღარ შევხედებით
 ქურდულად, როგორც მპარავი,
 ჩვენი ცოლ-ქმრობის დამშლელ
 აღარ იქნება არაფერი.
 თუმცა მტანჯავდა გამზრდელი,
 მეცხვარე ავი ბებერი,
 სამაგიეროს მიგება
 არა მსურს, აღარ შემფერის.
 და ზოგი ჭირი კაცს თუ რგებს,
 დღეს თუ გამეხსნა ცისკარი,
 ამ ჩემი ბედნიერების
 მიზეზი სწორედ ის არი.
 ჯილდოს ღირსია, თუმც მცემდა
 ჯიხს სულის ამოხდომამდის“.

ასე ფიქრობდა იანოზ,
 წყალს შიამობდა ხომალდი.
 მსჭქროდა, არ ილგოდა
 მანძილი გასაოცარი,
 რადგანაც ფრანგთა ქვეყნიდან
 უნგრეთი ძლიერ შორს არი.
 ერთხელ მწუხრისას ჩამოცხა,
 არსით იძეროდა სიო და
 მკერდგაღელილი იანჩი
 გემბანზე მიმოდიოდა.
 უ მყოფებს უთხრა მესაქემ,
 შეწუხებულის იერით:
 ცა წითელია, ხვალ ალბათ
 ქარი იქნება ძლიერი.
 ქარიშხლის ფიქრი იანოზს
 სხვებმავეთ არა სტანჯავდა,
 მის თავზე გამწკრივებული
 გუნდი მიფრენდა ყანაათა.
 დღეებადთელილი ზაფხული
 თავს შემოდგომას უხრიდა,
 ალბათ ყანჩები მოფრენდნენ
 იანჩის მშობელ კუთხიდან.
 აღტაცებული გასცქერდა,
 მხარი მხარს როგორ მოაბეს,
 გაფრენილ ყანჩების გუნდი
 ჩასთვალა კარგის მოამბედ.
 თითქოს მათ ამბავს ამბობდნენ,
 ვინც მას მიაჩნდა თავისად:
 სატრფოსას, სამშობლოსას,
 ამდენხნის უნახავისას.
 დღე რომ გათენდა მეორე,
 ასრულდა აედრის ნიშანი,
 გრიგალი გაჩნდა ძლიერი,
 შუქი დაბნელდა ცისანი.
 როგორც ქარისგან დამრული
 თვალუწვედენელი ჯეჯილი,
 ისე დაიძრა ზღვის ტალღა
 მრისხანე. თმაჯაწილი.

* დასასრული, იხ. მნათობი, № 2.

ერთიმეორეს ზვირთები
 გემს ნაფოტივით ესროდნენ,
 გემზე მყოფები შეშინდნენ,
 გამოცდილები ესოდნენ.
 ხედავდნენ განწირულები,
 არსაით იყო საშველი,
 ღონე და ძალა არ იყო
 ზღვისათვის ღელვის დამშლელი.
 ცა იყო გასაოცარი,
 სულ შექჩამქჩალი, სულ ბნელი,
 თითქოს უეცრად დაღამდა,
 ჩამოწვა შავი ღრუბელი.
 უცებ იქუხა. ზედიზედ
 ელვამ გასერა უკუნი,
 მები გემს მოხვდა, გაისმა
 ქვეყნის დამქცევი გრუხუნნი.
 ნაფოტ-ნაფოტად მიჰქონდა
 ზომალდი წყალს დამსხვრეული,
 ხანდახან ჩანდა ტალღებში
 დაღუბულ მგზავრთა სხეული.
 რა დაემართა იანოშს,
 როცა ზღვამ დანთქა სუყველა?
 ისიც ზვირთებმა დაფარეს,
 თუ თავს რითიმე უშველა?
 თითქმის გაპყროდა სიცოცხლე,
 სიკვდილს ჩაველო მარჯვენა,
 რომ უცებ გადაეფარა
 ცის კალთა გადასარჩენად.
 დაიხრილობოდა, მხსნელად რომ
 არ მოვლენოდა მას ზეცა,
 ბეწვზე გადარჩა ვაჟკაცი,
 ზღვის ფსკერი კუბოდ არ ექცა.
 სულ მალა სწევდნენ, ცისაყენ,
 იანოშს მღვრიე ზვირთები,
 შავად მოგრაგნილ ბნელ ღრუბელს
 თითქოს სწვდებოდა თითები.
 წამით რომ ტალღა ამაღლდა,
 წამომართული ქორივით,
 იმ ღრუბელს ეცა იანჩი,
 ხელი ჩაავლო ორივე.
 ჩასქიდა, აღარ გაუშვა,
 თუმც ქარმა დიდხანს არწია,
 სანამ იმ შავმა ღრუბელმა
 ზღვის ნაპირს არ მიაღწია.
 აქ ძირს დაეშვა იანჩი,
 სადაც კლდე იყო მაღალი,

მიწაზე დადგა დაღლილი,
 ზვირთისგან ზვირთზე, ნახალი.
 უკვირდა: როგორ გადარჩა
 ღელვამ არ იცის დანდობა,
 ხელი ალაპყრო ცისაყენ,
 ზეცას შესწირა მადლობა.
 რაც ოქრო ჰქონდა, დაჰკარგა,
 ზღვას დარჩა ღელვის ალაფად,
 რაჟი ცოცხალი ვადარჩა,
 დანაკარგს თვლიდა არაფრად.
 მარტოკა იდგა სალ კლდეზე,
 თვალთ მთავლო ერთხელაც:
 ფასკუნჯის ბუდე შენიშნა
 კლდის წვერზე ვეებერთელა.
 მართებებს აჰმევედა ფასკუნჯი,
 უშიშრად იყენენ ყველანი,
 გულში იფიქრა ვაჟკაცმა:
 ვიშოვე კარგი მერანო.
 ფეხაკრეფით მიეპარა,
 ისეუბა და ბარაქალა!
 წამსვე ზურგზე შემოახტა,
 გონზე მოსვლა არ აცალა,
 დეზი ჰკრა და უცხო ფრინველს
 შეუძახა ვაჟკაცურად,
 ფრთა გაშალა ფასკუნჯმა და
 ცისკიდური გადასცურა.
 გაუხედნელ კვიცსა ჰგავდა
 იანოშის უცხო რაში,
 სხვა მხედარი შეხვედროდა,
 ვადისროდა ციდან ზღვაში.
 მაგრამ იგრძნო გამოცდილი
 მხედრის ხელში დატყვევება,
 ხელით, ფეხით, მთელი ტანით
 შემორტყმოდა სალტეებად.
 მიფრინავდნენ, გადიქროლეს
 უთვალავი მთა და ველი,
 მხოლოდ ერთხელ დაინახეს
 მზის ამოსვლა სანატრელი.
 მზემ სოფელი გაანათა,
 სხივთა ჯარი შეესია,
 ძირს გამოჩნდა სამრეკლო და
 სოფლის მცირე ეკლესია.
 იანოშმა წამსვე იცნო
 თავის სოფლის არემარე,
 ფრთა შეასხა სიხარულმა,
 თვალზე მოსწყდა ცრემლი ცხარე-

ფასქუნჯს დაღლა დატყობოდა,
 თვალებს ირგვლივ აცეცებდა,
 ეშვებოდა, დასაფრენად
 დაბლა ადგილს დაეძებდა.
 და დაეშვა ძირს ფრინველი
 სოფლის ახლო, მცირე ბორცვთან,
 ფიქრს წაელო იანოში,
 დაბლა ნელა გადმოცოცდა.
 უკან აღარც მოიხედა,
 წინ გასწია აჩქარებით,
 სოფლისაკენ გაემართა
 კარგად ნაცნობ გზა-შარებით.
 „ოქრო-ვერცხლი აღარ მომაქვს,
 დავკარგე და დაეინავსე,
 მაგრამ გული სიყვარულით
 ძველებურად არი სავსე.
 ეს კი ყველა სიმღიდრეზე
 დიდია და პირველია,
 რადგან, სატრფოვ, ჩემთან შეყრა
 შენც ყველაფერს გირჩენია.“
 ამ ფიქრებში იანოშია
 სოფლის ნაპირს მიაღწია.
 ყველაგან იყო ძრიაბული,
 წიწილების წია-წია.
 გარახუნდა ღვინის კასრი,
 ურმის ჭრიალს მოჰკრა ყური,
 მიხვდა — სოფლად რთველი იყო,
 ლელვზე იჯდა მალაღური.
 იჩქაროდნენ ვენახისკენ,
 მოუხმობდა მკრეფლებს ზვარი,
 მან ვერ იცნო სოფლელები,
 ვერც მათ იცნეს უცხო მგზავრი.
 მიდიოდა, ორღობეში
 შედგა მგზავრი წამით ერთგან,
 მერე იქით გაემართა,
 სადაც სატრფოს სახლი ედგა.
 ჭიშკარში გაჰყო მარჯვენა,
 რომ გაეწია ურდული,
 ჭიშკარს აღებდა ცახცახით,
 ლელვისგან ყელგაგუდული.
 ვალო, გოცებისგან
 გაუფართოვდა თვალები:
 ილუშკას ნაცვლად ეზოში
 ნახა უცნობი ქალები.
 „სხვა ეზოში ვარ ნამდვილად“,
 თავისთვისა თქვა ჩურჩულით,

ისევ ჭიშკრისკენ შებრუნდა,
 ისევ გასწია ურდული.
 მაგრამ რად შედგა ნეტავე,
 ვის უნდა გაეხმეიანოს?
 „აქ ვის ეძებთო“, იქ მყოფმა
 გოგონამ ჰკითხა იანოშს.
 მან უთხრა, ვისაც ეძებდა,
 აუხსნა მოსვლის მიზანი,
 გოგონამ ერთი შეჰკვივლა:
 „ღმერთო, როგორ ვერ გიცანი!
 თუმცა კი როგორ გიცნობდი,
 როდი ვარ ისე ხნიერი,
 მზეც ისე მოგაკიდებია,
 შეგცვლია სახის იერი.
 შინ შემობრძანდით, ბატონო,
 თქვენი შეკითხვის პასუხად,
 ყველაფერს გეტყვი, რაც მოხდა
 მას შემდეგ, რაც თქვენ
 წასულხართ.“
 სახლში შევიდნენ, გოგონამ
 რბილ სელზე დასვა სტუმარი,
 თვითონაც დაჯდა და მოჰყვა
 ამ ამბავს, წამით მღღუპარი:
 „არ ვიცი, მიცნობ თუ არა, —
 გოგონამ თავი ასწია, —
 ხშირად დავდევდი ილუშკას,
 ბაღლი რომ ვიყავ პაწია.
 თქვენ ილუშკასთან გზედავდით,
 დარი იყო თუ ავდარი...“
 „გაძლად ჰყვები, მითხარ, ისა სჯობს,
 თვითონ ილუშკა სად არის?“
 „თვითონ ილუშკა სად არის?“ —
 სიტყვა გაუწყდა გოგონას,
 თავსა ხრის შეწყუხებული.
 თვალთაგან ცრემლი მოგორავს —
 „ნუთუ არ იცი, იანჩი,
 შენი ილუშკა სად არის?
 მოკვდა და ახლა საბრალოს
 შავი მიწა ქამს სამარის“.
 თითქოს უეცრად იანჩის
 მეზი დასცესო ზემოდან,
 კარგი რომ იჯდა რბილ სელზე,
 თორემ ძირს დაეცემოდა.
 თითქოს გულის დარღს იგლეჯსო,
 გულზე იტაცა მარჯვენა,

გაშტერდა, თავებრუ დაესხა,
 ცოცხლად არ სურდა დარჩენა.
 კარგა ხანს იჯდა მღუპარი,
 უენო, კრიჭაშეკრული,
 მერე კვლავ ალაპარაკდა,
 როგორც სიზმარში-ბედკრული.
 „სიმართლე მითხარ, ნუ მალავ,
 თუ ვინმე სხვისი ცოლია,
 თლონდ ნუ მეტყვი — მოკვდაო,
 დე, მითხარ, სხვას გაპყოლია.
 ცოცხალი იყოს, სხვას ჰყავდეს,
 დე, დარდი მკლავდეს უძირო.
 მე ჯილდოდ ისიც მეყოფა,
 შორიდან მაინც ვუტკირო.“
 გოგონა დუმდა, ვაჟაკმა
 თვალეზში ძრწოლით ჩახედა,
 პასუხი ამოიკითხა,
 სასოწარკვეთით გახედა.

VXIII

თავით დაემხო მაგიდას
 გაქვევებული, უბარი,
 ნიაღვრად წასკდა ცრემლები
 თვალეზში დანაგუბარი.
 დიდი ტკივილით ნატკენი
 უთრთოდა მთელი სხეული,
 ხმა გაბზაროდა, ხშირ-ხშირად
 ოხრავდა, როგორც სნეული:
 „რატომ ბრძოლაში არ მოვკვდი,
 რად არ დავეცი უსულოდ,
 რად გადავიჩიი, ზღვის დელეავ,
 რატომ არ დამნთქი, უფსკრული.
 რად გავჩნდი, დედის მუცელში
 უმალვე წყლად არ ვიქეცი,
 თუ ბოლოს ეს განსაცდელი
 მელოდა უსასტიკესი.
 თითქოს უსახლოო ტკივილი
 გაძღა ვაჟაკის წვალებით,
 თავი აიღო იანჩიმ,
 მთხრობელს მიაპყრო თვალეზი:
 „მითხარ, რით მოკვდა ილუშკა,
 გთხოვ არათფერი დამალო.“
 „დარდმა და ცუდმა ცხოვრებამ
 გადაიტანა საბრალო.
 თქვენს არ ყოფნაში კაპასმა,
 ბოროტმა დედინაცვალმა

მოიღწო, ლანდად აქცია,
 იმდენი ტანჯა, აწამა.
 მაგრამ თავადაც მიეზღო,
 ბოროტის ბოლო ეს არი,
 კარდაკარ დადის, მათხოვრობს
 ხელეზგაწედილი, მკენესარი.
 სულ თვალწინ ჰყავდით, ენაზე
 ეყრა თქვენი სახელი,
 სიკვდილის წამსაც გლოცავდა,
 თვალეზში ედგა ნალველი.
 ამბობდა: „ჩემო იანჩი,
 შენს შეყრას კიდევ მოველი —
 იმ ქვეყნად მაინც შეგხვდები,
 ამ ქვეყნად შენზე მლოცველი.“
 თვით ვნახე, სული ბედშავმა
 შენს ხსენებაში დალია,
 დავმარხეთ, მისი საფლავი
 აქ ახლო არი ძალიან.
 დამარხვას ვინც კი დაესწრო —
 დაესწრო მთელი სოფელი —
 ყველა ტიროდა, თვალეზი
 ცრემლებით ჰქონდათ სოველი.
 „სად, რა ადგილას დამარხეთ
 ჩემი სიცოცხლის მშვენება?“
 „წავიღეთ — უთხრა გოგონამ —
 მე შემოძლია ჩვენება.“
 მივიდნენ ობოლ საფლავთან,
 გოგონამ მარტო დატოვა,
 საფლავს დაემხო ვაჟაკი,
 თავი რომ დაიმარტოვა.
 გოდებდა, თვალწინ ეხატა
 ილუშკას სახე ნათელი,
 ახალგაზრდული გზნების და
 სიცოცხლის გამოძახტველი.
 მის ცხელ გულს ახლა მიწა სკამს
 ცივი და მიუხაფარი,
 ცეცხლოვან თვალეზს, დიდ თვალეზს
 შუქს უქრობს ბნელი სამარის.
 მზემ გააბრწყინა დაისი,
 ჩაქრა, ჩავიდა ცეცხლთვალა,
 თვალის მომკრელი მზის შუქი
 მთვარის ნათელმა შესცვალა.
 მთვარე გამოჩნდა ღრუბლებში,
 ისიც ფერმკრთალი, მწუხარე,
 საფლავს მოსცილდა იანჩი,
 ცრემლი სდიოდა მღუღარე.

ერთ წამს უკანვე შებრუნდა,
საფლავთან თავი დახარა:
საფლავზე ვარდი შენიშნა,
ბუჩქი დაერგოთ პატარა.
დასწვდა, მოსწყვიტა კუკური,
მორიდებლად, ქურდულად,
მკერდზე გაირჭო საკინძმი,
თან ასე წაიდუღუნა:
„სატრფოს საფლავზე ნაზარდო,
მისი სისხლ-ხორცის ზიარო,
მუდამ თან უნდა გატარო,
სულ ჩემთან უნდა იარო.
შენცა ხარ მისებრ ობოლი,
სუსტი ხარ და ფერმიხდილი,
ვიართო ქვეყნის ბოლომდის,
სანამ არ მომკლავს სიკვდილი“.

XIX

მიდიოდა, გზად იანოზს
ორი ჰყავდა თანამგზავრი:
ერთი იყო სატრფოს ჯავრი —
დღედაღამე ჰკლავდა ჯავრი,
ერთიც ბასრი ხმალი იყო,
უხმარი და მეტი ბარგი.
ვით იანოზს დარდი ჰკლავდა,
ისე მის ხმალს სჭამდა თანგი.
ათასგვარი გზაა ქვეყნად,
მხარეც ნაირ-ნაირია,
ხეტიალში მთვარე ბევრჯერ
გაივსო და გაილია.
ზამთარს სცელიდა გაზაფხული
უგზო-უკვლოდ სიარულში,
ერთხელ თავის გულის წუხილს
ასე ეტყვის იანოზი:
„დარდო, ნუთუ არ მოგწყინდა
დღე და ღამე ჩემი ჯიჯგნა,
ზომ დარწმუნდი, რომ ვერ დამძლევ,
ბავშვი არ ვარ ერთი ციციქნა.
მამ გამცილდი, შენი ღონე
მასზე სცადე, ვინც სუსტია,
ვისაც შენი საშინელი
დარტყმა ჯერ არ განუცდია.
ზომ დარწმუნდი, შენგან ტანჯვით
არა კვდება კაცი თურმე,

შენ ის არ ხარ, მე ვინც მომკლავს,
სჯობს ხმა დროზე ჩაეჩუქე-
მე თუ მომკლავს შევბედებო
ან რაიმე განსაცდელი,
მათ მიემართავ: მომხედონ და
სასიკვდილო დამკრან ცელი“, —
ესა თქვა და ზურგი კიდევ
შეუბრუნა ჯავრს და სევდას.
დარდი ზოგჯერ მონახავდა,
განუყრელად თან არ სდევდა,
და მაშინაც არ უშვებდა
გულში წუხილს უშიშარი,
რადგან ჰქონდა დაკეტილი
სევდისათვის გულის კარი.
ცრემლგამშრალი, ქვადქვეული
მიდიოდა დიდხანს კიდევ,
თან სიცოცხლეს გაძაღლებულს
მიათრევდა კიდით კიდევ.
ერთხელ ტყის პირას მიმავალს
თავს დაჰყიოდა ყორანი,
შეჩერდა, ლაფში ჩაფლული
ნახა ცხენი და ფორანი.
მექოთნის იყო ფორანი,
ტალახი ადგა ღერძამდე,
წვალობდნენ, ცხენიც, პატრონიც,
ფორანს წინ მაინც ვერ ძრავდნენ.
თინხარი იყო მილიანად
ის დათარსული ალაგი,
მექოთნე სცემდა უწყალოდ,
ფორანს ვერ ძრავდა ჯაგლაგი.
მიუახლოვდა იანჩი,
მექოთნეს უთხრა სალამი,
მექოთნემ სახე იბრუნა,
მრისხანე, ოფლით ნანამი.
მფრთხალ ვინმეს შეაშინებდა,
თვალეში ჰქონდა იმხელა,
გაბრაზებულმა მიუგო:
„სალამისათვის ვის ცხელა?!“
„უგუნებოდ ხარ, რომ პასუხს
ვერ ამბობ აწონ-დაწონილს?“
„რა გუნებაზე ვიქნები
ამ ჩემი ცხენის პატრონი!
დილიდან ვურტყამ, ვის ესმის
ჩემი ტანჯვა და ვაება,

ვერ მოვაცილე ამ ტალახს,
 თითქოს ზედ ჯაპკვით დაებათ".
 "გულს ნუ გაიტეხ, ოსტატო,
 მაგ საქმეს ერთად ვუშველით,
 ისე გავწიო ფორანი,
 ერთიც არ გატყდეს შურტველი!
 ოღონდ ეს შარა სად მიდის?" —
 მალა ასწია მარჯვენა,
 ტყეს რომ მხარმარჯვნივ უვლიდა,
 ხელით ის შარა აჩვენა.
 „მაგ გზას ნუ შეითხავ, —
 მექოთინემ ხელი გაუშვა ავშარას —
 თავის დაღუპვა თუ არ გსურს
 ნუ დაადგები მაგ შარას.
 მაგ მხარეს ბუმბერაზები
 ცხოვრობენ, კაცთა მზარაენი,
 წასული ბევრი გვინახავს,
 დაბრუნებული არავენ".
 „ეგ ჩემზე იყოს, მსურს ვნახო
 ეგ კაცნი გაუგონარნი,
 ოღონდ ჯერ, ამ ტალახიდან
 ამოვათრიოთ ფორანი".
 ერთ წამში იყო ამის თქმა
 და მხრით ზედადგრის შიწოლა,
 ღრმა ტალახიდან ფორანი
 ბურთივით ამოისროლა.
 ისე ასწია ეს ტვირთი,
 თავზე თმაც არ შეირხია,
 გაკვირვებისგან მექოთინე
 გაშტერდა, დარჩა პირლია.
 თქმაც ვერ მოასწრო მადლობის,
 სულს ძლიეს ითქვამდა, ჩქარ-ჩქარა,
 გაშორდა უცხო რაინდი,
 დაადგა ნაცნობ გზაშარას.
 იარა, დიდხანს იარა,
 ხან ის გადახდა, ხან ესა,
 ბოლოს მიადგა რაინდი
 გოლიათების მხარესაც.
 საზღვართან წყალი დიოდა,
 აქ დღეუ ერქვა სახელად.
 სხვა ქვეყანაში მდინარეც
 არ იქნებოდა ამხელა.
 წყლის პირას იდგა მესაზღვრე
 გოლიათების ქვეყნისა,

მიხედა იანჩი, იმ ნაზარს
 მხარეში მოსვლა ედგრა,
 ბუნად არ ჩანდა მისი გეგმეფი
 რა ტანი ჰქონდა გოლიათს,
 უყურებს მის ტანს იანჩი
 და ციხე-კოშკი ჰგონია.
 გოლიათების მესაზღვრემ
 უცხო კაცს დაბლა დახედა,
 წარბები რისხევით აზიდა,
 ერთი დაჰყვირა თავხედად:
 „კაცთაგანია ნამდელიად,
 ფეხთან რომ გამოცაცუნა,
 ტერფები მექავებოდა,
 ამიხდა, გავსრეს კაცუნას".
 ნათქვამის ასასრულებლად
 მესაზღვრემ ფეხი ასწია,
 დიდ ფეხს იანჩის პირბასრი
 ხმალი დაუხედა პაწია.
 და გოლიათმა მცირე ხმაღს
 ფეხი დაადგა თუ არა,
 დაეცა, თავზე ქუხილით
 იანოშს გადაუარა.
 აიღბლად, იმგვარად დაეცა,
 რომ ხიდად გამომადგება,
 მაგის ვეება სხეულზე
 გავირბენ, სანამ ადგება".
 ეს გაიფიქრა და მყისვე
 სირბილით ზედ გაიარა,
 თითქოს დიდ ხიდზე გარბოდა,
 მესაზღვრის ზურგზე კი არა.
 ისე გავიდა წყალგაღმა,
 არ შერხებულა ერთხელაც,
 წყალში გართხმული მესაზღვრის
 სხეული ვეებერთილა.
 ხელი ამართა, ბუმბერაზს
 უცებ სხვა ვერა უყო-რა,
 ხმალივე დაჰკრა ღონიერად,
 ზედ კისრის ძარღვთან უსწორა.
 ველარ წამოდგა მესაზღვრე,
 ადგომა აღარ ეწერა,
 აღარ შეეძლო საზღვრისთვის
 თვალის მოვლება ერთჯერაც.
 შუქი ჩაუქრა მის თვალებს,
 დღე დაუბნელდა იმგვარად,



რომ აღარ იქნა, ცამ მისთვის
 კვლავ აღარ გამოიღარა.
 სისხლი სდიოდა ბუმბერაზს
 უზომო, გასაკვირველი,
 სისხლის ღვარისგან მდინარე
 შედგებდა, გახდა წითელი.
 რა დაემართა ჩვენს რაინდს,
 რა მოუვიდა იანოზს?
 ახლავ გვიამბობთ, ვისწრაფი,
 ლექსმა არ დაიგვიანოს.

XX

შედიოდა ღრმად, თანდათან,
 იანოში უღრან ტყეში,
 რაც იქ ნახა, მსგავსი რამე
 არ ენახა თავის დღეში.
 გაცეებით შეჰყურებდა,
 საზღვრის ღელეს გამომცდარი,
 ირგვლივ იყო ყველაფერი
 ზღაპრული და საოცარი.
 შეჰყურებდა ძირს დაფენილ
 უცხო ხეთა გრძელ ჩეროებს,
 თვით ხეებიც დიდი იყვნენ,
 ცას უწედენდნენ კენწეროებს.
 ხის ფოთლები უცნაური
 ჩანდა შორი მანძილიდან,
 თითო შეად კაცს დაფარავდა,
 წვიმა ისე გადავილიდა.
 უცნაურმა კოდოს ჯვარმა
 იქით-აქეთ გაიქროლა,
 რქები ჰქონდათ დაგრებილი,
 თითო იყო ხარის ტოლა.
 დაესივნენ იანოზს და
 გაუჩინეს საქმე მის ხმალს,
 გმირმა იწყო მათი ფლტა,
 ქვებზე მათი ტვინის მისხმა.
 ყვაეთა გუნდი დაფრინავდა,
 იყო მართლა სანახავი,
 მალა ცაში აფრენილი
 ცხრა მთას იქით ჩანდა ყვაეი.
 ხის ხმელ ტოტზე ჩამომჯდარი,
 შავი, როგორც ხანჭრის ბოლი,
 შორს ყვანჩალაც დიდი ჩანდა,
 უშველებელ ღრუბლის ტოლი.

მიდიოდა იანოში...
 უცებ, როგორც შავი ტყე
 მის წინ ზნელი ჩამოეშებ, მტლინი
 რაღაც ლანდი აღიმართა.
 ირგვლივ მზის შუქს აბნელებდა
 კოშკ-გოდლების ქარავანი,
 თურმე იყო გოლიათთა
 მეფის ციხე-გალავანი.
 ხელმწიფესთან ხალხის ნაცვლად
 ზღვის თუ იყო მიმოდენა,
 გოლიათთა ციხის კარი
 დიდი იყო, იმოდენა
 და თუ კოშკი დიდი იყო,
 გასაკვირი აქ რა არი,
 მცირე როგორ იქნებოდა
 ბუმბერაზთა მეფის კარი.
 დგას და ფიქრობს იანოში:
 „გარეგნულად ლამაზია,
 მაგრამ შიგნიც უნდა ენახო,
 შიგ რა ციხე დარბაზია“.
 არხეინად წინ წავიდა,
 არ აფრთხოებდა შიშის ზარი,
 ფეხი კრა და ფართოდ გასსნა
 უმძიმესი ციხის კარი.
 რაკი ის კარი შეაღო,
 დარბაზში მოხვდა ადვილად,
 ნახა, ბუმბერაზთ ხელმწიფე
 შეილებთან იჯდა სადილად.
 მაგრამ არ იტყვიოთ, რას სკამდნენ?
 რა იყო მათი სადილი? —
 წინ ეწყობთ დიდი კლდეები,
 სალი კლდეები ნამდვილი.
 რომ დაინახა იანოში
 მეფე — კლდეების მებეჩაეი,
 არ მოეწონა, უკანვე
 წასვლას ფიქრობდა ბეჩაეი.
 მაგრამ შეხედა უცხო კაცს
 ხელმწიფემ, მჯღადარმა სვიანად,
 სუფრაზე მიიპატიოა
 ამ სიტყვით, თავაზიანად:
 „პატივისცემა სტუმრისა
 არის მასპინძლის ბეგარა,
 რაკი მოსულხარ, აქ დაჯექ,
 სალი კლდე ყლავე ჩვენგვარად.“

მაგრამ, თუ სუფრას გვიწუნებ,
 თუ თავხედი ხარ ესოდენ,
 უნდა ერთ ლუკმად ჩაგყლაპოთ
 შენ თვითონ, როგორც შემცოდე.
 იანოშ მიხვდა, ხელმწიფის
 სიტყვა არ გავდა ზუმრობას,
 დათანხმდა, თუმცა არ სურდა
 გოლიათების სტუმრობა.
 თავაზიანად მიუგო:

„ქვის ყლაპვის არ ვარ ჩვეული,
 ვერ შეეწყობა ადვილად
 ასეთ კერძს ჩემი სხეული.
 მაგრამ თქვენ რაკი ისურვეთ,
 რომ ვიყო თქვენი სტუმარი,
 სიამოვნებით დაეჯდები,
 არ გავექტევი პურმარისს.
 მხოლოდ გთხოვთ, რადგან არა მაქვს
 პირი დიდ კლდეთა ჩამტევი,
 ნატეხ-ნატეხად მომეცით
 ლუკმად კლდის ჩამონამტერევი.
 მეფემ მაგარ კლდეს მოსტეხა
 ნატეხი უზარმაზარი,
 უთხრა: „ეს ჩვენი პურია,
 გასინჯე, ნახე რაც არი!“
 მერე მეორე ნატეხი

მისცა და უთხრა: „მწვადია,
 პურთან მიირთვი, სტუმარო,
 თუ პირის გემო გწვადია“.
 „ბელტიყლაპია არა ვარ,
 კლდეების ყლაპვით გაეწვალდე,
 გიჯობს შენ თვითონ ჩაყლაპო
 ეგ ჩვილი ბატკნის სამწვადე!“
 რისხვით შესძახა სტუმარმა
 ჰერმა გაიღო ზანზარი,
 „შიგ თავში ხეტოქა ბუმბერაზს
 სალი კლდე უზარმაზარი.
 მოხვდა თუ არა გოლიათს,
 სისხლმა იფეთქა თავიდან,
 მალა ჰერს ტვინი მიასხა,
 ძირს სისხლის ღვარი წავიდა.
 დაინვით უთხრა: „დაგადგა
 ყელზე ეგ შენი პურ-ღვინო,
 ველარ გაბედავ წყეულო,
 სტუმრებს რომ კვლავაც უღრანო“.

ბუმბერაზთა მეფე მოკვდა,
 ღონით, სიმხნით ღომის დარი,
 გოლიათთა ციხე-ქალაქს
 თავს დაატყდა გლოვის ხარი.
 მოთქმით, გულში მჯილის ცემით,
 გროვდებოდნენ დას-დასებად,
 თითოს ცრემლი იკმარებდა
 თითო ქვევრის ასაცებად.
 როცა მათში უხუცესმა
 დაასრულა ოხვრა, მოთქმა,
 გმირ იანოშს შეევედრა:
 „შეიწყალე ჩვენი მოდგმა.
 ოღონდ ყველას ნუ შეგვმუსრაე,
 თუ გსურს ჩვენი მეფე გახდი,
 თვითონ იყარ გვირგვინი და
 გოლიათთა მეფის ტახტი“.
 ყველამ ერთხმად დაიძახა:
 „ასეთია ჩვენი წესი,
 ჩვენს სათქმელს და გულის ნადებს
 ამბობს ჩვენი უხუცესი.
 ოღონდ ყველას ნუ დაგვხოცავ, —
 ყველა ერთხმად ეუბნება,—
 გმირო, ჩვენი მეფე გახდი,
 გვიმსახურე ერთგულ ყმებად“.
 უპასუხა იანოშმა:
 „აგისრულებთ თხოვნას, მხოლოდ
 თქვენთან დიდხანს ვერ დავრჩები,
 მიგატოვებთ შინაც ბოლოს.
 მალე წავალ, ჩალად მიღირს
 გვირგვინი და ფარჩეული,
 გყავდეთ ჩემი მოადგილეც
 დღეიდანვე არჩეული.
 მოადგილედ ვინც გინდოდეთ,
 ის არჩიეთ, ის დალოცეთ,
 მე ერთი მაქვს სათხოვარი,
 უნდა მტკიცე სიტყვა მომცეთ:
 როგორც სადმე განსაცდელში
 დამპირდება თქვენი შეველა,
 წამსვე, თქვენს ერთს ხსენებაზე
 უნდა გაჩნდეთ ჩემთან ყველა“.
 უხუცესმა ჰკადრა ისევ:
 „მეფევე, იყოს ნება თქვენი,
 სადაც წახვალთ, განუყრელად
 თან ატარეთ ეს სასტენი.“

როგორც დასტვენი, როგორც გვიხმობ,
 იქ გავჩნდებით ყველა ერთად,
 რომ უეცრად ზარი დავეცეთ,
 თავს დავატყდეთ შენთა მტერთა!“
 ჩამოართვა იანოშმა,
 ვით ძვირფასი რაჟე ჯადო,
 და ჩანთაში მედიდურად
 ის სასტვენი ფრთხილად ჩადო.
 მერე ისევ გზას გაუდგა,
 მიაცილეს ციხის კართან,
 მის წინ მუხლი მოიყარეს,
 დაუსველეს ცრემლით კალთა.

XXI

იარა, დიდხანს იარა,
 ბევრი მთა გადაიარა,
 გზა სულ ახალი ჩნდებოდა,
 გზის დასასრული კი არა.
 რაც უფრო შორს მიდიოდა,
 ნელ-ნელა მთად, თუ ბარადა,
 თანდათან შუქი ქრებოდა,
 თანდათან ბინდი ფარავდა.
 ბრმად მიიკვლევდა, არ ჩანდა
 გზაშარა ფეხით ნათელი,
 ან ღამე დადგა — უკვირდა —
 ან მე გამიქრა ნათელი!
 მაგრამ არც დაბრმავებულა,
 არც დღისით ღამე დამდგარა,
 ბინდის მხარეში მოვიდა,
 მიტომ ბნელოდა ამგვარად.
 მზე არსად ჩანდა, არც მთევარე,
 მიხვდა სიბნელით მოცული:
 მუღმივი ბინდის მხარეში,
 ბნელეთში იყო მოსული.
 ხმა ჩაესმოდა, თავს სწევდა,
 ბნელში ვერაფრის მზილეილი,
 შხუილით გაღაუფელიდა
 თავს უცნაური ფრინველი.
 ფრინველები როდი იყვნენ,
 წივილით და ერთი ზარით
 ცოცხზე მედარი მოფრინავდა
 კუდიანთა მთელი ჯარა.
 ვით ზალაპარნი ვაგონილა,
 გმირ იანოშს ჰქონდა წინათ,

აქ, ბნელეთში, ეშმაკებს და
 კუდიანებს ჰქონდათ ბრმა,
 და ყოველდამ ამ ადგილან
 თავს იყრიდნენ წყეულები,
 სიხარულით მოფრინავდნენ,
 როგორც ღვინოში წვეულები.
 აქ, ბნელეთის შუაგულში
 დღეს შეკრება ჰქონდათ, ალბათ,
 გრძელ ცოცხებზე შემსხდარები
 მოფრინავდნენ აქით სწრაფად.
 კლდის ქვეშ ხვრელში შეყრილიყვნენ,
 ცას სწვდებოდა ცეცხლის ალი,
 ხვრელის კარის ქუქურტანას
 დააშტერა გმირმა თვალი;
 აღზე თითქოს ირხეოდა
 ჰერი აბლაბუდიანი,
 რაც კი ქვეყნად ჯოჯო იყო,
 ან თარსი და კუდიანი,
 სულ იქ იყვნენ, ცეცხლის ირგვლივ,
 ჩანდა ყველა ჩამომსხდარი,
 იანოშმა დაინახა
 სანახავე საოცარი:
 ზოგი ხტოდა, ზოგი კიდევ
 ცეცხლს უვლიდა მალაყებით,
 ცეცხლზე დიდი ქვაბი იდგა,
 სავსე იყო ბაყაყებით,
 სავსე იყო ვირთხებით და
 უნასების მთელი გუნდით,
 ეშაფოტის ხავსითა და
 დაგრეხილი კატის კუდით.
 სისხლიანი ბალახები
 ზედ მიჰკროდა კაცის ტუჩებს,
 ერთმა აზრმა გაიელვა
 იანოშის თავში უცებ:
 „რაც ბნელეთში ეშმაკია,
 ან რაც მათი ამქარია,
 ყველა ერთად შეკრებილა,
 თავმოყრილნი აქ არიან!“
 აქ იქნება მათი მეფეც,
 მათი ერთად თავმომყრელი?..
 რომ სასტვენი ამოეღო,
 ჩანთისაკენ გაჰყო ხელი.
 მაგრამ უცებ ხელში რაღაც
 სველი მოჰყვა, დამონძილი,

შეხტა, თითქოს უცაბედად
 დაურღვიეს მყუდრო ძილი.
 დააკერდა, როცა იცნო,
 აღარ გაუოცებია,
 ხედას: ცაში გასაფრენი
 კუდიანთა ცოცხებია.
 იანოშმა ეშმაკები
 გადაჰკიდა ხათაბალას,
 ცოცხებს თავი მოუყარა
 და შორს სადღაც გადაშალა.
 შემდეგ სასტვენს სტაცა ხელი,
 ვანა დიდხანს უბერავდა,
 წამსვე მასთან დაიბადა
 მთელი ჯარი ბუმბერაზთა.
 „ჰკა მაგასო!“ — შეუძახა
 და ხერელს ეცა მთელი ჯარი,
 იმწუთშივე ნაფოტებად
 იქცა დიდი ხერელის კარი.
 შენს მტერს, იქ რომ ზარი დადგა,
 ვინ იყოდა, ვინ ვის უსწრებს,
 გულგამსკლარი ეშმაკები
 გამოცეიფდნენ გარეთ უცებ.
 რადგან ჰქონდათ დაწყობილი
 ცოცხთა წყება კარის ძირში,
 იქ მოაწყდნენ, რომ არ დაბედათ
 მაშინ შექმნეს ვაი-ვიში.
 ბუმბერაზნი უყვიროდნენ:
 „საღლა წახვალთ, საითაო“,
 იქერდნენ და წიწილივით
 თავებს წყვეტდნენ საითითაოდ.
 ზოგს მიწაზე ანარცხებდნენ,
 ცას სწვდებოდა მათი კენესა,
 ზოგს ვეება ღებს ადგამდნენ
 მკბენარივით გასასრესად.
 ცაზე, როგორც კუდიანი
 სულს დალევდა რომელიმე,
 წამსვე შუქი იმატებდა,
 ნათდებოდა ბნელი მღვიმე.
 ბნელეთს ბინდი აკლდებოდა,
 ნათდებოდა ზეცა მუქი,
 ბოლოს მხარე მოლად განათდა,
 გააბრწყინა მზემაც შუქი.
 თითქმის გაწყდნენ ეშმაკები,
 ბოლოს ერთი დარჩა ობლად,

ერთადერთი კუდიანი
 ფარფატებდა საბრალოდობად.
 მას დააკვირდა იანში, გიგლიჩოვიჩმა
 მარტო რომ რბოდა ცანცალოთ,
 მაშინვე იცნო — ილუშკას
 კაპასი დედინაცვალი.
 „ამას კი არვის დაგიტოვებთ,
 მეც მოვერევი, მგონია!“
 დედაბრის გამოსაღლეჯად
 ხელებში ეცა გოლიათს.
 ეს თქვა და იქვე მოჰკლავდა,
 გაგლეჯდა თავ-კისრიანად,
 მაგრამ ეშმაკმა მის ხელში
 თევზივით გაისრიალა.
 გაუსხლტა, უცებ გაიქცა,
 ყველა ეშმაკი სწრაფია,
 — მოჰკალი! — დასწყვილა გოლიათს, —
 რას დგახარ, ბელტიყლაპიავე.
 ესლა უნდოდა გოლიათს?
 გაქცევა აღარ აცალა,
 ეცა და... სული გააფრთხო
 ილუშკას დედინაცვალმა.
 როგორც კი სული დალია,
 როგორც კი მოკვდა წყეული,
 წამსვე ილუშკას სოფელში
 დაეშვა მისი სხეული.
 მკვლარი იპოვეს, ახსოვდათ,
 გერი როგორაც აწამა,
 არ მიეყარა სოფელი,
 ლეში ყორანმაც არ სჭამა.
 ყველა გასწყვიტეს, ბნელეთში
 შუქი გაბრწყინდა მზეგრძელი,
 მზე ოქროს ტაბტზე დაბრძანდა,
 მელმთივე ბინდის შემცველი:
 იანშიმ ერთად შეკრიბა
 კუდიანების „ცხენები“,
 ცოცხთა კოცონი დაანთო,
 ცას მისწვდა ცეცხლის ენები.
 გამოსათხოვრად შეკრიბა
 ბუმბერაზების ლაშქარი,
 კვლავ ერთგულება მოსთხოვა,
 კვლავ სამსახური ამგვარი.

მათაც ხელახლა შეჰფიცეს,
დიდებას ჰქუზდნენ რაზმები,...
ერთ გზას რაინდი გაუდგა,
მეორეს — ბუმბერაზები.

XXII

მიდიოდა იანოში,
ცხრა მინდორი გადიარა,
არ ტანჯავდა აღრინდელი
მწუხარება, არც იარა.
თან საფლავზე მოწყვეტილი
მუდამ ჰქონდა ტურფა ვარდი,
დახედავდა ვარდს თუ არა,
შორდებოდა გულზე დარდი.
მუდამ, იყო გუნებაზე,
თუ ცოცხალი თავი ძულდა,
ტურფა ვარდი განუყრელად
გარკობილი ჰქონდა გულთან.
როცა ამ ვარდს დაჰყურებდა,
თვალში ედგა შექ-ნათელი,
რალაც გრძნობა ამშვიდებდა,
რალაც ტკბილი ერუანტელი.
მიჰყვებოდა გრძელ გზას ასე,
დაეღალა თუმცა მუხლი,
ერთ საღამოს, როცა გრძელ დღეს
მიეპარა ნელა მწუხრი,
მზე ჩავიდა სისხლიანი,
ვით ნადირი გარეული,
ცაზე მთვარე ამოვიდა
ფერმკრთალი და გაღეული.
მთვარის შექმა გაანათა
გზა გრძელი და ღამით ბნელი,
შედგა მგზავრი, იგრძნო წამით
დაღლილობა საშინელი.
სადაც შედგა, იქვე დაწვა,
ცივ მიწაზე დაღო თავი,
წამსვე ძილმა მოიტაცა
დაქანცული, საცოდავი.
არ იცოდა სად იძინებს,
ისე დაწვა ძირს დაღლილი,
ძველისძველი სასაფლაო
იყო თურმე ის ადგილი.

მიეწყებულ სასაფლაოს
აყლდა მზარუნველ კაცის ხელი,
ირგვლივ ყველგან შამბუნი
და სინემე საყვირელი.

როგორც დადგა შუალამე,
ეამი დიდი მყუდროების,
სამარხებმა კარი გახსნეს
თაყახილი კუბოებით.
წამოდგნენ მკედართა ლანდები
ღამეში თვალთა ცეცებით,
ზოგს ტანთ ეხვია სუღარა,
ზოგსაც ქათქათა ზეწრები.
მიწაზე დადგნენ თუ არა,
თამამად იწყეს ფარდაში,
დაბანგულს გააღვიძებდა
მათი ცეკვა და თამაში.
ისეთი ჰქონდათ ხმაური,
გეგონებოდა — ოშია,
მაგრამ იანოშს ღრმა ძილი
წამითაც არ გაკრთოშია.
ერთმა აჩრდილმა მიძინარეს
დახედა, ხელი ასწია,
შესძახა! „მოდიო, მოგროვდიო,
აგერ ცოცხალი კაცია!“
„როგორ გაბედა, გაებაროთ —
სუყველამ დასცა ყიფინა —
ასეთ დროს ჩვენს სამეფოში
სულიერთაგან ვის ძინავს?“
წრედ შემოერთყნენ ლანდები,
რომ გაეთანგათ მიძინარი,
რას დამართებდნენ იანოშს,
ამისა მთქმელი ვინ არა.
მაგრამ უეცრად სოფლიდან
გაისმა მამლის ყიცილიყო.
და წამსვე გაჰქრნენ ლანდები,
მათი დამქერი ვინ იყო.
მამლის ყიცილზე იანოშს
გამოეღვიძა კანკალით,
გათოშილიყო, მინდორზე
ქარი დაჰქროდა ანგალი.
მიმოიხედა, გაოცდა,
საფლავზე ჰქონდა ლოგინი,
ადგა და ნამძინარევი
კვლავ გზას გაუდგა ზოზინით.

XXIII

მთის წვერზე შედგა რაინდი,
 თვალი მოავლო მწვერვალებს,
 სახეზე უცებ რიყრაყის
 შუქი მოადგა ელვარე.
 ლამაზი იყო ქვეყანა,
 ნისლში რომ ჩანდა ბინდბუნდად,
 თვალს იტაცებდა ყოველი,
 რომელ მხარესაც მიბრუნდა.
 ცა ირზეოდა ცახცახით,
 მზისაგან ისარნაკრავი,
 შორს, როგორც ციცინათელა,
 სულს ლევდა ცისკრის ვარსკვლავი
 და როცა ერთად გასტყორცნა
 მზემ უთფალავი მაშხალა,
 ცაზე, ვით ღამის ბინდბუნდი,
 ცისკრის ვარსკვლავიც წაშალა.
 მზე ოქროს ტახტზე დაბრძანდა,
 ცეცხლივით ამობრაილდა,
 დაბლა უძრავად გაწოლილ
 ზღვას დააქვრდა ზვიადად.
 ზღვა მშვიდად იყო გათხზული,
 არ შერბეულა დილიდან,
 ჯერ ზვირთებს კიდევ ეძინათ
 დაუსრულებელ ძილითა.
 ზღვის ვრცელ ზედაპირს აჭა-იქ
 ზოგჯერ გაჰქონდა კანკალი,
 თევზი რომ ამოხტებოდა
 ელვარე, როგორც ხანჯალი,
 ზეამხტარ თევზთა ქვეციდი,
 დიდთა და პაწაწინათა.
 მზის სხივზე თვალის მომქრელად
 აღმასის მსგავსად ბრწყინავდა.
 ზღვის პირად ჩანდა მეთევზის
 ქოხი, ბადე და ფაცერი,
 იდგა მოხუცი მეთევზე,
 თეთრად ეფინა თმა-წვერი.
 ის იყო ბადე გამართა,
 სასროლად წამოიწია,
 იანჩი მიუახლოვდა,
 უთხრა: „სალამი, ბიძია!
 ზღვის გაღმა გადამიყვანე,
 ფეხი რომ არ დავისველო,
 ფული რომ მქონდეს, იცოცხლე.
 მოგცემდი, დარბაისელს.“

მაგრამ თუ ჩამსვამ უფულოდ
 ნავში, გაცნობილს შემოხვევით,
 მადლობას გეტყვი უზომოდ,
 თეთრ-წვერულვაშზე გემთხვევით“.
 „ფული გინდ გქონდეს, გინდ არა,
 ეგ არ მაფიქრებს სრულებით,
 უბრალო მებაღური ვარ,
 რად მინდა შენი ფულები!“
 სანამ ამ წყალში თევზია,
 თავს მულამ ჩავთვლი მდიდარად,
 საყოფ თევზს ვიჭერ ამ ბადით,
 მე მეტი არა მინდა-რა.
 მაგრამ შენ იცი, სადა ხარ?
 თუ გაგებხსაც არ ცდილობ?
 ოკეანესთან მოსულხარ,
 გზადაკარგულო ყმაწვილო.
 აქ ფული უსარგებლოა,
 სხვაგან ოცნების საგანი,
 გაღმა ვერ გახვალ, არა აქვს
 ამ წყალს არც სიგრძე, არც განი“.
 „ოკეანეაო? ეგ რა თქვი?
 ჰოი, სურვილო მაცდურო!
 რაც უფრო გასვლა ძნელია,
 მით უფრო მინდა გავცურო.
 წყალგაღმა გავალ უთუოდ,
 რაგინდ ვიწვალო, რამდენიც,
 გმირ გოლიათებს მოვიხმობ,
 თანა მაქვს ჩემი სასტვენე“.
 როგორც კი სასტვენს ჩაჰპერა,
 საიდან გაჩნდა იმ წამსვე,
 გოლიათთაგან ერთ-ერთი
 მის წინ განერთხო მიწაზე.
 „შეგწევს თუ არა ძალ-ღონე —
 გოლიათს ჰკითხავს იანომ —
 წყალგაღმა ისე გავიდეთ,
 წყალმა არ დავგაზიანოს?!“
 „ამ გუბებს ამბობ? გაგიყვან
 ფეხების დაუსველებლივ,
 შენ ოლონდ მხარზე შემაჯექქ,
 თმებში ჩამკვიდე ხელები“.
 მხარზე შეისვა იანჩი,
 როგორც პატარა თოჯინა,
 წყალში შევიდა მაშინვე,
 ნაპირზე არ ალოდინა.
 მიდიოდა ბუმბერაზი



მუხლის ძალას მინდობილი,
გოლიათის თითო ბიჭი
სიგრძით იყო თითო მილი.
მიდიოდა ბუმბერაზი,

ფართო მხრებზე ეჯდა გმირი,
სამმა კვირამ გაიარა,

არა ჩანდა ჯერ ნაპირი.

ერთხელ ნისლში იანოშმა
შორით მიწა დაინახა,

ალტაცებით ტაში დაჰკრა,
„ნაპირიო“ — დაიძახა.

მოუბრუნდა გოლიათი

წყლის შებფებით გაწუწული:

„ეგ ნაპირი როდი არი,
პაწაწინა ჩანს კუნძული“.

„ვისი არის ეს კუნძული,
ან აქედან ახლოს არი?“

„ფერიების სამეფოა

ეგ კუნძული საოცარი.

მაგ კუნძულის იქით უკვე

ალარ არი ზღვა და მყარი,
არც სიციცხლე, არც სიკვიდილი,
არაფერი ალარ არი“.

„ჩქარა, იქით წამიყვანე,
ერთგულს და ახლობელს,

უნდა ვნახო ის კუნძული,
ფერიების სამფლობელო“.

„მე გაგიყვან, არ მსურს გმირი,
შენ კამათი გაგიმართო,

მაგრამ გეტყვი, იმ კუნძულზე
მისვლა არი სახიფათო.

რადგან წყლიდან მისასვლელ გზას
იცავს მხეტია მთელი გროვა,

გიჯობს ადრე დაფიქრება
სინანულს და გვიან გლოვას“.

„ამის შენ ნუ გეფიქრება,
ბალღი არ ვარ საცოდავი,

რომ მარყუქში დასახრჩობად
მე თვითონვე გაეყო თავი“.

რას ეტყოდა გოლიათი,
იანოშის ჰქონდა რიდი.

კუნძულისკენ წააყვანა,

არ დასჭირდა მოვლა დიდი.

ნაპირთან რომ მიიყვანა,
ძირს ჩამოსვა გმირი მარდად,
დაეთხოვა და უკანვე
აჩქარებით გაემართა.

X XV

ფერიების სამფლობელოს
შესასვლელში, პირველ კართან,

არეინ ჩანდა, სამი დიდი
საშინელი დათვის გარდა.

მათ მიუხტა იანოში,

მათ აძგერა ხმალი მკაცრად,
როგორც იყო, სამივე მოჰკლა,

ხელიც არსად გაიკაწრა.

სამი დათვის ერთად მოკვლა
განა გარჯა არი ცოტა?!

შორს ლოგინი არ ეძია,
იქვე ახლოს გაიმოტა.

იქვე გაწვა, კარის ახლოს
გადებული ნახა ძელი,

თქვა: „დღეს სხეულს დაეასვენებ,
გზა მომელის ალბათ ძნელი“.

მეორე დღეს გზა განაგრძო,
წინ დაუხედა სხვა კარები,

ამ მეორე კარისაკენ
გაემართა აჩქარებით.

აქ ელოდა მეტი გარჯა,
სასტიკი და მკაცრი ომი,

რადგან ამ კარს დარაჯობდა
საშინელი სამი ლომი.

კვლავ ხმალს მისწვდა, გმირმა გულში
არ გაივლო მცირე შიში,

და ერთბაშად სამივეზე
მიიტანა იერიში.

ეცნენ მხეცნიც, მსგავსი ბრძოლა
არ ნახულა თავის დღეში,

მაგრამ ბოლოს სამივე ლომის
ძირს დაეცა სამი ლეში.

ფრთა შეასხა გამარჯვებამ,
ამაყობდა კიდევ გულში,

ამიტომაც დასვენება
არ ინდომა, როგორც გუშინ.

სახელოთი მოიწმინდა
შუბლზე ოფლის ნაკადები,

და მესამე კარისაკენ
 გაემართა დაქადებით.
 მაგრამ ახლო რომ მივიდა,
 შენს მტერს, მაშინ რაც მან ნახა,
 კარს იცაედა გველესაჲ,
 დაღებული ჰქონდა ხახა.
 კარის ზღრუბლზე ამორებდა,
 ცეცხლის ფრქვევით დაუღლედი,
 ძლიეს ერთ ლუკმად ეყოფოდა
 ხარ-კამეჩი ცხრაუღელი.
 თუმცა ჩვენი იანოში
 გამბედავი იყო დიდად,
 მაგრამ იქ აზრს მოიხმარდა,
 სადაც ხმალი არა სჭრიდა.
 მიხვდა, რომ მისი ფარ-ხმალი
 ვეშაპთან იყო უძლური,
 უნდა სხვა რამე ელონა,
 გზა რომ გახსნოდა კუნძულის.
 პირი დაალო ვეშაპმა, —
 ზმორებით — უზარმაზარი,
 იქ რომ სხვა ვინმე მდგარიყო,
 დაეცემოდა თავზარი.
 ჩასაყლაპავად ვეშაპი
 მისკენ იწედა ფაშფაშით,
 გამოექანა იანჩი,
 შიგ შეუვარდა ხახაში.
 შეძვრა ვეშაპის შიგანში,
 გული უპოვნა თუ არა,
 დაჰკრა და ხმალი პირბასრმა
 პირდაპირ შიგ გაუარა.
 წითელი სისხლი ავარდა,
 იტყოდო — ცეცხლის აღია,
 ერთი შებლაგვა ვეშაპმა
 და წამსვე სული დალია.
 მოჰკლა ვეშაპი ვაჟკაცმა,
 მით აისრულა ქაღილი,
 მაგრამ მუცლიდან გამოსვლა
 როდი შეიქნა ადვილი.
 სანამ არ გასჭრა მუცელი,
 ფატრავდა ხმალდაბლუჯული,
 ძლიეს გამოვიდა, იხილა
 გაბრწყინებული კუნძული.

ფერიათა სამეფოში
 სულ მზეა და კარგი დღეა
 იქ ზამთრის და შემოდგომის
 ერთხელ მომსწრეც არეინ არი.
 მზე არ ჩადის, არც ამოდის,
 არა ფარავს ცას წყველიადი,
 იქ უცვლელად გამუდმებით
 დგას მზიური განთიადი.
 იქ სიყვდილი არ არსებობს,
 სენი არეის ეტანება,
 ახალგაზრდა ქალ-ვაგისთვის
 დგას მუდმივი ნეტარება.
 მათ საქმელი არ სჭირდებათ,
 არც სასმელი ერთი წვეთი,
 სიყვარული არის წმინდა
 მათი საზრდო ერთადერთი.
 არ იციან, მწარე ცრემლი
 როგორ სწყდება განაწამებს,
 მხოლოდ ცრემლი სიხარულის
 წყდება ზოლმე მათ წამწამებს.
 და იმ ცრემლთა ბედნიერთა
 თვალუბიდან წყნარი დენა
 მიწის გულში ძვირფას მადანს —
 აღმასს აჩენს ფენა-ფენა.
 ფერიების თმის ზვეული
 შეეხება მიწას ოდეს,
 ოქროს მატნად გადიქცევა,
 ემატება ოქროს ზოდებს.
 და ის ოქრო მიწაში თვლემს,
 გაბნეული მთად და ბარად,
 მის ძებნაზე გადაგებულ
 კაცთა გულის გასახარად.
 იქ ბალღები თამაშის დროს
 საამურად იმღერიან,
 ფერიების თვალთა შუქის
 გვირგვინს წნავენ შედღფერიანს.
 როცა დაწენას მორჩებიან,
 სიხარულით ბრწყინავს ყველა,
 ციდან ცამდე გაჰკიდებენ
 კოხტად დაწულ ცისარტყელას.
 ია-ვარდის ლოგინი აქვთ,
 სურნელებით გაქლენთილი,

ამ ლოგინზე მწოლარესთვის
 ტკბილად მოჰყავთ ვარდებს ძილი.
 დამათობებელ სიოს ფრთებით,
 ფრენით მიჰყავს ძილს ფერია,
 მათ სიზმარში ყველაფერი
 ლამაზი და ცისფერია.
 ძინავთ, უესებთ გულს ზმანება,
 უფრო დიდი ნეტარებით,
 აჩრდილია მათი ცხადი
 მათ სიზმრებთან შედარებით.
 მათ ტკბილ სიზმრებს ოდნავ მოგავს
 ის პირველი გრძნობა კაცთა,
 გულს რომ გაჰკრავს სიყვარული,
 სულ პირველი ტრფობის განცდა.
 გონს ვერ მოეგო კუნძულზე
 ვაჟკაცი თავდაპირველად,
 მას ყველაფერი ეჩვენა
 ტურფად და გასაკვირველად.
 დამაბრმავებლად გაჰქონდა
 ვარდისფერ ნათელს კაშკაში.
 თამამად ვერც კი ახელდა,
 შეუჩვეველ თვალს ვაჟკაცი.
 რიდი არ ჰქონდათ ფერიებს,
 შემოხვევოდნენ იანიონს,
 თითქოს პატარა ბალები
 ახლობლის ირგვლივ ხტიანო.
 ტკბილი ვაუბებს ბაასი,
 გალობდნენ, როგორც ჩიტები,
 კუნძულის შუაგულისკენ
 სტუმარს გაუძღვენენ დიდებით.
 რომ დაიარა კუნძული,
 თითქოს სიზმარში ყოფილა,
 აზრმა მის მძინარ გონებას
 თანდათან შეჰქი მოჰფინა.
 და გაახსენდა ილუშკა
 სიტურფით სწორუბოვარი,
 ვერ შეიმაგრა მწუხარემ
 თვალეზზე ცრემლი მომდგარი.
 „აჲ, სიყვარულის კუნძულზე,
 ტრფობით სულდგმულებს ყოველი,
 მხოლოდ მე დავალ მარტოკა,
 ჩემივე ბედის მგმობელი.

ბუნქიც კი ბუნქს ეფერებდა,
 ფერაისკიდევ — ფერაისკიდევ
 აჲ მხოლოდ მე ვარ ბედნიერი“.
 სხვა ყველა ბედნიერია“.
 კუნძულზე იყო დიდი ტბა,
 უბრალო გუბე კი არა,
 ტბას ჩააცქერდა იანჩი:
 სარკეს მოჰგავდა, კრიალა.
 მწუხარეს თავის დახრჩობა
 უნდოდა ტბაში, აშკარად,
 ვარდი მოიძრო მკერდიდან,
 დახედა: უკვე დამჰქნარა!
 სატრფოს საფლავზე გაფურჩქნულ
 ვარდს ვაგის ცრემლი ესხურა,
 უთხრა: „სატრფოს გზა არ ვიცი,
 შენ უნდა მყავდე მეგზურად!“
 ეს თქვა და ვარდი უსულო
 ტბაში მოწყვეტით ისროლა,
 ის იყო, სურდა თავადაც
 ტალებში ვარდის მიყოლა,
 მაგრამ რა ნახა! როგორც კი
 ვარდს ზეირთი მოხვდა პაწია,
 გასაოცარმა ტბის წყალმა
 ვარდი ილუშკად აქცია.
 გულდამშვიდებით იანჩიმ
 ველარ უყურა ამ სურათს,
 ნაპირზე გამოსაყვანად
 მაშინვე მისკენ გასცურა.
 ტბა სასწაულის მომზდენი —
 ტბა იყო უკვდავებისა,
 მკვდარს აცოცხლებდა შეხება
 მისი უბრალო შხეფისაც.
 ვარდი ილუშკას საფლავზე,
 მის ნეშტზე იყო გაზრდილი,
 ტბამ გააცოცხლა იმ ვარდში
 მკვდარი სიცოცხლის ნაწილი.
 და მთლად გააცოცხლა ილუშკა,
 ვაჟს თვალზე ცრემლი ერევა,
 ვერა, ვერ აწერს კალამი
 იანჩის ბედნიერებას.
 გამოიყვანა ილუშკა
 და, ვით დიდი ხნის მწყურვალემ,

მის ტუჩზე დაღირსებულმა
 კოცნა აღბეჭდა მხურვალე.
 რა ტურფა იყო ილუშკა!
 კუნძულის ყველა ფერია
 გაცეხილი ამბობდა:
 „ეს წვეწვანე მშვენიერია!“
 და გადაწყვიტა მაშინვე
 კუნძულის ყველა მოთავემ:
 მეფე-დედოფლად ჰყოლოდათ,
 ტახტზე დაესვათ ორთავე.

იმ დღიდან ტახტზე სვიანად
 ზის იანოში მორკმული,
 ფერიებით და ვარდების
 სურნელით გარშემორტყმული.
 გვერდთ უზის თავის ილუშკა —
 ულამაზესი ფერია,
 მადლიერი ჰყავს ხალხი და
 თავადაც ბედნიერია.

თარგმანი ზრიგოლ აბაშიძისა

6. 3. პოპოლი

ბარდაცვალებიდან 100 წლისთავის გამო

★

მე-19 საუკუნის იმ დიდ შემოქმედლო- შორის, რომლებმაც რუსულ კულტუ- რას მსოფლიო სახელი მოუხვეჭეს, გო- გოლი ერთი პირველთაგანია. „რევიზო- რის“ პირველი დადგმით გამოწვეული სიცილის ეჭო რუსეთის ვრცელი ველე- ბიდან მთელს დასავლეთ-ევროპას გა- დაწვდა.

გოგოლის პირველივე დიდი მხატვ- რული ქმნილებების გამოქვეყნებას სა- ზოგადოება აღფრთოვანებით მიეგება.

მოწინავე ლიტერატურულმა კრიტი- კამ მასში შეიქცნა რუსული პროზის დი- დი და ბრწყინვალე ოსტატი. მისი შე- მოქმედებიდან ცხოველი რეალიზმის შუქი გამობრწყინდა.

გენიალურმა რუსმა მოაზროვნემ ჩერნიშევსკიმ ალტაცებული ქება უძღე- ნა „მკვდარი სულების“ ავტორს: „ჩვენ არ შეგვიძლია ქედი არ მოვიხაროთ მშვენიერი, მგზნებარე და კეთილშობი- ლი პიროვნების, ამ ახალი ფაუსტის წინაშე, — წერდა ჩერნიშევსკი, რომელ- საც სწავდა წყურვილი მალალი, უან- გარო მოღვაწეობისა... როგორი დიდიც არ უნდა იყოს შენი შეცდომანი, წამე- ბულო მწუხარე ფიქრისა, შენ მაინც იქ- ნები რუსეთის ერთი უკეთილშობილე- სი შეილი, უკვდავია შენი დამსახურება სამშობლოს წინაშე“.

გოგოლის ოცნება იყო, მისივე სიტყ- ვით რომ ეთქვათ, „შეეკრიბა ყოველივე უარყოფითი რუსეთში, რომელსაც იგი

იცნობდა და ერთბაშად დაეცინა ყვე- ლაფრისათვის“. თავისი შესანიშნავი ჰუმორით გოგოლი ვახდა ნამდვილი „მეუფე რუსული სიცილისა“.

გოგოლის შემოქმედებაში, ერთი მხრით, მთელი სისრულით აისახა ღრმა კრიზისი თვითმპყრობელური რუსეთის ბატონყმური სისტემისა და, მეორე მხრით, რუსი ხალხის დაუშრეტელი ენერგია და რწმენა დიდი მომავლისა.

ჩვენამდე მცირედად არის მოღწეუ- ლი გოგოლის ადრეული ლიტერატუ- რული ცდები. მისი პირველი ნაწარ- მოები „ჰანს კიუხელპარტენი“ ცალკე წიგნაკად გამოქვეყნდა 1829 წლის იე- ნისში პეტერბურგში.

ამ რომანტიკული იდილიის მთავარი გმირი სტოვებს მამის სახლს და მალა- ლი იდეებით გატაცებული მოივლის უცხო ქვეყნებს. მაგრამ მისი უნიადაგო ოცნებანი მალე დაიმსხვრევა და მას დაეუფლება გულგატეხილობა. ასეთი უიმედო და სევდიანი სულისკვეთებით უბრუნდება თავის კერას ეს „მწუხარე ნოგზაური“, რომელსაც არ აღმოაჩნდა ნებისყოფა, რომ საოცნებო დიდებას ოდნავ მაინც მიახლოვებოდა.

ახალგაზრდა მწერლის ამ ნაწარმოებ- ში უთუოდ იგრძნობოდა რომანტიკუ- ლი პოეზიის ცნობილი მოტივების მიმ- ბაძველობა. კრიტიკამ იგი შეტად უა- რყოფითად მიიღო. განსაკუთრებით მკაც- რი რეცენზია გამოაქვეყნა გოგოლის ამ პირველ ნაწარმოებზე ნ. პოლევოიმ „მოსკოვის ტელეგრაფში“.

გოგოლი ისე შეაშფოთა უარყოფით-მა რეცენზიებმა, რომ შეაგროვა თავის წიგნაკის მთელი ტირაჟი და ცეცხლს მისცა.

პირველმა ლიტერატურულმა მარცხ-მა გული საბოლოოდ მაინც არ გაუტეხა ახალგაზრდა მწერალს და ერთი წლის შემდეგ მან ეურნალში „ოტჩესტვენეი ზაპისკი“ გამოაქვეყნა „ბასავერიუკი ან ივანობის უქმის ძალი“.

ეს ნაწარმოები, რომელითაც პირველად გამოვიდა გოგოლი, როგორც პროზაიკოსი, ეურნალში ხელმოუწერლად დაიბეჭდა.

1831 წელს გამოქვეყნდა პუშკინის ხელის შეწყობით გოგოლის „სალამობი-დიკანკის მახლობელ ხუტორში“.

ამ კრებულით გოგოლმა მთელი რუსული მოწინავე საზოგადოების ყურადღება მიიქცია.

გოგოლის მხატვრული წერის მანერა ამ დროს უპირატესად რომანტიკულია. იგი ხარბად ეწაფება უკრაინის ხალხურ შემოქმედებას.

ამ დროს ჯერ კიდევ არ ისმის გოგოლის პოეტურ სტილიზაციებში მთელი სიძლიერით ის სევდიანი ჰუმორი, რომელმაც ასე აახმაურა მისი თანამედროვე რუსეთი.

„სალამობიში“ მკითხველს განსაკუთრებით იზიდავდა ხალხურობა, ღრმა ლირიზმი და ხატოვანი ენა.

„სალამობით“ გოგოლს შექჟონდა რუსულ პროზაში ახალი ელემენტი, პოეზიის ელემენტი და, შეიძლება ითქვას, რუსული „ლექსი პროზად“ გოგოლის თხზულებათა გავლენით ვითარდებოდა.

თუმცა „სალამობი“ რომანტიკული ხასიათის ნაწარმოები იყო, მაგრამ მასში უკვე მკაფიოდ ჩანდა რეალიზმის ხიშნები, რომლებიც მწერალმა შემდეგ უმაღლეს მწვერვალამდე აიყვანა.

პუშკინი აღტაცებით და განსაკუთრებული გულისხმიერებით შეხვდა გოგოლის ამ კრებულს: *ეს არის ნათელი მხიარულება, — წერდა იგი, — გულწრფელი, ძალდაუტანებელი, მანკუვარებისა და მედიდურობის გარეშე. და შიგადაშიგ როგორი პოეზია! როგორი გრძნობიერება! ყოველივე ეს ისე უჩვეულოა ჩვენი დღევანდელი ლიტერატურისათვის, რომ ჯერ კიდევ გონს ვერ მოვსულვარ“.*

ჩერნიშევსკი თავის განთქმულ „რუსული ლიტერატურის გოგოლის პერიოდის ნარკვევებში“ სიამოვნებით აღნიშნავს, რომ პირველი, ვინც გოგოლს გამოეხმაურა, იყო სწორედ პუშკინი.

ჩერნიშევსკის მოჰყავს პუშკინის ცნობილი აზრი გოგოლის შესახებ და დასძენს: „როგორი გულითადი სიყვარულით არის გაღვნილი ეს სატარია ახალი არაჩვეულებრივი ტალანტისადმი. და რა ბევრი რამ არის მასში ნათქვამი, მიუხედავად მისი პატარა მოცულობისა! როგორი სწორი და მოზონილია მასში ყოველი გამოთქმული! პუშკინს არ გამოეპარა ის სევედა, რომელიც შემდგომ გოგოლის ქმნილებათა არსებით თვისებად იქცა და რომელსაც ძალიან ცოტა ვინმე თუ ამჩნევს მის პირველ ჯერ კიდევ ცხოვრების სიხარულით გასხივოსნებულ თხზულებებში“.

1835 წელს გოგოლმა დაბეჭდა მოთხრობების ახალი წიგნი საერთო სათაურით „მირგოროდი“. ამ კრებულში განსაკუთრებით გამოირჩევა ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოები ისტორიულ თემაზე „ტარას ბუღა“. აქვე იყო მოთავსებული მოთხრობა „ევი“, რომლითაც ავტორმა თავის ფანტასტიკურ მოთხრობათა ციკლი შექკრა.

დიდი სიძლიერით იფეთქა გოგოლის რეალისტურმა შემოქმედებამ „მირგოროდის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ორ მოთხრობაში: „ძველი დროის მემამულენი“ და „ამბავი იმისა, თუ რაზე მო-

უვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან“.

ბელინსკიმ „მირგოროდის“ გამოსვლისთანავე გოგოლს უმადლესი ადგილი მიუჩინა რუსულ ლიტერატურაში. დიდმა რუსმა კრიტიკოსმა გოგოლი გვერდში ამოუყენა მსოფლიო ლიტერატურის კორიფეებს — ჰომეროსს, შექსპირს და გოეთეს.

„მირგოროდში“ მწერალმა პერსონაჟებად შემოიყვანა უბრალო ადამიანები ქვედა ფენებიდან. ეს კი გარკვეული ტენდენციას წარმოადგენდა კრიტიკული რეალიზმისა და ლიტერატურის დემოკრატიზაციის ხაზით.

ამ კრებულს მტრულად შეხვდა რეაქციული კრიტიკა. სეკოვსკიმ განსაკუთრებით დაგმო „ამბავი იმისა, თუ რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან“.

„მირგოროდში“ მოთავსებული ისტორიულ-გმირული ეპოპეა „ტარას ბულბა“ უკრაინის წარსულს ეხება.

მოთხრობის ცენტრში დგას სახალხო გმირი ტარას ბულბა, რომლისთვისაც უცხოა ქედის მოხრა მტრის წინაშე. მის გულში ღვივის დაუცხრომელი ცეცხლი სამშობლოს სიყვარულისა. ბელინსკი აღტაცებული იყო ბულბას გრანდიოზული სახით, იმ გოლიათური მოთმინებით, რომელიც მან გამოიჩინა ჯოჯოხეთური წამების დროს.

ტარას ბულბაში განსახიერდა ხალხის მოუტყეხელი ნებისყოფა თავისუფლებისადმი.

ბელინსკი „ტარას ბულბას“ შესახებ წერდა: „ტარას ბულბა“ არის ნაწყვეტი, ეპიზოდი ამოღებული ხალხის ცხოვრების დიდი ეპოპეიდან, — აღნიშნავდა ბელინსკი, — თუ ჩვენს დროში შესაძლებელია ჰომეროსული ეპოპეა, მაშინ აი, მისი უმადლესი ნიმუში, იდეალი... თუ ამბობენ, რომ „ილიადაში“ გამოსახულია ბერძენი ხალხის მთელი ცხოვრება მის გმირულ პერიოდში, მაშინ მხო-

ლოდ წარსული საუკუნის რიტორიკოსებსა და პიტიკოსებს შეუძლიათ აქრძალონ იმავე აზრის განმეორება ტარას ბულბას“ შესახებ...“

„ტარას ბულბა“ გამსჭვალულია უღრმესი ლირიზმით. ეს ლირიზმი მელანდრება არა მარტო ადამიანის სულიერი ცხოვრების რთული მომენტების ასახვაში, არამედ მშობლიური ბუნების უმშვენიერეს დასურათებაშიც.

გოგოლის უზადლო პეიზაჟით აღტაცებული ბელინსკი წერდა: — „... მე დამავიწყდა აღმნიშვნა კიდევ ერთი მისი თვისება. ეს არის ლირიზმი, რომლითაც გაყდნთილია მისი აღწერა ისეთი საგნისა, რომლითაც იგი გატაცებულია... თავის მშობლიური, საყვარელი მალროსიის აღწერისას იგი გვაგონებს ეაქს, რომელიც თავის დედას ეალერსება; გახსოვთ მის მიერ დნებრის უნაპირო ველებს აღწერა? როგორი ფართო და მოქნეული ყალამია! გრძნობების როგორი გაქანებაა, როგორი ბრწყინვალეა და სისადაეა ამ აღწერაში... ტრამალებო, რა მშვენიერი ხარტ გოგოლის შემოქმედებაში“.

გოგოლი ბუნების სწორუპოვარი მხატვარია. იგი დიდი ოსტატის ხელით, უდიდესი ლირიკული მღელვარებით გვისურათებს მშობლიურ ველებს, თავისი თვალუწყვენელი მშვენიერებით, ათასი ფერებითა და ხმებით აღსავსეს. აღსანიშნავია, რომ ბუნება მკიდრო ავშირშია მისი გმირების ემოციურ სამყაროსთან. გოგოლის გმირები ამ ზვიადი ბუნების შვილები არიან. მასთან შერწყმულნი, მის სტიქიაში გამოწრთობილნი.

სხვა ხასიათის მოთხრობებს წარმოადგენენ „ძველი დროის მემამულეები“ და „ამბავი იმისა, რაზე მოუვიდათ ჩხუბი ივან ივანოვიჩს ივან ნიკიფოროვიჩთან“.

ამ მოთხოვნებში გოგოლი მსუბუქი ირონიით ასურათებს გადაგვარების გზაზე დამდგარი მემამულური საზოგადოების წარმომადგენელთა კოლორიტულ სახეებს.

გოგოლმა დიდი მხატვრული ტაქტით გვიჩვენა, როგორ თვლემდა ეს საზოგადოება პატრიარქალურ-იდილიურ სიმშვიდეში და როგორ აქცევდა მცონარე ცხოვრება ადამიანს ცოცხალ ლეშად.

მოთხოვნაში „ძველი დროის მემამულეები“ ავტორი გვიხატავს ძველი თავად-აზნაურობის ტიპური წარმომადგენლების — მოხუცებული ცოლქმარის უფერულ და უმიზნო ცხოვრებას. მათთვის უცხოა ყოველგვარი საზოგადოებრივი ინტერესები, ისინი გულგრილი არიან ყველაფრისადმი, გარდა საკმლისა. აფანასი ივანოვიჩი და პულხერია ივანოვნა გონებრივი შეზღუდულობითა და უმეცრობით ბატონყმური ცხოვრების ღებღალი შვილები არიან. საშინელია ასეთი ადამიანების ცხოვრება, დამაფიქრებელი და შემადრწუნებელი, მაგრამ ავტორი თავის გმირებს მკაცრა სარკაზმით არ გვისურათებს; იგი ცრემლნარევი სიცილით გვიამბობს მათ შესახებ. გოგოლის ირონია აქ მსუბუქია, მაგრამ მამხილებელი—თავისი შინაგანი ძალით.

გოგოლის ჰუმორი, მისი ირონია უფრო გამძაფრებულია მოთხოვნაში — „ამბავი იმისა, თუ რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანჩის ივან ნიკიფოროვიჩთან“. მწერალი გვისურათებს ობივატურ წუმპეში მოქცეულ მებატონეებს, რომლებიც კმაყოფილებიან უშინაარსო, უაზრო დროსტარებით. მისი ცხოვრება შემზარავია თავისი უმიზნობითა და არარაობით.

„ძველი დროის მემამულეებში“: — როგორც ამბობს ბელინსკი, — თქვენ ხედავთ ცარიელ, საცოდავ, არარაობად ქცეულ ადამიანებს, მაგრამ ისინი კეთილნი და გულდიანი მაინც არიან...

ივან ივანოვიჩი და ივან ნიკიფოროვიჩი კი სრულიად ცარიელი არსებანია, არარაობანი და მასთან ზნეობრივად სწავლენი, რადგან მათში არაფერია ადამიანური“.

თუ როგორია მათი გონებრივი სიწულუნგე და ზნეობრივი სიღატაკე, იქედანაც ჩანს, რომ ეს ორი, მანამდე განუყრელი, „მეგობარი“ სამუდამო მტრად იქცევიან ერთი შემთხვევითი წამოძახილის გამო.

მოთხოვნის ფინალში მოცემული დაღვრემილი შემოდგომის სურათი საესებით ეხამება ავტორის ტრაგიკულ დასკვნას: „მოწყენილობაა ამ ქვეყნად, ბატონებო“.

ბელინსკიმ პირველმა მიუთითა გოგოლის რეალიზმის მამხილებელ ხასიათზე და მის სიცილს „ნალველნარევი სიცილი“ უწოდა. დიდი რუსი კრიტიკოსის გაგებით, გოგოლის ჰუმორი „არ ზოგავს არარაობას, არ მალავს და არ აღამაზებს მის სიმამხინჯეს, რადგან გაჯადოებთ რა ამ არარაობის გამოხატვით, მის მიმართ ზიზღს აღძრავს“.

1835 — 1842 წლებში გოგოლმა გამოაქვეყნა პეტერბურგის მოთხოვნების ციკლი, რომელშიც შედიოდა „ნევის პროსპექტი“, „პორტრეტი“, „შეშლილის წერილები“, „ცხვირი“ და „შინელი“. ეს თხზულებანი პეტერბურგის ცხოვრების შესახებ და აგრეთვე ორი მოთხოვნა „ეტლი“ და „რომი“ გოგოლმა 1842 წ. ერთად გამოსცა თავის თხზულებათა მესამე ტომად.

გოგოლის „პეტერბურგის მოთხოვნების“ ცენტრში ფულისა და ნივთის პრობლემა დგას. მხატვარი მძაფრ კოლოზიებში გვაჩვენებს საზარელ ძალას ფულის მეუფებისას, რომელიც სპობს ადამიანში სულის მშვენიერებას, კლავს ტალანტს, ამსხვრევს ოცნებას.

გოგოლი ყალმის ერთი მოსმით ახერხებს გადმოგვეცეს შემადრწუნებელი სულიერი ინდიფერენტობი პატარა მოხელისა, მისი უმიზნო, უსაგნო ცხოვრე-

ბა. იგი გვიხატავს დესპოტიზმის არტა-
ხეზში მოქცეული ადამიანის ტრაგიზმს
ამ მხრივ „კრებულში“ გამოირჩევა
„ნევის პროსპექტი“ და „პორტრეტი“.
რომლებშიც ავტორი მძაფრად გად-
მოგვცემს თავისი გმირების სულიერ
დრამას.

„ნევის პროსპექტის“ გმირი — მხატ-
ვარი პისკარევი რომანტიული ოცნებით
შესცქერის სინამდვილეს, მაგრამ პე-
ტერბურგის მერკანტილური საზოგა-
დოების ამორალური ცხოვრება სრუ-
ლიად ამსხვრევს ამ ოცნებას. ახალ-
გაზრდა ულამაზესი არსება, რომელიც
მან ნევის პროსპექტზე იხილა და იდეა-
ლად დაისახა, აღმოჩნდება ძველი ცხო-
ვრების უღმობელი მსხვერპლი — მეძა-
ვი ქალი. ამ სანახაობით შეძრწუნებუ-
ლი პისკარევი საშინელ ტანჯვას განი-
ცდის. ბოლოს იგი გადასწყვეტს თავისი
სახელი მსხვერპლად გაიღოს შეურაცხ-
ყოფილი და დამცირებული ქალისათ-
ვის, მაგრამ გმირი აქაც მარცხდება.
„ამის შემდეგ განა შეიძლებაოდა სიცო-
ცხლე თუ გნებავთ ოცნებებში? —
კითხულობს ბელინსკი, — მხატვარი და-
იღუპა და არაეინ იცოდა, როგორი
დრმა და საშინელი დრამა დატრიალდა
ამ ტანჯულ სულში“.

გოგოლი ამ მოთხრობაში თავის
ძლიერი ფუნჯით დახატა აგრეთვე ფი-
ლისტერული ცხოვრების წუძმეში ჩაფ-
ლული ადამიანებიც. პიროგოვი და ში-
ლერი ასეთი ადამიანების ტიპური სა-
ხეებია. ბელინსკი სამართლიანად უპი-
რისპირებს პისკარევსა და პიროგოვს
ერთმანეთს და აღნიშნავს: „პისკარევი
და პიროგოვი — როგორი კონტრას-
ტია!.. ო, როგორი აზრი იფარება ამ
კონტრასტში! და როგორ ზეგავლენას
ახდენს ჩვენზე ეს კონტრასტი! პისკა-
რევი დაიღუპა პიროგოვი კი ბედნიერია
და კმაყოფილი... დიახ, ბატონებო, —
დასძენს ნაღვლიანად კრიტიკოსი, —
მოწყენილობა ამქვეყნად“.

„პორტრეტის“ გმირის ჩარტკოვის
შემოქმედებითი ცხოვრების, ღრმად ფი-
ქოლოგიური ანალიზით (ვთხოვს მკით-
ხველი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ
ნიეთისა და ფულის ტყვეობაში მოქცე-
ულ მაღალ საზოგადოებას არ შეუძლია
ლირსეულად დაათმასოს ჭეშმარიტი შე-
მოქმედება, ხელი შეუწყოს მის განვი-
თარებას. პირიქით, ეს საზოგადოება
ჩანასახშივე ახშობს ჭეშმარიტი ტალან-
ტის ყოველგვარ გამოსხივებას და, ამ-
რიგად, ამარცხებს იმ შემოქმედებს,
რომლებიც მისი გავლენის ქვეშე-
ცევა.

ასეთია, გოგოლის აზრით, ხედრი იმ
ადამიანებისა, რომელთაც არ გააჩნიათ
სულიერი ძალა დაიცვან ჭეშმარიტი ხე-
ლოვნების ღირსება და რომლებიც შემ-
თხვევითი, მოჩვენებითი ღიღებით კმა-
ყოფილებიან.

მაგრამ გოგოლის რეალისტური პრო-
ზის კლასიკურ ნიმუშად ამ წლებში
ითვლება მოთხრობა „შინელი“, რო-
მელშიც ავტორმა საოცარი სიმართლით
მოგვითხრო პეტერბურგის ბიუროკრა-
ტიული ფენების სულიერი სიდატაკის
შესახებ. ვის არ ახსოვს პეტერბურგის
დეპარტამენტის საცოდავი მოხელე-
აკაკი აკაკიევიზ ბაშმაჩკინი. ბიუროკრა-
ტიულ იერარქიას ამ უბადრუკ ადა-
მიანში წარუხოცია პირადი ღირსების
გრძნობა, ჩაუკლავს ყოველივე ადამი-
ანური, მას წარპოდგენაც კი არა აქვს
ცხოვრების მშვენიერებაზე, საზოგა-
დობრივ იდეალებზე, ადამიანის ჭეშმა-
რიტ დანიშნულებაზე. მან ერთი სია-
მოვნება იცის ცხოვრებაში; ეს არის
უაზრო კანცელარული ქაღალდების
გადაწერა. იმისათვის, რომ უფრო მკა-
ფიოდ და მეტყველად გვიჩვენოს თავი-
სი გმირის სულიერი სიცარიელე, —
გოგოლი დრამატულ მომენტად აქცევს
გმირის ცხოვრებაში შინელის შექენასა
და მის დაკარგვას.

ასე მარტივია „შინელის“ ფაბულა, მაგრამ იგი უაღრესად რთულია თავისი სოციალური და ფსიქოლოგიური შინაარსით, რეალიზმის ძალით.

„პეტერბურგის მოთრობათა“ ციკლს ეკუთვნის აგრეთვე ცნობილი მოთხრობა „ცხვირი“, რომელშიც ავტორმა მძაფრი სარკაზმით ამხილა ბიუროკრატიული კარიერაზმით გატაცებული მოხელე კოვალიოვი. ამ მოთხრობის გმირის მიერ ცხვირის დაკარგვის მისტიკურ ისტორიაში გამომჟღავნებულია ჩინმუნდირებზე მეოცნებე ბრიყვი მოხელეების სულიერი სიმახინჯე.

მაგრამ გოგოლის მხატვრული რეალიზმის უდიდესი ნაყოფია მისი უკვდავი კომედია „რევიზორი“ და რუსული ცხოვრების „ილიადა“ „მკვდარა სულები“.

ჯერ კიდევ 1833 წელს განიზრახა გოგოლმა დაეწერა „რევიზორის“ მსგავსი პიესა, რომელსაც უნდა პრემიოდა „III ხარისხის ვლადიმერის ჯვარი“, მაგრამ ცენზურული პირობების გამო მან ეს გადაწყვეტილება სისრულეში ვერ მოიყვანა.

1833-34 წლებში გოგოლმა დაწერა კომედია „ცოლის შერთვა“. ორი წლის შემდეგ კი განახორციელა თავისი ოცნება, შეექმნა კომედია, აღსავსე „სიმართლითა და გაბოროტებით“. ეს კომედია იყო „რევიზორი“.

„რევიზორი“ პირველად დაიდგა 1836 წ. 19 აპრილს და დიდი აღტაცება გამოიწვია მოწინავე რუსულ საზოგადოებაში, მაგრამ მაშინდელი რუსეთის რეაქციული ნაწილი უაზროფითად შეხვდა ამ გენიალურ კომედიას.

გოგოლი ნაღვლიანად სწერდა თავის მეგობარს ვ. ჟუკოვსკის: „ოდნაეი მოჩვენება ჰეშმარიტებისა, და ისინი მზად არიან აღსდგენ ჩემს წინააღმდეგ“.

„რევიზორის“ მხატვრულ შემეცნებითი მნიშვნელობა უაღრესად დიდია

მისი ღრმა სოციალური სიმართლის გამო.

რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივმა აზრმა „რევიზორით“ გამოწვეულ მწარე სიცილში ამოიკითხა რუსეთის თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული სისტემის გარდუვალი დაღუპვა.

თვითმპყრობელობის შემფოთებას და გაბოროტებას მკვეთრად გამოხატავდა შეფის ერთი ერთგული სატრაპის განცხადება, გოგოლი „რევიზორისათვის“, ბორკილებგაყრილი, ციმბირში უნდა გაიგზავნოსო.

„რევიზორში“ გოგოლმა კიდევ უფრო მეტი სიღრმით ამხილა ბიუროკრატიული რუსეთის ბნელი მხარეები. კომედიის გმირებს — დიდს თუ პატარა მოხელეებს მხოლოდ ქვენა ზრახვები, ეგოისტური მისწრაფებანი ამოძრავებს. უკიდურესად შეზღუდულია მათი გონება, საზღვარი არა აქვს მათ თავგასულობას. პროვინციის ბიუროკრატიულ აპარატში მთლიანად გამეფებულია სიყალბე, მექართმეობა და მლიქვნელობა.

მიუხედავად იმისა, რომ „რევიზორში“ მრავალი მოქმედი პირია, ავტორი ახერხებს თითოეული მათგანის აღქმრვას ღრმა ინდივიდუალური თვისებებით, ავტორი არაჩვეულებრივი ოსტატობით გვიშლის ფსიქოლოგიურად დაძაბულ სცენას — პროვინციულ მოხელეთა საოცარ შემფოთებას რევიზორის მოლოდინში.

„ყოველი სახე ამ კომედიაში, — წერს ბელინსკი, — ხელს უწყობს მთავარი იდეის განვითარებას; მაგრამ ამასთან ერთად იგი ცხოვრობს საკუთარ სიცოცხლით. მას საკუთარი მიზანა აქვს“.

„რევიზორის“ სატირული მახეილა გამიზნულია არა მხოლოდ ცალკეულ მოხელეთა და ცალკეულ სიმახინჯეთა წინააღმდეგ, არამედ ობიექტურად აქ

მხილებულია თვითმპყრობელობის მთელი სისტემა.

როგორ ზუსტად და მოხდენილად შენიშნავს გერცენი გოგოლის „რევიზორის“ შესახებ. „არავის გოგოლამდე არ წაუკითხავს ასეთი სრული პათოლოგიურ-ანატომიური კურსი რუს მოხელეზე. იგი ხარხარით, შეუბრალებლად იჭრება მოხელის უსუფთაო, ბოროტი სულის ხვეულებში“.

ბუნებრივია, რომ რეაქციულმა კრიტიკამ არ აპატია გოგოლს „რევიზორში“ გამოხატული სიმართლე.

ჩერნიშევსკის თავის „ნარკვევებში“ მოპყავს რეაქციული კრიტიკის წარმომადგენელთა მოსაზრებანი და გამანადგურებელი სარკაზმით უმასპინძლებს მათ. კონსერვატული კრიტიკის წარმომადგენელი ნ. პოლევოი ასე ახასიათებდა გენიალურ კომედიას: „მისი „რევიზორი“ — ფარსია, რომელიც მოსწონთ სწორედ იმით, რომ მასში არ არის არც დრამა, არც მიზანი, არც კვანძი, არც ამოხსნა და არც გარკვეული ხასიათები. ენა მასში არ არის სწორი. სახეები — მახინჯი გროტესკებია, ხასიათები კი — ჩინური აჩრდილები...“. ამის გამო ჩერნიშევსკი წერს: — „ჩვენ მიერ აღწერილი რეცენზია პოლევოისა მკაცრია უხეშობამდე, მაგრამ არ შეიძლება არ დაეინახოთ, რომ შიგადაშიგ მკაცრ და შეურაცხყოფელ ტონთან ერთად იგრძნობა კეთილი სურვილი მოაბრუნოს გზაბნეული ცხვარი ქეშმარიტი გზისაკენ. დამრიგებელი ცდება. იგი, ვისაც პოლევოი თვლის გზაბნეულ შეილად, სწორი გზით მიდის, და არც უნდა მიატოვოს ეს გზა“.

1836 წელს 6 ივლისს გოგოლი მიემგზავრება საზღვარგარეთ, სადაც თითქმის 12 წელს დაყოფს. ამ პერიოდში იგი ახორციელებს თავის დად შემოქმედებით მონაფიქრს, მემამულურა რუსეთის ცხოვრების ეპოპეას — „მკვდარი სულები“.

მოწინავე რუსულმა კრიტიკამ „მკვდარი სული“ რუსული მხატვრულე პროზის მწვერვალად დასახვდა. გოგოლის ცრემლიან სიცილში ცარიზმის ბორკილებში გათანჯული რუსი ხალხის ტრაგიკული ამოძახილი გაიგონა.

„მკვდარ სულებში“ გოგოლი წვდება ბატონყმური რუსეთის ცხოვრებას მთელ სიღრმეს. მწერლის მხატვრული თვალი იმდენად მახვილია, რომ მას არ ეპარება თავისი გმირების სულიერი სამყაროს ოდნავი შერხვევაც კი. „მკვდარი სულების“ ტიპაჟი — ეს რუსეთის თავად-აზნაურობის სახეთა ვრცელი გაღურება, „ბოროტების ყვავილება“. რომლებსაც შეიძლება ეხარათ მხოლოდ თვითმპყრობელობის უბადრუკ სინამდვილეში.

ჩიჩიკოვის სახეში გოგოლმა ბრწყინვალედ გამოხატა მემამულის მოჩვენებითი ზნეობის ქვეშ დამალული ცინიზმი. მლიქვნელობა და გაიძვევრობა. ჩიჩიკოვი ფლიდი და მატყუარაა, რომელიც თავისი ეგოისტური მიზნებისათვის არავის დაინდობს. ჩიჩიკოვის მოგზაურობა მთელს რუსეთში „მკვდარი სულების“ შესასყიდად ავტორს სპირდება იმისათვის, რომ ფარდა ახადოს იმდროინდელი რუსეთის სინამდვილეს, გვიჩვენოს მემამულეთა ტიპები. აი, მემამულე მანილოვი, რომელსაც არავითარი მიზანი არ ამოძრავებს; მისი უმაღლესი სიამოვნება არის ტყბობა წყნარი, უქმი ცხოვრებით. სიზარმაცე და უნიაღვარო ოცნება მისი განუყრელი თვისებაა.

თუ უსაქმო და უზრუნველი მანილოვი ხელაღებით ფლანგავს ქონებას, მეორე მხრით, მემამულე ქალი — გონება-ჩლუნგი კორობოჩკა, — კაპიკს კაპიკზე აწებებს და ცხოველური შიშით დაკანკალებს თავის მეურნეობას. დაგროვების ეგოისტური ყინი უფრო მეტი ძალით მელაენდება მემამულე საბაკევიჩში. ეს უხეში, გაუმაძლარი, ყმების დამწიოკებელი, განათლების მტერი,

გონებრივად და სულიერად ღატაკი მებატონე შეეძლო წარმოეშვა მხოლოდ თვითმპყრობელურ სინამდვილეს.

მემამულეთა სრული მორალური ვახრწნა გოგოლმა გამოხატა პლიუშკინის სახეში, რომელიც დაგროვებისა და სიძენწის საშინელმა გრძნობამ ცხოველის დონემდე დაიყვანა.

„მკვდარ სულებში“ გოგოლის რეალიზმმა შეუპოვარი მამხილებელი ძალა მოიპოვა.

პროგრესულმა მწერლობამ და ლიტერატურულმა კრიტიკამ „მკვდარი სულები“ უდიდეს მოვლენად გამოაცხადა. ბელინსკი წერდა: „ყველა ლიტერატურული ინტერესი, ყველა საეურნალო საკითხი თავმოყრილია ახლა გოგოლის გარშემო. ვადაუტარებლად შეიძლება ითქვას, რომ „მკვდარმა სულებმა“ გამოაცოცხლა აპატიაში შთანთქმული თანამედროვე რუსული ლიტერატურა. ეურნალების უმეტესი ნაწილი სამართლიანად და საფუძვლიანად დამფრთხალი გოგოლის პოემის წარმატებით, მათთვის ჩვეულ ხერხს მიმართავს, რომ თანამედროვე ლიტერატურის პირველი პოეტური ტალანტი დაამციროს. ეურნალების დანარჩენი ნაწილი ან უბრალოდ სათანადო ხარკს უხდის გოგოლის ახალ ქმნილებას, ან კიდევ თავის თავზე იღებს ვალდებულებას გამოაშკარავოს თავდამსხმელები...“

„მკვდარმა სულებმა“ შესძრა მთელი რუსეთი, — წამოიძახა ვერცენმა.

„რევიზორში“ და „მკვდარ სულებში“ ყველაზე მკვეთრად გამომჟღავნდა გოგოლის კრიტიკული რეალიზმის უდიდესი ძალა.

„მკვდარი სულების“ მეორე ტომი გოგოლმა დასწვა 1852 წლის თებერვალში, სიკვდილის წინ. შემთხვევით გადაარჩა მხოლოდ ამ დიდებული პოემის მეორე ტომის რამდენიმე თავი. პოემის დაწვა დაკავშირებული იყო იმ

მისტიკურ-რელიგიოზურ განწყობილებებთან, რომლებიც საზღვარგარეთ ყოფნის დროს დაეუფლა მწერალს რეაქციონერი მეგობრების ზეგავლენით და რომელმაც იგი სულიერ კრიზისამდე მიიყვანა.

გოგოლის ეს თვისება განსაკუთრებით გამომჟღავნდა მის რეაქციონურ წიგნში „ჩრეულ ადგილებში მეგობრებთან მიმოწერისა“, რომელიც მწერალმა — 1847 წელს გამოაქვეყნა.

გოგოლის ამ „წერილებში“ მკვეთრად გამოიხატა მისი ავტორის მცდარა და რეაქციული შეხედულებანი, რამაც სამართლიანად აღაშფოთა რუსეთის მთელი პროგრესული საზოგადოება.

ამ მხრივ მეტად საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს რევოლუციური კრიტიკის უბრწყინვალესი წარმომადგენელის, „მშფოთეარე ბესარიონის“ მამხილებელი და მრისხანე წერილი გოგოლისადმი, რომელშიაც იგი მთელი სიძლიერითა და გულისწყრომით თავს ესხმის „წერილებს“ ავტორს.

უდიდესი აღშფოთების გრძნობით წერს ბელინსკი გოგოლს: „თქვენ მხოლოდ ნაწილობრივ ხართ მართალი, ჩემს სტატიაში გაჯავრებული ადამიანი რომ დაინახეთ: ეს ეპითეტი მეტად სუსტი და ნაზია იმ განწყობილების გამოსახატავად, რაც ჩემში თქვენი წიგნის წაკითხვამ გამოიწვია. მაგრამ თქვენ სრულიად არა ხართ მართალი, როდესაც ამას მიაწერთ თქვენს, მართლაც არც თუ სასიამოვნო, გამობზაურებას თქვენი ტალანტის პატივისმცემლებზე. არა, აქ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი იყო... არ შეიძლება აიტანო ჰუმბოლტების, ადამიანური ღირსების შეურაცხოფილი გრძნობა: არ შეიძლება სდუმდე, როდესაც რელიგიის საფარით და მათრახის მფარველობით სიცრუესა და უზნეობას ქადაგებენ, როგორც ჰუმბოლტებისა და სათნოებას... რას სჩა-

დინხართი ძირს დაიხედეთ, — თქვენ ხომ უფსკრულის პირას დგახართ!...“

შემდეგ ბელინსკი მოაგონებს გოგოლს, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლიურ ლიტერატურას ხალხის თვითცნობიერების აღზრდაში, როგორ აფასებს ხალხი, საკუთარ მწერლებს. — „პოეტის ტიტულმა, ლიტერატურის წოდებამ — წერს იგი, — ჩვენში უკვე დიდი ხანია დაჩრდილა ეპოლეტებისა და ფერად-ფერადი მუნდირების ზიზილ-პიპილები. და აი ჩემი უკანასკნელი, საბოლოო სიტყვა: თუ თქვენ წილად გხვდათ უბედურება ამაყი თავდაბლობით ხელი აგელოთ თქვენს ჰეშმარტად დიდ ნაწარმოებებზე, ახლა გულწრფელი თავდაბლობით უნდა უარპყოთ თქვენი უკანასკნელი წიგნი და მისი გამოქვეყნების მძიმე ცოდვა გამოისყიდოთ ახალი ქმნილებებით, რომლებმაც თქვენი წინანდელი ქმნილებანი უნდა მოგვაგონონ“.

ასეთი მღელვარე იყო ბელინსკის წერილი, რომელშიც მისმა ავტორმა გამოხატა თავისი დროის მოწინავე თაობის ყველაზე უფრო მეტრძოლი და პროგრესული იდეები.

ბელინსკის ამ გენიალურ სტატიის შესახებ ლენინი აღნიშნავდა, რომ იგი „ცენზურაგაუფლელი დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები იყო, რომელმაც დღემდეც უდიდესი, ცოცხალი მნიშვნელობა შეინარჩუნა“*.

გოგოლის დამსახურება რუსულ ლიტერატურის წინაშე განუზომელია, პუშკინთან ერთად იგი არის რუსული რეალიზმის ფუძემდებელი.

ბელინსკი გამოხატავდა უღრმეს სტორიულ სიმართლეს, როცა წერდა: „ყოველ შემთხვევაში, დღეს, გოგოლი გვევლინება ლიტერატურის მეთაურად.

პოეტების მეთაურად. იგი დგება პუშკინის მიერ დატოვებულ ადგილზე“.

ამ დროს პუშკინი ცოცხალად იყო, მაგრამ ბელინსკი თვლიდა, რომ პუშკინმა „უკვე შეკრა რკალი თავისი მხატვრული მოღვაწეობისა“. აქ ბელინსკი, რასაკვირველია, დიდ რუს პროზაიკოსს პუშკინს კი არ უპირისპირებდა, არამედ გოგოლის შემოქმედებას თვლიდა ახალ ეტაპად რუსული ლიტერატურის განვითარებაში.

ერთგულება სინამდვილისა გოგოლის ესთეტიკის ძირითადი კანონი იყო.

„ავტორის აღსარებაში“, რომელიც პირველად მხოლოდ 1855 წელს გამოქვეყნდა „მკვდარი სულების“ მეორე ტომთან ერთად, — გოგოლი წერდა: „მე არასოდეს არაფერი არ შემიქმნია წარმოსახვაში და არც მქონია ეს ჩვეულება. მე მხოლოდ ის-ღა გამომდიოდა კარგად, რაც აღებული მქონდა სინამდვილიდან ჩემთვის ცნობილი მონაცემებიდან“.

გოგოლის მხატვრული პროზის ენა მთლიანად ეყრდნობა ხალხური ენის სილამაზესა და ხატოვანებას. მან თავის ნაწერებში ყოველმხრივ ასახა ცოცხალი, საყოფაცხოვრებო ენის სიმდიდრე და მრავალფეროვნება. „მკვდარი სულების“ ავტორს რუსული ლიტერატურული ენის განვითარებაში დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის.

გოგოლის რეალისტური შემოქმედების ღრმა სოციალურ მნიშვნელობას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ დიდი ბელადება — ლენინი და სტალინი თავიანთ შრომებში ფართოდ იყენებენ გოგოლის მხატვრულ სახეებს.

გოგოლის მთელი შემოქმედება გაულენთილია მძაფრი პატრიოტული სულისკვეთებით.

* ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 293.

გოგოლის ღრმა პატრიოტიზმი მისი მდიდარი მხატვრული მემკვიდრეობის უძლიერესი მხარეთაგანია. პატრიოტული პათოსი მისი შემოქმედებისა რუსი ხალხის მაღალ ნაციონალურ თვითშეგნებაში პოულობდა მასაზრდოებელ წყაროს.

გაეიხსენოთ ჩერნიშევსკის სიტყვები: „არც ერთ ჩვენს დიად მწერალში არ გამოხატულა ასე ცოცხლად და ნათლად თავისი პატრიოტული მოწოდების შეგნება, როგორც გოგოლში. იგი პირდაპირ თვლიდა თავს აღამიანად, რომელიც მოწოდებულია ემსახუროს არა ხელოვნებას, არამედ სამშობლოს. იგი ფიქრობდა თავის თავზე: მე პოეტი კი არა ვარ, არამედ მოქალაქე“.

ჩერნიშევსკი 60-იან წლებში გოგოლის შესახებ წერდა: „გოგოლით ბევრად არიან დავალებულნი ისინი, რომლებიც საჭიროებენ დაცვას. იგი სათავეში ჩაუდგა მათ, რომლებიც უარყოფენ ბოროტებას და უხამსობას. ამიტომ მას ჰქონდა ღირსება ბევრში გამოეწვია მტრობა თავის თავისადმი. და მხოლოდ მაშინ აღიდგენ მას ერთხმად, როცა მოისპობა ყოველივე უხამსობა და სიმდაბლე, რომლის წინააღმდეგ იგი იბრძოდა“.

მხოლოდ სოციალიზმის დიად ქვეყანაში საბჭოთა ხალხმა სამუდამოდ აღგავა ყველა ის სოციალური სიაცე, რაც გენიალური მხატვრის ძლიერებით ამხილა გოგოლმა თავის შემოქმედებაში.

გამართლდა დიდი რევოლუციონერ-დემოკრატის ჩერნიშევსკის წინასწარმეტყველება: ჩვენი სამშობლო ერთხმად აღიდგებს რუსეთის მხატვრული აზროვნების გენიას, რომლის ქმნილებანი საკაცობრიო კულტურის უკვდავ ძეგლებად იქნენ.

•
•

ღრმა იდეურობით, მაღალი მოქალაქეობრივი მისწრაფებებით და განმანათ-

ვისუფლებელი პათოსის სიძლიერით რუსულ ლიტერატურას ვერ გაუტოლდება ვერც ერთი სხვა ლიტერატურა ხალხის ლიტერატურა გასულ საუკუნეში.

დიდი ზეგავლენა მოახდინა რუსულმა მწერლობამ ქართული ლიტერატურის განვითარებაზეც. მე-19 საუკუნის რუსული და ქართული ლიტერატურის მოწინავე წარმომადგენელთა შორის ჩვენ ბევრ შემთხვევაში ვნახულობდით ღრმა სულიერ კავშირს, თემებისა და განწყობილებათა ნათესაობას. ამ დებულების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს რუსული ლიტერატურის დიდი მნათობის — გოგოლის გავლენა ქართულ მწერლობაზე.

60-იან წლებში ჩამოყალიბდა ქართული კრიტიკული რეალიზმის ძლიერი სკოლა. ამ სკოლის ფუძემდებელი ილია ჭავჭავაძე ეხმაურება რუსულ „ნატურალურ სკოლას“, გოგოლის პერიოდს რუსულ ლიტერატურაში.

ილია ჭავჭავაძის, როგორც რეალისტ-შემოქმედის, ნათესაობა გოგოლთან გამოსტკვივის ილია ჭავჭავაძის მხატვრული პროზის შედევრში „კაცია-აღამიანში“. 80-იან წლებში ერთი ქართველი კრიტიკოსი წერდა:

რუსების ლიტერატურას დიდი ზეგავლენა ჰქონდა ჩვენზე. ზოგიერთი ჩვენი თხზულებები ცხადად მოგვაგონებენ რუსების პოეტების ნაწერებს. მაგალითად, ჩვენი ძვირფასი „კაცია-აღამიანი“ გამოჩენილი გოგოლის „სტაროსვეტსკი პომეშიჩიკეს“. ხოლო ეს მოგონება მოგონებად რჩება და მით საქმე ბოლოვდება. „კაცია აღამიანს“ ნიადაგი ქართული აქვს, შიგ ქართველები მოქმედებენ, იქ სურათებიც ქართულია, ცრუმორწმუნეობაც ქართულია, სმაც, ჰამაც, ერთი სიტყვით სულ ყველაფერი. გოგოლის თხზულებას კი სულ თავიდან ბოლომდე „რუსული სულა უდის“.

როგორც გოგოლის „ძველი დროის შემამოქმედებში“ კლასიკური სრულყოფით აისახა რუსეთის მებატონეთა უქმე და უშინაარსო არსებობა, ასევე ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანში“ მოელის სისრულით აღიბეჭდა ქართული ფეოდალური კლასის მორალური დეგრადაცია.

ილია ჭავჭავაძე უდიდესი პატივისცემით იხსენიებს რუსი ხალხის გენიალურ მწერალს და თავის „ივერიის“ მოწინავე წერილში აღნიშნავს გოგოლის შემოქმედებისა და მთელი რუსული კლასიკური მწერლობის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას. ამ წერილში ვკითხულობთ: — „ამისთანა კაცნი (იგულისხმებიან დიდი რუსი კლასიკოსები. ა. ნ.) მით არიან სახელოვანნი, რომ, თუმცა სისხლით და ხორციით ერთს როველსავე გვარ-ტომობას გუთენიან, მაგრამ თავისის დეაწლით ამასთანავე გვარეულებენ ხოლმე, რით არის მათი გვარ-ტომი თანამოზიარე მთელის კაცობრიობისა და რა გვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდს ზღვაში, რომელსაც კაცობრიობას ეძახიან, რა განძსა და საუნჯესა სდებს იმ მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც ყველას ეუთენის და რომლის კარი მუდამ ღიაა ყველასათვის ერთნაირად და თანასწორად, მაუხედავად გვარტომობისა და დიდი პატარაობისა“.

70-იან წლებში გამოქვეყნდა გოგოლის ორი მთავარი თხზულების ქართული თარგმანი. რადიკალურ-დემოკრატიული მიმართულების ეურნალ „კრებულში“ 1871 წელს დაიბეჭდა გ. ჩიქოვანის თარგმანი გოგოლის მოთხრობისა — „რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანის ივან ნიკიფორისთან“. ამავე ეურნალის ფურცლებზე ამავე წელს გამოქვეყნდა „შინელის“ ქართული თარგმანი, ხელმოწერილი ინიციალებით: ი. მ. მთარგმნელი იყო ეურნალისტი ივანე

მესხი. (1849 — 1932), „დროების“ რედაქტორის სერგეი მესხის ძმა.

1882 წელს „დროებაში“ (Дружба) გამოვიდა ბილმა მსახიობმა და დრამატურგმა კოტე მესხმა გამოაქვეყნა გოგოლის „შემოღობის წერილების“ თარგმანი.

განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ქართულ სცენაზე გოგოლის უკვდავმა კომედია „რევიზორმა“. „რევიზორი“ 80-იან წლებში თარგმნა ალექსი ჭიჭინაძემ. ამ ხნიდან დაწყებული „რევიზორი“ ქართული სცენიდან არ ჩამოსულა.

„რევიზორი“ პირველად დაიდგა ქართულად თბილისში 1881 წელს. სპექტაკლში ცნობილი არტისტები იღებდნენ მონაწილეობას. ხლესტაკოვის როლს ასრულებდა ვასო აბაშიძე, ოსიპისას — კოტე ყიფიანი, ანნა ანდრეევნას ასახიარებდა ნატო გაბუნია, მარია ანტონოვნას — მარიამ საფაროვი-აბაშიძე. სპექტაკლში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ანტონ ლორთქიფანიძე (გოროდნიჩი) და მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი, რომელიც პოჩმეისტერის როლს ასრულებდა.

აღსანიშნავია, რომ „რევიზორის“ პირველი ქართული დადგმა განხორციელებული იყო აკაკი წერეთლის რეჟისორობით.

„რევიზორის“ ქართულ წარმოდგენებთან განსაკუთრებით მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდი ქართველი მსახიობის ვასო აბაშიძის სახელი. მან დიდი ქება დაიმსახურა ხლესტაკოვის როლის ბრწყინვალე შესრულებით.

„რევიზორი“ ხშირად იდგმებოდა არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოს პროვინციების სცენებზედაც. „რევიზორი“ ქართველი მსახიობების მიერ ათვისებული იყო, როგორც უდიდესი პროტესტი ნიკოლოზ პირველის საძულველი წყობილების წინააღმდეგ, როგორც ხალხის მჩაგვრელი სა-

ხელმწიფოსი და გადაგვარებული მოხელეების უღმობელი დაცინვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის მძლავრი რეზონანსი, რომელიც ქართულ საზოგადოებრივობაში გამოიწვია „რევიზორის“ პირველი წარმოდგენიდან 50 წლის საიუბილეო თარიღის შესრულებამ. ღირსშესანიშნავია ის გარემოება, რომ ამ დღესასწაულში ახლო მონაწილეობა მიიღო დიდმა ქართველმა პოეტმა აკაკი წერეთელმა, რომელმაც ღრმავაროვანი ლექსი მიუძღვნა გოგოლის ხსოვნას.

აღნიშნულ საიუბილეო დღესასწაულს ფართოდ გამოეხმაურა მთელი ქართული პრესა. ილია ქავეჭავაძის „ივერია“ დაწერილებით აღწერდა ქართული დრამატული საზოგადოების მიერ გამართულ საიუბილეო საღამოს.

„ამ წელს შესრულდა ორმოცდაათი წელიწადი მას შემდეგ რაც აირველად წარმოადგინეს გოგოლის უკვდავი კომედია „რევიზორი“, — წერდა „ივერია“, — მთელმა რუსეთმა დიდის ამბით იდღესასწაულა ხსენება თავის სახელოვანის, მაღალნიჭიერის მწერლისა. ჩვენმა დრამატიულმა დასმაც არ დაივიწყა რუსეთის სახელოვანი მწერალი და ღირსეულად პატივისცა მის სახელს. გუშინ, 6 მაისს, „დრამატიულის საზოგადოების“ თაოსნობით გაიმართა წარმოდგენა გოგოლის სახსოვრად. ითამაშეს „რევიზორის“ — მე-2 და მე-3 მოქმედება. წარმოდგენის წინაღ, აიხსნა თუ რა ფარდა, სცენაზე გამოჩნდნენ არტიტები ხუთის ყვავილის გვირგვინით ზელში. სცენაზე ერთს ამაღლებულ, წითელის მაუდიით დაფენილს და ყვავილებით შემკულ ადგილას გოგოლის სურათი იდგა.

პირველად წარმოსდგა წინ დრამატიულის საზოგადოების წევრი ბ-ნი ავალიშვილი და წაიკითხა საზოგადოების წინაშე წერილი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს გოგოლს რუსეთის

მწერლობაში. ამის შემდეგ ბ-ნი ე. თუმანიშვილმა წაიკითხა რუსულად ბ-ნი თხორევესკის ლექსი, განსჯებამ შემთხვევისთვის დაწერილი. ბოლოს გამოვიდა ჩვენი სახელოვანი აკაკი დიდიის გრძნობით წაიკითხა თავისი მშვენიერი, გრძნობით და აზრით საესე ლექსი, ლექსმა მთელი საზოგადოება ალტაცებაში მოიყვანა. სამივემ წაიკითხვის შემდეგ გოგოლის სურათის ქვეშ გვირგვინები დააწყეს. აკაკის ლექსს დღესვე ვბეჭდავთ აქა“ („ივერია“, 1886 წ. № 99).

მეორე დღეს „ივერია“ თავის მოწინავეში წერდა:

„... ექვსს მაისს ჩვენის დრამატიულის საზოგადოების გამგებამ იდღესასწაულა გამოჩენილის კამედის „რევიზორის“ მეორმოცდაათე წელიწადი იმდღიდან, როცა იგი პირველად წარმოდგენილი იყო პეტერბურგში. მისი დამწერი, გოგოლი, ყოველის რუსისათვის დიდად სასიქადულო და თავმოსაწონებელი კაცია. თითქმის მთელმა რუსეთმა ეს დღე საქვეყნოდ იდღესასწაულა და თავისი სახელოვანის კაცის სახელს თავისი გულითადი და სამართლიანი პატივისცემა გამოუცხადა. რუსეთმა ამ ბოლო ზანებში, არა ერთხელ დაუმტკიცა ქვეყნიერებას, რომ იმანაც იცის თვისთა უკეთესთა კაცთა დაფასება... რომ იმასაც ესმის რა სახელია ერისათვის, როცა მის კალთაში დაბადებული, მისის ძეძული აღზრდილი კაცი, მისი სისხლი და ხორცი შოულობს და იხვეჭს მას, რაც ჩვენის რუსთაველის სიტყვით, „სჯობს ყოველსა მოსახვეჭელსა“.

დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი გოგოლისადმი მიძღვნილ თავის ლექსში ღრმად წვდება დიდი რუსი რეალისტის შემოქმედების სოციალურ მნიშვნელობას. პოეტი გვიხატავს გოგოლის დროის უბადრუკ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომელსაც მფარვე-

ლობდა „უმადლესი მტარვალობა“ და გოგოლს მჩაგვრელთა გაბედულ მამხილებელს უწოდებს.

გოგოლის სარკასტული მეფის რუსეთის საშინელი სინამდვილე რომ შესძრა, ქართველი პოეტის თქმით „ჩაგრულთათვის „სახინოდ“ ისმოდა, ხოლო მჩაგვრელებისთვის „ზარი“ იყო.

ასეთი მახვილი სოციალური შეფასება მისცა აკაკი წერეთელმა გოგოლის შემოქმედების ხალხურ სულს და მისი რეალიზმის ძალას.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე პუბლიცისტისა და თეატრალის ნიკო ავალიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა გოგოლისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე:

„ლიტერატურა სარკვა ხალხის ხასიათისა და ამიტომაც ყველა ხალხს აქვს თავის გვარი მწერლობა, რომელშიაც ნათლად გამოუხატავს თავისი ნიჭი, თავისი უძვირფასესი გულის პასუხი... რუსეთის მწერლობა დაისახა რეალურს მოთხრობაში და კომედიაში, რომელთაც სული ჩაუდგა გოგოლმა და წარმოადგინა ხასიათი დამცინავი და უმეტეს ნაწილად დამცინავი თავის საკუთარ ყოველდღიურ ცხოვრებისა. ამიტომაც რუსეთის მწერლობაში უკეთესს სახალხო პოეტს ვერ ვიპოვით, როგორც გოგოლს.

გოგოლის ნიჭა მეტად ბრწყინავი, მეტად უეცარი იყო, რომ იმას საზოგადოება და მწერლობა ადვილად შესჩევოდა, და ამიტომაც ის თავის სიცოცხლეშივე ვერ დაესწრო ნამდვილ დაჯილდოებას. თავისი უდიდესის ნიჭისას. მხოლოდ ბელინსკი, პუშკინი და ორიოდ ახალგაზრდა მწერალი თაყვანს სცემდნენ ამ გენიოსს... როცა გარდაიცვალა გოგოლი და ტურგენევმა ნეკროლოგი დაბეჭდა, ტურგენევი ამ დანაშაულობისათვის პეტერბურგიდამ დათხოვილი იყო და გაიგზავნა სოფელში. ასე ცუდად ესმოდათ გოგოლის სი-

ცილი იმ სამწუხარო დროს. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გოგოლმა დაბადა უდიდესი უფრიალ ნიჭიერი მწერლები: მრმეღმთაც გაამდიდრეს რუსული მწერლობა. ტურგენევი, ოსტროვსკი, ტოლსტოი, შჩედრინი, დოსტოევსკი და ბევრი სხვა უნდა ჩაითვალოს გოგოლის მიმნაძველებად.

ამ მწერლების თხზულებებს ახლატყობილობენ საზღვარგარეთ და დიდათ უკვირთ მათი ხელოვნება. უფრო მეტათ გაუკვირდებოდათ გოგოლის ნიჭი, რომ შესაძლო ყოფილიყო რიგინად გადათარგმნა იმის წმინდა სახალხო რუსულ თხზულებებისა.

ქართულ მწერლობასაც დაეტყობოდა გოგოლის გავლენა. ჩინებული მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა „კაცია-ადამიანი“ თითქოს გოგოლის „სტაროსეცტკი პომეშიკებს“ მოგვაგონებდეს.

გოგოლის თხზულებების თარგმანს ქართულ ენაზე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. იმ ჩინოვნეობას, რომელიც გამოყვანილი ჰყავს გოგოლს „რევიზორში“ და სხვა თავის ნაწერებში, დიდი გავლენა ჰქონია და აქვს ჩვენს ცხოვრებაში. ამიტომაც, რასაკვირველია, არც ერთ სამზღვარგარეთულ მწერლობაში ისეთი მნიშვნელობა ვერ ექმნება გოგოლს, როგორც ჩვენში.

ქართულის დრამატულის საზოგადოების მმართველობა თავის სასიამოვნო ვალად რაცეს გვირგვინი დაადგას იმ მწერლის სურათს, რომლისაგანაც ბევრი გვისწავლია და ჯერ კიდევაც ბევრს ვისწავლით“.

გამოჩენილი ქართველი მწერალი გიორგი წერეთელი შემდეგ შეფასებას აძლევდა „რევიზორის“ ქართულ სექტაკლს 1895 წლის „კვალში“:

„პარასკევს, 20 იანვარს აბაშიძის ბენეფისში ითამაშეს „რევიზორი“, კომედია გოგოლისა. თარგმანი ალექსი ჰი-

ქინაძისა. ასეთი შევნიერებებით ნათარგმნი კომედია ჩვენს რეპერტუარს, მგონია, არა აქვს. მსახიობთა მწყობრმა თამაშობამ საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ეს წარმოდგენა უნდა ჩაითვალოს ნამდვილ ქართული ხელოვნების გამარჯვებათ, რადგან ამ ხელოვნური წარმოდგენით ყოველი შეგნებული მსახურების თვალწინ გაცოცხლდა საესეებით ის ეპოქა, რომელიც გენიოსს მწერალს ჰქონია თვითონ თავის გონებაში გამოსახული. თვით გოგოლი რომ გაცოცხლებულიყო, მიუცილებლათ ხლესტაკოვის როლის მოთამაშეს, გარდა ყველა მსახიობებს, გარდაკოცნიდა. ჩვენ ბევრჯერ გვინახავს „რევიზორი“ სცენაზე დადგმული, მაგრამ ასე ხელოვნურათ ასრულებული კი არაოდეს. თუ ქართული თეატრის ამხანაგობამ და მსახიობთა დასმა ასე გულმოდგინეთ იშრომეს, მიუცილებლათ ქართული საზოგადოება და სომხისაც ოპერებს თავს დაანებებენ და ქართულ წარმოდგენებზე დაიწყებენ სიარულს“ („ეკალი“, 1895 წ. № 5).

საინტერესოა ის ინტერპრეტაცია, რომელსაც აძლევს გიორგი წერეთელი ხლესტაკოვის მხატვრულ სახეს და მის სცენიურ განსახიერებას. როგორც დამოწმებული ადგილიდან დავინახეთ. ქართველმა მწერალმა დიდი ჭემა უძღვნა „რევიზორის“ აღნიშნულ წარმოდგენას, მაგრამ წერილის მეორე ნაწილში იგი ზოგიერთ არსებითი ხასიათის შენიშვნას აკეთებს. კერძოდ იგი იწუნებს მსახიობ შათირიშვილის მიერ ხლესტაკოვის როლის გააზრებას: „ერთი შენიშვნა უნდა მიეცე ბ-ნ შათირიშვილს, — წერს გ. წერეთელი, — იმას ნიჭი ეტყობა; მაგრამ ხლესტაკოვი კი ვერ ითამაშა, როგორც მის ნიჭს შეეფერებოდა. მე ვფიქრობ, ეს იქიდან წარმოდგა, რომ მას არ ესმის თვით ხლესტაკოვის როლი ხლესტაკოვი, — ეს არამზადა და ფუქსავატი აზნაურის-

შვილი, უფულობით ტალახიან ხალხებში ჩამწყვედელი ეძებს მიზეზს რამენიართ თავს უშველოს და არ ესმის კი, რა ქნას. ამ დროს, მისდა მოულოდნელათ, იმას შეემთხვევა ისეთი გარემოება, რომ ჯერ გაბრუებულია და არც ესმის, რა უნდა ქნას. ბოლოს მიხედება გულმბრყვილობას პროვინციის მთავრობისას და კიდევ ჩახედება ძალიან კარგათ გონებაში, როგორ ხერხიანათაც უნდა ისარგებლოს ამ შევნიერებებით. სხვებმ რევიზორს ეძახიან და თვითონაც იფერებს. მაგრამ მართო შეფერებით საქმე არ გაკეთდებოდა, რომ თვით ხლესტაკოვი ისე გულმბრყვიათ, ისე აღტაცებით არ შეთვისებოდა. ამ თავის ახალ მდგომარეობას. ის ცრუობს და თვითონაც ისე გატაცებულია ამ თავისა ბრწყინვალე როლით, რომ თავისი სიცრუე თვითონვე სჯერა, ღრმით დარწმუნებულია, რომ რასაც იტორებს, ყოველივე უტყუარი სიმართლეა. მხოლოდ ეს შეურყეველი დარწმუნება ხლესტაკოვისა თავის დროებით რევზორობაში ზიბლავს პროვინციის გამგეობის წარმომადგენლებს და ყველაზე უფრო თვით გოროდნიჩს. ამითი აიხსნება გულმბრყვიობა პროვინციის გაიძვერა გამგებელთა. ბ-ნ შათირიშვილმა ვერ გაატარა ხელოვნურათ თავისი როლი იმისთვის, რომ თვითონ საკმაოთ არ სჯეროდა თავისი რევიზორობა და „ანსამბლში“ დისსონანს ახდენდა. ჩინებული იყო ბ-ნი ნ. ჯორჯაძე ოსიპის როლში. იმან გამოიჩინა ნამდვილი ქართული დინჯი, მახელი-გონებიანი ოხუნჯური ნიჭი“.

1902 წელს გოგოლის გარდაცვალებიდან 50 წელი შესრულდა. ქართულ პრესა კვლავ გულმბრყვილედ შეხვდა დიდი რუსი რეალისტის საიუბილეო თარიღს. 1902 წლის „ეკალის“ მეცხრე ნომერში ვკითხულობთ: „ორმა თხზულებამ მოუხვეჭა გოგოლს უკვდავი ს-

ხელი: კომედიამ „რევიზორი“ და პოე-
მამ „მკედარი სულეზი“. პირველში აღ-
წერილია მოხელეების ცხოვრება. მო-
ხელეები ერთმანეთს ატყუილებენ, უჭ-
რთამოდ არაფერს აკეთებენ... არავი-
თარი წარმოდგენა არა აქვთ ადამიანის
პიროვნებასა და მისი დამი პატივისცემა-
ზე... ყველგან უწყესობა და უამართლო-
ბაა, დანაშაულისგან თავის განსათავი-
სუფლებლად ერთი და მიაჩნიათ—მოს-
ყიდვა... ასეთები არიან მმართველნი.

თავადაზნაურობაში არიან მხოლოდ
და მხოლოდ ჩიჩიკოვისთანა გაიქვერები,
ნოზრდოვისთანა და საბაკევიჩისთანა
თავაშვებული უზნეო მძარცველები,
სულელ მანილოვისთანა არაფრის მკე-
თებელნი, პლიუშკინისთანა ყოველ
ადამიანურ გრძნობას მოკლებული მა-
ხინჯები.

გოგოლმა საოცარის სინამდვილით
დახატა ეს პირები, გესლიანი ენით დას-
ცინა მათ, სამარცხვინო ბოშე მიაკრა
და დაგმო და მათთან ერთად დაგმო ის
ცხოვრებაც, რომელმაც წარმოშობა
ასეთი მახინჯი არსებანი“.

წერილის ავტორი გოგოლს ყველა
ხალხისა და ყველა დროის უდიდეს
მხატვარს უწოდებს, მაგრამ ამავე დროს
აღნიშნავს მის ცხოვრების უკანასკნელ
პერიოდში დაშვებულ შეცდომას, რო-
მელიც ყველაზე მკვეთრად გამომდგა-
ნდა „მეგობრებთან მიმოწერაში“.

ამ პერიოდის ქართულ კრიტიკაში
ხაზგასმით არის აღნიშნული ახალი რუ-
სული ლიტერატურის და, კერძოდ, გო-
გოლის შემოქმედები საკაცობრიო მნიშ-
ვნელობა. „რუსეთის პოეზია მეცხრამე-
ტე საუკუნის განმავლობაში, — ვკით-
ხულობთ გაზეთ „ეკალში“, — დიად მოე-
ლენას წარმოადგენს, არა თუ მარტო
რუსეთისათვის, არამედ მთელი ევრო-
პისათვისაც. მეცხრამეტე საუკუნეში ეხ
პოეზია დაადგა სრულებით ახალ გზას
და ისეთ სიმაღლეს მიაღწია... რომ კით-
ხვები, რომლებიც აღძრა მან, მთელი

კაცობრიობისთვის არიან საყურადღე-
ბონი“. წერილის ავტორის აზრით, ჩერ-
ნიშევსკიმ ისტორიული მნიშვნელობა
გამოხატა, როცა მან „გოგოლის პერიო-
დი“ უწოდა რუსული ლიტერატურის
ისტორიის 40-იანი წლების მთელს მნი-
შვნელოვან ეპოქას.

„გოგოლის პოეზია... — წერს ქარ-
თელი კრიტიკოსი, — უტყუარი სარკეა
მისი დროის ცხოვრების ნაკულევეანე-
ბათა, იმდენათ უტყუარი და მართლის
მანქენებელი, რომ თვით საზოგადოება
შეძრწუნდა როდესაც პირველად დაი-
ნახა თავისი თავი გოგოლის თხზულე-
ბებში. გოგოლი... იყო შეუბრალებელი
მამხილებელი, რომელსაც ვერ შეედრე-
ბა რუსეთის ვერც ერთი სატირული ნი-
ჭი. თუ მან მთელი თავისი ყურადღება
მხოლოდ ცხოვრების ცუდ მხარეს მიაქ-
ცია, ერთი იმიტომ, რომ ასეთი იყო
მისი ნიჭის თვისება, მეორე იმიტომ,
რომ თვით მის თანამედროვე ცხოვრე-
ბაში ნაკლი მეტი იყო, ვიდრე ღირსება.
ცხოვრების ნაკულელოვანებასთან ბრძო-
ლა—უწმინდესი მოვალეობა არის ადა-
მიანის ყოველგვარი მოღვაწეობისა და
გოგოლის... კარგად ჰქონდა ეს შეგნე-
ბული“.

1902 წელს, დიდი რუსი მწერლის
გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულე-
ბასთან დაკავშირებით, ქართული საზო-
გადოების ინიციატივით, თბილისში აგე-
ბულ იქნა გოგოლის ძეგლი. აღსანიშნა-
ვია, რომ ქართული პრესა ჯერ კიდევ
80-იან წლებში ათავსებდა რუსეთში
ცნობებს გოგოლის ძეგლის აგების შე-
სახებ („ეურ. „თეატრი“, 1886 წ.
№ 29).

1902 წელს გოგოლის ძეგლის აგე-
ბასთან დაკავშირებით ვკითხულობთ:

„თფილისიც ემზადება გოგოლის
ღღესასწაულისათვის, რომელიც გაი-
მართება მისი გარდაცვალების 50
წლისთავზე. ქალაქის საბჭოს დადგენი-
ლებით ბაღში უნდა დაიდგას გოგოლის

ბიუსტი და ერთ-ერთ სკოლას ეწოდოს მისი სახელი. დღესასწაული გაიმართება მომავალ ღვთისმშობლის (21 თებერვალს). ქალაქის სასწავლებლებში ამ დღეს სწავლა არ იქნება“ („კვალი“, 1902 წ., №8).

მართლაც, თბილისის ცენტრში, ალექსანდრეს ბაღში, 1903 წელს დადგმულ იქნა „მკვდარი სულების“ უკვდავი ავტორის ბიუსტი. დიდი რუსი მწერლის ძეგლი ახლაც ამშვენებს კომუნარების ბაღს.



გოგოლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ფართო და ყოველმხრივი ათვისება საქართველოში იწყება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ქართველმა საბჭოთა მწერლებმა თარგმნეს დიდი რუსი კლასიკოსის თითქმის ყველა მთავარი თხზულება: მკვდარი სულები „რევიზორი“, „ტარას ბუბა“. უკანასკნელ ხანებში ითარგმნა მთლიანად „სალამოები დიკანის მახლობელ ხუტორში“. ასევე მთლიანად ითარგმნა ქართულად „მირგოროდის“ ორივე ნაწილი. აღნიშნული მოთხრობები ცალკე წიგნად გამოვიდა 1950 წელს.

გოგოლის გარდაცვალებიდან 100 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ქართულად ითარგმნება დიდი რუსი მწერლის ყველა დანარჩენი მხატვრული თხზულება. გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაზე მუშაობენ ქართველი მეცნიერები და მწერლები.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატიულმა თეატრმა საიუბილეოდ განახორციელა გოგოლის „რევიზორის“ დადგმა, რაც თეატრის კოლექტივის დიდ შემოქმედებით გამარჯვებად იქნა მიჩნეული.

გოგოლის შემოქმედება ხელს უწყობდა ხალხთა განთავისუფლების დიად საქმეს. ამიტომ მთელი სისრულით დიდი მწერალი დღეს დაათვასა საბჭოთა ქვეყანამ, სადაც მისი მხატვრული მემკვიდრეობა ფართო მასების საკუთრებად იქცა.

რუსული სიტყვის დიდი ოსტატის მხატვრული სახეები, მისი უკვდავი სატირა დღესაც ემსახურება საბჭოთა ხალხს.

გოგოლის იუბილე იქცა ჩვენი, სოციალისტური კულტურის ზეიშათ, საბჭოთა კავშირის ხალხები და მასთან მთელი პროგრესიული კაცობრიობა სიყვარულით მოსავს რუსული ლიტერატურის სიამაყის — გოგოლის სახელს.

ახალი ნიშნები



საპარტეზლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

- სერგი ქილაია — ვალაქტონ ტაბიძის პოეზია, რედ. შ. რადიანი, გვ. 100, ფასი 5 მან.
- ილია ქავჭავაძის ავტოგრაფები (აღწერილობა) — შედგენილი შ. გოზალიშვილისა. რედ. შ. აფხაიძე, გვ. 231, ფასი 12 მან.
- ქ. ბერულავა — აფხაზეთის ისტორიული ადგილები. რედ. ნ. ბერძენიშვილი, გვ. 80, ფასი 3 მან.
- ვ. ჯაში, დ. კობახიძე — ჩაის ბუჩქის უშვარესი მანებლები და მასთან ბრძოლა. რედ. ლ. კალანდაძე, გვ. 100, ფასი 3 მანეთი.
- ს. კლემენტიევი — ფიზიკური თანამშრომელი (თარგმ. რ. ჯიბლაძისა). რედ. დ. ჩილინაძე, გვ. 76, ფასი 2 მან. 75 კაპ.
- პ. კაპარავა — ზეხილის ზალის მოვლა. რედ. ელ. ერისთავი, გვ. 132, ფასი 6 მან.
- პ. მელიქიშვილის სახ. ქიმიის ინსტიტუტის შრომები — ტ. 10. რედ. გ. ციციშვილი, გვ. 185, ფასი 12 მან.
- ვ. ოხტაშვილი — მანქანები (თარგმ. ნ. ლაშაშვილისა). რედ. გ. ხუციშვილი, გვ. 38, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- ნუნუ ზომერაძე — ილია ქავჭავაძის სახლი საგურამოში. რედ. შ. აფხაიძე, გვ. 49, ფასი 5 მან.
- ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის და პედაგოგიის ინსტიტუტის შრომები — ტ. 3. რედ. კ. ერისთავი, გვ. 204, ფასი 11 მან.
- მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის — რედ. ნ. ბერძენიშვილი, გვ. 339, ფასი 18 მან.
- ბ. კუდრიავცევი — მოლექტულების მოძრაობა (თარგმ. მ. გავაშელისა). რედ. გ. გორდაძე, გვ. 40, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- კ. თუმანოვი და ი. შაინი — ზეგამტარობა (თარგმ. ს. ტაროშვილისა). რედ. გ. ხუციშვილი, გვ. 66, ფასი 2 მან. 50 კაპ.
- ბ. კუნიცოვი — დიდი რუსი მეცნიერი ლომონოსოვი (თარგმ. მ. ბრეგაძისა). რედ. ვ. პარკაძე, გვ. 59, ფასი 2 მან. 20 კაპ.
- საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე — ტ. 12, № 2. რედ. მოადგილე ს. ქილაია, გვ. 127, ფასი 5 მან.
- საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე — ტ. 12, № 3. რედ. მოადგილე ს. ქილაია, გვ. 190, ფასი 5 მან.
- საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე — ტ. 12, № 8. რედ. მოადგილე ი. გვიგინიშვილი, გვ. 516, ფასი 5 მან.
- მევენახეობა-მებაღეობის ინსტიტუტის შრომები — ტ. 7. რედ. ს. დურმიშიძე, გვ. 306, ფასი 14 მან.
- დიპლომატი უიფინის აქტივი — შედგენილი შ. გოზალიშვილისა. რედ. შ. ჩხეტია, გვ. 205, ფასი 10 მან.
- ენერგეტიკის ინსტიტუტის შრომები — ტ. 6. რედ. პ. შენგელა, გვ. 232, ფასი 13 მან. 50 კაპ.
- საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე — ტ. 12, № 6. რედ. მოადგილე ს. ქილაია, გვ. 383, ფასი 5 მან.
- საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე — ტ. 12, № 7. რედ. მოადგილე ს. ქილაია, გვ. 446, ფასი 5 მან.
- საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე — ტ. 12, № 5. რედ. მოადგილე ს. ქილაია, გვ. 320, ფასი 5 მან.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი — ტ. 2. რედ. გ. წერეთელი, გვ. 1532, ფასი 50 მან.

წიგნაკრი



შალვა ღაღინი — მენჯი-რობუ. რომანი. ვაგრძელება	88
ალექსანდრე აბაშვილი — გოგოლის სოფენა, ლექსი	142
ხუბარტიანი — გოგოლი თბილისში, ლექსი	143
თეიმურაზი ჯანაშვილი — შირგოროდში, ლექსი	143
კონსტანტინე ბაშაშვილი — ვაზის ყვავილობა, რომანი. ვაგრძელება	44
ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედება: გიორგი ხუბ. შვილი — ორი შეგ- ვედრა, ლექსი; ნოდარ გუგუშვილი — დღე და ღამე, ლექსი; გივი ბარამი- ძე — წერილი ამერიკელ ზანგს, ლექსი; ჯანსუღ ნიქაბაძე — სამგორი, ლექ- სი; ნოდარ შამანაძე — ზოიას დედა; ამერიკელ სტუდენტს, ლექსები; ნაზი- კილასონია — ყველაზე ღამაში სიმღერა; შეილობილი, ლექსები; შარიაშ- ვილი — ორი; რუსთავი ეძახის სამგორს, ლექსები; ფ. ბერიძე — კომპანიის სოფელში, ლექსი; გივი ვარდოსანიძე — ოცნება, მოთხრობა	60—67
ღაღინი ბაბრამი — ვმირთა სისხლით, ვაგრძელება	72
მიმტორ ბაბაშვილი — ორი ლექსი	92
მანუჩარ ბორბანიანი — სტალინის წიგნი. ლექსი	93
ჯანო შუღლი — ახალგაზრდა ერ ბუის ქორწინება. მოთხრობა. თარგმანი პ. კაკა- ბაძისა	94
შანდორ პეტიფი — იანოშ რაინდი, დასასრული. თარგმანი ვრიგოლ აბაშიძისა	127
ანა ნიკოლაძე — ნ. ვ. გოგოლი, წერილი	143
ახალი წიგნები	157



რედაქტორი

ირაკლი აბაშვიდი

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ ჯანაშვილი (ასახულისმკვებელი მდივანი), ლევან ასათიანი,
მალაქა აფსიაძე, კონსტანტინე დროსთქიფანიძე, ილო მოსაშვილი,
შალვა ღაღინი, ლეო ჭიანჭველი, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხიძე,
სერგი ბილაია.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 10/III-52 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10 ფ.
შე 00931. ფეკ. № 80. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის,
გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს მექანიკური სიტყვის
კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Управления по делам полиграфической промышленности,
издательств и книжной торговли при Совете Министров Грузинской ССР, Тбилиси,
ул. Марджанишвили, № 5.

29

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელფ. 3-23-42.